

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული  
უნივერსიტეტი

ნინო მარკოზია

ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 80-იანი წლების  
საქართველოში  
(ამავე პერიოდის პრესის მასალების მიხედვით)

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ტაბიძე,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

თბილისი

2015

# სარჩევი

სარჩევი .....	2
ანოტაცია.....	4
Annotation .....	7
შესავალი.....	9
თავი I. სახელმწიფო ენის სტატუსის საკითხი საქართველოში და საბჭოთა კავშირის ენობრივი კანონმდებლობა .....	13
1.1. სახელმწიფო ენის სტატუსის საკითხი საქართველოში და საბჭოთა კავშირის ენობრივი კანონმდებლობა .....	18
1.2. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა და მისი თანმდევი მოვლენები .....	38
1.3. ენის კანონი და კანონის არსი .....	42
1.4. კანონპროექტი „საბჭოთა კავშირის ხალხთა ენების შესახებ“ და რუსული ენის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები .....	47
თავი II. ქართველურ ენა-კილოთა კვალიფიკაციის საკითხები 80-იანი წლების პრესის მიხედვით .....	52
თავი III. ორენოვნების საკითხი 80-იანი წლების საქართველოში .....	64
თავი IV. სახელმწიფო ენის ფუნქციონირება განათლების სფეროში .....	86
თავი V. ტოპონიმთა ცვლის თავისებურებანი XX საუკუნის 80-იანი წლების ქართული პერიოდიკის მიხედვით.....	97
თავი VI. ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი ორიენტაციის საკითხი .....	111
6.1. რუსული ენის როლი ნაციონალურ რესპუბლიკებში სამოქალაქო ინტეგრაციის დაბრკოლების საქმეში .....	131
6.2. სამცხე-ჯავახეთი - სომეხთა ენობრივი ორიენტაცია და ენობრივი პრობლემები 80-იანი წლების პერიოდიკის მიხედვით .....	143
6.3. აზერბაიჯანელები ქვემო ქართლში და მათი ენობრივი კომპეტენციის საკითხი 80-იანი წლების პრესის მიხედვით.....	159

თავი VII. სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხი XX ს.-ის 80-იანი წლების საქართველოში .....	168
7.1. სალიტერატურო ქართული ენის ნორმირების საკითხი XX საუკუნის 80-იანი წლების პერიოდიკის მიხედვით .....	168
7.2. სახელმწიფო ენის, როგორც სამართალწარმოების ენის ფუნქციონირების პრობლემა XX საუკუნის 80-იან წლებში .....	175
7.3. ტერმინოლოგიის საკითხი 80-იანი წლების პერიოდიკაში .....	178
7.4. სახელმწიფო ენის ფუნქციონირება და ლექსიკონების საკითხი ქართულ პერიოდიკაში .....	181
7.5. თარგმნის განვითარება XX საუკუნის 80-იან წლებში, პერიოდიკის მიხედვით.....	183
7.6. სახელმწიფო ენის ფუნქციონირება სხვადასხვა ოფიციალურ დაწესებულება- ორგანიზაციაში .....	186
დასკვნები .....	193
გამოყენებული ლიტერატურა .....	197
დანართი .....	227
სარჩევი .....	227

## ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს XX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს ენობრივი სიტუაციის შესწავლას. განსაკუთრებით საინტერესოა საბჭოთა კავშირის დაშლისწინა პერიოდი, რომელსაც „პერესტროიკა“ უძღოდა წინ. ამ დროს ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საბჭოთა რესპუბლიკებში. ენობრივი საკითხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ერთ-ერთი მგრძნობიარე თემა ხდება. **დისკუსიები ენის ირგვლივ იმართება მასმედიის ყველა სფეროში** (პრესა, რადიო, ტელევიზია). კამათის თემებია: **სახელმწიფო ენის ფუნქციონირება რესპუბლიკაში, უცხო ენის სწავლებისა და უცხო ენაზე განათლების მიღების საკითხები, ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის (ენობრივი თვალსაზრისით), ენის სიწმინდის დაცვისა და მრავალი სხვა პრობლემა, რომლებიც საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის შედეგად დაგროვდა.** საბჭოთა კავშირის საბოლოო მიზანი ახალი ერთობის - საბჭოთა ხალხის - ჩამოყალიბება იყო, რომელსაც ერთი საერთო ოფიციალური ენა უნდა ჰქონოდა. ეს ერთადერთი ენა რუსული უნდა ყოფილიყო. საერთო ერთენოვნებისთვის კი ეროვნულ-რუსულ ორენოვნებას უნდა შეემზადებინა საფუძველი. 80-იანი წლების ბოლოს უკვე იყო ნიშნები ეროვნული ენების საოჯახო ენებად ქცევის, „მცირე ერების“ (როგორც მათ საბჭოთა კავშირში უწოდებდნენ), და, შესაბამისად, მათი ენების, შემცირებისა თუ „გაქრობისა“. საბჭოთა რესპუბლიკების შიგნით ეთნიკურ უმცირესობათა ავტოქტონ მოსახლეობასთან საურთიერთო ენა 80-იანი წლებისთვის უკვე მხოლოდ რუსული იყო. ამგვარი პოლიტიკის მძიმე შედეგებს დღესაც აწყდებიან პოსტსაბჭოთა სივრცეში. ჯერაც არსებობს პრობლემები სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებში. ამ უკანასკნელთა ენობრივი იზოლირებულობა სერიოზულ პრობლემებს უქმნის სამოქალაქო ინტეგრაციას არაერთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში და მათ შორის ჩვენთან. ამიტომ ამ პერიოდის შესწავლა და მისი ახლებურად გადახედვა უაღრესად მნიშვნელოვანია წარსულის სწორად შეფასებისა და სამომავლოდ სწორი ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისათვის.

მასალის დახარისხების პროცესში გამოიკვეთა ისეთი ფართო თემები, როგორებიცაა: სახელმწიფო ენის სტატუსის საკითხი, სახელმწიფო ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა (მაგალითად, სახელმწიფო ენის ნორმირება, ტერმინოლოგია, ლექსიკონთა დამუშავება, თარგმნის საკითხი და სხვ.), ტოპონიმთა ცვლის თავისებურებანი, ორენოვნების პრობლემა, ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი კომპეტენციის პრობლემები და სხვ.

სადისერტაციო ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, გაანალიზებულია ყველა ეს საკითხი.

ზემოჩამოთვლილ პრობლემათა შესწავლამ შესაძლებელი გახადა გარკვეული დასკვნების გამოტანა, პრაქტიკულ შედეგად კი გვაქვს რეკომენდაციები საქართველოს განათლების სისტემის სრულყოფის, სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების, დღეს არსებული ენობრივი პრობლემების უკეთ გადასაჭრელად.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 7 თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების ნუსხის, ასევე დანართისაგან.

ნაშრომის **შესავალში** მოცემულია საკვლევი თემის ზოგადი დახასიათება, დასაბუთებულია თემის აქტუალობა, მეცნიერული სიახლე, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, განსაზღვრულია მიზანი და ამოცანები.

**პირველ თავში** თავმოყრილია და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით გაანალიზებულია საბჭოთა კავშირის ენობრივი კანონმდებლობა: სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის საკითხი, ენის სახელმწიფო პროგრამა და მისი თანმდევი მოვლენები, ენის კანონი და მისი არსი და სხვ.

**მეორე თავი** ქართველურ ენა-კილოთა კვალიფიკაციის პრობლემას ეხება, კერძოდ, საკითხის 2-საუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთ მონაკვეთს - XX საუკუნის 80-იან წლებს.

**მესამე თავში** წარმოდგენილია საბჭოთა კავშირში გავრცელებული (და წახალისებული) სპეციფიკური ორენოვნების ანალიზი.

ცალკე, **მეოთხე, თავი** ეძღვნება სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას განათლების სფეროში, ვინაიდან ამ მხრივ ეროვნულ ენათა მდგომარეობა ყველაზე მძიმე იყო საბჭოთა კავშირში.

**მეხუთე თავში** აღწერილია ტოპონიმთა ცვლის თავისებურებანი, პოლიტიკური სიტუაციისა და ტოპონიმთა ცვლის ურთიერთგანპირობებულობა.

**მეექვსე თავი** მოიცავს ენობრივი სიტუაციის აღწერას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში და ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი კომპეტენციის საკითხებს.

**მეშვიდე თავში** წარმოდგენილია სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხები სხვადასხვა ოფიციალურ დაწესებულება-ორგანიზაციაში, სახელმწიფო ენის, როგორც სამართალწარმოების ენის, ფუნქციონირების პრობლემა, ტერმინოლოგიასა და ლექსიკონებთან დაკავშირებული პრობლემები, თარგმნის განვითარების საკითხი და სხვ.

## Annotation

The main purpose of Dissertation work is examination of language situation of Georgia in 80s of XX century. The period before the destruction of the Soviet Union, preceded by “perestroika” (“restructuring”), is particularly interesting in terms of sociolinguistics. By this time national movements were increasing in the Soviet republics.

Language issues became one of the most important and sensitive themes at those times. **Discussions about language issues were held within all spheres of mass media** (press, radio, television). The subject of arguing was a **problem of functioning of state language, issues about foreign language teaching and education in foreign language, an integration of national minority, purity protection of the language** and lots of other problems, accumulated as a result of the Soviet language policy. The final goal of the Soviet Union was to form a new community – of the Soviet people, which will have one official common language. This single language ought to be Russian and national-Russian bilingualism had to prepare basis for the universal mono-lingualism.

Soviet people felt forthcoming danger. By the end of 80s there were signals about transforming national languages into “family languages”, decreasing or disappearing of “small nations” (as they were called in the Soviet Union), and accordingly of their languages as well.

Inside the Soviet republics by 80s the single language of communication of national minority with indigenous people was already Russian only. The heavy consequences of such policy can be found in post-Soviet republics these days as well. There are still problems in terms of proper function of state language, especially within national minority. The language isolation of mentioned above creates serious problems for civil integration in many countries of former Soviet Union, including Georgia.

Therefore, it is very important to research and overview this period in a new way, to estimate the past properly and plan right language policy in our country in order to improve difficult language situation in a due course.

During the process of material sorting such wide issues were revealed as: **status of state language, function of state language (e. g. normalization of state language, terminology,**

**development of dictionaries, translation, etc.), specificity of toponyms changing, bilingualism, the problems of language competition of national minority** and so on.

In the dissertation work, as far as possible, is given analyzing of all of these issues.

Studying of above-mentioned problems gives us possibility to make some conclusions and for practical result are some recommendations how to improve Georgian education system, for better functioning of state language and solution of language problems existing today.

The thesis consists of introduction, 7 chapters, conclusion, list of used literature and sources and also enclosure is attached.

In the introduction we give general characteristic of the work, scientific novelty, theoretical and practical meaning of the work, and goals and issues are defined.

In chapter I it's gathered and analyzed from the point of social linguistics, lingual legislation of the Soviet Union: the issue of official language, state program and consequent events, the law of language and etc.

The chapter II refers to the problem of qualification Georgian dialects in the 80ies of XX century.

Chapter III represents analyzes of bilingualism which was spread in the Soviet Union.

Chapter IV refers to the functions of official language in the system of education, because the situation was very hard in this field.

Chapter V describes the characteristics of changing toponymy, conditionality of political situation and changing toponymies.

Chapter VI contains description of language situation in the places populated with national minorities, and the issues of language competence of ethnical minorities.

Chapter VII is about functions of official language in different kind of organizations, function of official language as a language of legislation, the problems connected with terminology and dictionaries, developing the field of translation and etc.



## შესავალი

თანამედროვე საქართველოს ენობრივი სიტუაცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც მრავალკომპონენტური (ეგზოგლოსური არაბალანსირებული). გარკვეული თვალსაზრისით ამგვარადვე შეიძლება კვალიფიცირდეს ისტორიული საქართველოც. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ენობრივი სიტუაცია არასოდესაა უძრავი და მის მოცემულობას ყოველი კონკრეტული პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული მომენტისათვის მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ჩვენ მიერ შერჩეულ პერიოდშიც (XX ს. 80-იანი წლები) ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, საერთო სალიტერატურო ქართულთან ერთად, გავრცელებული იყო მისი მრავალრიცხოვანი დიალექტები: დასტურდებოდა რაოდენობითა და კომპეტენციის ხარისხით განსხვავებული სხვა, ქართულის მონათესავე თუ არამონათესავე, ენები: აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული, ბერძნული, ებრაული, იეზიდური/ქურთული, უკრაინული, ბაცური, ჩეჩნური/ქისტური, უდიური, ასირიული... ამათგან კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ უმცირესობათა ენები გავრცელებულია: აფხაზეთში - აფხაზური ენა; შიდა ქართლში - ოსური ენა; სამცხე-ჯავახეთში - სომხური ენა; ქვემო ქართლში - აზერბაიჯანული ენა.

XX ს.-ის 80-იანი წლებისათვის საქართველოს სახელმწიფო ენა იყო ქართული. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონსტიტუციურად სახელმწიფო ენის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა ქართულთან ერთად აფხაზურსა და რუსულს. ეთნიკურ უმცირესობათა ენები იყო: აფხაზურის გარდა, ოსური, აზერბაიჯანული, სომხური, ბერძნული, რუსული, ებრაული, უკრაინული, ქურთული და სხვ. რაც შეეხება საქართველოში გავრცელებულ ენათა ფუნქციონირებას, ჩვენთან (ისევე როგორც საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში) დომინანტი ენა რუსული იყო, რასაც საბჭოთა ხელისუფლების „დიადი“ მიზნები განაპირობებდა. საბჭოთა სოციალისტური სისტემა გულისხმობდა ერთიანი სახელმწიფო მონოპოლიის შექმნას. სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში დამყარდა „მარქსისტულ-კომუნისტური იდეოლოგიის“ დიქტატურა, ერთპარტიულობა. საბოლოო მიზანი ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება იყო (კავშირში გაერთიანებული რესპუბლიკების საფუძველზე), ერთი ხალხით, რომელიც ერთი ოფიციალური ენით ისარგებლებდა. ამ მიზნის მისაღწევად

საფუძველი მზადდებოდა ეტაპობრივად. საბჭოთა კავშირში რუსული იყო როგორც ოფიციალური საქმიანობის ენა, ისე სხვადასხვა ეროვნებას შორის ურთიერთობის თითქმის ერთადერთი საშუალება. ყველა სხვა ენის უფლებები თანდათანობით იზღუდებოდა. ამდენად, ენობრივი სიტუაციის თვალსაზრისით, საბჭოთა პერიოდი საკმაოდ რთული და სპეციფიკურია და მისი ამ გადასახედიდან შესწავლა, განსაკუთრებით სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია.

**თემის აქტუალურობა.** სოციოლინგვისტიკა ენათმეცნიერების შედარებით ახალი დარგია. საქართველოში ამ კუთხით ფუნდამენტური კვლევები გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. საბჭოთა კავშირში ამ მიმართულებით მუშაობა მაინცადამაინც წახალისებული არ ყოფილა, რამდენადაც ენობრივი სიტუაციის კვლევა თავისთავში მოიცავს მრავალ პოლიტიკურსა და სოციალურ პრობლემას, რომელთა კრიტიკული შეფასება სასურველი არ იყო საკავშირო რეჟიმისათვის. ამიტომაცაა, რომ ამ სფეროში შექმნილი შედარებით მცირერიცხოვანი ნაშრომების უმრავლესობა თავიდან გადახედვასა და ახლებურად შეფასებას საჭიროებს. XX ს.-ის 80-იანი წლების ენობრივი სიტუაცია დეტალურად დღემდე არც არის შესწავლილი. წინამდებარე ნაშრომში დასმული საკითხები მნიშვნელოვანია როგორც საკუთრივ სოციოლინგვისტიკის დარგის განვითარებისათვის, ისე კონკრეტული პერიოდის ენობრივი სიტუაციის სწორად შეფასებისათვის, რადგან ამ პერიოდმა დიდი კვალი დააჩნია საქართველოში შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ-კულტურულ პროცესებს; ნაშრომში დასმული, და შეძლებისდაგვარად გამოკვლეული, საკითხები არცთუ ისე შორეული წარსულის უკვე მიმქრალი მეხსიერების აღდგენასაც შეგვამღებინებს, ოდესღაც უმწვავესი დაპირისპირებების შორიდან, ახალი თვალთ (და შედარებით ობიექტურით) დანახვის შესაძლებლობასაც მოგვცემს და სამომავლოდ პრობლემების პროგნოზირება-დაგეგმარებაშიც დაგვეხმარება.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანია XX საუკუნის 80-იან წლებში არსებული ენობრივი სიტუაციის შესწავლა, საბჭოთა ხელისუფლების ენობრივი პოლიტიკის თავისებურებების გამოვლენა.

საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ენობრივი პრობლემატიკა. იმდროინდელი ენობრივი პოლიტიკის შედეგები დღესაც მრავალი პრობლემის წინაშე აყენებს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს. უმრავლეს მათგანში

ვითარება ენობრივი სიტუაციის თვალსაზრისით კვლავ რთულია. შესაბამისად, წარსულის გაანალიზება, იმ დროს დაშვებული შეცდომების გამოვლენა და მათი გასწორება ძალზე მნიშვნელოვანია ახლად დამოუკიდებლობამიღებული პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის.

80-იანი წლების პერიოდიკაში მოძიებული მასალა კლასიფიცირებულია საკვლევი თემატიკის მიხედვით, კერძოდ, მოიცავს სახელმწიფო ენის სტატუსის ირგვლივ გამართულ დისკუსიას, სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ნორმირების საკითხებს, ორენოვნების პრობლემას, ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი კომპეტენციის საკითხს, ავტონომიურ ერთეულებში ენობრივი სიტუაციის თავისებურებას, პოლიტიკური სიტუაციისა და ტოპონიმთა ცვლის ურთიერთგანპირობებულობას და სხვ.

კვლევის ობიექტია პერიოდულ მასალაში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები, ცალკეული სტატიები, რომლებიც ენობრივ საკითხებს მოიცავენ. მათი გაანალიზება საშუალებას იძლევა გავიაზროთ XX ს.-ის 80-იანი წლების საზოგადოების განწყობა და დამოკიდებულება ენობრივი პრობლემატიკის მიმართ. საკვლევი მასალა მოძიებულია პრესაში: „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ლიტერატურული საქართველო“, „თბილისი“, „სახალხო განათლება“, „ქართული ფილმი“, „სოფლის ცხოვრება“, „საქართველო“, „შუქურა“, „ახალი მარნეული“, „საბჭოთა აფხაზეთი“, „საბჭოთა ოსეთი“, „Советская Абхазия“, „Советская Осетия“, „Вечерний Тбилиси“ და სხვ.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე და შედეგები.** სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია ენობრივი სიტუაცია საბჭოეთის რღვევის პერიოდის საქართველოში, კერძოდ XX საუკუნის 80-იან წლებში. აღნიშნული პერიოდი ჯერაც არ ყოფილა საგანგებოდ და სრულყოფილად შესწავლილი სოციოლინგვისტური თვალსაზრისით. ანალიზი ეყრდნობა იმ დროისთვის არსებულ ბეჭდვით მედიაში მოძიებულ მასალას. საკითხებმა, რომლებიც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში დაისვა ქართულ პერიოდულ გამოცემებსა და, ზოგადად, მედიასაშუალებებში, შეიძლება ითქვას, რომ პრაგმატული ლინგვისტიკის თითქმის ყველა ასპექტი მოიცავს; ამასთან, ამ პრობლემატიკაზე მსჯელობის მოწადინე აღმოჩნდა საზოგადოების ნებისმიერი სოციალური ფენისა და ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქე, მათ შორის სპეციალისტებიც; ასე რომ, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ჩატარდა „დიდი

დისკუსია“ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, განათლებისა და სახელმწიფო ენის მიმართების, სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ნორმირების, ორენოვნების, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის (აფხაზეთი, სამაჩაბლო, სამცხე-ჯავახეთი) ენობრივი სიტუაციის თავისებურებათა და სხვა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით. დღეს ენათმეცნიერებას არ შეიძლება არ აინტერესებდეს ამ სპეციფიკური „პლებისციტის“ თემა. ენობრივი სიტუაციის შესწავლისას მნიშვნელოვანია როგორია საზოგადოების წევრების განწყობა, მათი დამოკიდებულება მათ საცხოვრისში გავრცელებული ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის მიმართ. ასევე საინტერესოა, რამდენად გაამართლა დრომ მოქალაქეთა მაშინდელი „მოლოდინები“. ჩვენ შევეცადეთ ამ დისკუსიაში ცალკე გამოგვეყო ლინგვისტა მოსაზრებები, რადგანაც აკუმულირებულად სპეციალისტთა პროფესიული ხედვა ენობრივი პოლიტიკისა და ენობრივი სიტუაციის საკითხებზე სწორედ ამ პერიოდის საჯარო განცხადებებსა და კომენტარებში გამოჩნდა.

**კვლევის მეთოდოლოგია.** სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის სტატისტიკური, აღწერითი მეთოდები, წერილობითი წყაროების ანალიზი, ზოგ შემთხვევაში კი ტიპოლოგიური კვლევის მეთოდებიც.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი მასალა და მისი ანალიზი მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სარეკომენდაციოდ ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისას, დახმარებას გაუწევს სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებული საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტებს, გამოადგება სოციოლინგვისტიკის საუნივერსიტეტო კურსსაც, როგორც საილუსტრაციო მასალა და სოციოლინგვისტური კვლევების პერსპექტიულობის დადასტურება.

## თავი I

### სახელმწიფო ენის სტატუსის საკითხი საქართველოში და

### საბჭოთა კავშირის ენობრივი კანონმდებლობა

XX ს.-ის 80-იანი წლები საბჭოთა კავშირის დაშლისწინა პერიოდია და იგი ძირეული პოლიტიკური ცვლილებებით ხასიათდება. ამ დროს ფართოდ იმლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში. თანდათან იღვიძებს ეროვნული თვითშეგნება, ძლიერდება ანტისაბჭოური მიმართულება. ეროვნული და ენობრივი თვითიდენტიფიკაციის პროცესი ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან აქტიურდება და 80-იანი წლების ბოლოს კულმინაციას აღწევს. მ. ნ. გუბოგლო „ენობრივ რევოლუციას“ უწოდებს ამ პერიოდს. ასე ახასიათებს 80-იანი წლების ბოლოს შექმნილ ვითარებას ვ. მ. ალპატოვი: „1987 წლიდან ღიად გამოთქვამდნენ ნაციონალურ იდეებს, მათ შორის პრიორიტეტულ იდენტურობის მოთხოვნილების იდეას. ენობრივი პრობლემების შესახებ ყველაზე მეტს საუბრობდნენ და წერდნენ 1987-89 წლებში, როცა ზოგჯერ უკვე ღიად დაისმოდა დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი“ (ალპატოვი 2000: 136). თავდაპირველად ბევრი რამ ჯერ კიდევ ქვეტექსტად რჩებოდა. ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა კავშირში საყოველთაო დისკუსიისა და არაოფიციალური პლემბისციტების დასაწყისად. ამ დროს თავს იჩენს საზოგადოების მანამდე არნახული აქტიურობა, როდესაც სპეციალისტების გვერდით (და ზოგჯერ მათზე მეტადაც) საზოგადოებრივ და ეთნიკურ-ენობრივ საკითხებზე მსჯელობს მთელი საზოგადოება, ხალხი. ენობრივ დისკუსიებში, პროფესიონალი ლინგვისტების გარდა, მონაწილეობენ ე. წ. არაპროფესიონალები, რადგან საზოგადოება აცნობიერებს, რომ ენის პოლიტიკა ერის საქმეა და არა მხოლოდ გრამატიკოსისა. ამ პერიოდში ენობრივ პრობლემებს არაერთი სტატია და წიგნი მიუძღვნეს მწერლებმა, ჟურნალისტებმა, დამწყებმა პოლიტიკოსებმა. ცხადია, დახვავდა ბევრი ურთიერთგამომრიცხავი აზრი. ამ აზრთა შეფასებებიც იყო მრავალგვარი და

მწვავე. სხვათა შორის, თანამედროვე სპეციალისტებიც არ დგანან ერთ პოზიციაზე მაშინდელი პროცესებისა და დისკუსიების შეფასებისას. ზოგი თვალსაზრისით, „მათ (საზოგადოების წარმომადგენელ არასპეციალისტებს - ხაზი ჩვენია (ნ.მ.)) უყვარდათ კვაზიმეცნიერული არგუმენტაციის მოყვანა, მაგრამ ეს მხოლოდ არამეცნიერული იდეების „დასაბუთებას“ ემსახურებოდა“ (ალპატოვი 2000: 136). 80-იანი წლების პერიოდიკულმა მასალამ აჩვენა, რომ დისკუსიაში აქტიურად მონაწილეობდნენ სპეციალისტებიც და საკუთარი შეხედულებების დასასაბუთებლად ხშირად სწორედ მყარი მეცნიერული არგუმენტები თუ სამეცნიერო კვლევები მოჰყავდათ.

XX საუკუნის 80-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები აისახება ენობრივ სიტუაციაზეც. ამ მოძრაობას ხელს უწყობს 80-იანი წლების შუახანებიდან დაწყებული ე. წ. „გარდაქმნის“ („პერესტროიკის“) პროცესიც, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის შეცვლას. ამ დროს ბეჭდვითი სიტყვა შედარებით თავისუფალი ხდება, ცენზურა შერბილებულია. გაისმის მოწოდებები დემოკრატიზაციისა და საჯაროობისაკენ. მოკავშირე რესპუბლიკებში ღიად იწყებენ საუბარს ერთა თვითგამორკვევის, ეროვნულ-სუვერენულსა და საბჭოთა კავშირიდან გასვლის კონსტიტუციური უფლებების, ისტორიული სამართლიანობის აღდგენის თაობაზე. საკმაოდ მწვავე დისკუსიები იმართება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ლინგვისტური საკითხის ირგვლივ, იქნება ეს ენის კონსტიტუციური სტატუსი, ენის შესახებ კანონის მიღება, სახელმწიფო ენის ფუნქციონირება რესპუბლიკაში, ორენოვნება, მეორე ენის სწავლების პრობლემა, განათლების ენის საკითხი თუ მრავალი სხვა. თავიანთ მოსაზრებებსა და შენიშვნებს აქტიურად გამოთქვამენ როგორც სპეციალისტები: ფილოლოგები, პედაგოგები, ისტორიკოსები, სოციოლოგები თუ ფსიქოლოგები, ისე არასპეციალისტები. ამიტომ XX საუკუნის 80-იანი წლები და ამ პერიოდის ენობრივი სიტუაცია მეტად საყურადღებოა სოციოლინგვისტური თვალსაზრისით. იგი დეტალურად დღემდე არ არის შესწავლილი. მისი აღწერა და სწორად გაანალიზება დიდად დაგვეხმარება წარსულის მართებულად შეფასებაში და გარკვეული პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობასაც მოგვცემს ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას.

სოციოლინგვისტიკაში, ჩვეულებრივ, ორ მიმართულებას გამოყოფენ: მიკროსოციოლინგვისტიკასა და მაკროსოციოლინგვისტიკას<sup>1</sup>.

**მიკროსოციოლინგვისტიკა** ენის ფუნქციონირებას შეისწავლის მცირე სოციალურ ჯგუფებში (არაფორმალური შიდაჯგუფური ურთიერთობისას), მისი მიზანია ადამიანისა და მისი უახლოესი გარემოცვის შესწავლა. მიკროსოციოლინგვისტიკა იკვლევს სამეტყველო ურთიერთობას დიადებსა და ტრიადებში (ექიმი - პაციენტი, მასწავლებელი - მოსწავლე...) იმ მიზნით, რომ გახსნას სხვადასხვა სტატუსისა და როლის კომუნიკანტების სამეტყველო ქცევის მექანიზმები (სოციოლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონი 2006: 128).

**მაკროსოციოლინგვისტიკა** შეისწავლის ენაში მიმდინარე პროცესებსა და მიმართებებს, რომლებიც განპირობებულია სოციალური ფაქტორებით. ამ პროცესებსა და მიმართებებს შეუძლია დაახასიათოს საზოგადოება მთლიანად ან ხალხის საკმაოდ დიდი ერთობა: სოციალური ფენა, ეთნოსი, ეთნიკური ჯგუფი და ა. შ. მაკროსოციოლინგვისტიკა სწავლობს: ენის ნორმალიზაციისა და კოდიფიკაციის პრობლემებს, ენობრივ პოლიტიკას, ენობრივ დაგეგმარებას, რომლებიც ეხება მთელი ენობრივი ჯგუფის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესებს, ასევე ენობრივ სიტუაციას. გაანალიზდება კომპონენტები, რომლებიც შეადგენენ მოცემულ სოციალურ-კომუნიკაციურ სისტემას (კოდები და სუბკოდები), მათი განაწილება ურთიერთობის სფეროების მიხედვით, თითოეული კომპონენტის კომუნიკაციური წონა სოციალური ქმედების სხვადასხვა სფეროში, პოტენციური და რეალური ცვლილებები სოციალურ-კომუნიკაციური სისტემის კომპონენტების ურთიერთმიმართებისას (სოციოლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონი 2006: 111).

მაკროსოციოლინგვისტიკა განიხილავს ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: ენობრივი სიტუაციის კვლევა ჯგუფებში, რეგიონებში, ქვეყნებში, ენების თანაფარდობის შესწავლა ორენოვან კოლექტივებში, ენობრივი კონტაქტები: ერთმანეთთან შემხვედრი ენებისა (და, ნაწილობრივ, კულტურებისა) და ამ ენებზე მოლაპარაკე ინდივიდებისა და ჯგუფების შესწავლა; ენობრივი კონფლიქტები და მათი

---

<sup>1</sup> ზოგი მკვლევრის აზრით, საკითხები, რომლებიც მაკროდონზე განიხილება, ენის სოციოლოგიის სფეროს ეკუთვნის, სოციოლინგვისტიკა კი მხოლოდ მიკროდონის საკითხებით უნდა შემოიფარგლოს, სხვანი მიიჩნევენ, რომ მიკრო- და მაკროდონე უბრალოდ ენისადმი სოციოლინგვისტური მიდგომის ორი დონეა (ჯაფარიძე, 2005: 16).

მოგვარება: ენა და სახელმწიფო, ენობრივი დაგეგმვა, ენობრივი ცვლილებანი, დაკავშირებული საზოგადოებრივ ცვლილებებთან. ასე რომ, მაკროსოციოლინგვისტიკა შეისწავლის ჯგუფს და მის ენას სოციალურ კონტექსტში.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია მაკროსოციოლინგვისტური საკითხები.

საბჭოთა კავშირში საბჭოური იდეოლოგიის შესაბამისი ენობრივი პოლიტიკა ტარდებოდა. **ენობრივი პოლიტიკა** სოციოლინგვისტური ტერმინია და განიმარტება როგორც „სახელმწიფოს, პარტიის, კლასის ან საზოგადოებრივი დაჯგუფების ღონისძიებათა ერთობლიობა ენებისა და ენობრივი ქვესისტემების ფუნქციონალური განაწილების შეცვლისთვის ან არსებულის შენარჩუნებისთვის, გამოყენებული ენობრივი ნორმების დაცვისთვის ან ახლის მიღებისათვის. ენობრივი პოლიტიკა კლასიფიცირდება შემდეგი ნიშნების მიხედვით: 1) რეტროსპექტულობა (ორიენტაცია არსებული ენობრივი სიტუაციის შესანარჩუნებლად), პერსპექტიულობა (ორიენტაცია ენობრივი სიტუაციის შესაცვლელად); 2) დემოკრატიულობა (მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესის გათვალისწინება), არადემოკრატიულობა (ელიტის და/ან მხოლოდ დემოგრაფიულად ან სოციალურად დომინირებული ეთნოსის ინტერესების გათვალისწინება). ენობრივი პოლიტიკის სახეებია: 1) ენობრივი პლურალიზმი; 2) ნაციონალიზმი; 3) ენობრივი ნიჰილიზმი; 4) ნაციონიზმი; 5) ენობრივი პურიზმი“ (ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონი, 2010: 479). ცნობილია, რომ ენობრივი პოლიტიკა სახელმწიფოს საერთო პოლიტიკის ნაწილია, ამიტომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები მასზეც აისახება. მაგალითად, ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: რუსულ ენას, რომელსაც მანამდე (მეფის რუსეთში) სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, სტატუსი ჩამოერთვა; აღიარებულ იქნა ყველა ენის თანასწორობა; სკოლებში შემოიღეს სწავლება ადგილობრივ, მშობლიურ ენებზე; უმწერლობო ენებისათვის შექმნეს დამწერლობები; ისე რომ 1932 წლისათვის 80 ეროვნებაზე მეტს საბჭოთა კავშირში ჰქონდა თავისი დამწერლობა და სასკოლო სწავლება (ვახტინი... 2004: 183). თუმცა 1930-იანი წლებიდან ვითარება მკვეთრად შეიცვალა: ახალი ანბანების შექმნა შეჩერდა. პირვანდელი გეგმების მიუხედავად, მოკავშირე რესპუბლიკათა უმრავლესობაში არცერთ ენაზე, რუსულის გარდა, არ შემოღებულა უმაღლესი



განათლება. რუსული ენა, როგორც აუცილებელი საგანი, საბჭოთა კავშირის ყველა სკოლაში პირველი კლასიდან ისწავლებოდა (მოგვიანებით დაწესდა მისი სწავლება მე-2 კლასიდან); დაიწყო ლათინური ანბანების გადაყვანა კირილიცაზე. რუსული ენა უკვე ფაქტობრივად ასრულებდა სახელმწიფო ენის როლს საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, თუმცა ოფიციალურად ეს სტატუსი მას არ ჰქონია მინიჭებული. 1958-59 წლებში კვლავ გამოცხადდა ყველა ენის სრული თანასწორობა განათლების სფეროში, თუმცა რომელ ენაზე მიიღებდა ბავშვი განათლებას, მშობლების თავისუფალი არჩევანის საგანი იყო (ეს არჩევანი კი, შექმნილი ენობრივი სიტუაციიდან გამომდინარე, რუსულის სასარგებლოდ წყდებოდა).

80-იანი წლებისთვის რუსული უკვე იყო ფაქტობრივი სახელმწიფო ენა, ასევე ეროვნებათაშორისი ენა მთელ საბჭოთა კავშირში. რუსული ენის პრესტიჟმა ამ დროისთვის უმაღლეს საფეხურს მიაღწია, ოფიციალურ დაწესებულებებში, მართვა-გამგეობაში ის ერთადერთი და შეუცვლელია. რუსულის ცოდნის გარეშე შეუძლებელია დასაქმება, პროფესიული წინსვლა, შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკებში მკვეთრად იზრდება რუსულენოვანი სკოლების რაოდენობა და მოსწავლეების რიცხვიც სულ უფრო მატულობს მათში; ორენოვნების დონე თანდათანობით იზრდება; მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი მშობლიურად თვლის არა საკუთარ ეროვნულ-ეთნიკურ ენას, არამედ რუსულს. 1959 წლის აღწერით, მთელ საბჭოთა კავშირში რუსული თავის მშობლიურ ენად დაასახელა არარუსი წარმოშობის დაახლოებით 10-მა მილიონმა მოქალაქემ, 1970 წლის აღწერით - დაახლოებით 13-მა მილიონმა, ხოლო, 1979 წლის ცნობით, ამ რიცხვმა დაახლოებით 16 მილიონ კაცს მიაღწია. ამავე წლის მონაცემებით, საბჭოთა კავშირში რუსულ ენას თავისუფლად ფლობდა მთელი მოსახლეობის 82%.

აქვე შევნიშნავთ, რომ საბჭოთა ენათმეცნიერებაში „ენობრივი პოლიტიკის“ ნაცვლად მიღებული იყო ტერმინი „ენობრივი მშენებლობა“, რომელიც განიმარტებოდა როგორც საზოგადოების მიზანმიმართული ჩარევა ენობრივ განვითარებაში და ამ პროცესით ორგანიზაციული ხელმძღვანელობა სტიქიურ პროცესში (ისაევი 1982: 105).

## 1.1. სახელმწიფო ენის სტატუსის საკითხი საქართველოში და ენობრივი კანონმდებლობა საბჭოთა კავშირში

80-იან წლებში საბჭოთა კავშირში შექმნილი ვითარების გამო მოკავშირე რესპუბლიკებში განსაკუთრებული ინტერესი ჩნდება ენის საკანონმდებლო სტატუსის მიმართ.

ენობრივი სიტუაციის სამართლებრივი რეგულირება ყოველი სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. რამდენადაც დღეს არცერთი ქვეყანა აღარ არის მონოლინგვური, ნებისმიერი ქვეყნისთვის საჭიროა, რომ სახელმწიფო ენისა და სხვა ენათა ფუნქციონირების სფეროები იურიდიულად იქნეს განსაზღვრული. თუმცა მრავალი ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ ენათა სტატუსისა და ფუნქციონირების სფეროთა სამართლებრივი განსაზღვრა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია ენობრივი პოლიტიკის პრობლემატიკაში და ყველაზე ხშირად ქვეულა კიდეც ცხარე დისკუსიათა თემად.

ენის სტატუსი განიმარტება, როგორც სოციალურ-კომუნიკაციურ სისტემაში მოცემული ენის მდგომარეობა, რომელიც ორგვარი შეიძლება იყოს: იურიდიული და ფაქტობრივი. ენის *იურიდიული სტატუსი* - ეს არის ენის გამოყენება ამა თუ იმ სოციალურ-კომუნიკაციურ სისტემაში, გამყარებული საკანონმდებლო წესით (მაგ., სახელმწიფო ენის სტატუსი). ენის *ფაქტობრივი სტატუსი* გულისხმობს ენის რეალურ გამოყენებას, მის ფუნქციურ დატვირთვას. ამ დროს ენის სტატუსი შეიძლება არ იყოს გაფორმებული კანონმდებლურად (ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონი, 2010: 367).

საქართველოში სამართლებრივი სტატუსის მატარებელი იყო და არის ქართული, როგორც სახელმწიფო ენა; აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს ქართულთან ერთად აფხაზურ ენას.

XX საუკუნის 80-იანი წლების მდგომარეობით, კონსტიტუციურად საქართველოში არსებობდა სახელმწიფო ენა, ავტონომიური ოლქის ენა და ეროვნებათაშორისი ენა. 1978 წლის კონსტიტუციით შემოტანილი იყო ცნება „სხვა ენებისა“, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობდა. ამავე დროს აღიარებული იყო

ყველა ენის გამოყენების თანასწორუფლებიანობა და ის, რომ „რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვებოდა“<sup>1</sup>.

სახელმწიფო ენას განმარტავენ, როგორც ქვეყნის კონსტიტუციით განსაზღვრულ ენას, რომლითაც ხორციელდება სახელმწიფოს შიგნით ყველა საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლება. სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანი სწორედ სახელმწიფო ენაა.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: „ენობრივი სტატუსის დაგეგმარება ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების თანმდევი შედეგია, მაგრამ მასზე ზრუნვა, ჩვეულებრივ, იმ ეროვნული მოძრაობიდან იღებს სათავეს, რომელიც დამოუკიდებლობას წინ უსწრებს ხოლმე. არის შემთხვევები, როდესაც ენობრივი სტატუსი მხოლოდ ეროვნული, რეგიონული ან ლოკალური კანონის ძალით მყარდება ანდა მისი აღიარება სულაც დაუწერელი კანონის - მხოლოდ დე ფაქტო - ხასიათს ატარებს“ (ჯაფარიძე 2005: 155).

საბჭოთა კავშირში ენის სტატუსის განსაზღვრის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეთ დაისმოდა ხოლმე სწორედ კონსტიტუციების მიღებისას, ვინაიდან სახელმწიფო ენის სტატუსს ქვეყნის ძირითადი კანონი - კონსტიტუცია - ადგენს. ენათა ფუნქციონირება და მათი გამოყენების სფეროები შესაძლოა განსაზღვრული იყოს ასევე კანონით ენის შესახებ. საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ენის ცნებას არ იცნობდა არც რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია და არც საბჭოთა კავშირის საერთო საკავშირო კონსტიტუცია. ცნობილია, რომ კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის სტატუსის განსაზღვრის წინააღმდეგი იყო ლენინი, რადგან, მისი აზრით, ეს იქნებოდა ძალდატანება არარუს ერებზე. თუმცა მან იცოდა, რომ ამ ერების ენობრივი უფლებები მაინც შეიზღუდებოდა რუსულით. ლენინის სიტყვებით, „ასიათასობით ადამიანი გადაადგილდება რუსეთის ერთი ბოლოდან მეორეში, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ითქვიფება. ვინც თავისი ცხოვრებისა და სამუშაო პირობების გამო საჭიროებს რუსული ენის ცოდნას, ის ისედაც ისწავლის მას ჯოხის გარეშე. ძალდატანება კი მხოლოდ გაართულებს რუსული ენის შეღწევას სხვა ნაციონალურ ჯგუფებში“ (სრული კრებული 1973: 293).

---

<sup>1</sup> ამ პუნქტს სპეციალისტები აფასებდნენ, როგორც ორენოვნების კონსტიტუციურად დაკანონებას.

ცნობილია, რომ რუსული ენა რეალურად ასრულებდა სახელმწიფო ენის ფუნქციას მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამდენად, ამ ენისათვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭება აღარც იყო აუცილებელი, რადგან ასეთ შემთხვევაში აშკარად გამოჩნდებოდა ეროვნული ენების შეზღუდვა რუსულით. მანამდე, მეფის რუსეთში, რუსული ენა ასრულებდა ერთადერთი სახელმწიფო ენის ფუნქციას მთელი იმპერიის ფარგლებში. 1906 წელს მიღებული რუსეთის იმპერიის პირველი კონსტიტუცია, სახელწოდებით „ძირითადი სახელმწიფო კანონები“, რუსულ ენას აცხადებს კიდევ სახელმწიფო ენად: „3. რუსული ენა არის საერთოსახელმწიფოებრივი ენა და სავალდებულოა ჯარში, ფლოტსა და ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში“ («3. Русский язык есть язык общегосударственный и обязателен в армии, во флоте и во всех государственных и общественных установлениях») (ძირითადი სახელმწიფო კანონები... 1906).

გასაბჭოების შემდგომ რუსეთის ენობრივი პოლიტიკა შეიცვალა. სსრ კავშირის პირველ, 1924 წლის, კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის ცნება აღარ არსებობს. 34-ე მუხლი ეხება იურიდიული დოკუმენტაციის ენას: „ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მისი პრეზიდიუმისა და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტები და დადგენილებები იბეჭდება საბჭოთა რესპუბლიკებში საყოველთაოდ ხმარებულ ენებზე (რუსული, უკრაინული, ბელორუსული, ქართული, სომხური, თურქულ-თათრული) (სსრკ-ის კონსტიტუცია 1924).

სახელმწიფო გერბზე ექვს ენაზე (რუსული, უკრაინული, ბელორუსული, ქართული, სომხური, თურქულ-თათრული) წერია საბჭოთა კავშირის ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ (სსრკ-ის კონსტიტუცია 1924).

1936 წლის კონსტიტუციით ენები აღარ არის დაკონკრეტებული: „სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები ქვეყნდება მოკავშირე რესპუბლიკათა ენებზე“ (სსრკ-ის კონსტიტუცია 1936).

სამართალწარმოება მიმდინარეობს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე. პირები, რომლებიც ვერ ფლობენ ამ ენას, უზრუნველყოფილი არიან საქმის მასალების სრული გაცნობით თარჯიმნის საშუალებით, აგრეთვე უფლებით გამოვიდნენ სასამართლოზე მშობლიურ ენაზე (სსრკ-ის კონსტიტუცია 1936).

გერბზე წარწერა („პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“) მოკავშირე ქვეყნების ენებზეა შესრულებული (სსრკ-ის კონსტიტუცია 1936).

1977 წლის კონსტიტუციით: „სსრკ-ის სხვადასხვა რასისა და ეროვნების მოქალაქეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ უფლებათა განხორციელება უზრუნველყოფილია მშობლიური ენითა და სსრკ-ის სხვა ხალხთა ენებით სარგებლობის შესაძლებლობით“ (სსრკ-ის კონსტიტუცია 1977).

45-ე მუხლის მიხედვით, სსრკ-ის მოქალაქეებს აქვთ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება.

116-ე მუხლით, სსრკ კანონები, დადგენილებები და სსრკ უმაღლესი საბჭოს სხვა აქტები ქვეყნდება მოკავშირე რესპუბლიკათა ენებზე («Глава XV. Статья 116. Законы СССР, постановления и иные акты Верховного Совета СССР публикуются на языках союзных республик за подписями Председателя и Секретаря Президиума Верховного Совета СССР») (სსრკ-ის კონსტიტუცია 1977).

სახელმწიფო ენის ცნებას არ იცნობს რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაც.

1918 წლის კონსტიტუციაში ენის შესახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი.

1925 წლის კონსტიტუციით: „13. რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეთათვის აღიარებულია მშობლიური ენის თავისუფალი გამოყენების უფლება ყრილობებზე, სასამართლოში, მართვა-გამგეობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ (რსფსრ-ის კონსტიტუცია 1925).

1937 წლის კონსტიტუციაში ენის გამოყენებას ეხება მუხლები სამართალწარმოებისა და განათლების შესახებ: „სამართალწარმოება რსფსრ-ში მიმდინარეობს რუსულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ან ნაციონალური მხარის (ოკრუგის) ენაზე. იმ პირებისთვის, რომლებიც ვერ ფლობენ ამ ენას, უზრუნველყოფილია საქმის მასალების გაცნობა თარჯიმნის საშუალებით, აგრეთვე უფლება გამოვიდნენ სასამართლოში მშობლიურ ენაზე“ (რსფსრ-ის კონსტიტუცია 1937).

1978 წლის კონსტიტუციაში მეორდება სსრკ-ის 1977 წლის კონსტიტუციის მე-6 თავის 36-ე მუხლი: „რსფსრ-ს სხვადასხვა რასისა და ეროვნების მოქალაქეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ უფლებათა განხორციელება უზრუნველყოფილია

...მშობლიური ენითა და სსრკ სხვა ხალხთა ენებით სარგებლობის შესაძლებლობით“ (რსფსრ-ის კონსტიტუცია 1978).

სამართალწარმოება რსფსრ-ში მიმდინარეობს რუსულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური მხარის, ავტონომიური ოლქის ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. საქმეში მონაწილე პირებისთვის, რომლებიც ვერ ფლობენ ამ ენას, უზრუნველყოფილია საქმის მასალების გაცნობა, სასამართლო მუშაობაში მონაწილეობა თარჯიმნის საშუალებით და უფლება გამოვიდნენ სასამართლოში მშობლიურ ენაზე (რსფსრ-ის კონსტიტუცია 1978).

რსფსრ-ის მოქალაქეების „განათლების უფლება უზრუნველყოფილია ... სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლებით“ (რსფსრ-ის კონსტიტუცია 1978).

მართალია, რუსულ ენას კონსტიტუციურად სახელმწიფო ენის სტატუსი არ ჰქონია მინიჭებული, მაგრამ ეს, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავდა მისი უფლებების შეზღუდვას. პირიქით, ცნობილია, რომ როდესაც ენის სტატუსი იურიდიულად არ არის განსაზღვრული, ანუ კანონით არ არის მისი მოქმედების არეალი შემოსაზღვრული, ჩვეულებრივ, სწორედ ამ დროს სარგებლობს იგი განუსაზღვრელი უფლებებით (ან იმაზე მეტი უფლებებით, ვიდრე კანონის შემთხვევაში ექნებოდა) და სხვა ენათა შეზღუდვის ალბათობაც ასეთ შემთხვევაში დიდია. საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის მიზანიც ეს იყო: მოკავშირე ქვეყნების რუსიფიკაცია და სრული ერთენოვნების დამკვიდრება საბჭოთა კავშირში.

**ერებისა და ენების შერწყმის თეორია**, რომელიც საბჭოთა მთავრობის ოფიციალურ პოლიტიკას წარმოადგენდა, თანდათან ზღუდავდა ეროვნული ენების უფლებებს.

ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, იურიდიული სტატუსი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ (1918 წ.) პირველივე კონსტიტუციით განისაზღვრა.

ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი აღიარებული იყო მას შემდეგ მიღებული ყველა (1922, 1927, 1937 წწ.) კონსტიტუციით.

1978 წლის კონსტიტუციის დასამტკიცებელ პროგრამაში კი ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი ჩამოერთვა. 75-ე მუხლი ენის შესახებ ასე ჩამოაყალიბეს:

„საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

**საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე, სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს.**

**რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“.**

კონსტიტუციის ამ პროექტით ქართული ენის ფაქტობრივი მდგომარეობა იურიდიულადაც მტკიცდებოდა: მას ჩამოერთვა სახელმწიფო ენის სტატუსი, ხოლო რუსულ ენას და „აგრეთვე, სხვა ენებს, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს“, ქართულის თანაბარი უფლებები მიენიჭა. ამ მუხლით მასში ხსენებული არც ერთი ენის „ხმარებაში“ რაიმე „პრივილეგია ან შეზღუდვა არ დაიშვებოდა“.

**სახელმწიფო ენის სტატუსი საბჭოთა კავშირში სულ სამ რესპუბლიკაში არსებობდა:** საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. შესაბამისად, ქართულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი ჩამოართვეს სომხურსა და აზერბაიჯანულსაც. სახელმწიფო ენის ფუნქცია მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ რუსულს უნდა შეესრულებინა. საქართველოში კანონპროექტის გამოქვეყნებას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. კონსტიტუციის განხილვა მოეწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, მწერალთა კავშირში, ლიტერატურის მუზეუმში... რუსული ენის რეალური სტატუსი ამ დისკუსიის დროსაც გამოიკვეთა. საზოგადოების ნაწილი შეგუებული იყო არსებულ მდგომარეობას. პროექტის განხილვისას ცკ-ში გამართულ **სხდომაზე** ითქვა: „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სახელმწიფო ენა არის რუსული და უხერხულიც კი არის სახელმწიფო ენად ქართული მოვითხოვოთ. ჩვენი კონსტიტუციის თანახმად არავინ გვიკრძალავს ქართულად ლაპარაკს და ეს უდიდესი მიღწევაა. ...ჩვენში უკვე ყველა განათლებულმა ადამიანმა იცის რუსული და სხვა სახელმწიფო ენა არ გვჭირდება“ (ბაქრაძე 2002: 13).

ქართული ენისთვის სახელმწიფოებრივი სტატუსის წართმევის მიზეზად მთავრობის მხრიდან თანასწორუფლებიანობის დაცვა სახელდება. საქართველოს კპ ცკ-ის პროპაგანდის განყოფილების გამგის, გ. ბედინეიშვილის, განცხადებით, „ძველ,

1936 წლის კონსტიტუციებში, მხოლოდ საქართველოსა და სომხეთს ჩაუწერეს, რომ ამ ქვეყნებში, შესაბამისად, ქართული და სომხურია სახელმწიფო ენები. სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებში არ ყოფილა მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ. ამიტომ ყველა რესპუბლიკა ერთნაირ მდგომარეობაში რომ იყოს, გადაწყვიტეს ის პუნქტი, სადაც სახელმწიფო ენაზეა ლაპარაკი, ამოეღოთ“ (ბაქრაძე 2002: 10).

ქართველი საზოგადოება ხვდებოდა, რომ კონსტიტუციის ცვლილების მიზეზი სხვა იყო, ფარული და შორსგამიზნული, შემთხვევითობა გამორიცხული უნდა ყოფილიყო: „მიმაჩნია, რომ ენის შესახებ კარგად არის ნათქვამი დღესდღეობით მოქმედ კონსტიტუციაში - საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული. მას შეცვლა არ სჭირდება. 75-ე მუხლი კი დამამცირებელი ქვეტექსტის მატარებელია. ...მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს, არავინ მოსკოვში არ ამოიღებდა ძველი კონსტიტუციიდან მუხლს, სადაც ქართული ენის სახელმწიფოებრიობაზეა ლაპარაკი და არ ჩაწერდა ახალ 75-ე მუხლს. მაშასადამე, არსებობს ჩანაფიქრი, რაც ქართული ენის წინააღმდეგ არის მიმართული. ...**საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი საფუძველს უყრის ქართველი ხალხის გარუსების საქმეს.**...ბევრი ამბობდა, რომ ეს შემთხვევითია, აქ დაშვებულია შეცდომა, ეს გაუგებრობაა, სტილისტური შეცდომაა და ა. შ. ...კონსტიტუციის პროექტს შემთხვევითი ადამიანები არ ადგენენ. ისინი ასე იოლად არ უშვებენ შეცდომებს, გაუგებრობებს, შემთხვევითობებს... მათ შესანიშნავად იციან, რას აკეთებენ, რატომ და რა მიზნით. ...ამიტომ სრულიად აშკარად და პირდაპირ უნდა ვუთხრათ - ჩვენ წავიკითხეთ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი და მივხვდით მის ნამდვილ აზრს და რაკი მივხვდით, მაშასადამე, პასუხიც უნდა მივაგოთ ახალი კონსტიტუციის პროექტის შემდგენლებს“, - აცხადებდა აკაკი ბაქრაძე (ბაქრაძე 2002: 19).

ამავე შეხედულებისა იყო მწერალი ნოდარ წულუისკირი: „უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, **საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ ქართველი ერის დაჩქარებული ტემპით გარუსება დააკანონა**, ქართველი მწერალი ვალდებულია ხმა აიმაღლოს“ (წულუისკირი 1989ბ: 9).

მწერალთა კავშირში კონსტიტუციის პროექტზე მსჯელობისას ზოგიერთი ქართველი მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწისათვის გამოსავალი ის იყო, რომ „**სახელმწიფო ენის**“ ნაცვლად „**რესპუბლიკის ენა**“ ჩაწერილიყო, რადგან მოსალოდნელი



იყო, რომ კონსტიტუციაში ცნება „სახელმწიფო ენის“ დატოვებას მთავრობა არ დაუშვებდა. მწერალ გრიგოლ აბაშიძის შეხედულება ასეთი იყო: „სსრ კავშირის საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში სამგზის წერია: „**რესპუბლიკის ენა**“. ეს იმასვე ნიშნავს, რაც **სახელმწიფო ენაა**. ჩვენ დავადექით იმ გზას, რომ ეს მომენტი გამოგვეყენებინა... და დავსვით საკითხი, რომ ამის კვალობაზე იქნეს დამუშავებული ეს პუნქტი. ...სწორედ ეს მნიშვნელოვანია, რომ **სახელმწიფო ენა** შეიცვალოს **რესპუბლიკის ენად**, რომ ამას აქვს დადასტურება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში“ (სცა, საქმე №2966 1978). ახალი რედაქციით, 75-ე მუხლი ასე უნდა ჩამოყალიბებულიყო: „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კულტურული და სხვა დაწესებულებები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ **რესპუბლიკის ენაზე** - ქართულ ენაზე“, წინააღმდეგ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა, ეს მუხლი საერთოდ ამოღებულიყო კონსტიტუციიდან. ელგუჯა მალრადის თქმით: „თუ 75-ე მუხლი ჩასწორებული არ იქნა მითითებით, რომ **რესპუბლიკის ენა ქართული ენაა**, მაშინ აჯობებს ასეთი მუხლი სრულიად ამოვიღოთ კონსტიტუციის პროექტიდან“ (სცა, საქმე №2966 1978).

ოფიციალურად პრესაში ქვეყნდებოდა ახალი კონსტიტუციის პროექტის მხოლოდ დადებითი შეფასებები:

„...ახალი კონსტიტუციის პროექტში აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა და რომ რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის. ...თავისთავად ცხადია, საბჭოური ცხოვრების წესის შესაბამისად, ჩვენი ქართული ინტერნაციონალური ტრადიციის შესაბამისად, ჩვენ უდიდესი პატივისცემით უნდა მოვეპყროთ მოძმე ხალხთა ენებს, მათ შორის, დიდი რუსი ხალხის ენას, ლენინის და პუშკინის ენას. ამან ჰპოვა თავისი გამოხატულება ჩვენს ახალ კონსტიტუციაში“ (ნატროშვილი 1978: 2).

კიდევ რამდენიმე მაგალითი:

„კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლი სახელმწიფოსაგან მოითხოვს ბეჯითად ზრუნვას ჩვენი უდიდესი განძის, ჩვენი დედაენის ყოველმხრივი განვითარებისათვის. პროექტი აკანონებს ქართული ენის ფართო, შეუზღუდავი სარგებლობის უფლებას საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

...მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების მანძილზე ქართველობა სამაგალითო ჰუმანურობასა და შემწყნარებლობას იჩენდა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები თუ დროებით შემოხიზნული სხვა ხალხების შვილების მიმართ, არ აკლებდა მათ მფარველობასა და კეთილდღეობისათვის ზრუნვას. საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტიც თავიანთი ენებით შეუზღუდავი სარგებლობის უფლებას აძლევს აქ მცხოვრებ ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს. გულით ვიწონებთ სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს“ (ბარამიძე 1978: 3).

„საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი ზუსტად ითვალისწინებს ჩვენი ლენინური პარტიის პროგრამულ მოთხოვნებს. სკკპ პროგრამაში ბრწყინვალედ არის განსაზღვრული, რომ პარტია აყენებს ამოცანას შემდეგშიც უზრუნველყოს სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარება, სსრ კავშირის თითოეული მოქალაქისათვის სრული თავისუფლება, ილაპარაკოს, აღზარდოს და ასწავლოს თავის შვილებს ყოველ ენაზე, არ დაუშვას არავითარი პრივილეგიები, შეზღუდვა ან იძულება ამა თუ იმ ენის ხმარებაში. ხალხების ძმური მეგობრობისა და ურთიერთნდობის პირობებში ეროვნული ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთგამდიდრების საფუძველზე. დედაენასთან ერთად რუსული ენის ნებაყოფლობითი შესწავლის პროცესს, რაც ცხოვრებაში ხდება, დადებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ხელს უწყობს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და თითოეული ერისა და ეროვნებისათვის სსრ კავშირის ყველა სხვა ხალხის კულტურული მიღწევებისა და მსოფლიო კულტურის გაცნობას. რუსული ენა ფაქტიურად გახდა ერთა შორის ურთიერთობისა და სსრ კავშირის ყველა ხალხის თანამშრომლობის საერთო ენა“ (ბრეგაძე 1978: 2).

პრესაში არ იბეჭდებოდა ის კრიტიკული გამოსვლები კონსტიტუციის საპასუხოდ, რომლებიც იმ დროისთვის უჩვეულოდ მწვავე და უკომპრომისო იყო. 1978 წ. 31 მარტის ნომერში გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა სტატია „ქართველ მწერალთა ხმა“, რომელშიც ეწერა: „ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას მიეძღვნა მწერალთა კავშირში გამართული მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გიორგი ჟორჟოლიანმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, პოეტი მორის ფოცხიშვილი, მწერლები: იონა ვაკელი, რევაზ

ჯაფარიძე, ნოდარ წულეისკირი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები ნოდარ დუმბაძე და ჯანსუღ ჩარკვიანი. მწერლებმა აღნიშნეს ის საყოველთაო აღმავლობა, რაც კონსტიტუციის ახალი პროექტის გამოქვეყნებამ გამოიწვია. გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი და სურვილები“ (ქართველ მწერალთა ხმა 1978: 1).

ამ სტატიით აღშფოთებული ნოდარ წულეისკირი წერდა: „შეიძლება კალმის წვერმა ამაზე მეტი სიცრუე დაწეროს? - პარტიიდან წავალ, თუ ამ კონსტიტუციას მიიღებენ-მეთქი! - აი, რა ვთქვი მე ამ მიტინგზე“ (წულეისკირი 1989ბ: 8).

ქართველი საზოგადოება ეძებდა გზებს პროტესტის გამოსახატავად. ამ დროს „ახსენდებათ“ ის კონსტიტუციური უფლებები, რომელთა გამოყენებაზეც მანამდე ვერავინ იფიქრებდა: „ამბობენ, რომ ძველი კონსტიტუციის ამ მუხლების (იგულისხმება 1937 წლის კონსტიტუციის 156-157 მუხლები სახელმწიფო ენის შესახებ - ნ. მ.) აღდგენა არ შეიძლებაო. ჩანს გვაძალებენ, თავს გვახვევენ, ხალხისთვის მიუღებელ კანონებს გვიწერენ. მაშინ უნდა ვიკითხოთ, თუ რისი უფლება გვაქვს, რისი მოთხოვნა შეგვიძლია? ...ჩავიხედოთ ისევ კონსტიტუციაში: ერთ-ერთი მთავარი უფლება გახლავთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება. ...თუ ქართულ ენას წავგართმევენ, იქნებ დაგვჭირდეს ამ უფლებების გახსენება და გამოყენება. შიში, რომელიც ამ უფლებებს თან ახლავს, უნდა დავძლიოთ“ (წულეისკირი 1989ბ: 8).

საქართველოში საზოგადოებამ შეძლო სახელმწიფო ენის დაცვა. ქართულს კვლავ აღუდგინეს კონსტიტუციური სტატუსი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ე. შევარდნაძე აცხადებდა:

„განხილვის დროს საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო პროექტის 75-ე მუხლმა, რომელიც ახალი რედაქციით იყო ჩამოყალიბებული. ჩვენ ჩავატარეთ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის, ჩვენ შევისწავლეთ საზოგადოებრივი აზრი სტუდენტობაში, საერთოდ ახალგაზრდობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საკონსულტაციო კომისია, ხელმძღვანელობენ რა მემკვიდრეობითობის პრინციპით და გამოდიოდნენ რა ჩვენი საზოგადოებისა და კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების გათვალისწინებით, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მიზანშეწონილია

შევიწინარჩუნოთ მოქმედი კონსტიტუციის ცნობილი ფორმულირება, რომელიც ქართულ ენას სახელმწიფო ენად აცხადებს.

როცა ასეთი წინადადება შევიმუშავეთ, მხედველობაში გვქონდა ის ფაქტიც, რომ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება ჩვენს საკონსტიტუციო პრაქტიკაში დამკვიდრებულია ჯერ კიდევ 1922 წლიდან, საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების დროიდან.

ამასთან ერთად ჩვენ, როგორც ეს უკვე ჩამოყალიბდა საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის პრაქტიკაში, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ხალხის, ყველა ერის, ყველა ენის თანასწორობა“ (შევარდნაძე 1978: 3).

კონსტიტუციის 75-ე მუხლის საბოლოო სახე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ, ე. შევარდნაძემ გააცნო საზოგადოებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე:

„სარედაქციო კომისიამ გაითვალისწინა კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს დეპუტატების მიერ შემოტანილი მრავალრიცხოვანი წინადადებანი, რომლებიც აზუსტებენ პროექტის 75-ე მუხლს. ნება მიბოძეთ, სესიას მოვახსენო, რომ საბოლოო რედაქციის შემდეგ ეს მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

მუხლი 75. საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს სს რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველგვარი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სს რესპუბლიკის ამ ორგანოებსა და დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგია თუ შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება.

ვგვიქრობთ, რომ 75-ე მუხლის ასეთი რედაქცია უფრო ზუსტად შეესაბამება ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების თანამედროვე დონეს, მის

სულისკვეთებას და გამოხატავს რესპუბლიკის ყველა მშრომელის აზრსა და მისწრაფებას“ (რიგგარეშე მერვე სესია 1978: 6).

აღსანიშნავია, რომ საზოგადოება, შეიძლება ითქვას, გაწაფული იყო სტრიქონებს შორის კითხვაში და არ უჭირდა ტექსტში ფარულად ჩადებული რეალური შინაარსის ამოცნობა. კონსტიტუციის პროექტის ჩასწორებული 75-ე მუხლიც იმგვარად იყო შედგენილი, რომ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირება მაინც შეზღუდული იქნებოდა. ხსენებული მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში ...თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე, სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“<sup>1</sup>. სპეციალისტები აანალიზებდნენ რა კონსტიტუციის ამ მუხლს, აღნიშნავდნენ, რომ სახელმწიფო ენის უპირატესობა, ამ მეორე აბზაცის მიხედვით, იჩრდილებოდა. „უკანასკნელი ფრაზა აბსოლუტურად უსვამს იმას ხაზს, თუნდაც იქ იყოს ჩაწერილი „სახელმწიფოებრივი“ თუ „რესპუბლიკური ენა“, თუკი რაიმე პრივილეგიები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება, მაშ ეს თავის მოტყუება არ გამოდის? ამ პირველ კარგს ჩვენთვის დღევანდელ ფრაზას აბათილებს ეს მეორე ფრაზა მთლიანად, სახელმწიფოც რომ გეწეროთ, ეს ბოლო ფრაზა ამას აბათილებს“, - აცხადებდნენ კონსტიტუციის პროექტის განხილვისას მწერალთა კავშირის სხდომაზე (სცა, საქმე №2966 1978).

„თუ საქართველოში ბაბილონის გოდოლის არსებობას დავუშვებთ, 75-ე მუხლის მეორე ნაწილი მაშინაც კი გაუგებარი დარჩება მლიქვნელობაში გაუვარჯიშებელი ტვინისათვის: „საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე, სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს“. „აგრეთვე სხვა ენებში“ იგულისხმება, ალბათ, აფხაზური, ოსური,

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს არცერთ კონსტიტუციაში რუსული ენა არ ყოფილა გამორჩეული სხვა ენათაგან, ეს მოხდა მხოლოდ 1978 წლის კონსტიტუციაში: ქართული, რუსული და სხვა ენები... (გოგოლაშვილი, 2009: 79).

სომხური, აზერბაიჯანული და ა. შ. განა უფრო სამართლიანი და, თუ გნებავთ ლენინური არ იქნებოდა, რომ დაგვეწერა: „...თავისუფალი ხმარება აფხაზური, ოსური, აგრეთვე სხვა ენებისა...“ რასაკვირველია! მაგრამ მაშინ ხომ მიზანი მიუღწეველი დარჩებოდა, ორენოვნება ვერ დაკანონდებოდა“, - აღნიშნავდა ნოდარ წულეისკირი (წულეისკირი 1989ბ: 8).

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ალ. ფოცხიშვილი წერდა: „არსად განმარტებული არაა, როგორ უნდა გვესმოდეს ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მიკუთვნება, რა უპირატესობა აქვს ქართულ ენას იმით, რომ იგი სახელმწიფო ენაა და აქვს თუ არა საერთოდ რაიმე უპირატესობა ქართულ ენას საქართველოს ტერიტორიაზე? ...არაპირდაპირ და არა აშკარად, მაგრამ სავსებით გასაგებადაა ნათქვამი, რომ ქართულ ენას არავითარი პრივილეგიები არა აქვს არც რუსულ, არც სხვა ენებთან შედარებით. ანუ ქართულისათვის რაღაც საიდუმლო „სახელმწიფო ენის“ იარლიყი მხოლოდ თვალის ახვევაა და მეტი არაფერი. კონსტიტუციის ამ მუხლის სწორედ ასეთი ფორმულირება აძლევდა მავანსა და მავანს საშუალებას ქართულის გვერდით, ქართულზე უფრო რუსულით ესარგებლა“ (ფოცხიშვილი 1988: 1). რეალურად ასეც ხდებოდა. ამის შედეგად მიიჩნევდნენ იმასაც, რომ ქართული ენის უგულვებელყოფა ხდებოდა იმ სფეროებშიც, სადაც რუსული ენის გამოყენება არ იყო სავალდებულო და შესაძლებელი იყო მისი ეროვნული ენით ჩანაცვლება: „ქართველებით დაკომპლექტებულ დაწესებულებაშიც იძულებული იყვნენ საქმიანი ქაღალდები რუსულად ეწარმოებინათ, მაშინ როცა არც ერთი ამ ქაღალდთაგან დაწესებულების კანცელარიასა და ბუღალტერიას იქით არ მიდიოდა“ (ფოცხიშვილი 1988: 1).

იურისტი თ. შავგულიძე ასე განმარტავდა მუხლს ენის შესახებ: „რესპუბლიკის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სახელმწიფო ენაზე საქმის წარმოების პირობებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს „თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს“ (75-ე მუხლი). ენების თავისუფალი ხმარება გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი დაწესებულების ყოველ თანამშრომელს, რომელიც თავისუფლად ვერ ფლობს ქართულ ენას, უფლება აქვს, ოფიციალურად მიმართოს ადმინისტრაციას რუსულ, თუ ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ენაზე, აგრეთვე რესპუბლიკაში

კომპაქტურად მცხოვრები მოსახლეობის ენაზე (იგულისხმება სომხური და აზერბაიჯანული ენები) განცხადებით, მოითხოვოს გააცნოს მას მისთვის საჭირო დოკუმენტები ამ ენებზე. თავისუფლად გამოვიდეს რუსული თუ სხვა მითითებული ენით კრებაზე, მიტინგზე, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებზე, რადიოში, ტელევიზორში, პრესაში და ა. შ. ყოველივე ეს უზრუნველყოფილია იმით, რომ რესპუბლიკაში გამოდის მრავალი ჟურნალი და გაზეთი არა მარტო რუსულ, არამედ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. ამ ენებზე უზრუნველყოფილია სატელევიზიო და რადიოგადაცემები, მოქმედებს არა მარტო რუსული, არამედ, აფხაზური, ოსური, სომხური თეატრები და სხვ. ენის „ხმარების“ ამგვარი გაგების პირობებში რაიმე „პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებისა არ დაიშვება“ (შავგულიძე 1989: 5).

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ-ში ორი ავტონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქი არსებობდა, რომლებიც, ქართველების გარდა, არაქართულენოვანი მოსახლეობითაც იყო დასახლებული. სახელმწიფოს შიგნით ამგვარი ავტონომიური წარმონაქმნები, რასაკვირველია, სირთულეებს ქმნიდა ენობრივი თვალსაზრისითაც. ამ ფორმით ხდებოდა როგორც ეროვნული, ისე ენობრივი მონოლითის რღვევაც. მაგრამ საკავშირო სახელმწიფოს მართვის მიზანიც ეს გახლდათ.

აჭარის ასს რესპუბლიკის კონსტიტუციის 70-ე მუხლის თანახმად, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა იყო ქართული ენა<sup>1</sup>.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა სამ - აფხაზურ, ქართულ და რუსულ - ენას. თუმცა ეს მოგვიანებით, 1926 წლის კონსტიტუციით, იქნა დადგენილი.

მანამდე, ავტონომიური აფხაზეთის 1919 წლის კონსტიტუციის პროექტის მიხედვით: „2. აფხაზეთის ტერიტორიაზე ოფიციალურ ენად აღიარებულია რუსული ენა“ (აფხაზეთის კომისარიატის პროექტი 1919).

აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტიტუციის პროექტის თანახმად, სახელმწიფო დაწესებულებათა ენად ისევ რუსულია. იქვე შენიშვნაა: „აფხაზეთის სსრ-ში მოსახლე ყველა ეროვნების წარმომადგენელთათვის უზრუნველყოფილია მშობლიური ენის

<sup>1</sup> 1978 წელს მუხლი ქართული ენის შესახებ გაქრა აჭარის ასსრ-ის კონსტიტუციიდანაც. ამასთან დაკავშირებით მაისის თვეში მღელვარება იყო ბათუმშიც.

განვითარება და გამოყენება როგორც ნაციონალურ-კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში“ (აფხაზეთის სსრ კონსტიტუციის პროექტი 1925).

1926 წელს მიღებული კონსტიტუციით (რომელიც საბოლოოდ 1927 წ. დამტკიცდა) აფხაზეთის სსრ-ის სახელმწიფო დაწესებულებების ენებია: აფხაზური, ქართული და რუსული. შენიშვნა მეორდება: „აფხაზეთის სსრ-ში მოსახლე ყველა ეროვნების წარმომადგენელთათვის უზრუნველყოფილია მშობლიური ენის განვითარება და მისი გამოყენება როგორც ნაციონალურ-კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში. იქვე მეორე შენიშვნაა: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მაზრების, რაიონების, სოფლების) ენას ადგენს ცენტრალური ადმინისტრაციული კომიტეტი და აფხაზეთის სსრ-ს სახალხო კომისართა საბჭო“ (აფხაზეთის სსრ კონსტიტუცია 1926).

1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის თანახმად: „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენებია აფხაზური, ქართული და რუსული ენები“<sup>1</sup>.

ავტონომიურ ოლქს, საკავშირო კანონმდებლობის თანახმად, კონსტიტუცია არ უნდა ჰქონოდა (და არც ჰქონდა), მაგრამ არსებობდა საქართველოს სსრ კანონი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ, რომლის მიხედვით: „6. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ავტონომიურ ოლქში მცხოვრები მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია ... შესაძლებლობა გამოიყენონ მშობლიური ენა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ენები“ (კანონი სამხრეთ ოსეთის აო-ის შესახებ 1980).

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო უზრუნველყოფდა სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლების შესაძლებლობას.

სამართალწარმოება, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარეობს ავტონომიური ოლქის ენაზე ან ქართულ ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. საქმეში მონაწილე

---

<sup>1</sup> საქართველოს მხრიდან აფხაზეთში ქართულთან ერთად აფხაზურისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭებას ჰქონდა გარკვეული ლოგიკა, კერძოდ: თუმცა აფხაზები, საქართველოს გარდა, სხვაგანაც ცხოვრობდნენ კომპაქტურად (მაგ., თურქეთში), საქართველოს რესპუბლიკა მზად იყო ეზრუნა აფხაზური ენის განვითარებაზე, რადგან იგი საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გამოიყენებოდა. მაგრამ გაურკვეველი იყო რუსული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაშინ როდესაც თვითონ რუსეთში (და არც არსად სხვაგან მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე) არ ჰქონია მას მინიჭებული ამგვარი სტატუსი.



პირებისთვის, რომლებიც ვერ ფლობენ ენას, რომელზეც მიმდინარეობს სამართალწარმოება, უზრუნველყოფილია საქმის მასალების გაცნობის უფლება, მონაწილეობა სასამართლო მუშაობაში თარჯიმნის საშუალებით და უფლება გამოვიდნენ სასამართლოში მშობლიურ ენაზე“ (კანონი სამხრეთ ოსეთის აო-ის შესახებ 1980).

იურიდიული აქტების ენა განსაზღვრული იყო საქართველოს კონსტიტუციებითაც. 1937 წლის კონსტიტუციით: მუხლი 157. კანონები და აგრეთვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულობანი და განმარტებანი, საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის - ქართულ ენაზე და ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ენაზე.

მუხლი 158. კანონები და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულობანი და განმარტებანი, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე და ქართულ ენაზე (კონსტიტუციური აქტების კრებული 1983: 159).

1978 წლის კონსტიტუციის მიხედვით, „110. საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები ქვეყნდება ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქისათვის - აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის ენაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მდივნის ხელმოწერით“ (კონსტიტუციური აქტების კრებული 1983: 275-276).

აფხაზური ენისგან განსხვავებით (რომელზეც საქართველოს გარდა, სხვა არც ერთი სახელმწიფო არ იზრუნებდა), ოსური ენის განვითარებაზე ე. წ. ჩრდილოეთ ოსეთში უნდა ეფიქრათ, თუმცა საქართველოს რესპუბლიკა მზად იყო ოსური ენის განვითარებისთვისაც ისევე შეეწყო ხელი საქართველოში, როგორც აფხაზურისთვის: „[საქართველოს] რესპუბლიკა ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რათა სრულად და ეფექტიანად ხორციელდებოდეს ავტონომიურ ფორმირებათა კონსტიტუციური უფლებამოსილებანი, წარმატებით ვითარდებოდეს აფხაზური და ოსური ენები და

ლიტერატურები, მეცნიერება და კულტურა“, - გაწერილი იყო საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტში (საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია 1989: 1).

როგორც პრესაში აღნიშნავდნენ, „საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მრავალ ავტონომიურ რესპუბლიკას შორის, მხოლოდ საქართველოა, რომლის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებში არის მითითება სახელმწიფო ენის თაობაზე“ (შავგულიძე 1989: 5).

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაც არსად არ იხსენიებდა ავტონომიური რესპუბლიკების ოლქებისა და ოკრუგების ენებს. იქ ლაპარაკი იყო მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს, საქართველოს გარდა, მუხლს სახელმწიფო ენის შესახებ შეიცავდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების კონსტიტუციები. 70-იანი წლების ბოლოს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, ქართველი ხალხის წინააღმდეგობამ მათი ენებიც იხსნა სახელმწიფოებრივი სტატუსის დაკარგვისაგან.

1939-1969 წლების სომხეთის სსრ კონსტიტუციებით:

„მუხლი 119. სომხეთის სსრ სახელმწიფო ენა არის სომხური“ (სომხეთის სსრ კონსტიტუცია 1939-1969: 26).

აზერბაიჯანულ ენას ეს სტატუსი მოგვიანებით, 1957 წელს, ენიჭება:

„მუხლი 151. აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ენა არის აზერბაიჯანული ენა“ (აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუცია 1957: 31).

ეს სტატუსი შენარჩუნებულია 1978 წლის 21 აპრილს მიღებულ კონსტიტუციაშიც:

„მუხლი 151. აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ენა არის აზერბაიჯანული ენა. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას აზერბაიჯანული ენის ყოველგვარი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ამ ორგანოებსა და დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც

მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგია თუ შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“ (აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუცია 1978: 84).

სახელმწიფო ენის ცნებას იცნობს 1928-1936 წლების თურქმენეთის სსრ კონსტიტუციებიც, ოღონდ სახელმწიფო ენად ორი - თურქმენული და რუსული - ენაა დაკანონებული:

„მუხლი 18. თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენებად ითვლება თურქმენული და რუსული“ (თურქმენეთის სსრ კონსტიტუცია, 1928: 10).

„მუხლი 23. თსსრ სახელმწიფო ენებად დგინდება თურქმენული და რუსული“ (თურქმენეთის სსრ კონსტიტუცია, 1936: 9).

მომდევნო წლების კონსტიტუციებში მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ ამოღებულია.

სსრკ-ის დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკების ენებს სახელმწიფოებრივი სტატუსი არ ჰქონია მინიჭებული. მათს კონსტიტუციებში მითითებული იყო, რომ კანონები, დადგენილებები, განკარგულებები და სხვ. ქვეყნდებოდა მოცემული რესპუბლიკის ენასა და რუსულ ენაზე: ბელორუსიის სს რესპუბლიკაში კანონები ქვეყნდებოდა - ბელორუსულსა და რუსულ ენებზე, ყაზახეთში - ყაზახურსა და რუსულ, ყირგიზეთში - ყირგიზულსა და რუსულ, ლატვიაში - ლატვიურსა და რუსულ, ლიტვაში - ლიტვურსა და რუსულ, მოლდავეთში - მოლდავურსა და რუსულ, უზბეკეთში - უზბეკურსა და რუსულ, ესტონეთში - ესტონურსა და რუსულ, ტაჯიკეთში - ტაჯიკურ, უზბეკურსა და რუსულ ენებზე, მის ზოგიერთ რაიონში კი ყირგიზულ ენაზეც, თურქმენეთში - თურქმენულ, რუსულ, უზბეკურსა და ყაზახურ ენებზე. უკრაინის სსრ კონსტიტუციაში საერთოდ არ ყოფილა მითითება კანონების ენის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკათა ყველა კონსტიტუცია უზრუნველყოფდა მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას.

სამართალწარმოება ზოგიერთ საბჭოთა რესპუბლიკაში მიმდინარეობდა ეროვნულ ან ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე, ზოგიერთში კი ძირითადად ორ - რესპუბლიკის ენასა და რუსულ - ენაზე; რუსული ენის უპირატესობა ამ შემთხვევაშიც აშკარა იყო.

საქართველოში სამართალწარმოება ხორციელდებოდა „...ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე...“ (კონსტიტუციური აქტების კრებული 1983: 292).

აზერბაიჯანის სსრ-ში - აზერბაიჯანულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე;

უკრაინის სსრ-ში - უკრაინულ ენაზე;

ლატვიის სსრ-ში - ლატვიურ ენაზე;

ლიტვის სსრ-ში - ლიტვურ ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე;

ესტონეთის სსრ-ში - ესტონურ ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე;

უზბეკეთის სსრ-ში - უზბეკურ ენაზე, ყარაყალპაკურ ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე.

სხვა რესპუბლიკების კონსტიტუციებში ეროვნული ენების გვერდით მითითებული იყო რუსული ენა:

სომხეთის სსრ-ში სამართალწარმოება მიმდინარეობდა სომხურ ენაზე, ხოლო რაიონებში რუსული და აზერბაიჯანული მოსახლეობის უმრავლესობით - რუსულსა და აზერბაიჯანულ ენებზე;

ბელორუსიის სსრ-ში - ბელორუსულ ან რუსულ ენებზე;

ყაზახეთის სსრ-ში - ყაზახურ ენაზე, ხოლო რაიონებში რუსული, უიგურული ან უზბეკური მოსახლეობის უმრავლესობით - რუსულ, უიგურულსა და უზბეკურ ენებზე;

ყირგიზეთის სსრ-ში - ყირგიზულ ენაზე, ხოლო რაიონებში რუსული ან უზბეკური მოსახლეობის უმრავლესობით - რუსულ ან უზბეკურ ენებზე;

მოლდავეთის სსრ-ში - მოლდავურ ან რუსულ ენებზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენებზე;

ტაჯიკეთის სსრ-ში - ტაჯიკურ ენაზე, ხოლო რაიონებში, რუსული, უზბეკური და ყირგიზული მოსახლეობის უმრავლესობით, შესაბამისად რუსულ, უზბეკურ და ყირგიზულ ენებზე;

თურქმენეთის რესპუბლიკაში - თურქმენულ ენაზე, ხოლო რაიონებში, რუსული, უზბეკური ან ყაზახური მოსახლეობის უმრავლესობით - რუსულ, უზბეკურ და ყაზახურ ენებზე.

კონსტიტუციებში მითითება იყო გერბებზე შესრულებული წარწერის ენებზეც. საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციების მიხედვით, წარწერა - „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ - გერბებზე შესრულებული იყო ორ, როგორც ეროვნულ, ისე რუსულ, ენაზე. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გერბზე იგივე წარწერა თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე ეწერა, მხოლოდ რუსული წარწერა მოთავსებული იყო შუაში და შესრულებული იყო სხვებთან შედარებით უფრო მსხვილი ასოებით (ეს ირიბი მინიშნება უნდა ყოფილიყო რუსული ენის განსაკუთრებული სტატუსისა; რუსული ენის უპირატესობა აქაც ჩანდა).

1922 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიხედვით, „დროშაზე მოთავსებულია წარწერა ქართულად „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“; გერბზე დისკოს გარშემო მოთავსებულია წარწერა სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და ფრანგულად: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ (კონსტიტუციური აქტების კრებული 1983: 95). იგივე მეორდება 1927 წლის კონსტიტუციაშიც. 1937 წლის კონსტიტუციით, გერბზე წარწერა მოთავსებულია უკვე ორ ენაზე - ქართულად და რუსულად, ხოლო დროშაზე კვლავ ქართულად - „საქართველოს სსრ“. იგივე მეორდება 1937 წლისა და 1978 წლის კონსტიტუციებშიც.

საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები თანახმა იყვნენ სახელმწიფო ენის სტატუსი კონსტიტუციურად მინიჭებოდა ორივე ენას - რესპუბლიკის ეროვნულ ენასა და რუსულ ენას. ეს მათთვის მშობლიური ენის გადარჩენას ნიშნავდა, რადგან ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოებრივ სტატუსს მშობლიურ ენასაც აღუდგენდნენ (საქართველო აღდგა! 1989: 3). მაგალითად, ლატვიაში ზოგიერთი ლატვიელიც კი მოითხოვდა ეროვნულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი რუსულ ენასაც მინიჭებოდა (ალკსნისი 1989: 3). ასე ფიქრობდნენ ბელორუსიაში: „ბილინგვიზმი ჩვენთვის ერთადერთი გამოსავალია, რამდენადაც მეორე ენად ბელორუსული ივარაუდება. და ჩვენ ასეთ გადაწყვეტილებას მხარს დავუჭერთ, რადგან ეროვნულ ენას ამით აღუდგება თავისი ძველი უფლებები რესპუბლიკაში“ („...билингвизм для нас - единственный выход всложившихся условиях, так как предполагает вторым языком

белорусский. И мы за такое решение, когда национальному языку возвращаются его исконные права в республике“ (ერი. ენა. ლიტერატურა. 1988: 256). ამავეს მოითხოვდნენ ყაზახეთში: „Казахский и русский для нас должны стать государственными языками“ (აუელბეკოვი 1989: 3). ორი სახელმწიფო ენის საკითხი იდგა მოლდავეთშიც, თუმცა მოლდაველებმა ამას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს (კონდრატოვი 1989: 3).

მოკავშირე რესპუბლიკებში ენის სახელმწიფოებრივ სტატუსზე ზრუნვა მხოლოდ 80-იანი წლების მიწურულს დაიწყო. 1989 წლისთვის ბალტიისპირეთის ხალხთა ენებს სახელმწიფო სტატუსი კონსტიტუციურად განუმტკიცეს. ამავე წელს ენის შესახებ კანონები მიიღეს ესტონეთში, ლატვიაში, ყირგიზეთში, თურქმენეთში, ყაზახეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში...

## 1.2. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა და თანმდევი მოვლენები

1988 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი“ (დამტკიცდა 1989 წლის აგვისტოში), რომელიც ითვალისწინებდა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას. პროექტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ პრესაში. შენიშვნებს აქტიურად გამოთქვამდა მთელი საზოგადოება, როგორც სპეციალისტები, ისე საკითხით დაინტერესებული მოქალაქეები. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე ფოცხიშვილის აზრით, პროგრამაში გარკვეული ცვლილებები უნდა შესულიყო, კერძოდ ენის კონსტიტუციური სტატუსის განმტკიცების მხრივ. მართალია, კონსტიტუციის ფორმულირებისგან განსხვავებით, „პროგრამაში“ ქართული ენის გამოყენების სფეროში დამატებული იყო პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ასევე უფრო სრულად იყო მითითებული საწარმო-დაწესებულებების სია, რომლებშიც „იფუნქციონებდა“ ქართული, მაგრამ კონსტიტუციის 75-ე მუხლის (კერძოდ, მეორე აბზაცის) მოქმედების შემთხვევაში „პროგრამის“ მიღება ვერაფერს შეცვლიდა. ამიტომ მკვლევარი გვთავაზობდა პროგრამის პირველი პუნქტების მისეულ ვერსიას, რომელშიც ქართული ენა ერთადერთი სამუშაო ენა იქნებოდა განსაზღვრულ სფეროებში:

„1. საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ქართული ენაა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პარტიულ, საბჭოთა, სახელმწიფო ორგანოებში, საგანმანათლებლო-კულტურულ დაწესებულებებში, აგრეთვე ყველა საწარმოსა და სამეურნეო ორგანიზაციაში საქმის წარმოებისა და ურთიერთმიმოწერისათვის გამოიყენება **მხოლოდ ქართული ენა**; საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული ყოველგვარი შეკრების (სასოფლო საბჭოების, რაიონული და საქალაქო საბჭოების, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების ყრილობების, პლენუმების, ბიუროების, თათბირების, მთავრობისა და სახელმწიფო დაწესებულებების სხდომების ყოველგვარი კრებებისა და საერთოდ ყოველგვარი თავყრილობების) დროს ძირითადი მოხსენებისა და თანამოხსენების **ერთადერთ ენად მიჩნეული იქნეს ქართული**. კამათში მონაწილეთა გამოსვლები, თუ მათი ენა მსმენელთა უმრავლესობას არ ესმის, ითარგმნება სინქრონულად.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულ ყოველ სამეცნიერო-კულტურულ და სამეურნეო ხასიათის ყრილობების, სიმპოზიუმების, თათბირების, საუბრებისა და საერთოდ ყოველგვარი თავყრილობების ერთ-ერთ სამუშაო ენად მიჩნეული იქნება ქართული ე. ი. ქართველ გამომსვლელს უფლება და შესაძლებლობა ექნება გამოვიდეს ქართულად (უზრუნველყოფილი იქნება ასეთი გამოსვლის სინქრონული თარგმანი). საქართველოში ჩამოსული ყოველგვარი დელეგაციის მიღებისას ყველა ინსტანციაში მასპინძელთა მხრიდან გამოყენებული იქნება **მხოლოდ ქართული**, ხოლო უცხოელთა ნათქვამი სინქრონულად ითარგმნება **მხოლოდ ქართულად**“ (ფოცხიშვილი 1988: 1).

ფოცხიშვილის მოსაზრებით, ქართული ენის გამოყენების ასეთი ჩამოყალიბება არ ეწინააღმდეგებოდა „ეროვნულ უმცირესობათა“ უფლებას „მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე, კულტურული დაწესებულებები და სათვისტომოები შექმნან და ამოქმედონ მშობლიურ ენაზე, და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ისარგებლონ მშობლიური ენით იქ, სადაც საქმე არასახელმწიფოებრივ ურთიერთობას ეხება“ (ფოცხიშვილი 1988: 1).

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაში გაწერილი იყო პრობლემური ენობრივი საკითხები, აღმასრულებელი ორგანიზაციები და პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მაკონტროლებელი ორგანოები.

პროგრამის 1-ლივე პუნქტით განსაზღვრული იყო რესპუბლიკაში მცხოვრები ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეთათვის ქართული ენის დასაუფლებლად ხელშემწყობი პირობების შექმნა (ფინანსური და სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა) ყველა დაწესებულებასა და საწარმოში. ასევე III პუნქტით დაგეგმილი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლამდელ დაწესებულებებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში:

„13. კონკრეტულ წინადადებათა შემუშავება რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ. 14. საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში არაქართული სექტორების აბიტურიენტებისათვის მისაღები გამოცდების წინ გასაუბრების შემოღება ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 15. საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში ფილოლოგიის ფაკულტეტის არაქართულ სექტორებზე ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსების შემოღება“ (ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა 1989: 2).

პროგრამის სწორედ ამ პუნქტებს მაშინდელ აფხაზეთის არ-სა და სამხრეთ ოსეთის აო-ში მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ქართული ენის პროგრამის საპასუხოდ ავტონომიურ ერთეულებში გამოაქვეყნეს აფხაზური და ოსური ენების სახელმწიფო პროგრამები. 1989 წლის იანვარში დაიბეჭდა აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზური ენის მოვლა-პატრონობასა და მისი ფუნქციებისა და კონსტიტუციური უფლებების გაფართოებას (აფხაზური ენის სახელმწიფო პროგრამა 1989: 3).

სექტემბერში დაიბეჭდა ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამაც, რომლის მიხედვითაც, მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ენებად ცხადდებოდა ოსური, ქართული და რუსული (!): „1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენებია ოსური, ქართული და რუსული - ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენა სსსრ-ში“ (ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა 1989: 2), მაშინ, როდესაც სსრ კავშირში შემავალ არცერთ ავტონომიურ ოლქს კანონში არ ჰქონია განსაზღვრული ოლქის სახელმწიფო ენა, რაც ბუნებრივი იყო, რადგან ავტონომიურ ოლქს არ შეიძლებოდა ჰქონოდა სახელმწიფო ენა. ავტონომიური ოლქი შედიოდა მოკავშირე რესპუბლიკაში, როგორც სუვერენულ



სახელმწიფოში და მისი ენა უნდა გავრცელებულიყო ოლქის ტერიტორიაზეც (შავგულიძე 1989: 5).

სახელმწიფო ენის განვითარების პროგრამები აფხაზეთსა და მაშინდელ ე. წ. სამხრეთ ოსეთში ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის **საპასუხოდ** გამოქვეყნდა. არაქართველი მოსახლეობის უმრავლესობამ ქართული ენა არ იცოდა. ამიტომ შიშობდნენ, რომ ქართული ენის ფუნქციების განმტკიცება შეზღუდავდა აფხაზებისა და ოსების უფლებებს, ესარგებლათ მშობლიური ენებით. თუმცა ერთი რამ ცხადი იყო: აფხაზური ან ოსური ენის ფუნქციებს ზღუდავდა არა ქართული ენა, არამედ რუსული, რომელიც, ფაქტობრივად, ოფიციალური ენა იყო ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში; მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იგი განათლების სფეროშიც. ცნობილია, რომ არარუსი ეროვნების მოსახლეობა (მათ შორის ქართველებიც) განათლებას ძირითადად რუსულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში იღებდნენ, რადგან ამაზე იყო დამოკიდებული მათი წარმატებული მომავალი და კარიერული ზრდა. დაწყებითი საფეხურის გარდა, აფხაზურსა და ოსურ სკოლებში განათლება რუსულ ენაზე იყო. არც აფხაზეთის არ-ში და არც ოსეთის აო-ში არასდროს გამოუთქვამთ წუხილი რუსული ენით მშობლიური ენების ფუნქციათა შეზღუდვის თაობაზე. „ქართული ენის პროგრამა“ მიზნად ისახავდა რუსული ენის ჩანაცვლებას საქართველოს სსრ სახელმწიფო ენით და ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციების გაფართოებას არაქართველენოვან მოსახლეობაში, რათა მომხდარიყო მათი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში.

მსგავსი სიტუაცია იქმნებოდა საბჭოთა კავშირის ყველა იმ რესპუბლიკაში, რომლებშიც სახელმწიფო ენის პროექტი შემუშავდა. უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, მაგალითად, ესტონური სახელმწიფო ენის პროექტის გამოქვეყნებას. აკრიტიკებდნენ პროექტის იმ მუხლებს, რომლებიც ესტონურის, როგორც სახელმწიფო ენის, პრიორიტეტულობას უსვამდა ხაზს. იურისტები ა. პიგოლკინა და მ. სტუდენიკინა აცხადებდნენ, რომ პროექტის ზოგიერთი დებულება, განსაკუთრებით მუხლები, რომლებიც მოითხოვენ ესტონური ენის პროფესიულ დონეზე ცოდნას რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკებისაგან, ყველასგან, ვინც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით დაკავშირებული იყო მკვიდრ მოსახლეობასთან, ზღუდავდა სხვა ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობას: „ეს ეწინააღმდეგება როგორც ჩვენს საკავშირო

კანონებს, ისე საერთაშორისო პაქტებს, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ, აგრეთვე მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს“ (თევზაძე 1989: 2).

პრობლემის სამართლებრივი მოგვარება საბჭოთა მთავრობისთვის უკვე გარდაუვალი იყო. ცენტრში დაიწყო კიდევ მსჯელობა ენების შესახებ საკავშირო მასშტაბის კანონის ირგვლივ. ამავე სახის კანონების მომზადებას მოითხოვდნენ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაშიც. როგორც მიუთითებდნენ, ამ დროს ენის საკითხი „პოლიტიკის სფეროში უფრო ხშირად განიხილებოდა, ვიდრე მეცნიერულ ასპექტში“ (საქართველო აღდგა! 1989: 3).

### 1.3. ენის კანონი და კანონის არსი

საქართველოში ენის კანონის მომზადების საკითხი დაისვა XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში. გააქტიურებული ეროვნული მოძრაობა ქართული ენის უფლებების დაცვასა და სახელმწიფოებრიობის კონსტიტუციური უფლების რეალურად ხორცმესხმას მოითხოვდა, ენის კანონი მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან შემოთავაზებული ის იდგა იყო, რომელიც ქართული ენის კონსტიტუციური უფლების დაცვის ქომაგებს საქართველოში მცხოვრები არაქართულენოვანი მოსახლეობის ენობრივი უფლებების განსაზღვრის საკითხებზე კამათში ითრევდა. ასეთ კამათს კი, ცხადია, ბოლო არასოდეს ექნება. ენის კანონი ისედაც რეალურად შეზღუდული უფლებების მქონე ქართულს იძულებულს ხდიდა თავისი „მცირედი“ (რუსულის ფონზე) უფლებრივი გარემო სხვა ეთნოსების ენებისთვისაც გადაენაწილებინა და თავად აეყვანა ისინი სახელმწიფო ფუნქციონირების ხარისხში. სწორედ ამ პერიოდში იწყება სახელმწიფო ენობრივ პოლიტიკაში ენათმეცნიერთა მონაწილეობის ახალი ეტაპი. უნდა ითქვას, რომ ენის კანონი კომპლექსურ დარგობრივ მუშაობას მოითხოვს (ამ საქმეში უნდა ჩაებან ენათმეცნიერები, იურისტ-კონსტიტუციონალისტები, პოლიტოლოგები, ისტორიკოსები), კვლევებს სინქრონიულ და დიაქრონიულ დონეებზე, ტიპოლოგიურ მიეებს და ხანგრძლივ ანალიზს. უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის 70-80-იანი წლებისათვის ქართულ ჰუმანიტარულ დისციპლინებს საკმარისი გამოცდილება არ ჰქონდათ ამ სფეროში, საუკუნის დასაწყისში მოპოვებულმა ხანმოკლე

დამოუკიდებლობამ ვერ მოასწრო საკმარისი გამოცდილების დაგროვება ამ მხრივ. ამიტომაცაა, რომ ის, რაც „დისკუსიის“ ფარგლებში ხდებოდა, მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ იმ მომენტისათვის, არამედ სამომავლო კომპეტენციის შექმნის თვალსაზრისითაც. ამ პერიოდში დაისვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთაც იმ პერიოდისთვის არსებული ცოდნისა და იდეოლოგიურად დასაშვები ფორმატით გაეცა პასუხები; შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, თავი მოვუყაროთ ამ საკითხებს და დავახასიათოთ მაშინდელი მიდგომები:

ენის კანონის საკითხის დამუშავება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს დაევალა. ინსტიტუტის დირექტორი ბესარიონ ჯორბენაძე აუცილებლად მიიჩნევდა ამგვარი კანონის შექმნას საქართველოში. ენობრივ დისკუსიებში ჩართული იყვნენ იურისტები. თამაზ შავგულიძე, მსჯელობდა რა ქართული ენის საკანონმდებლო სტატუსის შესახებ, აცხადებდა, რომ იურიდიულად მინიჭებული უფლება, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოხატულიყო ამ ენაზე საქმის წარმოებით სახელმწიფოში: „სადავო არ არის, რომ კონსტიტუციურად ენათა საერთო თანასწორუფლებიანობის პირობებში, სახელმწიფოში უმაღლესი სოციალურ-პოლიტიკური სტატუსი სახელმწიფო ენას აქვს. ეს უზენაესობა უნდა გამოიხატებოდეს ძირითადად იმით, რომ სახელმწიფო ენა უნდა იყოს ოფიციალური ენა, ე. ი. ამ ენაზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე საქმის წარმოება - „სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლების და სხვა დაწესებულებებში“ (კონსტ. 75-ე მუხლი) (შავგულიძე 1989: 5).

საყურადღებოა, რომ პრობლემა დღემდე გადაუჭრელია; ენის კანონი დღესაც არ არის მიღებული. საკითხის გადაჭრას თავისი დამაბრკოლებელი გარემოებები ახლავს და ერთი ხელის მოსმით ვერავინ წყვეტდა ამ საკითხებზე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას. ბ. ჯორბენაძე წერდა: „არის რიგი საკითხებისა, რომლებსაც უთუოდ ესაჭიროება იურიდიული უზრუნველყოფაც. სწორედ ამ კონტექსტში დაისმის საკითხი რესპუბლიკაში რეალურად არსებული ენობრივი სიტუაციის განსაზღვრისა და ამის საფუძველზე შესაბამისი კანონის გამომუშავებისა“ (ჯორბენაძე 1989გ: 5).

ენის შესახებ კანონზე მუშაობა ვერ დაიწყებოდა თვით ამ კანონის არსის განმარტების გარეშე. ეს განმარტება შემდგომი მოქმედებების სტრატეგიასაც განსაზღვრავდა. ბ. ჯორბენაძის განმარტებით: „კანონი ენის შესახებ არის ენის

სახელმწიფოებრივი კონცეფციის იურიდიული გამოხატულება, რომლის მიზანია განსაზღვროს რესპუბლიკაში გამოყენებული ყველა ენის კონსტიტუციური სტატუსი, მათი ფუნქციონირების ამჟამინდელი ვითარება (ისტორიის გათვალისწინებით) და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მათი გამოყენების პერსპექტივა“. ცხადია, ენის კანონი კონსტიტუციაში ერთადერთ სახელმწიფო ენად გამოცხადებულ ქართულს იურიდიული ძალით ვერ დაუპირისპირებდა ე. წ. „რესპუბლიკაში გამოყენებული ყველა ენის კონსტიტუციური სტატუსის“ განსაზღვრას. ენის შესახებ კანონის შემუშავება, სპეციალისტის აზრით, ეფუძნებოდა ენების სოციოლინგვისტური თვალსაზრისით შესწავლის შედეგებს, მაგრამ უკვე სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დონეზე აყენებდა ამ პრობლემას.

კანონის არსი, ბ. ჯორბენაძის მიხედვით, გამოიხატებოდა შემდეგი ფუნდამენტური დებულებებით:

„ა) ენა არის ერის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი,

ბ) ენა არის კონსოლიდაციის ერთ-ერთი არსებითი საშუალება,

გ) ენა არის ეროვნული კულტურის შექმნის საფუძველი და მისივე განვითარების მძლავრი საშუალება,

დ) იმავდროულად ენა არის საზოგადოებრივი ურთიერთობის საშუალება (ანუ: კომუნიკაციის საშუალება). ეროვნულად უნიფიცირებულ საზოგადოებაში ეს პრობლემა მარტივად წყდება, სირთულეს წარმოადგენს მრავალეროვნულ საზოგადოებაში მისი გადაჭრა. ამ შემთხვევაში მისი გონივრული გადაწყვეტის ერთადერთი გზაა ამა თუ იმ ენის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ფუნქციონირების შესაძლებლობისა და ერთაშორის ურთიერთობის საშუალებად მისივე გამოყენების ტრადიციის გათვალისწინება“ (ჯორბენაძე 1989გ: 5).

ენის შესახებ კანონში უნდა ასახულიყო შემდეგი ასპექტები:

„ა) პიროვნება და ენა,

ბ) ერი და ენა,

გ) სახელმწიფო და ენა,

დ) საქმის წარმოებისა და მმართველობის ენა,

ე) მართლმსაჯულების ენა,

ვ) მეცნიერების, კულტურისა და განათლების ენა,

- ზ) ენის გამოყენების სხვა სფეროები,
- თ) რესპუბლიკათშორისი ურთიერთობის ენა,
- ი) საერთაშორისო ურთიერთობის ენა,
- კ) ენის შესახებ კანონის შესრულებაზე კონტროლი“ (ჯორბენაძე 1989გ: 5).

ენის შესახებ კანონს უნდა განესაზღვრა რუსული ენის სტატუსიც, საერთაშორისო ენების სწავლებისა და მათი გამოყენების სფეროები და მასთან დაკავშირებული ორენოვნების პრობლემაც.

ბ. ჯორბენაძის მითითებით, რესპუბლიკაში არსებული ყველა ენის ფუნქციონირება უნდა შეფასებულიყო ზემოჩამოთვლილი ასპექტების გათვალისწინებით. კანონში ზედმიწევნით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული სახელმწიფო ენის სტატუსი, ავტონომიურ ფორმირებებში ენათა გამოყენების სფეროები, ეთნიკურ უმცირესობათა ენების ფუნქციონირება: „საქართველოში მოსახლე ბევრ ერს მდიდარი ენობრივი და კულტურული ტრადიციები აქვს, რისი მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობა შესაბამისად აისახება რესპუბლიკის კანონში ენის შესახებ, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათი ენის, კულტურის განვითარების ძირითადი კერა საქართველოს ფარგლებს გარეთაა და არ ეგების საქართველომ ამ თვალსაზრისით კონკურენცია გაუწიოს რომელიმე სხვა რესპუბლიკას“ (ჯორბენაძე 1989გ: 5). ავტორი გულისხმობს იმას, რომ საქართველო დამოუკიდებელი გზით ვერ (და არ) უნდა ატარებდეს, მაგალითად, სომხურს, აზერბაიჯანულს, ან ოსურს, რადგან ამ შემთხვევაში საქართველოში ამ ენების დამოუკიდებელი თვითგამორკვევა საბოლოოდ ამ ენების საკუთარი ფესვებისაგან მოწყვეტასა და საქართველოს ტერიტორიაზე ახალ ლინგვისტურ ფენომენად ჩამოყალიბებას გამოიწვევს, ხოლო წარმოშობის ადგილთან ზუსტი ადეკვატურობით განვითარება კი მხოლოდ საქართველოს რეალობაში სხვა ქვეყნების (ამ ენათა წარმოშობის ადგილის) ჩარევასთან იქნება დაკავშირებული.

ამავე საკითხზე თამაზ შავგულიძე წერდა: „ენას არა მხოლოდ ეროვნულ-ფსიქოლოგიური და კულტურული, არამედ წმინდა სოციალური და პოლიტიკური ფუნქციაც აქვს. სწორედ აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვა ტერიტორიაზე, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში კანონით სხვადასხვა ენას სხვადასხვა ფუნქცია ენიჭება და სხვადასხვაგვარია ამ ენების განვითარების მიმართ სახელმწიფოებრივი ზრუნვა. საკითხისადმი სხვაგვარი მიდგომა შეუძლებელი და

გაუმართლებელია. ასე, მაგალითად, საქართველოს სს რესპუბლიკა, უწინარეს ყოვლისა, განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს ქართული და აფხაზური ენების ყოველმხრივი განვითარებისათვის, რადგან საქართველოს გარეთ ამ ენების განვითარება შეუძლებელია. საქართველოში გარკვეული ზრუნვა სჭირდება ოსური ენის, როგორც ავტონომიური ოლქის ენის, განვითარებას, ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ოსური ენის განვითარების ძირითადი კერა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა უნდა იყოს. განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდება საქართველოში რუსულ ენას, როგორც შიდა რესპუბლიკურ ეროვნებათაშორის და რესპუბლიკათშორის ენას, მაგრამ არა მის განვითარებაზე ზრუნვის, არამედ მისი შესწავლისა და გამოყენების თვალსაზრისით.

სწორედ ამიტომ ქართული და აფხაზური ენების ყოველმხრივი განვითარების პრობლემა საქართველოს სს რესპუბლიკის უპირველესი ზრუნვის საგანი უნდა იყოს და ჩვენ ვერ მოვთხოვთ ვერცერთ რესპუბლიკას იზრუნოს ამ ენების განვითარებისათვის, იმისდა მიუხედავად, ცხოვრობენ თუ არა ამ რესპუბლიკებში ქართველები ან აფხაზები“ (შავგულიძე 1989: 5).

სწორედ ამ საკითხის დელიკატურობამ და საკავშირო იდეოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობამ მიახვედრა იმ ეტაპზე კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფი, რომ კანონის მიღება ქართულს შებოჭავდა არაობიექტური და არასასურველი ვალდებულებებით და მთელ სამოქალაქო საზოგადოებას ჩაითრევდა ენობრივ კონფლიქტში, რომლის ეთნოკონფლიქტში გადაზრდის ტექნოლოგიას საბჭოთა რუსეთი (და სხვათა შორის, მეფის რუსეთიც) საუკეთესოდ ფლობდა. როგორც ჩანს, იმ მომენტისათვის მოსკოვის გეგმებში ამ საკითხის ესკალირება არ შედიოდა, და ამიტომაც კანონზე მუშაობა შეწყდა, თუმცა კანონპროექტმაც მოახერხა მთელი რიგი საკითხების გამწვავება ეთნიკურ ჯგუფებს შორის (ტაბიძე 2014ა: 221-228).

#### 1.4. კანონპროექტი „საბჭოთა კავშირის ხალხთა ენების შესახებ“ და რუსული ენის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები

ამ პერიოდშივე დაისვა ენის კანონის შემუშავების საკითხი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ენობრივი პრობლემების მოწესრიგების მიზნით ხშირად ეწყობოდა შეხვედრები სპეციალისტებთან. 1989 წ. უზენაესი საბჭოს სესიაზე განიხილეს პროექტი კანონისა „საბჭოთა კავშირის ხალხთა ენების შესახებ“. იგი ოფიციალურ ენად რუსულს აღიარებდა: «В целях осуществления общесоюзных задач и с учетом исторически сложившихся реалий **русский язык признается официальным языком СССР**, используется как средство общегосударственного и межнационального общения, не ущемляя при этом права и функции национальных языков народов СССР». განხილვას ესწრებოდა იმ პერიოდში თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე, პროფესორი გუჩა კვარაცხელია, რომელიც სტატიის ამგვარი ფორმულირების წინააღმდეგ გამოვიდა: „ოფიციალური ენის ახლად შემოტანილი ცნება და მოკავშირე (ავტონომიური) რესპუბლიკების სახელმწიფო ენათა ჩანაცვლება ამ ენით ეწინააღმდეგება მოქმედ კონსტიტუციებსა და ენის კანონებს, რომლებიც უმრავლეს რესპუბლიკებში უკვე მიღებულია. მე აღვნიშნე, რომ ამგვარი უფლებრივი სტატუსისა და გამოყენების სფეროების მქონე ოფიციალური ენა კომუნიკაციის საშუალება შეიძლება იყოს მხოლოდ უნიტარულ, მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ და არა ფედერაციულ, დემოკრატიულ სახელმწიფოში“ („აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის“ ტაქტიკა... 1989: 2).

პროცესში ჩართული იყვნენ სპეციალისტები სხვადასხვა რესპუბლიკიდან. მოსკოვში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, გაიმართა საკავშირო სესია - მრგვალი მაგიდა თემაზე „ენა და საზოგადოება“. საქართველოდან დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, პროფ. ბესარიონ ჯორბენაძემ, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებმა: მათა მამუკაშვილი, ვაჟა შენგელიამ, კონსტანტინე ლერნერმა, მიხეილ ქურდიანმა. სესიაზე დაისვა საკითხი რუსული ენის სტატუსის შესახებ. რუსულისთვის უნდა მიენიჭებინათ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენის სტატუსი საბჭოთა კავშირში, რაც მას

განსაკუთრებული, სახელმწიფო ენისთვის განკუთვნილი, ფუნქციით აღჭურავდა. ქართველი ლინგვისტებისთვის ეს მიუღებელი იყო. ბ. ჯორბენაძე წერდა:

„საკავშირო მასშტაბით რუსული შეიძლება იყოს მხოლოდ რესპუბლიკათაშორისი ურთიერთობის ენა. ...რუსულს არ შეიძლება მიენიჭოს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენის სტატუსი, რადგან ბევრ რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოში, ამ ფუნქციას მკვიდრი მოსახლეობის ენა ასრულებს. ...ყოვლად დაუშვებელია რუსულის საკავშირო სახელმწიფო ენად გამოცხადება, რადგან ეს იქნებოდა საკავშირო კონსტიტუციის უხეში დარღვევა: კონსტიტუციის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკა არის სუვერენული სახელმწიფო, სუვერენულ სახელმწიფოში კი არ შეიძლება სახელმწიფო ენად გამოცხადებული იყოს სხვა ერის ენა“ (საქართველო აღდგა! 1989: 3).

სწორედ ამას ისახავდა მიზნად 1989 წელს გამოქვეყნებული კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტი „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში“, რომლის მიხედვითაც რუსული ენა სახელმწიფო ენის სტატუსით უნდა აღჭურვილიყო მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით: „ყველა საბჭოთა ხალხის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა ის, რომ კანონმდებლურად დამკვიდრებულიყო რუსული ენა როგორც საერთო სახელმწიფო ენა, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიყენება და ფუნქციონირებს თანასწორუფლებიანობის საფუძველზე რესპუბლიკების სახელმწიფო ენებთან ერთად“ (რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევის დიდი პროგრამა 1989: 2). ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, საერთოდ, მთელ რესპუბლიკაში, რუსული ენა ყველგან გამოდევნიდა ეროვნულ ენას (რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევის დიდი პროგრამა 1989: 2).

სხვა საკითხთა შორის განიხილეს ორენოვნების პრობლემაც. ორენოვნების თემა საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით აქტუალური გახდა 80-იან წლებში. ჩვეულებრივ, გავრცელებული იყო ნაციონალურ-რუსული (ეროვნულ-რუსული) ან რუსულ-ნაციონალური (რუსულ-ეროვნული) ორენოვნება. მეორე ენად აუცილებლად რუსული ივარაუდებოდა. მისი სწავლება სკოლებში პირველივე კლასიდან იწყებოდა (საქართველოში ასეთი დადგენილება 1973 წელს მიიღეს); რუსული მეორე მშობლიურ ენად აღიქმებოდა; ამ ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო დასაქმება, პროფესიული



წინსვლა; ხელოვნურად იქმნებოდა სიტუაცია რუსული ენის გამოსაყენებლად; მოკავშირე რესპუბლიკებში იზრდებოდა რუსულ სკოლათა რაოდენობა.

პრესაში აკრიტიკებდნენ მეორე ენის ძალდატანებით სწავლებას. საბჭოთა კავშირში ორენოვნება იძულებით თავსმოხვეული მოვლენა იყო და იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. სპეციალისტებს ეს კარგად ჰქონდათ გააზრებული: „ორენოვნებას აქვს ორი ასპექტი - მეცნიერული და პოლიტიკური. მეცნიერული გულისხმობს იმ მეთოდების დამუშავებას, რომლებიც მეორე (არამშობლიური) ენის შესწავლაში დაგვეხმარება. პოლიტიკური კი არის ის, რასაც ინტერნაციონალიზაციის პროცესს ეძახიან და რაც სინამდვილეში ნიშნავს: ხელოვნურად შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როცა პიროვნება იძულებულია გამოიყენოს მეორე (არამშობლიური) ენა. ჩვენ, ცხადია, მომხრე ვართ, ნებისმიერი ენის შესწავლისა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს იძულებითი“ (საქართველო აღდგა! 1989: 3).

ამდენად, საბჭოთა კავშირში, რომლის მიზანი იყო ახალი ერთობის - საბჭოთა ხალხის - ჩამოყალიბება, 70-80-იანი წლებიდან სრულიად საპირისპირო მიმართულებით ვითარდება მოვლენები. მოკავშირე რესპუბლიკებში სულ უფრო აქტიურდება მსჯელობა ეროვნულ საკითხებზე, უპირველეს ყოვლისა, ენის, როგორც ეროვნულობის ერთ-ერთი ნიშნის, დაცვის შესახებ. ეძებენ გზებს ავტოქთონი ხალხების ენათა უფლებების განსამტკიცებლად არამართო ფაქტობრივ დონეზე, არამედ სამართლებრივად. საერთოდ, საბჭოთა კავშირში კანონმდებლობა და რეალური ვითარება ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად დაცილებული იყო ერთმანეთს. საბჭოთა კანონმდებლობის გადახედვა ამ მხრივ გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

1. საბჭოთა კანონმდებლობაში იურიდიული სტატუსის არსებობასაც და არარსებობასაც თავისი დატვირთვა ჰქონდა. რუსულ ენას არ ჰქონია მინიჭებული რაიმე სტატუსი, ამით საბჭოთა ხელისუფლება „ენათა თანასწორუფლებიანობის პრინციპის“ დარღვევას ნიღბავდა. სინამდვილეში, სტატუსის არქონა რუსული ენის ფუნქციონირების სფეროს განუსაზღვრელს ხდიდა და რეალურად იგი სახელმწიფო ენის ფუნქციას ასრულებდა მთელ საბჭოთა კავშირში. გამონაკლისი იყო აფხაზეთის არ, სადაც რუსული ენა, ქართულთან და აფხაზურთან ერთად, სახელმწიფო სტატუსის მქონე იყო.

რასაკვირველია, ამ ფაქტს თავისი მიზეზი ჰქონდა. როგორც ცნობილია, აფხაზეთი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო მოქცეული ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის მხრიდან. რუსულს აფხაზეთში განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა - მას უნდა „დაეპყრო“ აფხაზეთი და რუსულენოვანი სამყაროს ნაწილად ექცია, რაც თითქმის შეძლო კიდევ. ეს პროცესი დღემდე, თანამედროვე აფხაზეთშიც, გრძელდება.

2. ის ენებიც, რომლებსაც საბჭოთა კავშირში კონსტიტუციურად სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული), ფაქტობრივად თავიანთ ფუნქციებს ვერ ასრულებდნენ.
3. კონსტიტუციით უზრუნველყოფილი იყო მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, თუმცა, რეალურად, ხელოვნურად იქმნებოდა გარემო, რომელშიც რუსული ენის ცოდნის გარეშე უმაღლესგანათლებამიღებულსაც არ შეეძლო გზის გაკვლევა. ამასთან, მოკავშირე რესპუბლიკათა უმრავლესობაში უმაღლესი განათლების მიღება მხოლოდ რუსულ ენაზე იყო შესაძლებელი.
4. რუსული ენა ფიგურირებდა სამართალწარმოებაში: კონსტიტუციის თანახმად, საბჭოთა რესპუბლიკების ერთ ნაწილში სამართალწარმოება მიმდინარეობდა ეროვნულ ან ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე, რესპუბლიკათა მეორე ნაწილში კი ძირითადად ორ - რესპუბლიკის ენასა და რუსულ - ენაზე.

საბჭოთა რესპუბლიკებში ცდილობდნენ ენობრივი საკითხების სამართლებრივ რეგულირებას, რისთვისაც გადადგამდნენ კონკრეტულ ნაბიჯებს: ითხოვდნენ ეროვნული ენებისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭებას, თუნდაც რუსულ ენასთან ერთად, რათა კანონმდებლობის ძალით მოეხერხებინათ ეროვნულ ენათა დაცვა და მათი ფუნქციონირების განმტკიცება, შეიმუშავებდნენ ენის პროგრამებს, იღებდნენ კანონებს ენის შესახებ...

ეროვნულ გამოღვიძებას საბჭოთა რესპუბლიკებში თან სდევდა უკურეაქცია ეთნიკური უმცირესობების მხრიდან. წარმოიშვა არაერთი კონფლიქტური კერა. უმცირესობათა მოთხოვნებს შორის, რომლებიც ძირითადად ავტონომიურობის გაფართოებას უკავშირდებოდა, ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ენობრივი

უფლებების დაცვას. თუმცა საბოლოოდ ირკვეოდა, რომ კონფლიქტურ სიტუაციებს პროვოცირებას უწევდა, „მესამე, „უფროს ძმად“ წოდებული, ძალა“ (რსფსრ-ს სახით, რასაკვირველია).

ის პრობლემები, რომლებიც გასული საუკუნის ბოლოს წამოიჭრა ენის სფეროში, დღესაც აქტუალურია და ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელი. კვლავაც გადაუჭრელია ენის კანონის მიღების საკითხი (90-იანი წლების შემდეგ საკითხი 2000-იანი წლების დასაწყისშიც დაისვა, მაგრამ პროექტი ვერც მაშინ მიიღეს; ენის კანონის საკითხი კვლავ გააქტიურდა 2013 წლიდან, თუმცა დისკუსია თემაზე ამ ეტაპზეც შეწყდა. არსებული პოლიტიკური ვითარების გამო (რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას უკავშირდება) საჭიროდ ჩათვალეს კანონის მიღების გადავადება).

პროვოცირებული კონფლიქტების შედეგად საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ვერ აკონტროლებს საბჭოთა კავშირის დროს წარმოქმნილ ავტონომიებს (აფხაზეთისა და ოსეთის). თუმცა ავტონომიების ენობრივ სიტუაციას ვერც შიდა ხელისუფლება აწესრიგებს. იგი გარე ძალის მიერ იმართება. რეალურად სახელმწიფო ენის ფუნქციებს იქ რუსული ასრულებს და ის უფრო პრესტიჟულ და პერსპექტიულ ენად მიიჩნევა, აფხაზურსა და ოსურს კი, ფაქტობრივად, საოჯახო ენებად ქცევის საშიშროება ემუქრება.

საქართველოს კონსტიტუციით, დღესაც სახელმწიფო ენებად აღიარებულია საქართველოში - ქართული ენა, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქართულთან ერთად, აფხაზური. ქართული მხარე ზრუნავს ქართულთან ერთად აფხაზურის დაცვასა და პოპულარიზაციაზე. დაიბეჭდა აფხაზური ენის ლექსიკონები, ქართულ-აფხაზური სასაუბრო; შეიქმნა აფხაზური ენის შესწავლის ელექტრონული ორდონიანი პროგრამა; აფხაზეთის 13 საჯარო სკოლიდან სამში აფხაზური ენა არჩევითი საგანია, მიმდინარეობს მუშაობა იმისთვის, რომ 2015-2016 სასწავლო წლისათვის სკოლების რაოდენობა გაიზარდოს; დაგეგმილია, რომ აფხაზური ენის სწავლება დაინერგოს არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ სხვა რეგიონების სკოლებშიც; აფხაზური ენის შესწავლა გრძელდება ენათმეცნიერების ინსტიტუტში, თბილისის უნივერსიტეტებში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს აფხაზური ფილოლოგიის ფაკულტეტი, მოქმედებს წარმატებული სტუდენტების მხარდამჭერი პროგრამა, მათი სწავლება მთლიანად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

## თავი II

### ქართველურ ენა-კილოთა კვალიფიკაციის საკითხები 80-იანი

#### წლების პრესის მიხედვით

ქართველური ენა-კილოების დიფერენციაციის საკითხი ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად იქცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, თუმცა შეთანხმებამდე ჯერაც ვერ მისულან. ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში დავა, უპირველეს ყოვლისა, მეგრულ-სვანურ ენობრივ ერთეულთა სტატუსის განსაზღვრას ეხება: მათ ან **ენებად** მიიჩნევენ და ამგვარად ქართულ ენას უთანაბრებენ, ან **დიალექტის** სტატუსს ანიჭებენ და ქართული ენის სხვა კილოებს შორის ათავსებენ. კამათობენ იმის თაობაზეც, პრობლემა მხოლოდ წმინდა მეცნიერული კუთხით უნდა განიხილებოდეს, თუ პოლიტიკური და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიც არის გასათვალისწინებელი. თუ საკითხის ისტორიას გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ პრობლემა ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით აღიძროდა.

ცნობილია, რომ მეგრელებისა და სვანების სახელდება ქართველთაგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებად პირველად რუსეთის იმპერიის მმართველობამ სცადა. ცხადია, ცარიზმი ამგვარად ქართველი ერის დაშლა-დანაწევრებას ცდილობდა, რასაც ემატებოდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკაც. ეთნიკურად აჭრელებული ქვეყნის რუსიფიკაცია კი უკვე დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა. მეგრულ-სვანთა განსხვავებულობის საფუძვლად მეტყველების თავისებურება სახელდებოდა (სხვა შემთხვევაში ეთნოგრაფიული ჯგუფების ამგვარი განცალკევების მიზეზი რელიგიური სხვაობა იყო და, მაგალითად, აჭარლები და მესხები თურქებად იწოდებოდნენ). ქართველთა ამგვარი დაყოფა რუსეთის იმპერიის აღწერებშიც აისახებოდა, მაგალითად, 1886 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 1.485.677 კაციდან 914.855 ქართველი, 209.670 - მეგრელი (შენიშვნა: ლაზებთან ერთად), 14.035 - სვანი (პირველი საყოველთაო აღწერა... 1897).

XIX საუკუნიდან მოყოლებული, ქართველ-მეგრელ-სვანთა საკითხს პერიოდულად წამოსწევდნენ ხოლმე, რაც ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებს ემთხვეოდა ყოველთვის. გასაბჭოების შემდეგ, 20-იან წლებში, დაისვა სამეგრელო-სვანეთის ავტონომიის საკითხი. პროვოკაციულ მოძრაობას ხელმძღვანელობდა ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი **ისააკ ჟვანია**. გამოიცა არაერთი მეგრული გაზეთი, იგეგმებოდა მეგრული სახელმძღვანელოების გამოცემა, ანბანი შეუქმნიათ ლაზებისთვისაც, ითხოვდნენ სწავლების შემოღებას ლაზურად, მაგრამ სარფის სკოლასა და მოსახლეობას ამ ღონისძიებებისთვის მხარი არ დაუჭერია (სონღულაშვილი 2013: 163).

ქართველი საზოგადოება ყოველთვის უპირისპირდებოდა ქვეყნის დაშლა-დანაწევრების ამ მიზანმიმართულ ღონისძიებას და უკან დაახევინებდა ხოლმე მის წამომწყებთ.

ბრძოლა მაინც არ ცხრებოდა. 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ხშირად იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც მეგრელებს, სვანებს, აჭარლებს დანარჩენი ქართველებისგან განსხვავებულ ეთნოსებად იხსენიებდნენ.

საკითხზე დისკუსია კიდევ ერთხელ საჭირო გახდა 80-იანი წლების ბოლოსაც. ამ დროს სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში გაჩნდა სეპარატისტული განწყობილება, რომლის მართული და პროვოკაციული ხასიათი აშკარა იყო. აფხაზეთის არ-ში ქართველებს ეროვნებად პასპორტში „მეგრელს“ უწერდნენ: „1989 წლის სტატისტიკური მონაცემებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე 2 ათასამდე მოქალაქე „მეგრელად“ ჩაეწერა“ (გამსახურდია 1989ა: 5). სოხუმში შეიქმნა „სამეგრელოს აღორძინების კომიტეტი“. იგი უშვებდა პროკლამაციებს, რომლებშიც ამტკიცებდნენ, რომ „სამეგრელო საქართველოს მიერ იყო დაპყრობილი და რომ მან უნდა შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო და სხვ.“ (გამსახურდია 1989ა: 5).

უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის განათლების სისტემა, კერძოდ ისტორიოგრაფია და ენათმეცნიერება, ქართველური სამეწიფოების ფაქტს ადასტურებდა: ყველა საფეხურზე - სკოლის მერხიდან დაწყებული, უმაღლესი სასწავლებლით დამთავრებული - ისწავლებოდა, რომ არსებობდა სამი ქართველური ენა: ქართული, მეგრული და სვანური და მათ გვერდით ქართული ენის დიალექტები. მიუხედავად ამისა, როგორც 80-იანი წლების პერიოდიკაში გამართული დისკუსიებიდან ჩანს,

ქართველი საზოგადოება: მეცნიერები (მათ შორის **ენათმეცნიერები**), მწერლები და რიგითი მოქალაქეებიც - მეგრულსა და სვანურს არ განიხილავდნენ დამოუკიდებელ სრულფასოვან ენებად და როცა კი ამის შესახებ დაიწყებოდა კამათი, ქართულის, როგორც ერთადერთი სალიტერატურო და უძველესი დამწერლობის მქონე საერთო სახელმწიფო ენის უპირატესობას წარმოაჩენდნენ. ქართული ენა, მათი აზრით, ისეთივე მშობლიურია მეგრელისა და სვანისათვის, როგორც იმერლისთვის, კახელისთვის, გურულისთვის, ნებისმიერი ქართველისთვის.

ცხადია, იყვნენ საბჭოური იდეოლოგიის მეხოტბენიც, რომლებიც ნებით, თუ იძულებით, ეწეოდნენ ანტიქართულ პოლიტიკას საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებთან დაკავშირებით და საქართველოში ქართული ენის სახელმწიფო უფლებების დაცვას არაქართველ ეთნოსთათვის (რომელშიც მეგრელებსა და სვანებსაც აერთიანებდნენ) საფრთხედ განიხილავდნენ, თუმცა ამგვარ საფრთხეს არსად და არავის მიმართ არ ხედავდნენ რუსულში. 1988 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ე. ზეიმალი, მსჯელობდა რა საბჭოთა კავშირში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების შესახებ, შემფოთებული იყო იმის გამო, რომ აღწერიდან აღწერამდე მოსახლეობის ეთნიკური ჯგუფების რაოდენობა იკლებდა. ავტორის აზრით, მცირე ეროვნებები თანდათანობით ერწყმოდნენ დიდ ეთნიკურ ჯგუფებს, მრავალრიცხოვან აგრესიულ ერებად კი, რომლებმაც შთანთქეს მცირე ეროვნებანი, ასახელებდა ქართველებს, ლატვიელებს, ტაჯიკებს: „თუ კონკრეტულად ვიტყვით, ქართველი ერის შემადგენლობაში შერწყმული აღმოჩნდნენ მეგრელები (1926 წ. - 243 ათასი ადამიანი), ლატვიელებს მიათვალეს ლატგალელები (1940 წლისათვის - 400 ათასზე მეტი ადამიანი, ანუ, დაახლოებით, ლატვიელების მესამედი). ყველაზე „მცირე“ ერები იმსახურებენ არსებობის უფლებას, თუკი ისინი აცნობიერებენ თავს, როგორც განსაკუთრებულ ეთნიკურ ჯგუფს (და მით უმეტეს - იყენებენ მშობლიურ ენას)“ (ზეიმალი 1988: 7). მეცნიერის თანახმად, 1939 წელს ერთ ერად „შერწყმული“ აღმოჩნდნენ ეროვნებები „ურთიერთგაუგებარი ენებით“, მაგალითად კი მოჰყავდა: ქართველები და სვანები, ტაჯიკები და პამირის ხალხები. „შეიძლება ენის უარყოფა ეთნიკური მიკუთვნებულობის განსაზღვრისას, განსაკუთრებით, თუ ერთ ერად „ერწყმიან“ უფრო შორს მყოფი ენები, ვიდრე რუსული და ჩეხური, ლათინური და სპარსულია?“ - კითხვას სვამდა იგი და გამოთქვამდა მწუხარებას, რომ „გაუქმებული“ ეროვნებები უკვე

ნახევარი საუკუნეა მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას შეესწავლათ მშობლიური ენა, ეკითხათ გაზეთები და წიგნები მასზე, ესმინათ რადიოსთვის. მისი თქმით, ბევრმა ეროვნებამ, რომლებმაც მიიღეს დამწერლობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 30-იან წლებში კვლავ დაკარგეს იგი, პასპორტში ეროვნების შესახებ ჩანაწერი არ შეესაბამებოდა მათს ეროვნულ თვითშეგრძნებას. ის ერებიც, რომლებთანაც „მცირე ერები“ აღმოჩნდნენ შერწყმული, მათ „თავისიანებად“ არ აღიქვამდნენ: „ყოველთვის არ წარმოიშობა მათთან უთანხმოება ან მტრული დამოკიდებულება, მაგრამ ამის საფუძველი, უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს“ (ზეიმალი 1988: 7).

ზეიმალის წერილს აღშფოთებით უპასუხეს ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ბ. ჯორბენაძემ, თსუ გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის გამგემ ე. კოდუამ, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა დ. მუსხელიშვილმა უპასუხეს მეცნიერს: „მეგრელებსა და სვანებს ქართველებთან შერწყმა სულაც არ სჭირდებოდათ, რადგან ისინი ქართველები არიან და არასოდეს ყოფილან მათგან მოკვეთილი. მეგრელებსა და სვანებს არასოდეს დაუკარგავთ მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობა, რადგან **მათი მშობლიური ენა ქართული ენა გახლავთ.** ე. ზეიმალს არა მარტო არა აქვს წარმოდგენა ქართველურ ენებზე, მათს დიალექტურ დანაწევრებაზე, საქართველოს ეთნიკურ ჯგუფებზე, არამედ ის თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ცარიზმის მიერ თითქმის ამ ერთი საუკუნის წინათ წამოყენებულ და სადღეისოდ მეცნიერების მიერ პირწმინდად უკუგდებულ შეხედულებებს. **მეგრელთა და სვანთა ტომებიდან გამოსული მწერლები, მეცნიერნი, ხელოვანნი, ქართველთა სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა მხარდამხარ ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს ქართულ ენაზე, რითაც თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ერთიანი ეროვნული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში.** მეგრელებისა და სვანების (ისევე, როგორც გურულების, კახელების, თუშების, იმერლების და სხვათა) გამოყოფა და განკერძოება ამ საერთო ეროვნული კულტურის, V საუკუნიდან მომდინარე დიდი ქართული ლიტერატურის, საკუთარი ისტორიის გარეშე მათს დატოვებას ნიშნავს. გასაგებია, რომ ასეთი ავანტიურისტული მიზნები და ჩანაფიქრი ამოდრავებდათ ცარიზმის დამქაშებს, მაგრამ მსგავსი რამ საბჭოთა მეცნიერს არ ეკადრება (ჯორბენაძე... 1988: 6).

მწერალი, თსუ-ს პედაგოგი ჯემალ ქირია საპასუხო წერილში განმარტავდა: „სვანური და მეგრულ-ჭანური ენები ქართველური ენებია. საკუთრივ ქართულ ენასთან ერთად ისინი ქმნიან ჰარმონიულ ტრიადას. ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ ლიტერატურული, რელიგიური და სახელმწიფოებრივი ფუნქცია თავის მხრებზე საკუთრივ ქართულმა აიღო, ხოლო სვანურსა და მეგრულ-ჭანურს კუთხური და საოჯახო ფუნქციები შერჩა. ქართველი ერის ისტორიის მანძილზე ეს მოვლენა არავითარ წინააღმდეგობას არ ქმნიდა. ძნელად გადასაჭრელი პრობლემები ამ ნიადაგზე არ წარმოშობილა. იმთავითვე მეგრელმა, ლაზმა და სვანმა ცენტრალურ-ლიტერატურული, რელიგიურ-საადმსარებლო, სახელმწიფოებრივი ადგილი მიუჩინა სრულიად საქართველოს ენას, ამავე დროს კუთხურიც არ დაუკარგავს. ქართველი ერის ზოგიერთი მოძულის მხრიდან იყო ცალკეული ცდა, ამ ნიადაგზე დაყრდნობით ბზარი დაეჩინათ ერთიანი ქართული სულისათვის, მაგრამ მსგავსი მცდელობანი მუდამ კრახით დამთავრებულა“ (ქირია 1988: 4).

ტარიელ ჭანტურია წერდა: „არაფერი არ უნდა იცოდე კაცმა საქართველოს შესახებ, სხვადასხვა ერის წარმომადგენლებად რომ ჩათვალო: ქართველი და... ფშაველი; ქართველი და... ხევსური; ქართველი და... რაჭველი; ქართველი და... სვანი; ქართველი და... მეგრელი; ქართველი და... თუში; ქართველი და... აჭარელი! ...ისტორიკოსი ბრძანებულა ე. ზეიმალი, მაგრამ არაფერი დაუშავდებოდა, მხატვრული ლიტერატურისკენაც რომ გაეპარებინა თვალი - იქნებ კონსტანტინე გამსახურდია წაეკითხა, ან ლეო ქიაჩელი, ან დემნა შენგელაია, ან შალვა დადიანი, ან სიმონ ჩიქოვანი, ან თედო სახოკიას უნიკალური ლექსიკონი გადაეფურცლა, - ესენი ხომ უკლებლივ ყველანი - „მეგრელი“ მწერლები არიან! რევაზ მარგიანის წიგნში ჩაეხედა, ან მირზა გელოვანის ლექსი წაეკითხა - „სვანი“ პოეტების ლექსები! ...ეს მოძრაობა ახალი არაა. ასე იბრძოდა მეფის რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ რენეგატებითა და მოღალატეებით, ამორდიებითა და ჟვანიებით, ქელაიმ ახმედ ბეგ შარვაშიძეებით, მეხუთე კოლონით, ცალმხრივი პრივილეგიებით, მოსყიდვით, გადაბირებით, აშკარად, ფარულად. გულუბრყვილო და საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შესაძლოა მოეჩვენოს, რომ იგი მცირერიცხოვანი ხალხების დასაცავადაა დაწერილი, მაგრამ სინამდვილეში იგი მიმართულია სწორედ მცირერიცხოვანი ხალხების, კერძოდ, მცირერიცხოვანი ქართველი ხალხის წინააღმდეგ“ (ჭანტურია 1988: 6).



პავლე თოფურია გამოხატავდა პროტესტს: „ქართველთა (და არაქართველთაც) ტომები უხსოვარ დროიდან ერთ ქვეყანაში თანაცხოვრებით ქმნის ეროვნულ ერთობას - ეს არის ეთნოგენეზის მაგალითი. უმთავრესია ამ საქმეში ქართული ენის ღვაწლი. ...ეს ერთობა, ისტორიის წიაღში აღმოცენებული და მისგანვე ნაწრთობი, კულტურულ-საზოგადოებრივ ერთიანობას ეფუძნება და მას ფაქტიური ქართული სახელმწიფო ენა ედგა და უდგას დარაჯად. მეგრელიც და სვანიც ქართულ ენაზე ლეზულობდა და კვლავაც მიიღებს განათლებას. არც ერთი მათგანი არც მოითხოვს და არც არავინ გაუხსნის ზუგდიდსა და მესტიაში „მეგრულ“ და „სვანურ“ უნივერსიტეტს“ (თოფურია 1989ბ: 11).

ამ პერიოდში მუდმივად აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ მეგრელები, სვანები, აჭარლები, ქართველებისგან განსხვავებულ ცალკე ეროვნებებს წარმოადგენდნენ. წლების განმავლობაში გაწეული ეს პროვოკაციული მუშაობა გასცდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს. 1988 წელს ნიუ-იორკის პრესაში, კერძოდ ანტისაბჭოურ ჟურნალ „გლასნოსტში“ (ჟურნალის ამოცანა იყო ცნობები შეეგროვებინათ „საბჭოთა მოსახლეობის ეროვნებათა შორის იდეოლოგიურ უთანხმოებათა და განწყობილებებზე“), გამოქვეყნდა გრიგორიანცის „კონტრაბანდული“ სტატია. სტატიას გამოეხმაურნენ საქართველოში: „...შორეულ ნიუ-იორკში ასე დაიწყო მთიანი ყარაბაღის პრობლემის უცაბედად ქექვა და მისთვის ცეცხლის შეკეთება, „ქართველი მოსახლეობის ძალმომრეობით აზერბაიჯანიზაცია“ მოიგონეს“ (ანდრონოვი 1988: 14). სტატიაში მეგრელები ქართველებისგან გამოყოფილად, როგორც ცალკე ეროვნება, ისე იყვნენ მოხსენიებული სხვა ეროვნებათა გვერდით: „სტალინურ ტერორში მეტად დიდ მონაწილეობას ლეზულობდნენ **მეგრელები, ლატვიელები, ებრაელები**“ (ანდრონოვი 1988: 14).

ქართველი საზოგადოება: თენგიზ ბუაჩიძე, არჩილ სულაკაური, გიორგი ციციშვილი, სერგი ჭილაია, ნოდარ ჯალაღონია - ამ წერილსაც აღშფოთებით გამოეხმაურა, დაგმეს გრიგორიანცის გამონათქვამი: „საინტერესოა, როგორ იცნობს გრიგორიანცი ჩვენს ხალხს: მეგრელი მას ეროვნების აღმნიშვნელ ისეთივე ცნებად მიაჩნია, როგორც ლატვიელი და ებრაელი, ხოლო გრიგორიანცისა და მის ამერიკელ მრჩეველთა საწარამარაო „ქართველ-მეგრელები“ (ე. ი. ქართველები და მეგრელები) ხომ ღიმილისმომგვრელი იქნებოდა, მისი ფესვები ცოტა შორიდან რომ არ მოდიოდეს.

ყველამ კარგად ვიცით, როგორ ცდილობდა დიდმპყრობელური ცარიზმი მეგრელთა არაქართველობის დამტკიცებას და ამ თეორიის იდეოლოგებად თვით ჩვენშივე პოულობდა ჩვენგანვე იმთავითვე შეჩვენებულ „მოღვაწეებს“ (ჭილაია... 1988: 10).

ამავე წლის ჟურნალ „ზვეზდას“ მე-9 ნომერში დაიბეჭდა ანტონ ანტონოვ-ოვსენკოს ნაწარმოები „ჯალათის კარიერა“, სადაც ქართველებს, აჭარლებს, მეგრელებსა და სვანებს სხვადასხვა ეროვნებად იხსენიებენ: „პოლიტიურს ვერც ერთმა წევრმა ვერ გახედა ჩარეულიყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების საქმეებში. მხოლოდ სტალინი და ბერია წყვეტდნენ ქართველებისა და სომხების, აჭარლებისა და მეგრელების, დაღესტნელებისა და სვანების ბედს“. ამასთან დაკავშირებით ნოდარ გურეშიძე წერდა: „ძალიან მოუმრავლდა ბოლო ხანებში საქართველოს „კეთილმოსურნეები“. ზოგი იმაზე წუხს, რომ ქართველებს „ერწყმიან“ და „დამოუკიდებლობას“ კარგავენ მეგრელები, სვანები და აჭარლები... ზოგს მიაჩნია, რომ ქართველები ახდენენ საქართველოში მცხოვრებ მცირე ერთა ძალით ასიმილაციას. სამწუხაროდ, ამ ნაწარმოებშიც გვხვდება ის ჩვენი ერისთვის შეურაცხმყოფელი „შეცდომა“ თუ „არაკომპეტენტურობა“, რაც ასე დაბეჯითებით იწერება ზოგიერთ პუბლიკაციაში. მათ რიცხვშია ანტონოვ-ოვსენკოც“ (გურეშიძე 1988: 4).

ბათუმელი პოეტის მოსკოვში გამოცემულ წიგნს მიაწერეს: „თარგმანი აჭარულიდან“ (გამსახურდია 1989ა: 5).

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ უცხოელი ლინგვისტები, რომელთა უპირველესი გზამკვლევი რესპუბლიკათა კულტურისა და ისტორიისაკენ მოსკოვი იყო, ქართულს, მეგრულსა და სვანურს სრულიად დამოუკიდებელ, სხვადასხვა ენებად აღიქვამდნენ, შესაბამისად, ამ ენათა მატარებლებსაც სხვადასხვა ეროვნებად მიიჩნევდნენ; მათთვის ქართველი სხვა ეთნოსი იყო, სვანი - სხვა და მეგრელი კიდევ - სხვა. ინგლისელი ქართველოლოგი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი ჯორჯ ჰიუიტი „წუხდა“ აფხაზური ენის მომავალზე და მასთან ერთად მეგრულსა და სვანურზეც: „1979 წელს ქართველები წარმოადგენდნენ აფხაზეთის მოსახლეობის 43 პროცენტს. მაგრამ უნდა დავსვა კითხვა - ვინ და ვინ არიან ეს „ქართველები“? თითქმის გამონაკლისის გარეშე ესენი გახლავან მეგრელები და მეგრელთა დედა-ენა (და არა დედა-დიალექტი!) გახლავთ მეგრული: - უმრავლესობამ კი იცის ქართულიც, მაგრამ ეს არის მათი მეორე ენა (მესამე იქნება რუსული). როგორც ენათმეცნიერმა და კავკასიოლოგმა უნდა

გითხრათ, რომ გადაჭარბებული არ არის იმის თქმა, რომ აფხაზური გადაშენების პირას დგას, და, თუ თქვენ არ წაიღებთ შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყოთ აფხაზურის სწავლა და ხმარება, რამდენიმე თაობის შემდეგ გაქრება, როგორც გაქრა მისი და-ენა (უბიხური). სხვათა შორის როგორღა უზრუნველყოთ სვანურისა და მეგრულის მომავალი, თუკი ნებას დამრთავთ ცხვირი ჩავყო ამ საქმეში?!“ (ჰიუიტი 1989: 2).

ჰიუიტის ამ სტატიას ქართველ მეცნიერთა აღშფოთება მოჰყვა. მას გამოეხმაურნენ: ბესარიონ ჯორბენაძე, ნოდარ ლომოური, თეიმურაზ გვანცელაძე, კახა გაბუნია, თენგიზ შარმანაშვილი და სხვ.

ბესარიონ ჯორბენაძე უპასუხებდა ქართველოლოგს: „ბატონი ჯორჯი დაჟინებით იმეორებს იმ ყალბ, ვერაგულ აზრს, რომელიც ქართველი ერისაგან მეგრელების გამოცალკევებას ისახავს მიზნად. გაუგებარია, რატომ აძლევს ბატონი ჯორჯი თავის თავს უფლებას, ჩაერიოს იმ საკითხში, რომლისა მას ცოტა რამ თუ გაეგება და რომელიც მთლიანად ეფუძნება ქართველებისადმი აშკარად მტრულ პოზიციას, შემაგრებულს ქართველების არაკეთილმოსურნეთაგან ყურმოკრულ „დასაბუთებებით“. ნუთუ ბატონმა ჯორჯმა არ იცის, ქართულ ეროვნულ კულტურას ქართულ ეროვნულ ენაზე ერთობლივ ქმნიდნენ კახელები, ქართლები, გურულები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ფშაველები და ქართველთა სხვა ტომის ხალხი, რომლებიც მთლიანობაში ქართველ ერს წარმოადგენენ. რაც შეეხება „მეგრულისა და სვანურის მომავალს“, რომელსაც ასე შეუწუხებია ბატონი ჯორჯი, მას, ქართულ ენათმეცნიერულ სკოლასთან ასე თუ ისე გაცნობილ პიროვნებას, ალბათ მოეხსენება ამ ენების შესწავლის მდგომარეობა და დონე საქართველოში, ასევე ისიც, რომ ამ ენებს გაქრობის საფრთხე არ ემუქრება (ისევე, როგორც ქართული ენის მრავალრიცხოვან დიალექტებს). თუ იცის და მაინც სხვას ამბობს, რბილად რომ ვთქვათ, არ ეკადრება; თუ არ იცის, მაშინ იქნებ, როგორც თვითონ ბრძანებს, მორიდებოდა „ცხვირის ჩაყოფას ამ საქმეში“ (ჯორბენაძე 1989ბ: 3).

ჰიუიტს, შეწუხებულს მეგრული ენის მდგომარეობით, ზემოხსენებულ სტატიაში ციტატა მოჰყავს XVII ს. დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს წერილიდან: „თუმცა მეგრული ენა ცალკე ენას წარმოადგენს... წირვას... ქართულ ენაზე ასრულებენ, ისევე როგორც ევროპელები საეკლესიო ენად ლათინურს მიიჩნევენ“.

ნოდარ ლომოური გამოეხმაურა სტატიას: „ქართულ ენაზე ღვთისმსახურება სამეგრელოშიაც და აფხაზეთშიაც (სხვათა შორის, სვანეთშიაც) იმიტომ დამკვიდრდა, რომ შუა საუკუნეებში მეგრელისთვისაც და აფხაზისთვისაც სწორედ ქართული იყო საკუთარი კულტურულ-მწიგნობრული ენა, რადგან აფხაზიც ეთნოკულტურულად ქართული სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო; მაშასადამე, ობიექტურად არ შექმნილა აუცილებლობა ან მეგრულ, ან აფხაზურ, ან სვანურ ენებზე ღვთისმეტყველების ჩამოყალიბებისა, საღვთო წერილის ამ ენებზე თარგმნისა. ისტორიკოსი უნდა ასხვავედეს ეთნოკულტურულ კუთვნილებას გენეტიკური წარმომავლობისაგან. ეს ელემენტარული რამაა“ (ლომოური 1989: 4).

4 ივლისს აფხაზეთის ტელეგადაცემაში გამოსულა ვინმე ნუგზარ ჯოჯუა რუსულად: მეგრელები და სვანები ქართველები არ არიან, სამეგრელო ცალკე უნდა გამოეყოს, გეორგიევსკის ტრაქტატში სამეგრელო ნახსენები არ არისო. მას სამეგრელოსთვის ახალი ანბანის შემოღებაზეც უზრუნია და საამისოდ სლავური ანბანი შემოუთავაზებია. ეს ფაქტიც მკაცრად გააკრიტიკეს. ნიკო გოგოჭურის სტატიიდან: „ჩვენი მტრები როდიდან და რანაირადღა არ უტრიალებდნენ ქართველი ერის სამეგრელების ფაქტს, ამ ფაქტზე იმთავითვე რატომღაც დიდ იმედებს ამყარებდნენ. რა დემაგოგიურ „თეორიებს“ აღარ მიმართავენ, რამედან რამე „გამოდნეს“. საყოველთაოდ ცნობილი, გამაბლონებული ხერხია, რომ „ხალხის წარმომადგენლებს“ ათქმევინონ, თვითონვე „მოათხოვნინონ“ თავიანთი დამლუპველი საქმე. ეს ფაქტიც ამის მაგალითია, ვერ იქნა და ვეღარ მიხვდნენ, რომ ეს დაბალი დონის ავანტიურაა“ (გოგოჭური 1989: 6).

სხვა სტატიაში წერდნენ: „მტერი ყოველთვის ცდილობს მოძმეთა გათიშვას, რომ უფრო მოხერხებულად იბატონოს ჩვენს მიწაზე. ზოგიერთი მათგანი ცდილობს მეგრელები ჩამოაშორონ ქართულ ეთნოსს! მეგრელებს საკუთარი სალაპარაკო ენა გაქვთ და ამ ენაზე ილაპარაკეთ და წერეთო, გვმოდღვრავს ვიღაცა! საოცარია, ვის რაში სჭირდება ის ნაწერი პროდუქცია, რომელიც ვერ გასცილდება ფსოუსა და ცხენისწყლის ნაპირებს?! განა დიდი განსხვავებაა ქართულ „მამასა“ და მეგრულ „მუმას“, ქართულ „წყალსა“ და მეგრულ „წყარს“, ქართულ „მამალსა“ და მეგრულ „მუმულს“, ქართულ „ქათამსა“ და მეგრულ „ქოთომს“ შორის?“ (გამსახურდია 1989გ: 3).

ყველა შემთხვევაში საბოლოოდ ირკვეოდა, რომ დაკვეთა მსგავსი პროვოკაციების გასავრცელებლად „ზემოდან“ მოდიოდა. ცნობილია საბჭოთა კავშირის ცენტრალური

კომიტეტის მეორე მდივნის (1947-1982 წლებში) მიხეილ სუსლოვის დახურული მოხსენების ფრაგმენტი, რომელშიც კომუნისტური პარტიის გეგმაა გაცხადებული საქართველოში რუსეთის პოლიტიკის გასატარებლად:

„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გამეგების საშუალებას მოგვცემს“ (გვანცელაძე 2006: 130; ასევე: ჟურნ. „მებრძოლი საქართველო“, №33, 26.05.2003).

მანამდე 1921 წლის აპრილის დოკუმენტში საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში გენერალი პ. სიტინი აცხადებდა: „აფხაზეთის შემდეგ ყურადღება უნდა მიექცეს სამეგრელოს, მხარე, რომელიც ასევე განსხვავდება საქართველოსგან ენითა და ნაციონალობით და რომელიც მუდამ იტანჯებოდა ქართველთა ბატონობით. სამეგრელო ენგურით უშუალოდ ესაზღვრება აფხაზეთს და სამხრეთით მიდის მდინარე რიონამდე... სტრატეგიული თვალსაზრისით ეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე ტერიტორიაც შეიძლება დაემორჩილოს რსფსრ-ს უშუალო გავლენას, თუკი მეგრელებსაც, აფხაზების მსგავსად, მიეცემათ ავტონომია... აი ეს გზა - საქართველოს რესპუბლიკის დანაწევრება ავტონომიურ ერთეულებად - მით უმეტეს რსფსრ-ს გავლენას დაქვემდებარებულ ავტონომიურ ერთეულებად დანაწევრების ეს გზა,

იმსახურებს ჩვენს დიდ ყურადღებას. რაც უფრო წვრილ-წვრილი იქნება ეს ერთეულები, მით უკეთესი...“ (გამახარია... 1997: 470).

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხზე მღელვარება არც მომდევნო ხანებში შეწყვეტილა (განსაკუთრებით გააქტიურდა 2000 წლის შემდგომ) და დღემდე გრძელდება. ერთ-ერთი უკანასკნელი აქტივობა იყო გალში მეგრული „დედაენის“ გამოცემა, რომლის სწავლებაც, როგორც ამბობენ, 2015 წლის სექტემბრიდან სავალდებულო უნდა გახდეს გალის რ-ნის ქართულ სკოლებში; იგეგმება მეგრული ტელევიზიის გახსნაც. კვლავ აქტიურად მუშაობს „მეგრულის უფლებების დასაცავად“ ჯორჯ ჰიუიტი: მისი მოწოდებები მეგრული სეპარატიზმისკენ ახლაც იბეჭდება გალში გამომავალ რუსულ-მეგრულ-აფხაზურენოვან გაზეთ „გალში“; გამოიცა „ბიბლია“ მეგრულად და ა. შ.

ჩვენთვის საინტერესო იყო აღნიშნულ საკითხზე საზოგადოების აზრი, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და გადამწყვეტი როლიც შეუსრულებია პრობლემის განვითარების ყველა ეტაპზე. ცხადია, არც რუსეთის იმპერიასა და არც ბოლშევიკურ-კომუნისტურ რეჟიმს არ გაუჭირდებოდა მიზნის მიღწევა, რომ არა დიდი პროტესტი საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც კარგად იცნობდა პრობლემას. როგორც ზ. გამსახურდია აღნიშნავდა, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი აღნიშნულ საკითხში გაურკვევლობისა იყო „უკულტურობა, უმეცრება, ჰუმანიტარული განათლების სისტემის დაბალი დონე საქართველოში, განსაკუთრებით კი პერიფერიებში“ (გამსახურდია 1989: 5). ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე იყო, მართლაც, ვითარება რეგიონებში. თიანეთის მაგალითი: „აქ ცხოვრობენ ხევსურები, ფშავლები და ჩვენ - ქართველები“. გურიაში, საბჭოს თავმჯდომარე: „ჩემს საბჭოში ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ გურულები, სომხები და აჭარლები“. სამეგრელოში ან აჭარაში შეიძლება იკითხოთ: „რა ამბებია საქართველოშიო?“ „ფერეიდნიდან თათრები ჩამოუსახლებიათო“, „მესხები და ინგილოები ქართველები არ არიან და არც ყოფილან“, „მესხები თუ ქართველები იყვნენ პირველად შენგან გავიგე“ (ფუტკარაძე 1988: 3). ამგვარი „უცოდველი უცოდინარი“, როგორც მათ იმდროინდელ პრესაში უწოდებდნენ, ბევრი ყოფილა, რასაც შემდგომ თავის სასარგებლოდ იყენებდა არაერთი პროვოკატორი. ამიტომ, სპეციალისტების აზრით, ამ შემთხვევაში

მოსახლეობის განათლების საქმეში განსაკუთრებული როლი, მწერლებთან ერთად, პრესასა და ტელევიზიას უნდა შეესრულებინა (ფუტკარაძე 1988: 3).

ვფიქრობთ, პრობლემას ყურადღება უნდა მიექცეს დღესაც, განსაკუთრებით საგანმანათლებლო სისტემაში. იბეჭდება ახალი სახელმძღვანელოები, თუმცა, ძირითადად, ძველი შინაარსით. ბოლო დროს დაისვა საკითხი საქართველოს ისტორიის ხელახლა გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანისა. შეიქმნა კიდევ „საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია“. ცვლილებები დროულად უნდა აისახოს, რათა საზოგადოებას, განსაკუთრებით მომავალ თაობას, მეტი ცოდნა ჰქონდეს საკითხის შესახებ.

## თავი III

### ორენოვნების საკითხი 80-იანი წლების საქართველოში

საბჭოთა კავშირში ეროვნული ენები (რასაკვირველია, რუსულის გარდა) შეზღუდული უფლებებით სარგებლობდნენ. ზოგიერთი მათგანი უკვე „საოჯახო ენის“ სტატუსს ატარებდა და ხშირად გაქრობის პირასაც იდგა. ენის გამოყენების თითქმის ყველა სფეროში ეროვნულს რუსული ენაცვლებოდა და მას არა მარტო ხალხთაშორის ურთიერთობის, არამედ „მეორე მშობლიურ ენადაც“ მოიხსენიებდნენ.

საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე, მეტადრე, საბჭოური სამოცდაათი წლის მეორე ნახევარში, განსაკუთრებული სიმწვავეთ იჩინა თავი ორენოვნების პრობლემამ. ეს თემა საბჭოთა ენათმეცნიერებაში საგანგებოდ შეისწავლებოდა პედაგოგიკის, მეტყველების კულტურის, სტილისტიკის, თარგმანის და სხვა კუთხით, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მისი სრული შეფასება მოხერხდა, თუნდაც ქართულ-რუსული ენობრივი ურთიერთობების დონეზე.

ქართულ-რუსული ენობრივი ურთიერთობები ორი მიმართულებით უნდა განვიხილოთ:

ა) კულტურული ენობრივი კონტაქტები (იგულისხმება თარგმანი, ენათა სწავლება (ქართველთათვის რუსული ენის სახელმძღვანელოები და პირიქით, სახელმძღვანელოები რუსებისთვის), სამეცნიერო ტერმინოლოგია და სხვ.);

ბ) რუსული ენის მიერ ქართული სივრცის ექსპანსია; რუსული ენის შეჭრა ქართული ენის ფუნქციონირების სფეროებში.

80-იანი წლების ქართული მედია სისტემატურად აშუქებს ენობრივ პრობლემატიკას; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ორენოვნების საკითხებს. თუმცა, ცხადია, იმდროინდელი პრესა ვერ ახერხებდა (და არც ცდილობდა) ჩასწვდომოდა ორენოვნების საენათმეცნიერო სიღრმეებს, მაგრამ უდავოდ საინტერესო მასალის წარმოდგენა-აღწერა კი ნამდვილად შეძლო. სადისკუსიო მასალის მოკვლევიდან აშკარად ჩანს ამ ნიადაგზე დასმული პრობლემების სიმწვავე და



საზოგადოების (ენის პრაგმატული მომხმარებლის) აზრი ამ საკითხებზე. სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდში **ბილინგვიზმი**, როგორც ტერმინი, პოპულარული არ იყო, ეს მოვლენა *двухязычие*-დ იწოდებოდა და ქართული შესატყვისი - „ორენოვნება“ სწორედ მაშინ მოიძებნა<sup>1</sup>.

ბილინგვიზმის კვლევისას, ჩვეულებრივ, რამდენიმე ასპექტს გამოყოფენ: სოციალურს, საკუთრივ ლინგვისტურს, ფსიქოლოგიურს, პედაგოგიურს... ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში თითქმის ყველა ეს ასპექტი გამოიკვეთა.

ორენოვნების პროპაგანდას საბჭოთა კავშირში სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა და იდეოლოგიური პრობლემა იყო. „ერთა და ენათა შერწყმის“ თეორია, რასაც ემსახურებოდა „ინტერნაციონალიზმის“ იდეაც, მიზნად ისახავდა ჩამოყალიბებულიყო ერთიანი საბჭოთა ხალხი, რომელიც ერთ საერთო ენაზე ამეტყველდებოდა. ამის მისაღწევად რუსეთის იმპერია საჭიროდ მიიჩნევდა: ა) პირველ ეტაპზე მოკავშირე ქვეყნებში ორენოვნების, კერძოდ კი ნაციონალურ-რუსული (ან ეროვნულ-რუსული) ორენოვნების დანერგვას (რაც გულისხმობდა მეორე ენის არა უბრალო ცოდნას, არამედ „შენიღბულად დედაენისადმი სხვა ენის დაპირისპირებას“ (ჯორბენაძე 1989გ: 5), რუსულის ცოდნას ეროვნული ენის დონეზე, იგივე „ორი მშობლიური ენის“ არსებობას); ბ) შემდგომი ეტაპი კი რუსული ენით ნაციონალური ენის მთლიანად ჩანაცვლება, ანუ სრული ერთენოვნების დამკვიდრება, იქნებოდა. ერთენოვნება გულისხმობდა ოფიციალურ ენად მხოლოდ რუსულის გამოყენებას. ეროვნულ ენას საოჯახო ფუნქციადა რჩებოდა, რისი მაგალითებიც საბჭოთა კავშირში უკვე იყო 80-იანი წლებისთვის.

რუსულის ცოდნა სავალდებულო იყო არარუსი ეროვნების მოქალაქეთათვის, მაშინ როცა უცხოენოვან გარემოში მცხოვრებ რუსებს ან სხვა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს არავინ ავალდებულებდა სცოდნოდათ მკვიდრი ერის ენა (ამ უკანასკნელთათვისაც ურთიერთობის ენა რუსული უნდა ყოფილიყო). სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანოებში ისინი რუსულს თავისუფლად იყენებდნენ. განათლების ენაც მათთვის რუსული იყო.

ფორმალურად, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით, რუსულს სახელმწიფო ენის სტატუსი არ ჰქონია მინიჭებული, მაგრამ რეალურად ის ამ ფუნქციას ყველა მოკავშირე

<sup>1</sup> აქვე შევნიშნავთ, რომ პავლე თოფურია მართებულ ფორმად „ორენოვნობას“ მიიჩნევს.

რესპუბლიკასა თუ ავტონომიურ ოლქში ასრულებდა. უმაღლესი სახელმწიფო ინსტანციებით დაწყებული, სავაჭრო ქსელის უბრალო ფასმაჩვენებლებით დამთავრებული, იგი ყველგან წამყვანი იყო (ტაბიძე 1988: 350). საბჭოთა იდეოლოგიით რუსული მეცნიერებასთან, მაღალ კულტურასთან ურთიერთობის, ერთა შორის კომუნიკაციის ენად მიიჩნეოდა; ტერმინოლოგიის სფეროშიც ის შეუცვლელი იყო. ჩნდებოდა საბჭოური კლიშეები: „დიადი რუსული ენა“, „ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ენა“, „მეორე მშობლიური ენა“, „მეორე დედაენა“ (ტაბიძე 2005: 187).

ე. წ. „საბჭოური ორენოვნება“ ენობრივ წყვილში ერთ ენად აუცილებლად რუსულს გულისხმობდა. რუსული საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის საბოლოო მიზანსაც წარმოადგენდა, ამიტომ ორენოვნებას, როგორც რუსული მონოლინგვური საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობას, იდეოლოგიური დასაბუთებაც ეძებნებოდა.

საქართველოში ვიზიტად მყოფი სკკპ ცკ მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი აცხადებდა: „ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდი მიღწევაა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ენების თავისუფალი განვითარება და ამასთანავე რუსული ენის გავრცელება, რომელიც ყველა საბჭოთა ხალხმა აღიარა ერთაშორისი ურთიერთობის საშუალებად. ...თქვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება ხალხის ენობრივი კულტურის ასამაღლებლად, როგორც მშობლიური, ისე რუსული ენის სიყვარულის ჩასანერგავად. ეს კურსი კვლავაც უნდა განახორციელოთ, განახორციელოთ უფრო თანამიმდევრულად, ვინაიდან რესპუბლიკაში, როგორც გვითხრეს, ჯერ კიდევ ცოტა როდია ადამიანი, რომელიც რუსულს თავისუფლად ვერ ფლობს. **...ეროვნულ-რუსული ორენოვნების მიზანდასახული ფორმირება იყო და არის ეროვნული ურთიერთობების სფეროში მთელი ჩვენი მუშაობის საკვანძო მიმართულება.** ყოველნაირად უნდა ვაუმჯობესებდეთ ეროვნული და რუსული ენების შესწავლისა და სწავლების ხარისხს საშუალო და უმაღლეს სკოლაში. უნდა უზრუნველვყოთ რუსული და ეროვნული სკოლების ოპტიმალური თანაფარდობა სწავლების ენის არჩევანის ნებაყოფლობითობის საფუძველზე - მშობლებისა და მოსწავლეების სურვილით“ (გარდაქმნის პრინციპები... 1987: 2).

1. ორენოვნების დასაცავად საბჭოეთის მეცნიერებსა თუ პოლიტიკოსებს სხვადასხვა არგუმენტი მოჰყავდათ. მათი აზრით, მეცნიერების მიერ დამტკიცდა, რომ

„ორენოვანი ბავშვი გაცილებით უკეთაა განვითარებული, უფრო უკეთ აზროვნებს, სწავლობს“ (გუბოგლო 1988: 3). „ადამიანს, რომელიც თანაბრად ფლობს ორ ენას, შემეცნების, აზროვნების, შეგნების ჩამოყალიბების პროცესის სტიმულირების გაცილებით მეტი შესაძლებლობანი აქვს“ (შევარდნაძე 1983: 4). ხშირად აბსურდულ მოსაზრებებამდეც მიდიოდნენ. გაზეთი „პრავდა“ წერდა: „თურმე შვედ მეცნიერებს გამოუკვლევიათ, რომ ორენოვან ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო რამ ყოფილა. ჯერ ერთი, ორენოვან თურმე ადამიანის გონებას ბევრად უფრო აქტიურად ამუშავებს, ვიდრე ერთენოვანება და მეორეც, ორენოვანი ადამიანი უფრო მეტ ხანს ცოცხლობს, ვიდრე ერთენოვანი“ (ბაქრაძე 1988: 3).

2. ზოგიერთნი ამტკიცებდნენ, რომ „მეორე ენის ცოდნა პოზიტიურად ზემოქმედებს პირველი ენის, დედაენის დაუფლებაზე“ (გუბოგლო 1988: 3). ერთ-ერთი ენათმეცნიერი მიიჩნევდა, რომ არამშობლიურ ენაზე სტუდენტის მომზადება პროგრესულია, ვინაიდან ამ გზით სტუდენტს საშუალება ეძლევა უფრო ღრმად შეიმეცნოს თავისი მშობლიური ენა. ამ დებულების დასამტკიცებლად კი ასეთი მაგალითი დაასახელა: როცა მოლდაველ სტუდენტს ვასწავლით რუსულ ფრაზეოლოგიზმს „იში ვეტრა ვ პოლე“, იგი უმაღვე გონებაში ეძიებს შესაბამის ფრაზეოლოგიზმს მოლდაველურ ენაში და ამით მშობლიურ ენასაც უკეთ სწავლობსო“ (გვანცელაძე 1989ბ: 5).

3. ორენოვნების დაკანონებას იურიდიულადაც ცდილობდნენ. საქართველოს (ასევე აზერბაიჯანისა და სომხეთის) 1978 წლის კონსტიტუციის 75-ე მუხლის მიხედვით, რომელსაც თავის დროზე ქართველი ხალხის დიდი მღელვარება მოჰყვა, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე რუსულ ენას, სხვა ენებთან ერთად, სხვადასხვა ორგანოსა და სახელმწიფო დაწესებულებაში ფუნქციონირებისას იგივე უფლებები ენიჭებოდა, რაც ქართულს ჰქონდა.

აფხაზეთში სამი სახელმწიფო ენის არსებობა საბოლოოდ აფხაზეთ-რუსული ორენოვნების დანერგვას ვარაუდობდა. ამის დასტურს წარმოადგენს 1989 წელს აფხაზეთა ერთი ჯგუფის მოთხოვნა, წაერთმიათ ქართულისთვის აფხაზეთში სახელმწიფო ენის სტატუსი. მათთვის „ოპტიმალურ ვარიანტს „აფხაზეთ-რუსული ორენოვნება“ წარმოადგენდა“ (დოღბაძე... 1989: 3).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამი სახელმწიფო ენის: ოსურის, ქართულისა და რუსულის დაკანონებას ითხოვდნენ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქშიც.

5. ორენოვნების მომხრეებს ხშირად მოჰყავდათ მაგალითად ბელგიის, კანადის, შვეიცარიისა და სხვა საზღვარგარეთის ქვეყნები, რომლებშიც რამდენიმე სახელმწიფო ენა ფუნქციონირებდა. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, თავს იჩენს ხოლმე მოთხოვნილება ახალი საერთო ენისა, რომელიც იკისრებდა ერთაშორის ურთიერთობის ფუნქციას. „შვეიცარიაში, მაგალითად, გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტორომანული ენების პარალელურმა ფუნქციონირებამ გამოიწვია ახალი, უნივერსალური სამოკავშირეო ენის აუცილებლობა, რის შედეგადაც, შვეიცარიელები ჩივიან, რომ მათი ოთხივე ოფიციალური ენა სულ უფრო და უფრო იდევენება ინგლისური ენისაგან“ (თასოევი... 1989: 4). საბჭოთა კავშირში ასეთი ენა, რასაკვირველია, რუსული იქნებოდა.

6. ორენოვნების დასაკანონებლად სათანადო ტერმინოლოგიასაც პოულობდნენ, მაგალითად, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. გუბოგლო ორი სახელმწიფო ენის შესახებ წერს: „ვუწოდოთ ერთს **რესპუბლიკურ-სახელმწიფოებრივი**, ხოლო მეორეს - **საერთო-სახელმწიფოებრივი**. უფრო მარტივი ტერმინების შერჩევაც შეგვიძლია: **რესპუბლიკური და საერთაშორისო, ეროვნული და ერთაშორისი**“ (გუბოგლო 1988: 3). საერთოდ, საბჭოთა პერიოდში ენობრივ საკითხებთან დაკავშირებულ დისკუსიებს თან ახლდა ტერმინოლოგიური ორაზროვნება და ბუნდოვანება. რუსულს ერთაშორის ენას უწოდებდნენ, თუმცა გაურკვეველი იყო გულისხმობდა ეს თვითონ რესპუბლიკაში **ერთა შორის** ურთიერთობის, თუ **რესპუბლიკებს შორის** ურთიერთობის ენას. ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ამ ტერმინის შეცვლას მოითხოვდნენ „რესპუბლიკათაშორისი ენის“ ცნებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო ენის სტატუსი ფიქციად იქცეოდა, ქართული ენა უბრალო სალაპარაკო ენად დარჩებოდა (გამყრელიძე 1989ბ: 2). ამის თაობაზე ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა საერთო კრებამ თავისი დადგენილებით კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა:

- „რუსული ენა საერთო საკავშირო ღონისძიებათა ენაა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროში;

- იგი სსრ კავშირის ფარგლებში საქმის წარმოების რესპუბლიკათაშორისი ენაა;

- რუსული ენის კვალიფიკაცია როგორც ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენისა იწვევს სერიოზულ წინააღმდეგობას, რადგან ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენა რესპუბლიკის ენაა“ (რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევის დიდი პროგრამა 1989: 2).

7. ასევე ბუნდოვანი იყო ეროვნულ-რუსული (ნაციონალურ-რუსული) და რუსულ-ეროვნული (რუსულ-ნაციონალური) ენობრივი ურთიერთობის ცნებები, რომლებმაც ფაქტობრივად „ორენოვნების გაცვეთილი ფრაზა შეცვალეს“ (კიკალეიშვილი 1989: 2). „სრულიად გაუმართლებელია ტერმინი „ნაციონალურ-რუსული“ ან „რუსულ-ნაციონალური“ ორენოვნება. ამის მიხედვით გამოდის, რომ რუსული ნაციონალური არ არის,“ - აღნიშნავდა ბ. ჯორბენაძე (საქართველო აღდგა! 1989: 3).

8. საბჭოთა კავშირში ხელოვნურად იქმნებოდა სიტუაცია მეორე (რუსული) ენის გამოსაყენებლად. ამიტომ იყო მოთხოვნა, რესპუბლიკებში სამეცნიერო და სხვა სახის ლიტერატურა რუსულ ენაზე შეექმნათ (ქვათაძე 1989: 2). ჩნდებოდნენ ორენოვანი მწერლები. მაგალითად, გიორგი გულიამ და ფაზილ ისკანდერმა თავი დაანებეს მშობლიურ ენაზე წერას და რუსულზე გადავიდნენ (ბაქრაძე... 1988ა: 2). ასეთივე მწერლები იყვნენ ყირგიზი ჩინგიზ აითმატოვი, აზერბაიჯანელი ჩ. გუსეინოვი, ასევე ვ. სანგი, ნივხური ლიტერატურის ფუძემდებელი; ი. რიტხეუ და სხვანი, რომლებიც თავიანთ მოთხოვნებსა და რომანებს რუსულად წერდნენ (ბაქრაძე 1988: 3). საქართველოში წინ აღუდგნენ მწერლობაში გავრცელებულ ამ ტენდენციას. „მწერალთა საკავშირო ყრილობაზე, რომელიც 60-იან წლებში გაიმართა, კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა მკაცრად გაილაშქრა ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ და საჯაროდ დაგმო მცდელობა, ეროვნული მწერლები გადასულიყვნენ რუსულ ენაზე“ (სონლულაშვილი 2013: 173). იყო მოწოდება ხშირ-ხშირად გაეხმოვანებინათ და გადაეღოთ კიდევ ფილმები რუსულად (ბაქრაძე 1988: 3). ს. მიხალკოვის შემოთავაზება იყო არარუსებს უცხო ენის (იგულისხმება ევროპული და აზიური ენები) შესასწავლად დრო არ დაეკარგათ და ეს დრო რუსულის შესწავლისთვის მოენდომებინათ. უცხო ენები რუსებს უნდა შეესწავლათ, არარუსებს კი მათი თარგმანები ეკითხათ (ბაქრაძე 1988: 3).

9. ხდებოდა ეროვნული თეატრების, ჟურნალ-გაზეთების რუსულად გადაკეთება. მაგალითად, ზაპოროჟიეში ერთ-ერთი უძველესი უკრაინული თეატრის დასმა 1989 წლის 8 იანვარს გადაწყვიტა რუსულ თეატრად გადაქცეულიყო (გულახდილი საუბრები დიდ პრობლემებზე 1989: 2). მანამდე, რამდენიმე წლით ადრე, რუსულ ენაზე გადავიდა ჩერქეზული თეატრის დასი. ქართულ თეატრს 1922 წელს კოტე მარჯანიშვილი ჩაუყენეს სათავეში, რომელსაც „შემოქმედებითი ცხოვრების უდიდესი ნაწილი რუსეთში ჰქონდა გატარებული და რუსულად აზროვნებდა, ქართული კარგად არ იცოდა. კოტე მარჯანიშვილის მიერ თავს მოხვეული ორენოვნება იმპერიის მიერ საგანგებოდ ჩაფიქრებული ერთ-ერთი ოპერაცია გახლდათ ქართველი ერის ასიმილაციისათვის. ამ თეატრის ყოველი კუთხე-კუნჭული უკვე რუსულია და მხოლოდ სცენაზეა ისმის ქართული“ (პეტრიაშვილი 1990: 249). ახალგაზრდულმა გაზეთმა „კომსომოლც ზაპოროჟიამ“ (1989 წლის 6 თებერვალს) მკითხველებს შეკითხვით მიმართა: „ხელს გამლევთ თუ არა, რომ ჩვენი გაზეთი მხოლოდ უკრაინულ ენაზე გამოდისო?“ (გულახდილი საუბრები დიდ პრობლემებზე 1989: 2).

10. ორენოვნებას ხელს უწყობდნენ შერეულ ქორწინებათა პროპაგანდირებით, მოსახლეობის მიგრაციული პროცესებით. აკად. ე. პრიმაკოვის შემოთავაზებით, უნდა შექმნილიყო „ყოვლისმომცველი ინტერნაციონალური სტრუქტურები“; მთელ ქვეყანაში უნდა მომხდარიყო „კადრების ჰორიზონტალური როტაცია, გადაადგილება“. ასე წარმოიქმნებოდა სსრკ-ში „ერთიანი ინტერნაციონალური შენადნობი“. უნდა გაფართოებულიყო „კავშირები ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებს შორის“. ამ შემთხვევაში მოსკოვში განათლებული ქართველი საქართველოში არ უნდა „როტაცირებულიყო“ - ის სსრკ-ის მთელ სიგრძე-სიგანეზე უნდა „გადაადგილებულიყო“. ასეთი კადრი, რასაკვირველია, რუსულ ენაზე ნათლდებოდა“ (თოფურია 1989ა: 10).

11. საკავშირო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობებზე ხდებოდა რუსულენოვანი მოსახლეობის ჩასახლება (საქართველოში ასეთი იყო ენგურჰესი, 31-ე საავიაციო ქარხანა, ინგირის ქალაქის კომბინატი და სხვ.) (ტაბიძე 2005: 169). ასე შეიქმნა, მაგალითად, ქალაქ ჯვარში ენგურჰესის მშენებლობისას რუსული დასახლებები. ჩამოსახლებულთათვის იხსნებოდა რუსული სკოლები და საბავშვო ბაღები, თუმცა ამ სკოლებსა და ბაღებში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა იღებდა

განათლებას. ხსენებულ სკოლებსა და ბაღებში უმრავლესობას ქართველი ბავშვები შეადგენდნენ.

12. რუსულ ენაზე განათლების მიღება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების, შემდგომ კი რომელიმე მაღალი თანამდებობის მიღების გარანტიას იძლეოდა. რუსული ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო სამსახურის შოვნა. ამიტომაც სხვადასხვა რესპუბლიკის რუსულ სკოლებში რუსი ეროვნების მოსწავლეებს არარუსი ბავშვები სჭარბობდნენ.

ზოგიერთ რესპუბლიკაში ეროვნული მხოლოდ რვაწლიანი და დაწყებითი სკოლები იყო. ე. წ. „ჩრდილოეთ ოსეთში“, საშუალო და უმაღლესი სკოლა მხოლოდ რუსულენოვანი იყო. მაშინდელ „სამხრეთ ოსეთშიც“ დაწყებითი სკოლა რუსული იყო. აფხაზეთში მეხუთე კლასიდან დაწყებული ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა (თოფურია 1989ა: 10). აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზურ სექტორზეც სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა (მარგიანი და სხვ. 1989: 14). ბაშკირეთის უმაღლეს სასწავლებლებში 60-იანი წლებიდან მისაღები გამოცდები მხოლოდ რუსულ ენაზე ბარდებოდა (ხალიმი 1988: 229). ისეთი მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც არის უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი, მრავალ სპეციალობას არ ჰქონდა ეროვნული სექტორი (გვანცელაძე 1989ბ: 5).

13. იქმნებოდა ორენოვანი და სამენოვანი სკოლებიც, რომლებიც ჩვეულებრივი ერთენოვანი სკოლების სასწავლო პროგრამით მუშაობდნენ და არა რაიმე განსხვავებულით (ტაბიძე 2005: 90). საქართველოში, მაგალითად, 1978 წლის აღწერით სულ 257 ორენოვანი და 11 სამენოვანი სკოლა იყო. ეროვნულ სკოლებშიც დედაენაზე სწავლა მშობლების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული (ხალიმი 1988: 230). მოსწავლეები გათავისუფლებული იყვნენ მშობლიური ენის სწავლებისაგან; იგი ფაკულტატურ, არასავალდებულო საგნად მიიჩნეოდა (გულახდილი საუბარი დიდ პრობლემებზე 1989: 2). რუსული ენის სწავლება პირველივე კლასიდან იწყებოდა (საქართველოში 1973 წელს მიიღეს დადგენილება, რომლის მიხედვითაც მეორე კლასის ნაცვლად რუსული ენის სწავლება პირველი კლასიდან უნდა დაეწყოთ (მაჭარაშვილი 1983: 3). ამავე წლებში, მშობელთა თხოვნით, რუსული ენის სპეციალისტებს საბავშვო ბაღებშიც უშვებდნენ (შენგელია 1983: 3). რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ კვლავ მიიღეს დადგენილება 1983 წელსაც). ხშირად რუსული ენის სწავლების

საათები აღემატებოდა მშობლიური ენისთვის გამოყოფილ დროს; იხსნებოდა რუსული ენის წრეები (ყაზახეთში, მაგალითად, 489 წრე არსებობდა რუსული ენისთვის, ხოლო 324 - ყაზახურისთვის); გამოყოფდნენ ხოლმე ე. წ. „რუსული ენის დღეებს“, როცა მოსწავლეები მხოლოდ რუსულ ენაზე ურთიერთობდნენ ერთმანეთთან (აუელბეკოვი 1989: 3); ქმნიდნენ რუსულ სასკოლო თეატრებს (აჭარაში ასე შეიქმნა თოჯინების სასკოლო თეატრი, რომელიც რუსულ ენაზე დგამდა სპექტაკლებს (წულუკიძე 1983: 2); მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, სასურველი შედეგი მაინც ვერ მიიღწეოდა. პირიქით, აღნიშნავდნენ, რომ ენების ცოდნის დონე ძლიერ ეცემოდა. რუსული ენა ისწავლებოდა როგორც საგანი და არა როგორც ურთიერთობის საშუალება. მოსწავლეებს არ უვითარდებოდათ თავისუფალი სამეტყველო ჩვევები (მიძიგური და სხვ. 1986: 5). პრესაში უამრავი წერილი იწერებოდა რუსულის უკეთ სწავლების შესახებ. არნ. ჩიქობავას აზრი ამის თაობაზე ასეთი იყო: „ენა არ შეიძლება კაცმა ისწავლოს გრამატიკის მეშვეობით. ამიტომ რუსულის სწავლება ჩვენს სასწავლებლებში პრაქტიკულ ვარჯიშობას უნდა ემყარებოდეს: კითხვა-პასუხი, წინადადებათა შედგენა, ზეპირად, დაფაზე წერით...“ (შენგელია 1988: 3).

ორენოვნების მომხრეთა ოპონენტებს ძალზე სერიოზული არგუმენტები აქვთ. ორენოვნების ასეთი ტოტალური მოძალემა მოზარდი თაობისათვის, მართლაც, საშიში უნდა ყოფილიყო:

1. სკოლამდელ ასაკში რუსული ენის სწავლების შემოღება, მშობლიური ენის გაკვეთილების რიცხვის თანდათანობით შემცირება ან რუსულ ენაზე განათლების მიღება, მხოლოდ „ნახევარენოვნების“ წარმოშობას უწყობდა ხელს (განათლების მდგომარეობა რესპუბლიკაში 1989: 5). მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი ხშირად მიუთითებდნენ იმ უარყოფითი მოვლენების შესახებ, რასაც ადრეულ ასაკში არამშობლიურ ენაზე წერა-კითხვის დაწყება იწვევდა. იგი ბავშვისაგან აზროვნების ზედმეტ დაძაბვას მოითხოვდა (ვირსალაძე-ზარქავა 1988: 4). ამას კი შეიძლებოდა გამოეწვია ბავშვის ინტელექტუალური განვითარების შეფერხება, სამეტყველო მოშლილობა, ენაბლუობა და ა. შ. მეცნიერების მტკიცებით, „ბავშვობის ასაკში პატარა ინდივიდი ენის ათვისების გზით განსაზღვრულ კულტურას, სამყაროს ეცნობა. ამ ეტაპზე სხვა ენობრივი სისტემის ჩარევით კი ეს ახლად ჩამოყალიბებული სისტემა - „ენა-სამყარო“ ირღვევა“ (ენა... 1988: 3), რაც ბავშვის ფსიქიკასა და ჯანმრთელობაზე,



რასაკვირველია, უარყოფითად აისახება. როგორც მკვლევრები მიუთითებდნენ, ორენოვნებით მხოლოდ მაღალინტელექტუალურ ოჯახებში აღზრდილი ბავშვები „იგებდნენ“ (ჰინტი 1988: 238).

2. ამ პერიოდში გაჩნდა ტერმინები - „неязычные“ (სიტყვ. „უენოვნება“), „полужычные“ (სიტყვ. „ნახევარენოვნება“), რაც იმას ნიშნავდა, რომ ბავშვი ვეღარ მეტყველებდა ვერც მშობლიურ და ვერც მეორე, შეძენილ ენაზე. ასეთ შემთხვევაში „ადამიანმა თითქოს ორი ენა იცის, მაგრამ შედარებით რთული კონსტრუქციების გამოხატვა არც ერთ ენაზე არ შეუძლია“ (ჰინტი 1988: 239). „ბავშვების აზროვნების უნარი, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, მკვეთრად დაეცა. რუსული ენის ცოდნის გაღრმავების ნაცვლად მისი გაუარესება მივიღეთ. წარმოიშვა „უენოვნება“ (безязычие): ბავშვებს აღარ შეეძლოთ აზრის გამოთქმა არც ერთ და არც მეორე ენაზე“, - წერდა ჟურნალი „Дружба Народов“ (ხალიმი 1988: 229).

ბელორუსთა უმეტესობა ე. წ. трасянка-ზე - შერეულ რუსულ-ბელორუსულ ენაზე - მეტყველებდა. ეს ხალხიც ნახევარენოვანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რადგან რთული აზრების ადეკვატურად გამოხატვა არც რუსულ და არც ბელორუსულ ენაზე არ შეეძლოთ. იგივე სიტუაცია იყო ვოლგისპირეთისა და შუა ურალის ავტონომიურ რესპუბლიკებში (ჰინტი 1988: 241).

3. 1989 წელს ლევან ფრუიძე წერდა: „60-იან წლებში ქვემო ქართლის აქა-იქ ოაზისებივით გაბნეულ ქართულ სოფლებში ვნახეთ ქართველები, გონებრივად დამახინჯებულნი - ვერც ერთ ენაზე ვეღარ აზროვნებდნენ და მეტყველებდნენ...“ (ფრუიძე 1989: 4).

4. მშობლიურ ენაზე სწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის: „თუკი გვინდა, საბოლოო ჯამში, ადამიანური ადამიანი, ანუ შემოქმედი არსება აღვზარდოთ და არა ადამიანის მსგავსი რობოტი, რომელთა „პირველი მერცხლები“, სამწუხაროდ, აქა-იქ უკვე გვხვდებიან, სკოლა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ეროვნულ ბუნებას და, რასაკვირველია, ბავშვი უნდა სწავლობდეს დედაენაზე“ (ჭილაძე 1989: 3). „რუსულ სკოლაში სწავლა მხოლოდ რუსული ენის სწავლა როდია, - წერდა ალ. ფოცხიშვილი, - ეს არის რუსულ გარემოში აღზრდა და ტრიალი, ქართული ხასიათის და ტრადიციის დავიწყება. არა ერთი მშობელი გვიან ხვდება, რომ მისი შვილი აღარც რუსია და აღარც ქართველი“

(ფოცხიშვილი 1988: 2). „ამგვარი ბავშვისაგან ვღებულობთ გადაგვარებულ ქართველს, „არც ღვინოსა და არც წყალს“ რომ უწოდებენ ჩვენებურად“ (გვარამია 1989: 15). როგორც ჩანს, გარდა აზროვნების დამახინჯებისა, ბავშვებს საარტიკულაციო ბაზისიც სხვა ენის შესაბამისად ეცვლებოდათ. მაგალითად, ახალციხის რაიონის რუსულ სკოლაში აღმოჩნდა, რომ ქართველ მოსწავლეებს შესამჩნევი რუსული აქცენტი დაჰყვებოდათ და „ყარსა“ და „ღანსაც“ ვერ გამოთქვამდნენ გამოკვეთილად (გურგენიძე 1988: 2).

საბჭოთა კავშირში რუსულ ენაზე განათლების მიღება მხოლოდ მეორე ენის უკეთ სწავლებას არ ნიშნავდა. ამ მოვლენას გაცილებით შორს მიმავალი მიზანი ჰქონდა, რაც რუსეთის მიერ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ეროვნული ცნობიერების წაშლასა და მათ სრულ რუსიფიკაციას ითვალისწინებდა. ამას კარგად ხვდებოდნენ, პირველ რიგში, სპეციალისტები, ლინგვისტები, რომლებიც მეცნიერულად იკვლევდნენ ენის ბუნებასა და დანიშნულებას. მათი აზრით, ენა არ უნდა ყოფილიყო აღქმული, როგორც უბრალო ნიშანთა სისტემა. პრესიდან არაერთხელ შეუხსენებიათ მკითხველისთვის ვ. ფ. ჰუმბოლდტის ნააზრევი, რომლის მიხედვით, ყოველი ენა ერის მსოფლხედვას წარმოადგენს და „ენა ხალხისა არის მისი სული და სული ხალხისა არის მისი ენა“.

ქართველი სპეციალისტები ინტენსიურად ეძებდნენ არგუმენტებს იმისათვის, რომ როგორმე შეეკავებინათ უცხო, რუსული ენის გაძლიერება განსაკუთრებით განათლების სფეროში, და ასევე დაეცვათ აზრი, რომ რუსული ქართველისთვის მეორე მშობლიური ენა ვერასოდეს გახდებოდა; აკრიტიკებდნენ უცხო ენის სწავლების შემოღებას პირველივე კლასიდან: „ნოვატორობასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა შევეხოთ ერთ მეტად სერიოზულ საკითხს - ქართულ სკოლებში პირველი კლასიდანვე რუსულის სწავლების შემოღებას. ეს, ერთი ზერელე შეხედვით, თითქოს სახარბიელო და მისასალმებელია, მაგრამ თუ ღრმად და პროფესიულად ჩავუკვირდებით, იგი არაპედაგოგიურია და, რაც მთავარია, რუსული ენის სწავლებასაც უშლის ხელს. მცირე ასაკში ერთდროულად ორი ენის ათვისება რომ პედაგოგიური არ არის, ამის შესახებ პედაგოგიკის ისტორიაში საკმაოდ დამაჯერებელი აზრებია ჩამოყალიბებული. ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს. არც პედაგოგები უჭერენ ამ მოვლენას მხარს და ამის შესახებ ექიმთა საკმაოდ სარწმუნო არგუმენტები მოიპოვება“ (ბარამიძე 1988: 3).

მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ პოლიტიკოსებიც, რომლებიც ეროვნული მოძრაობის წიაღიდან განიხილავდნენ ქართული ენის სტატუსისა და

სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების საკითხებს, მსჯელობდნენ პროფესიული პოზიციიდან. მაგალითად, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზვიად გამსახურდია (იმ დროს ჯერ კიდევ მხოლოდ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დოცენტი) განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას მშობლიურ ენაზე დაწყებითი განათლების მიღების აუცილებლობაზე და, ზოგადად, მშობლიური ენის უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ პიროვნების ჩამოყალიბებაში: „მოზარდმა განათლება უნდა მიიღოს მშობლიურ ენაზე, რაც უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მისი ნიჭისა და უნარის ჯეროვნად გამოვლენისა და განვითარებისათვის. ეს კონცეფცია დღესდღეობით მეცნიერულადაა დასაბუთებული პედაგოგიკაში. მაგალითად, ამას წინათ აშშ-ში დაყენებული იქნა ასეთი ცდა: იაპონელი ბავშვების ნაწილს პირველდაწყებითი და საშუალო განათლება მიაღებინეს ინგლისურ ენაზე, ხოლო მეორე ნაწილს - იაპონურ ენაზე. ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ იმ ბავშვებმა, რომელთაც მშობლიურ ენაზე მიიღეს განათლება, გაცილებით უკეთ განავითარეს თავიანთი ნიჭი და უნარი, და უკეთესი სპეციალისტებიც გახდნენ, ვიდრე მხოლოდ ინგლისურად აღზრდილნი. თან მთავარია, რომ ინგლისური ენაც უფრო კარგად ისწავლეს ამგვარად აღზრდილებმა“ (გამსახურდია 1989ბ: 3).

საერთოდ, 70-80-იანი წლების ენობრივი დისკუსიებისათვის დამახასიათებელი იყო ტიპოლოგიური მაგალითებით მსჯელობა, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითის მოხმობა, არა მხოლოდ პარალელის გასავლებად, არამედ კონტრასტის საჩვენებლად. საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა არავის აძლევდა საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას, თუკი ეს აზრი სახელმწიფოს იდეოლოგიურ კურსს ამა თუ იმ სახით საფრთხეს შეუქმნიდა. ვერც ე. წ. კაპიტალისტურ სამყაროს ვერ მოიხმობდა ვინმე მისაბამ მაგალითად, ამიტომაც იყო, რომ საზოგადოება (და მათ შორის, ამა თუ იმ კონკრეტული დარგის სპეციალისტებიც) ხშირად ცდილობდა მანევრირებას და სათქმელის განყენებულად, ზოგჯერ გაუცხოებულადაც განხილვას; 70-80-იანი წლების „დიდი დისკუსიის“ ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისიცაა, რომ საზოგადოებრივმა აზრმა თანდათანობით გათამამება დაიწყო. ეროვნულობის დაცვის აუცილებლობის ხაზგასმას სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ცდილობს.

მშობლიური ენის მნიშვნელობაზე სულ უფრო ხშირად საუბრობენ. მოიხმობენ სხვადასხვა სამეცნიერო ექსპერიმენტს, ავტორიტეტულ გამონათქვამებს, მიმართავენ კლასიკოსებს და ა. შ. აი, ერთი მაგალითი, რომელიც ეხება ფრანგი მეცნიერების მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტს: „ახალდაბადებული ბავშვი თუ კვებისას ფრანგულ საუბარს ისმენს, მას სიამოვნებს და კომპიუტერები ადასტურებენ, რომ წოვის ინტენსიურობა იზრდება. უცხო ენაზე საუბრისას კი წოვის ინტენსიურობა იკლებს“. როგორც მიუთითებდნენ, ამ ექსპერიმენტმა საშუალება მისცა მეცნიერებს, მისულიყვნენ დასკვნამდე, რომ მშობლიური ენის კოდი ადამიანში ჩადებულია ემბრიონალური მდგომარეობიდანვე. „ენა, როგორც სისტემა, განუყოფელია მოცემული ხალხის ფსიქოლოგიური წყობისაგან. ...ყოველი ენა არის სამყაროს თავისებური და განუმეორებელი ხედვა“ (გიგინეიშვილი 1988: 4).

სწორედ ამ კუთხით განიხილავდნენ ბილინგვიზმის პრობლემის სერიოზულობას: „ბილინგვიზმის პრობლემა საკმაოდ რთული და მრავალმხრივია. მისი დამკვიდრება შესაძლოა დამღუპველიც გამოდგეს ორიდან რომელიმე ენისათვის (ლათინური ენის მაგალითი). ყოველი ენა ერის მსოფლხედვას წარმოადგენს - სამყაროს აღქმა და მისი დანაწევრება მშობლიური ენის სისტემის შერყევა და მისი გადასხვაფერება, ბუნებრივია, ცვლის ერის მსოფლხედვას, ამ ერის წარმომადგენელი ადამიანის ფსიქიკას. ყოველივე ეს გასათვალისწინებელია. ბილინგვიზმის პრობლემას უადრესად ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ“ (გაბუნია... 1988: 3).

ამასთან დაკავშირებით იბეჭდება ცნობილი ენათმეცნიერის გივი ნებიერიძის ვრცელი მსჯელობა - სტატია, სათაურით „ენა და გენეტიკა“. მკვლევრის აზრით, მშობლიურ ენას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს გენეტიკასთან და იგი არა მხოლოდ სოციალური, არამედ ბიოლოგიური მოვლენაც უნდა იყოს. ასეთ ბიოლოგიურ მოვლენად ის მეტყველების ნიქს ასახელებს, რომლის მიხედვითაც, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. სტატიის თანახმად, ახალდაბადებულ ბავშვს თან დაჰყვება მშობლიური ენის გენეტიკური ლინგვისტური პროგრამა, ანუ ნეიროლინგვისტური სისტემა, რომელიც სხვაობს ენების (ასევე დიალექტებისა და იდიოლექტების) მიხედვით:

„ახალდაბადებული რუსი ბავშვი დაპროგრამებულია სწორედ რუსულის შესასწავლად, ხოლო ქართველი ბავშვი - ქართულის შესასწავლად. ...ქართველების

გენეტიკური კოდი ისეთი უნდა იყოს, რომ ამ კოდის მქონე ხალხისათვის მშობლიური შეიძლება იყოს მხოლოდ ქართული ენა“ (ნებიერიძე 1989გ: 14). კვლევებით დასტურდება, რომ გენეტიკურად გადაეცემა თაობიდან თაობას საარტიკულაციო ბაზისიც, რომელიც ასევე განსხვავდება ერების მიხედვით. ეს განსხვავება განსაზღვრავს სხვაობას ფონეტიკურ სისტემებს შორისაც: „ქართველის საარტიკულაციო ორგანოები ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ისეთია, რომ მას შეეძლო შეექმნა მხოლოდ ის სისტემა ბგერებისა, რომელიც ქართულში გვაქვს“ (ნებიერიძე 1989გ: 14).

გ. ნებიერიძის თვალსაზრისით, გენეტიკურ ფაქტორს უნდა ემყარებოდეს ერის დეფინიციაც, რასაც უკავშირდება მშობლიური ენის საკითხიც: „ერი პირველ რიგში გენეტიკური კატეგორიაა. იგი, ასე ვთქვათ, ჯიშია, რომელსაც აქვს საკუთარი გენოფონდი და საკუთარი გენოტიპი. ეს ჯიში გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოსა და კლიმატურ პირობებშია გამოყვანილი. ენა ეროვნული გენოფონდის პროდუქტია, ე. ი. ეროვნული გენოფონდი ინფორმაციას შეიცავს მშობლიური ენის შესახებაც. ეროვნული გენოფონდი, ანუ უბრალოდ გენი, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი და ამიტომ მშობლიური ენაც მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. ამ ბოლო დროს საბჭოთა ენათმეცნიერებაში გამოჩნდა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, მშობლიური ენა შესაძლოა ორი იყოს. ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით ცდილობენ რუსული მეორე მშობლიურ ენად გამოაცხადონ მოკავშირე რესპუბლიკაში, ე. ი. ქართველმა, ვთქვათ, რომლის მშობლიური ენა ქართულია, რუსული უნდა შეისწავლოს როგორც მეორე მშობლიური ენა. მაგრამ ორი ან მეტი მშობლიური ენის იდეა სრული უაზრობაა. ადამიანს აქვს მხოლოდ ერთი ნეიროლინგვისტური სისტემა და, ამდენად, მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მშობლიური ენა“ (ნებიერიძე 1989ბ: 12). კვლევაში უარყოფითად არის შეფასებული უცხო ენაზე განათლების მიღებაც: „ყველა ენა ტვინის ნახევარსფეროების განუკვეთელ ორგანიზაციას გულისხმობს, ე. ი. ენასა და ნეიროლინგვისტურ სისტემას შორის ერთი-ერთზე შესატყვისობის პრინციპი მოქმედებს. თუ ენასა და ნეიროლინგვისტურ სისტემას შორის ეს პრინციპი დაცულია, მაშინ მათ შორის გვექნება კოჰერენტობის მიმართება (ლათ. coheren კავშირში მყოფი), მაგრამ თუ ეს პრინციპი დარღვეულია, მაშინ არაკოჰერენტობის მიმართება გვექნება. თავისთავად ცხადია, რომ კოჰერენტობის მიმართება გვაქვს მხოლოდ მშობლიურ ენაში, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში მყარდება სრული შესატყვისობა

ნეიროლინგვისტურ სისტემასა და ენას შორის. რაც შეეხება უცხოურ ენას, იგი არაკოჰერენტულ მიმართებაშია მშობლიური ენის ნეიროლინგვისტურ სისტემასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ მშობლიური ენა არის კოჰერენტობის მიმართებაში აზროვნებასთან, უცხოურ ენაზე მეტყველების დროს კი კოჰერენტობის მიმართება ენასა და აზროვნებას შორის დარღვეულია. ამიტომ ბავშვის აზროვნება სწორად რომ განვითარდეს, აუცილებელია მისი პირველი ენა იყოს მხოლოდ მშობლიური ენა. ასევე აუცილებელია ბავშვმა სასკოლო განათლება მიიღოს მხოლოდ მშობლიურ ენაზე. რადგანაც უცხოური ენა არაკოჰერენტული აზროვნებისაა, ამიტომ თუ ბავშვი სასკოლო განათლებას უცხო ენაზე მიიღებს, ეს გარემოება აუცილებლობით გამოიწვევს გონებრივ სიჩლუნგეს, რაც კარგად შეამჩნიეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში“ (ნებიერიძე 1989ბ: 12).

საბჭოთა ენობრივმა პოლიტიკამ თავისი მავნე შედეგებით განსაკუთრებით იჩინა თავი კონფლიქტურ ტერიტორიებზე. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი მაგალითი არის ისიც, რომ აფხაზურ-ქართულ და ოსურ-ქართულ ურთიერთობებში რუსული ენა ამ ურთიერთობათა დაპირისპირების მიზეზი აღმოჩნდა: „ის აფხაზები და ოსები, რომლებსაც რუსულ ენაზე ჰქონდათ მიღებული სწავლა-განათლება, გადასახლდნენ რუსულენოვან სამყაროში და არსებითად რუსი ერის ნაწილი გახდნენ და საქართველოს სუვერენიტეტის გაფართოებისათვის მიმდინარე პროცესში ერთგვარად დაუპირისპირდნენ ქართველებსაც და ქართული ორიენტაციის ოსებსა და აფხაზებსაც“ (ფუხაევი 1989: 4). „ქართველებს ერთგულებდნენ და საქართველოს იცავდნენ ის აფხაზები და ოსები, რომელნიც ქართულ ენას ფლობდნენ, ე. ი. ქართული კულტურული სამყაროს წევრები იყვნენ. აფხაზისა და ოსისათვის განათლების, კულტურის, რელიგიის, სახელმწიფოს ენის ქართულის ნაცვლად რუსულით შეცვლას, მოჰყვა აფხაზისა და ოსის ეთნიკური გაუცხოება და ყოველივე ქართულთან დაპირისპირება“ (ბაქრაძე 2005: 314-315).

ორენოვნება რომ მართლაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ ენებს, ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებდა, მაგალითად, 1959 წლის აღწერით, მთელ საბჭოთა კავშირში რუსული თავის მშობლიურ ენად დაასახელა არარუსი წარმოშობის დაახლოებით 10-მა მილიონმა მოქალაქემ, 1970 წლის აღწერით - 13-მა მილიონმა (ორენოვნებისა და მრავალენოვნების პრობლემები 1972: 24), ხოლო, 1979 წლის ცნობით,

ამ რიცხვმა 16, 3 მილიონ კაცს მიაღწია. 1983 წელს საბჭოთა კავშირში 153, 5 მლნ. (59%) ადამიანი მშობლიურად მიიჩნევს რუსულ ენას. მათგან რუსები იყვნენ 137, 2 მლნ. მაშასადამე, 16, 3 მლნ. არარუსი მოსახლეობა რუსულ ენას მიიჩნევდა მშობლიურ ენად. ...61, 3 მლნ. ადამიანმა რუსული დაასახელა მეორე ენად, რომელსაც თავისუფლად ფლობდნენ (1970 წ. – 41. 9 მლნ.). მთლიანობაში, რუსულ ენას როგორც მშობლიურსა და როგორც მეორე ენას, ფლობდა 214, 8 მლნ. ადამიანი, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 82% (სსრკ მოსახლეობა 1983: 127, 131; ხიდაშელი 1989: 6).

საქართველოში 1989 წლის მონაცემებით რუსულ ენას თავის მშობლიურ ენად მიიჩნევდა

3 787 393 ქართველიდან - 8 877;

95 853 აფხაზიდან - 2 212;

164 055 ოსიდან - 4 246;

307 556 აზერბაიჯანელიდან - 3 972;

437 211 სომხიდან - 40 312;

100 324 ბერძნიდან - 35 084;

52 443 უკრაინელიდან - 23 069 და ა. შ.

თავისუფლად იცოდა რუსული ენა 1 203 788 ქართველმა, 77 193 აფხაზმა, 60 004 ოსმა, 105 083 აზერბაიჯანელმა, 187 666 სომეხმა და ა. შ. (საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1991: 62-63).

1988 წლის „სახალხო განათლებაში“ იყო ასეთი ცნობაც: „62 ათასი ქართველი ქართულს დედაენად არ აღიარებს“ (გურგენიძე 1988: 2).

განსაკუთრებით რთული იყო ვითარება ამ მხრივ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში. მაგალითად, 1970 წელს 83 ათასი აფხაზიდან აფხაზურს მშობლიურ ენად მიიჩნევდა 95,9%, ხოლო რუსულად თავისუფლად ლაპარაკობდა 59,2%, 60 ათასი ბალყარელიდან ბალყარული მშობლიურ ენად მიაჩნდა 97,2%-ს, ხოლო რუსული თავისუფლად იცოდა 71,5%-მა, 158 ათასი ინგუშიდან ინგუშურს მშობლიურ ენად თვლიდა 97,4%, ხოლო რუსულს თავისუფლად ფლობდა 71,2% (ორენოვნებისა და მრავალენოვნების პრობლემები 1972: 23). ავტონომიურ რესპუბლიკებში რუსულის ცოდნა თითქმის გაუთანაბრდა მშობლიური ენის ცოდნას (ბაქრაძე 2005: 23).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ საბჭოთა კავშირში „ერების შერწყმა“, ანუ მათი გარუსება და რუსული ენის ჰეგემონიის შედეგად ეროვნული ენების გაქრობა, რეალობას უახლოვდებოდა, რაც თანდათან ზღუდავდა ეროვნული ენების უფლებებს. როგორც მიუთითებდნენ, მოსახლეობის პირველი საბჭოთა აღწერისას 1926 წელს დარეგისტრირდა 190-ზე მეტი ეთნიკური გაერთიანება (ერთობა) და, დაახლოებით, 150 ენა. 1959 წლის აღწერისას კი ეთნიკური ერთეულების რიცხვი 90-მდე შემცირდა. 1977 წელს გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „1936 წელს ჩვენს ქვეყანაში (სსრკ-ში) 22 ავტონომიური რესპუბლიკა იყო, ახლა ოცია. ავტონომიური ოლქების რიცხვი 9-დან 8-მდე შემცირდა“. ასევე გამქრალა რამდენიმე ეროვნული ოკრუგი“ (ბაქრაძე 2005: 23-24). ვარაუდობდნენ, რომ ერთა ასეთი „გაუჩინარება“ მათი გარუსების შედეგი უნდა ყოფილიყო. 1972 წელს იწერებოდა: „ჩვენ თვალწინ ხდება კარელიელების (მათი რიცხვი 100 ათასზე მეტია) ენის დაკარგვა. ისინი ერთენოვნებაზე გადადიან (მშობლიური ენა ხდება რუსული). ამ დროისათვის ეს პროცესი უკვე სრულდება“ (ორენოვნებისა და მრავალენოვნების პრობლემები 1972: 24). ბევრმა აფხაზმა ასევე არ იცოდა აფხაზური ენა. ზოგიერთი, მათ შორის აფხაზურ-ქართული ოჯახისთვის, სალაპარაკო ენა რუსული იყო (ბოკუჩავა-გაგულია 1989: 4). თავიანთ ენას კარგავდნენ ნანაელებიც. ახალგაზრდა თაობამ უკვე აღარ იცოდა მშობლიური ენა (ხოჯერი 1989: 3). მოსახლეობის ასეთი გადასვლა ერთი ენიდან მეორეზე საბჭოთა კავშირში კანონზომიერ მოვლენად მიიჩნეოდა (ორენოვნებისა და მრავალენოვნების პრობლემები 1972: 24).

ბილინგვური მეტყველება დისკუსიის საგნად იქცა პრესაში. შერეული სალაპარაკო ენა ტოტალურად იყო გავრცელებული კულტურულ, სამეცნიერო თუ სხვა სფეროებში და „ელიტარულად“ აღიქმებოდა. პროფესიული საუბარი (კინოგადაღება, რეპეტიციები, ლექციები, სპორტსმენთა ვარჯიშები, ოფიციალური ღონისძიებანი და ა. შ.) რუსულად ან რუსულ-ქართულად მიმდინარეობდა (მგელაძე 1988: 2). თითქმის ყველა მსახიობი თუ მუსიკოსი ერთმანეთში რუსულად ლაპარაკობდა. თავის დროზე ცნობილი მსახიობი ს. ზაქარიძე ჩიოდა: „ქართულ თეატრში ქართულ ენაზე შექმნილი პიესა რუსული კომენტარებით მზადდება. სტუდენტს ინსტიტუტში რუსულ ენაზე „ასწავლიან“, შემდგომ კი თეატრში მუშაობისას რუსულ ენაზე „უხსნიან“ როლის თავისებურებებს. თვითონაც იწყებს რუსულ ენაზე პასუხის გაცემას“ (პეტრიაშვილი 1990: 252). არც სხვა სფეროებში იყო სახარბიელო მდგომარეობა: „ძალიან იშვიათად



შეგზვდებათ ქართველი ექიმი, ინჟინერი, აგრონომი და სხვა პროფესიათა წარმომადგენლები, რომელნიც ქართულად შეუმცდარად მეტყველებდნენ და წერდნენ“ (ბაქრაძე... 1988: 2). ცნობილ მუსიკოსებს, კომპოზიტორებს, რეჟისორებს, მოცეკვავეებს, თუ მომღერლებს ხშირად ეკამათებოდნენ მშობლიური ენის ნაკლებად ცოდნის გამო. მაგალითად, ცხარე დისკუსია გამოიწვია გ. პეტრიაშვილის მიერ ლიანა ისაკაძის მეტყველების, კერძოდ, მისი ერთი ფრაზის, გაკრიტიკებამ: „**ვენგრაში** რომ ვიყავით, **ხრამში** კონცერტები ჩავატარეთო“ (პეტრიაშვილი 1989: 4). ამგვარი კრიტიკა იმ ადამიანების მიმართ, რომელთათვის ქართული სიტყვის დაცვა პირდაპირი მოვალეობა იყო, ხშირად გვხვდება 80-იანი წლების პრესაში: „სამარცხვინო ფაქტია, როდესაც ცნობილი მსახიობი ტელეეკრანიდან სხვადასხვა ბრუნვაში ხმარობს სიტყვას „სმეტანა“, ანდა ცნობილი მეცნიერი რამდენჯერმე იმეორებს სხვადასხვა „სმენაში“ ვმუშაობთო“ და სხვ. (გოგოლაშვილი 1988: 6).

ბილინგვური მეტყველების დროს დგება ინტერფერენციის პრობლემა. მიუხედავად ქართული ენის მდგრადობისა, მდგომარეობა მართლაც შემამფოთებელი იყო. ამ საკითხმა მწვავედ იჩინა თავი 80-იანი წლების ბოლოს. რუსული ენის გავლენა შეინიშნებოდა გრამატიკის თითქმის ყველა დონეზე.

ფონეტიკური ინტერფერენცია გამოიხატებოდა, მაგალითად, ქართულში „ფ“-ს ნაცვლად რუსული „Ф“-ს, აგრეთვე, „ჩ“-ს, რბილი „тб“-სა და „дб“-ს და სხვა ქართულისთვის უცხო ბგერების დამკვიდრებით: „...და გაისმის აქეთ-იქიდან: ქელინი, ქილმი, ქესტივალი, გრაქი, ქალსიქიკაცია და სხვა. „კოსტიუმი“-ს მაგიერ ამბობენ „კოსწომ“-ს, „ვისკონტი“-ს ნაცვლად „ვისკონწი“-ს და დიმიტრის მოფერებით „ძიმა“-ს ეძახიან“ (ბაქრაძე... 1988ა: 2).

ამგვარი პროცესი, როგორც აღნიშნავდნენ, განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნიდა ქართულ გვარებსა და ტოპონიმებს და უკვე „სოციალურ-პოლიტიკურ ხასიათს“ იძენდა. ასე „გადანინათლა“ თავი, მაგალითად, „ჭაჭუამ“ „ჩაჩუად“ (თოფურია 1989ბ: 11). პასპორტში მოსწავლეს ქართულად ეწერა ვლადიმერ გეგეჩკორი. მოსწავლეს ატესტატში ეწერა გოტვაძე და თვითონაც ირწმუნებოდა, ნამდვილად გოტვაძე ვარო. „ბედად, მისი დაბადების მოწმობა ორენოვანი აღმოჩნდა, სადაც ეწერა ლოთვაძე“ (წერეთელი 1988: 2). ასევე დაისმოდა ია-ზე დაბოლოებული გვარების საკითხი, მაგალითად, კეკუტია, ურიდია, პატარაია. რუსულად ისინი

იწერებოდა: Кекутия, Уридия... გაურკვეველი იყო რა პრინციპით იცვლებოდა რუსულ ენაში ხმოვანი ა я-თი. „თითქოს, ერთი შეხედვით, უწყინარი შემთხვევა“, - აღნიშნავდნენ პრესაში, - „მაგრამ დავუკვირდეთ სვანური წარმოშობის გვარებს. რუსულ ენაში არ იხმარება სახელობითი ბრუნვის ნიშანი „ი“ და თუ ამ დროს რომელიმე გვარში ბოლოხმოვან „ა“-ს შევცვლით „я“-თი, მივიღებთ ჩეგიანის ნაცვლად Чегиян, უმფრიანის ნაცვლად Умприян, ორბელიანის ნაცვლად Орбельян“ (წერეთელი 1988: 2).

რაც შეეხება ტოპონიმებს, ისინიც იცვლებოდა რუსული ენისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების შესაბამისად. მაგალითად, ახალქალაქის რ-ნში სოფ. კოთელიას შესასვლელს „კოტელია“ ამშვენებდა“ (ტალიაშვილი 1988: 3). ქუთაისის ექსპრეს-ავტობუსს ეწერა „კუტაისი-ტბილისი“ (ქურდაძე... 1988: 2).

საკუთარ სოფელს - ფოცხოეწერს - ენგურჭესელი ახალგაზრდები პრავიბერგს ეძახდნენ (წულეისკირი 1989ბ: 9).

შენიშვნებს გამოთქვამდნენ ტოპონიმების თარგმნასთან დაკავშირებით. ახალი ათონი რუსულად გამოცემულ რუკაზე გადატანილი იყო როგორც Новый Афон... (რუხაია 1988: 10).

აკრიტიკებდნენ იმ დროისთვის მეტად გავრცელებულ, რუსული ენისთვის ბუნებრივ, თუმცა ქართულისთვის სრულიად უცხო, მიმართვის ფორმას სახელითა და მამის სახელით: „როდესაც ქართულ კინოსტუდიაში ქართველი კაცი მეორე ადამიანის მიმართ პატივისცემას „...ვიჩ“-ობით გამოხატავს, ეს დედაენის მიმართ უპატივცემულობის კიდევ ერთი გამოვლენაა“ (მგელაძე 1988: 2).

განსაკუთრებით სავალალო იყო მდგომარეობა ქართულ ლექსიკაში: „რუსულმა სიტყვებმა მართლაც რომ წალეკა ქართველთა ლაპარაკი: აპრავა (ჩარჩო), ატვიორტკა (სახრახნისი), აჩკი (სათვალე), ბაგაჟნიკი (საბარგული), ბელიო (თეთრეული), გარჩიცა (მდოგვი), დაჩა (აგარაკი), დუხი (სუნამო), ვაბშე (საერთოდ), ვანა (აბაზანა), ვსიო (მორჩა, გათავდა), ზაბორი (ღობე, მესერი), ზაპასი (მარაგი, მარქაფი), ზაჟიგალკა (სანთებელა), ზონტიკი (ქოლგა), იამა (ორმო), იტოგში (საბოლოოდ), იუბკა (ქვედა კაბა), კალბასი (ძეხვი), კერასინკა (ნავთქურა), კლიონკა (მუშამბა), კრაოტი (საწოლი), კრიშა (სახურავი), კრუჟავო (მაქმანი), ლამპოჩკა (ნათურა), მაშინა (მანქანა), მებელი (ავეჯი), ოჩერედი (რიგი), პადიეზდი (სადარბაზო), პაკრიშკა (საბურავი), პერაშკი (ღვეზელი), პერერივი (შესვენება), პლასკაგუბცი (ბრტყელტუჩა), პლიტა (ქურა), პოვარი (მზარეული), პოლი

(იატაკი), პორცია (ულუფა), პრასმოტრი (ნახვა, გასინჯვა), პროსტინა (ზეწარი), პროსტო (უბრალოდ), ჟესტიანშიკი (მეთუნუქე) სალფეტკი (ხელსახოცი), საროჩკა (პერანგი), სასისკი (სოსისი), სმესიტელი (შემრევი), სოსკა (საწოვარა), სპიჩკა (ასანთი), სპრავოჩნი (ცნობათა ბიურო), სტაქანი (ჭიქა), სტოლი (მაგიდა), სუდია (მსაჯი, მოსამართლე), სუმკა (ჩანთის ნაცვლად), ტრუბკა (ყურმილი), ფართუკი (წინსაფარი), ჩაინიკი (ჩაიდანი), ჩერდაკი (სხვენი), და სხვ. ასევე: „დაჟე“, „კაკრაზ“, „ნაგლი“, „კაროჩე“ სხვადასხვა ვარიაციით: „დაჟე ბილეთი ავილე“ (ბილეთიც კი ავილე), „დაჟე შემეცოდა“ (შემეცოდა კიდეც), „კაკრაზ დროზე მოხვედი“ (სწორედ დროზე მოხვედი), „ძალიან ნაგლია“ (ძალიან თავხედია), „რა ნაგლობაა“ (რა თავხედობაა), „კაროჩე, შევთანხმდით“ (ერთი სიტყვით, შევთანხმდით) და ა. შ. (კაკაბაძე 1981: 5).

დამკვიდრდა რუსული რიცხვითი სახელები, რასაც გასამართლებელ მიზეზსაც უძებნიდნენ: რუსული ათობითი სისტემა უფრო ადვილი გასარჩევია, ვიდრე ქართული ოცობითი.

სავაჭრო ორგანიზაციებში, ტექნიკურ დაწესებულებებში, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა თუ სამედიცინო სფეროში უხვად იყო რუსული სიტყვებითა და ქართული ასოებით შედგენილი იარლიყები და პრეისკურანტები: „კალბასი“, „კლუბნიკა“, „სლივოჩნი სოკი“ - „აპელსინი“ და სხვა მრავალი (გოგოლაშვილი 1988: 6); ორენოვანი ფასმაჩვენებლები: „პეჩენია ჩაის“, „პავიდლო ვაშლის“, „სუხარი საფანელი“, ბატონი დაჭრილი, ნაზავი ბულკი, სლოიკა ფენოვანი, ლენინგრადის ხლებცი, სუხარი კარაქიანი, პრიანიკი გლაზიროვანი, პიროჟნი ცალობით, თბილისური პიროჟნის კაროფკები (ღვინჯილია 1988დ: 4). ფასმაჩვენებლებზე ქართულად ეწერა: „მინტაი ს გალ.“, „მინტაი ბეზ გალავოი“ (აგიაშვილი 1989: 3).

დიდი სიხშირით გამოიყენებოდა სასაუბრო ენაში (და არა მარტო სასაუბრო ენაში) რუსული **კალკები**. გავრცელებული იყო, მაგალითად, გამოთქმები: **მაწყობს, არ მაწყობს** (устраивает, не устраивает), **სახეზეა** (на лицо) **გადმოგირეკავ** (перезвоню) (კაკაბაძე 1981: 5). ასევე: „წესრიგშია მოყვანილი“, „მოძრაობაში მოდის“, „ძალაში შედის“, „იმყოფებიან შეხებაში“, „ხმარებაში დარჩა“, „გაყიდვაშია“ (შალამბერიძე 1987: 4).

აკაკი შანიძე შენიშნავდა „გადა“ ზმნისწინისა და „ირება“ სუფიქსის კალკირების შესახებ: „ძალიან გახშირდა სალიტერატურო ქართულში **ირება** სუფიქსით ნაწარმოები ზმნის ფორმები, ჩვეულებრივია, მაგ., „**კუპირებული** ვაგონი“ იმის ნაცვლად, რომ

ითქვას „კუპეებიანი ვაგონი“. „ფილტრირებული წყალი“ იმის ნაცვლად, რომ ითქვას და დაიწეროს „გაფილტრული წყალი“. „ნევმირებული“ ახლად შექმნილი ტერმინია, რაც ნიშნავს ნევმების (სანოტო ნიშნების) მქონეს. მაგალითად, „ნევმირებული ძლისპირნი“, რომლისთვისაც შეიძლება „მეხური (მე-10 საუკუნიდან ცნობილი ტერმინი) ძლისპირნიც“ გვეწოდებინა. „დეფორმირებული“ თარგმანია რუსული деформированный-სა, რაც ფორმა-მოშლილს ნიშნავს. ჩვეულებრივია აგრეთვე უახლეს ქართულ სალიტერატურო ენაში რედაქტირება, რეცენზირება და სხვა ამგვარი“ (შანიძე 1984: 7).

**პრესის მიმოხილვამ, ორენოვნების პრობლემის თვალსაზრისით, აჩვენა, რომ:**

1. ორენოვნების საკითხი საბჭოური იდეოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო. საბჭოთა კავშირში ერთიანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების შემდეგ საურთიერთო ენად ერთი - რუსული - ენა უნდა ჰქონოდათ.
2. საბჭოთა კავშირში გავრცელებული ორენოვნების თავისებურება ის იყო, რომ მეორე ენად აუცილებლად გულისხმობდა რუსულს და არა რომელიმე სხვა ენას; საბჭოთა ხელისუფლების მიზანი ეროვნულ-რუსული ორენოვნების მიღწევა იყო, რასაც საბოლოოდ ეროვნული ენის მთლიანად რუსულით ჩანაცვლება უნდა მოჰყოლოდა. ერთენოვნება გულისხმობდა ოფიციალურ ენად მხოლოდ რუსულის გამოყენებას. ეროვნულ ენას საოჯახო ფუნქცია და რჩებოდა, რისი მაგალითებიც საბჭოთა კავშირში უკვე იყო 80-იანი წლების ბოლოსთვის.
3. ორენოვნების გასავრცელებლად ხელისუფლება არაერთ ღონისძიებას მიმართავდა: წახალისებული იყო ორენოვნების პროპაგანდა, წარმოჩენილი იყო მისი მხოლოდ დადებითი მხარე როგორც უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან, ისე დაბალ ინსტანციებშიც. რუსული, ფაქტობრივად, ასრულებდა ოფიციალური ენის ფუნქციას მოკავშირე რესპუბლიკებში, მასვე მოიხსენიებდნენ „მეორე მშობლიურ ენად“; ხელოვნურად იქმნებოდა გარემო რუსული ენის გამოსაყენებლად, რუსული ენის (როგორც მეცნიერების, მაღალი კულტურის, განათლების... ენის) პრესტიჟს აღიარებდნენ უკლებლივ ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, განსაკუთრებული მზრუნველობის საგანი

იყო რუსული ენის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში კი არაერთ რესპუბლიკაში საგანთა უმრავლესობა რუსულ ენაზე იკითხებოდა ან სწავლება მთლიანად რუსულად მიმდინარეობდა. რუსულადვე იყო სწავლება ზოგიერთ საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებაში (დაწყებითი სწავლება (I-IV კლასები) - ეროვნულ ენაზე, ხოლო შემდგომი საფეხურები (V-XI კლასები) - რუსულ ენაზე. ასე იყო, მაგალითად, აფხაზეთის ასსრ-ში, სამხრეთ ოსეთის აო-ში).

4. რუსული ურთიერთობის ენა იყო როგორც მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ისე რესპუბლიკების შიგნით სხვადასხვა ეროვნებას შორის. იგი საერთაშორისო ენის ფუნქციით იყო აღჭურვილი.
5. მოკავშირე რესპუბლიკებში აცნობიერებდნენ იმ საფრთხეს, რომელიც ამგვარ ორენოვნებას შეიძლება მოჰყოლოდა. ეროვნულ-რუსული ბილინგვიზმი არ ითხოვდა რუსულის, როგორც მეორე ენის დაუფლებას მხოლოდ, მოვლენა უფრო შორსგამიზნული იყო, ეროვნულ ენებს (და მათთან ერთად კავშირში შემავალ ეროვნებებს) გაქრობის რეალური საშიშროება ემუქრებოდათ. ამიტომ 80-იანი წლების ბოლოსთვის ცალკეულ რესპუბლიკებში ცდილობდნენ შეწინააღმდეგებოდნენ პროცესს და როგორმე შეეჩერებინათ იგი: მოჰყავდათ კონტრარგუმენტები ორენოვნების მომხრეთა საპირისპიროდ უცხო ენაზე განათლების მიღების უარყოფითი შედეგების წინ წამოწევით, ყურადღებას ამახვილებდნენ მშობლიური ენის როლზე მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ცდილობდნენ ყოველივე დაესაბუთებინათ მეცნიერულად, არამარტო ადგილობრივი, არამედ საზღვარგარეთის, კვლევების საფუძველზე, ააშკარავებდნენ შერეული რუსულ-ეროვნული მეტყველების, ნახევარენოვნების, უენოვნობის შედეგებს, მოიხმობდნენ სტატისტიკურ მონაცემებს, რათა რეალური სურათის ჩვენებით წარმოეჩინათ ეროვნულ ენათა სავალალო მდგომარეობა.

## თავი IV

### სახელმწიფო ენის ფუნქციონირება განათლების სფეროში

თანამედროვე საქართველოს განათლების რეფორმების გატარება ე. წ. ევროინტეგრაციული პროცესების პარალელურად უხდება. ალბათ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ქართული ენისა და კულტურის პროპაგანდის ნაცვლად წინა პლანზე წამოიწია ე. წ. ევრო-ამერიკულმა საგანმანათლებლო პრიორიტეტებმა, რომელთა მარკირებაც სინამდვილეში თითქმის შეუძლებელია. მართლაც, ე. წ. ევრო-ამერიკული კულტურა და განათლება არ არსებობს, ამ ორ კონტინენტს ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული განათლების სისტემა აქვს. ობიექტურად რომ ვთქვათ, არც საქართველოსთვის დგას არჩევანის საკითხი: თუ ადრე ჩვენთვის საერთაშორისო საზოგადოებრიობის წევრობის ერთადერთ პირობად რუსული ენა მოიაზრებოდა, დღეს ასეთ აუცილებელ პირობად ინგლისურს სახავენ... ინგლისურ სასწავლებლებში ბავშვების შეყვანის სახელმწიფო დონეზე პროპაგანდირება (გავიხსენოთ, რომ ყველაზე უბრალო სამსახურის შოვნაც კი შეუძლებელია ინგლისურის გარეშე) ხშირად რუსულით „გატაცების“ ადრინდელ პრაქტიკასაც კი აჭარბებს.

80-იანი წლების პერიოდიკის მასალამ აჩვენა, რომ საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში ქართულს, ძირითადად, რუსული ენა ენაცვლებოდა, ხშირად კი იგი შეუცვლელიც იყო (მაგალითად, საკანონმდებლო აქტების, სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტის, დისერტაციებისა და თეზისების ენა მხოლოდ რუსულია).

1991 წელს საქართველო სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოდის და დამოუკიდებელი ქვეყნის ყველა ინსტიტუტის დაფუძნებას იწყებს. ამ მომენტიდან ქართულ ენას პირველად ეძლევა შესაძლებლობა სახელმწიფო ენის როლი რეალურად შეასრულოს, თუმცა ეს არც ისე იოლია, რამდენადაც ქვეყანას ამ დროისათვის უკვე ჰყავს ე. წ. რუსულენოვანი მოსახლეობა და რუსულად მომუშავე ორგანიზაცია-დაწესებულებები.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართველი საზოგადოება უკვე ინტენსიურად ფიქრობს დამოუკიდებლობაზე და ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, უფლებათა დაცვაზე (რასაც ბიძგი მისცა 1978 წლის 14 აპრილმაც). განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს სახელმწიფო ენის გამოყენების სპეციფიკა კულტურის, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის ფუნქციონირების დაუბრკოლებელი გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. ამ გზაზე კი განსაკუთრებით საშურია განათლების სისტემაში სწორი ენობრივი პოლიტიკის გატარება. საქართველოში საბჭოთა პერიოდში შესაძლებელი იყო მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, ამასთანავე, „რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა“ უფლება - მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე - ჩვენი ქვეყნის ყველა კონსტიტუციით იყო განსაზღვრული. ეს საკითხი განსაკუთრებით ხაზგასმულია 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის პროექტში. მე-14 თავის (რომელიც ეხება „ეროვნულ უმცირესობათა“ უფლებებს) 152-ე მუხლში ვკითხულობთ: „ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის დედა-ენაზე“ (საქართველოს კონსტიტუციის პროექტი 1989: 2). შესაბამისად, უკვე 80-იანი წლებისათვის რესპუბლიკის სკოლებში სწავლება წარმოებს რვა ენაზე - ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ესტონურ, ბერძნულ ენებზე (გუმბარიძე 1989: 1). ამას ჩვენს ქვეყანაში არსებული სკოლების ენობრივი სიჭრელეც ადასტურებს.

1978 წლის მონაცემებით, მთელ საქართველოში არსებობდა ქართული (2505), რუსული (252), აფხაზური (15), ოსური (39), სომხური (195), აზერბაიჯანული (171), ქართულ-რუსული (91), ქართულ-აფხაზური (1), ქართულ-სომხური (10), რუსულ-ქართული (31), რუსულ-აფხაზური (3), რუსულ-ოსური (1), რუსულ-აზერბაიჯანული (2), რუსულ-სომხური (7), აფხაზურ-ქართული (3), აფხაზურ-რუსული (55), ოსურ-ქართული (4), ოსურ-რუსული (54), სომხურ-ქართული (2), სომხურ-რუსული (3), აზერბაიჯანულ-ქართული (4), ქართულ-რუსულ-სომხური (2), აზერბაიჯანულ-რუსულ-სომხური (1), აფხაზურ-ქართულ-რუსული (3), აფხაზურ-რუსულ-ქართული (1), ოსურ-რუსულ-ქართული (3), ქართულ-ოსურ-რუსული (2), რუსულ-ქართულ-სომხური (2) სკოლები (საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი და კონტინგენტი 1980: 8). ცალკე დგას ე. წ. შერეული სკოლების საკითხი: საქართველოში საბჭოთა კავშირიდან „გადმოსული“ წესით არსებობდა ქართულ-

რუსული, სომხურ-ქართული და მსგავსი სკოლები, მაგრამ ტერმინი „შერეული სკოლა“ აღნიშნავდა არა საგანგებო სასწავლო პროგრამას, არამედ ერთ შენობაში განლაგებულ ორ ან სამ სასწავლებელს (ან კლასს), რომლებიც ჩვეულებრივი ერთენოვანი სკოლების სასწავლო პროგრამით მუშაობდნენ და არა რაიმე განსხვავებულით. ამდენად, შესაძლებელია ე. წ. შერეული სკოლების მითვლა შესაბამის ერთენოვან სკოლებთან (ტაბიძე 2005: 90). მიუხედავად ამისა, არაქართული მოსახლეობის უმრავლესობა და ქართველების დიდი ნაწილი განათლებას რუსულ სკოლაში იღებდა. თვალსაჩინოებისათვის თბილისის ერთი რაიონის მაგალითს დავასახელებთ:

ოქტომბრის რაიონში 1989 წელს 6 რუსული და 1 ქართულ-რუსული სკოლა იყო, რომელშიც 26 ეროვნების მოსწავლე სწავლობდა. ამ რაიონში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათაგან რუსულ სკოლებში სწავლობდა სომხების 88%, იეზიდების 80%, აზერბაიჯანელთა 98%, ქურთების 99%, ებრაელთა 85%, ოსების 48%, ასირიელთა 93%, უკრაინელების 94%, ბერძნების 73%. ის ერები, რომლებიც მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი, ასევე რუსულ სკოლებში სწავლობდნენ. რუსი ეროვნების ბავშვები რუსული სკოლის მოსწავლეების მხოლოდ 19.5%-ს შეადგენდნენ. ფაქტობრივად, რუსული საშუალო სკოლები არარუსი ბავშვებისათვის ფუნქციონირებდა. ეს პრობლემა ხშირად ქართულ მოსახლეობას უფრო შეეხებოდა, ვიდრე საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ უმცირესობათა წარმომადგენლებს. რუსი და ქართველი მოსწავლეების შეფარდებითი სტატისტიკა ასეთი იყო:

მე-3 სკოლა: 150 - ქართველი, 110 - რუსი,

მე-20: 147 - ქართველი, 106 - რუსი,

32-ე: 87 - ქართველი, 53 - რუსი,

37-ე: 238 - ქართველი, 117 - რუსი,

38-ე: 68 - ქართველი, 40 - რუსი,

მე-2: 86 - ქართველი, 377 - რუსი (ჭიპაშვილი 1989: 3).

ამდენად, რუსულ სკოლებში რუსი ეროვნების ბავშვები უმცირესობას წარმოადგენდნენ<sup>1</sup>. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე ქ. ზუგდიდი, სადაც

---

<sup>1</sup> „ზ. გამსახურდია საინტერესოდ აყენებდა საკითხს რუსული სკოლების არსებობის შესახებ. მისი აზრით, რუსული სკოლები უნდა ყოფილიყო იმდენი, რამდენიც დააკამყოფილებდა რუსულ მოსახლეობას და არა საქართველოში მაცხოვრებელ სხვა ეროვნულ უმცირესობებსაც“ (კვესელავა 2004: 189).



თხუთმეტი საშუალო სკოლიდან (8 ათასი მოსწავლე) ოთხი რუსული იყო, რომელშიც 1635 ბავშვი სწავლობდა, აქედან - 1251 ქართველი (კალანდია 1988: 10). „გარდაბნის რაიონში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 21 682-ია. რაიონის 27 ქართულ სკოლაში 7 657 მოსწავლეა, 15 აზერბაიჯანულ სკოლაში - 8 541, 9 რუსულ სკოლაში - 3 929, ხოლო 5 ქართულ-რუსულ სკოლაში - 1 565 (აქედან ქართველია 851)“ (ყავლაშვილი 1989: 3). გალის ერთ-ერთ ბაგა-ბაღში სულ 206 აღსაზრდელი იყო, აქედან 70 პროცენტი ყოფილა ქართველი, დანარჩენი კი რუსი, უკრაინელი, სომეხი, ბერძენი და ა. შ. (გამსახურდია 1989ბ: 3). ასევე წალენჯიხის რაიონის ქ. ჯვარში საბავშვო ბაღის 11 ჯგუფიდან მხოლოდ 2 იყო ქართული. რუსულ ჯგუფებში უმეტესობას ქართველი ბავშვები შეადგენდნენ, რუსულ საშუალო სკოლაში კი 52 პირველკლასელი მოსწავლიდან 36, ე. ი. ნახევარზე მეტი, ქართველი აღმოჩნდა (ბაქრაძე... 1988ბ: 3). ამ ვითარებას ქართველი მშობლები რუსული ენის „მაღალი პრესტიჟით“ ხსნიდნენ. სწავლების ენის არჩევისას ისინი პრაგმატული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ. სახელმწიფო მოწყობა მათ ქართული ენისა და ქართველობის უპერსპექტივობაში არწმუნებდა. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვა გაცილებით იოლი იყო, ამიტომაც „ქართველი მოსახლეობის მორალურად სუსტ ნაწილს საქართველოს ყველა რეგიონში სტიმული ექმნება, რომ შვილები არამშობლიურ სკოლაში შეიყვანოს“ (საქართველოს სახალხო ქარტია 1989: 3).

მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

1. რუსული სკოლის ერთ-ერთი ქართველი მოსწავლის მშობელი ასე მსჯელობს: „რუსულს მეტი უპირატესობა და გასაქანი აქვს. ინსტიტუტშიც რუსეთში ჩააბარებს. ჩვენ ბევრი ფული არა გვაქვს, იქ კი უფრო ადვილია მოხვედრა. ...ქართულს, როგორც ამჟამად ამბობენ, „ვიწრო“ სარბიელი აქვს, საქართველოს გარეთ არაფერში არ გამოგადგება. მე კი მირჩევნია, ჩემი შვილი რომელიმე კარგ სასწავლებელში ჩაირიცხოს, იქ დამთავრებულესაც მეტი უპირატესობა გააჩნიათ, მეტი ცოდნა და ერუდიცია აქვთ“ (ვის უხმობს ზარი?... 1988: 3).

2. მეორე მშობლის შეხედულებაა: „მე თუ მკითხავთ, მაინცდამაინც აუცილებელი არაა ქართველი ბავშვი, გინდა თუ არა, ქართულ სკოლაში სწავლობდეს. ის მშობლიურ ენას მაინც არ დაივიწყებს. ყველა ადამიანს, ყველა ოჯახსა და მშობელს რაღაც მიზანი აქვს ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, ჩვენი შვილიც რუსულ სკოლაში მიგვყავს. როცა

ბავშვი ქართულ სკოლაშია, სხვა ენებს დიდ ყურადღებას არ აქცევს, უფრო ქართულისკენ აქვს მიპყრობილი გულისყური. აღნიშნულის გათვალისწინებით, მე მიზანშეწონილად მიმაჩნია შვილების რუსულ სკოლაში წაყვანა. ...საქმეს ასე აწყობს და ჩემი გადაწყვეტილებაც ...უდავო და მტკიცეა“ (ვის უხმობს ზარი?.. 1988: 3).

ქართველი საზოგადო მოღვაწეები მოითხოვენ სახელმწიფომ დაიცვას ბავშვის უფლება - მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე: „სახელმწიფომ, თავისი კანონით, დაიცვას ჩვენი ქვეყნის მომავალი, მისი ნამდვილი სახე ყოველგვარი უნებლიე თუ შეგნებული ძალადობისა და ფალსიფიკაციისაგან, დაიცვას ბავშვი, თუნდაც საკუთარი მშობლებისაგან“, - წერს თამაზ ჭილაძე და გვთავაზობს დაწესდეს - განსაკუთრებით, ზოგიერთ მცირერიცხოვან რესპუბლიკაში - ბავშვის დედაენაზე აუცილებელი სწავლების სტატუსი (ჭილაძე 1989: 5). ამ აზრს სხვებიც იზიარებენ: „ერთმა უჭკუომ რომ თქვას, მშობლიური ენის არჩევანი პიროვნების პრეროგატივააო, ათასმა ჭკვიანმა უნდა უთხრას, რომ ის პიროვნების კი არა, სახელმწიფოს პრეროგატივაა“ (ფაცაცია 1989: 3).

მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, მართლაც, რომ საფრთხის ქვეშ იდგა. 1976 წელს საქართველოს განათლების მინისტრი წერდა: „ზუგდიდის სასოფლო სკოლა-ინტერნატში ...უკვე მე-5 კლასიდან ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზკულტურის გაკვეთილები რუსულ ენაზე ტარდება“ (ჯაფარიძე 1988: 5). აფხაზეთის ასსრ-ში „...მეხუთე კლასიდან დაწყებული ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლება“ (თოფურია 1989ბ: 11). მსგავსი ვითარება იყო სამხრეთ ოსეთის აო-ის სკოლებში.

რუსული ენა თანდათანობით უნდა დამკვიდრებულიყო იმ უმაღლეს სასწავლებლებშიც, რომლებშიც სწავლება მშობლიურ ენაზე იყო. 70-იან წლებში შეიქმნა ოფიციალური დოკუმენტი - „თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალისტური ვალდებულებანი 1976 წლისათვის“. ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „...პრაქტიკაში დაინერგება რიგი დისციპლინების წაკითხვა რუსულ ენაზე, რისთვისაც განზრახულია წამყვანი სპეციალისტების პერიოდული მოწვევა“ (ჯაფარიძე 1988: 5). ქართველი ინტელიგენციის ნაწილმა საჭიროდ ჩათვალა საქართველოს ხელისუფლებისთვის მიემართა. ე. შევარდნაძესთან გამართულ შეხვედრაზე პრინციპულად გმობდნენ ცენტრის ამ გადაწყვეტილებას (მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, ვ. ბერიძე, შ. ლომსაძე, გრ. აბაშიძე, ნ. დუმბაძე, შ. ნიშნიანიძე, მ. მაჭავარიანი...). პროფ. მარიამ

ლორთქიფანიძე იხსენებს, როგორ ცდილობდნენ უნივერსიტეტში საგნების რუსულ ენაზე კითხვა დაენერგათ: „სასწავლო ნაწილის გამგეს მარია პირველს დაევალა კათედრის გამგეებთან მისვლა და „სხვათა შორის“ თქმა იმისა, რომ თუ შეიძლება კათედრამ მომავალი წლიდან ერთი-ორი საგანი წაიკითხოს რუსულად... რექტორთან შესვლა გადაწყვიტე. რექტორთან შევედი და ახსნა-განმარტება მოვითხოვე. მან მითხრა, მოსკოვიდან ბრძანება არის მოსული, რომ ყველა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც სწავლება ეროვნულ ენაზე მიმდინარეობს (ასეთი კი საბჭოთა კავშირში მხოლოდ თბილისსა და ერევანში იყო), რამდენიმე საგანი რუსულ ენაზე უნდა წაიკითხოთო. რექტორს ვთხოვე, ბრძანების ფურცელი ეჩვენებინა ჩემთვის. რა თქმა უნდა, ვერ მაჩვენებდა, რადგან ასეთი ბრძანებები ოფიციალურად არ იწერებოდა (დედა ენის დღე უნივერსიტეტში 2009: 4). აღნიშნული დებულება არ შესრულებულა უმაღლეს სასწავლებელთა პროფესურის წინააღმდეგობის გამო. ანალოგიური პროტესტების ხმა სხვა რესპუბლიკებშიც გაისმა. მოსკოვი დათმობაზე წავიდა. აღნიშნული დოკუმენტი უკან გაიტანეს, რითაც თავიდან იქნა აცილებული საზოგადოების მღელვარება. ამავე პერიოდში იგეგმებოდა ეროვნული სკოლების მაღალ კლასებში ზოგიერთი საგნის რუსულ ენაზე სწავლების დაწესება. თუმცა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ შეძლო დაემუხრუჭებინა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროზე გასატანი ეს საკითხი (კვესელავა 2004: 154).

1987 წლის ბოლოს, საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა მოსკოვიდან მიიღეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის ამხანაგ ელიუტინის ბრძანება, რომლის თანახმადაც, უმაღლესი სკოლის ყველა სახელმძღვანელო მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა დაწერილიყო და გამოქვეყნებულიყო, ან სათანადო რეცენზირების შემდეგ საკავშირო უწყებას უნდა გაეცა ეროვნულ, ე. ი. არარუსულ ენაზე მისი გამოცემის უფლება. ამ ბრძანების ძალით, წარმოებიდან ამოიღეს ქართველი მეცნიერების მიერ შედგენილი ბევრი ორიგინალური სახელმძღვანელო.

რუსული ენა სამეცნიერო სფეროშიც უპირატეს ადგილს იკავებდა. 70-იანი წლების შუა ხანებში სსრკ BAK-ის დებულებით დისერტაციები მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა შესრულებულიყო. „1975 წლამდე დისერტაცია შეიძლებოდა გაგზავნილიყო ვაკში ქართულადაც, ხოლო 1975 წლიდან - მხოლოდ რუსულად“ (გოგოლაშვილი 2008: 113). დისერტაციის დაცვა მშობლიურ ენაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ

ამის ნებას დართავდნენ სამეცნიერო საბჭო და ოპონენტები. „რაც შეეხება თვით დისერტაციას, თუნდაც ის ქართული ზმნის ან ზედსართავი სახელის თავისებურებას შეეხებოდეს, ავტორეფერატს, სხდომის სტენოგრამას და სხვა საბუთებს, ყოველივე ეს მხოლოდ რუსულად უნდა იქნას შედგენილი“ (ჯაფარიძე 1988: 5).

პრესაში ხშირად მიუთითებდნენ, რომ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო XX საუკუნის დასაწყისში, საუკუნის დასასრულს კი ვითარება საგრძნობლად შეიცვალა: „ქართული ენის სათანადო დონეზე ფუნქციონირების, მისი სწავლებისა და მეცნიერული შესწავლის საკითხები ურთიერთდაკავშირებულია და რომელიმე რგოლის გაწყვეტა მთლიანად სისტემის რღვევას გამოიწვევს. როგორ უნდა მოვთხოვოთ მათემატიკის, ფიზიკის, ტექნიკური დარგების სპეციალისტებს ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვა, როცა მათთან შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რათა ხმარებიდან სრულიად განდევნილიყო ქართული ენა. უნივერსიტეტის დაარსებიდან 40-იანი წლების ბოლომდე ჩვენ გვექონდა ჭეშმარიტად ეროვნული მეცნიერება - არა მარტო გვარების მიხედვით, არამედ ქართული ტერმინოლოგიით, გამართული, დახვეწილი ენით; ამჟამად კი სრულიად სხვაგვარი ვითარებაა. რასაკვირველია, უარსაყოფი არ არის პიროვნული ფაქტორიც, მაგრამ ყველა იმ პიროვნებას, რომელიც დაუდევრად ეკიდება ქართულის ხმარების საკითხს (მას ურჩევნია, დაწეროს და გამოაქვეყნოს სტატიები არა ქართულ, არამედ რუსულ ენაზე), ექმნება ხელშემწყობი პირობები, შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად უგულვებელყოს მშობლიური ენა. ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს უმაღლესი საატესტაციო კომისიის არსებობა. უმაღლესი საატესტაციო კომისია მოითხოვს ყველა სადისერტაციო ნაშრომის რუსულ ენაზე თარგმნას და მას შეუძლია არ მიიღოს დისერტანტის რესპუბლიკაში უკვე დამტკიცებული ნამუშევარი. ნუთუ საქართველოს სს რესპუბლიკაში ნდობით არ სარგებლობენ სპეციალისტები, რომლებიც განიხილავენ დისერტაციის მეცნიერულ დონეს? ეს სრულიად გაუგებარია. საკითხი სასწრაფო გადაჭრას მოითხოვს“ (გაბუნია... 1988: 3).

უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამაც მოსკოვში უნდა დაემტკიცებინათ. მაგალითად, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება მოსკოვში დამტკიცებული სასწავლო პროგრამით მუშაობდა. რუსეთისა და რუსული ენის პრიორიტეტულობა მთელ საბჭოთა კავშირში

აშკარა იყო: „ხშირად რჩება შთაბეჭდილება, რომ ბევრი რამ, რასაც საერთო-საკავშირო ჰქვია, სინამდვილეში რუსულთან არის გაიგივებული... ამის მაგალითია ის, რომ არ არსებობს რუსეთის კომუნისტური პარტია, მეცნიერებათა აკადემია... თუ ნამდვილი დემოკრატიის გზას ვადგავართ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება: რომელიმე რესპუბლიკის პრიორიტეტი სამართლებრივი ან პოლიტიკური თვალსაზრისით დაუშვებელია იმ სახელმწიფოში, რომელსაც თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების კავშირი ჰქვია. უძრავობის პერიოდში „ცენტრიდან“ ზედდაწოლის ტენდენცია ლამის კანონზომიერებად იქცა“ (საქართველო აღდგა! 1989: 3).

პროფ. გ. გოგოლაშვილი მიმოიხილავს საუნივერსიტეტო გამოცემებს. უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ სამეცნიერო ორგანოების ენა ძირითადად ქართულია, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების პირობებში „გაიზარდა რუსული ენის როლი სამეცნიერო ცხოვრებაში. მომრავლდა რუსულად გამოქვეყნებული ნაშრომები პერიოდულ გამოცემებში“ (გოგოლაშვილი 2008: 104).

მკვლევრის მონაცემებით, 60-იან წლებამდე სტატიები ძირითადად ქართულენოვანია, ხოლო 60-იანი წლებიდან „ქართულ ენას ფაქტობრივ გაუთანაბრეს რუსული ენა. ...ჭარბობს რუსულენოვანი სტატიები. ქართულენოვანი ძირითადად ჰუმანიტარულ (ქართველოლოგიურ) დარგებშია“ (გოგოლაშვილი 2008: 113).

თბილისის სახ. სამედიცინო ინ-ტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო ქართული უმაღლესი სასწავლებლის ქართული ფაკულტეტების სტუდენტებს სამეცნიერო ნაშრომთა თეზისების წარდგენას რუსულ ენაზე სთხოვდა. „ინ-ტის პრორექტორის განმარტებით, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სსრკ 70-ზე მეტი ქალაქის სამედიცინო ინ-ტის წარმომადგენელი, რამაც განაპირობა მოხსენებათა თეზისების რუსულ ენაზე დასტამბვის აუცილებლობა“ (ღვინჯილია 1988დ: 3).

მსგავსი პრობლემა არც დღევანდელი საზოგადოებისათვის არის უცხო, იმ განსხვავებით, რომ რუსულ ენას ინგლისური ჩაენაცვლა, რუსეთის უმაღლეს სკოლებს კი - საზღვარგარეთის პრესტიჟული (ან ფსევდოპრესტიჟული) სკოლები და თუ მაშინ ეროვნულ-რუსული ორენოვნება აღიქმებოდა იძულებით, თავსმოხვეულ მოვლენად, დღეს მას ეროვნულ-ინგლისური ორენოვნება ანაცვლებს. თბილისში უკვე გაჩნდა ინგლისურენოვანი სასწავლებლები, მაგალითად, კავკასიის ბიზნესსკოლა, სადაც სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს; ამერიკული აკადემია თბილისში - სწავლება

ინგლისურ ენაზე (მიიღებინან ცხრაკლასდამთავრებული მოსწავლეები); შავი ზღვის უნივერსიტეტი - სწავლება ინგლისურ ენაზე; ამერიკის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი - სწავლება ინგლისურ ენაზე; კავკასიის უნივერსიტეტი - სწავლება ინგლისურ და ქართულ ენებზე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი - სწავლება ასევე ინგლისურ და ქართულ ენებზე (ქართულად მხოლოდ ორი საგანი); ამ ორ უკანასკნელ სასწავლებელში მაგისტრატურა მხოლოდ ინგლისურ ენაზეა. გვხვდება გერმანულენოვანი და ფრანგულენოვანი სასწავლებლებიც, მაგალითად, ფრანგული ლიცეუმი, რომელშიც სწავლება მიმდინარეობს როგორც ქართულ, ისე ფრანგულ ენებზე; კავკასიის ფრანგული სკოლა - სწავლება ფრანგულ ენაზე; გოეთეს ინსტიტუტი - სწავლება გერმანულ ენაზე.

საქართველოში არაქართული სასწავლებლების მომრავლება სულ მოკლე ხანში საქართველოს ქართულად განათლებამიღებული თაობის გარეშე დატოვებას უქადის.

თავის დროზე ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს შორის ცხარე კამათი (და კონფლიქტიც) გამოიწვია ქართული უნივერსიტეტის გახსნის ნაცვლად ნიკო მარის მიერ მთელი ამიერკავკასიისათვის ერთი რუსული უნივერსიტეტის გახსნის შემოთავაზებამ. კიდევ უფრო ადრე ილია ჭავჭავაძემ დაასაბუთა, რომ ქართველ ერს ქომაგი ესაჭიროებოდა ქართულად განსწავლული ინტელიგენციის სახით. ე. თაყაიშვილის მოგონებიდან: „როდესაც ამერიკის წარმომადგენელმა მიიწვია პეტრე [მელიქიშვილი] უნივერსიტეტის საქმეების საინფორმაციოდ და მოისმინა მდგომარეობა უნივერსიტეტისა, თურმე შენიშნა: არ ემჯობინებოდა რუსული უნივერსიტეტი გაგეხსნათ ქართულის მაგიერ, თქვენ, ალბათ, ქართულის ძალების ნაკლებობას განიცდით, მეცნიერება ხომ ინტერნაციონალურია, სულ ერთია რომელ ენაზედაც შეითვისებთ მეცნიერებასო. კ. მელიქიშვილმა უპასუხა: დიახ, მეცნიერება ინტერნაციონალურია და ამიტომაც ყველა ხალხს თავის ენაზე უნდა ჰქონდეს შეთვისებულიო“ (დაბრუნება 1991: 13).

ასე რომ, ამ საკითხებზე, წესით, დღეს სჯა-ბაასის გამართვა არც უნდა იყოს საჭირო. მით უფრო, რომ უცხო ენათა ხარისხიანად შესწავლა კარგად აწყობილმა განათლების სისტემამ უნდა მოახერხოს. ამის პრაქტიკა ჩვენში დიდი ხანია არსებობს: საქართველოს სკოლებში ჩვეულებრივია უცხო ენათა გაღრმავებული სწავლება. საქართველოში 255 სკოლაა, სადაც გაღრმავებულად ისწავლება ინგლისური ენა;

77 სკოლაში - გერმანული;

35 სკოლაში - ფრანგული;

43 სკოლაში - რუსული.

აქედან თბილისში ასეთი ვითარებაა: 138 სკოლაში - ინგლისური, 36-ში - გერმანული, 13-ში - რუსული, 8-ში - ფრანგული, 1 სკოლაში - უკრაინული, 1-ში - ესპანური, 1-ში - იტალიური, 1-ში - ბერძნული, 1-ში - პოლონური, 1-ში - თურქული, 1-ში - სპარსული, 1-ში - არაბული, 1-ში - ებრაული.

ეთნიკურ უმცირესობათათვის დღესაც არსებობს:

23 რუსული სკოლა (6 - თბილისში, 4 - სამცხე-ჯავახეთში, 8 - ქვემო ქართლში, 2 - კახეთში, 3 - მცხეთა-მთიანეთში);

123 სომხური (2 - თბილისში, 99 - სამცხე-ჯავახეთში, 22 - ქვემო ქართლში);

94 აზერბაიჯანული (91 - ქვემო ქართლში, 3 - კახეთში);

1 უკრაინული სკოლა.

ფუნქციონირებს შერეული სკოლებიც:

152 რუსული (65 - თბილისში, 12 - სამცხე-ჯავახეთში, 28 - ქვემო ქართლში, 2 - შიდა ქართლში, 12 - კახეთში, 5 - სამეგრელო-ზემო სვანეთში, 4 - მცხეთა-მთიანეთში, 7 - იმერეთში, 3 - გურიაში, 13 - აჭარაში, 1 - აფხაზეთის სკოლა);

142 სომხური (7 - თბილისში, 107 - სამცხე-ჯავახეთში, 26 - ქვემო ქართლში, 1-კახეთში, 1 - აჭარაში);

120 აზერბაიჯანული (1 - თბილისში, 109 - ქვემო ქართლში, 10 - კახეთში);

3 ოსური სკოლა - კახეთში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემები).

განათლების სფეროში სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შესწავლამ გამოავლინა შემდეგი თავისებურებები: ა) საბჭოთა კავშირში კონსტიტუციურად აღიარებული იყო მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკებში იხსნებოდა სკოლები უმცირესობათა ენებზე სწავლებით (მაგალითად, საქართველოში, როგორც უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, საშუალო განათლებას იღებდნენ რვა ენაზე); ბ) მიუხედავად იმისა, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყო მშობლიურ ენაზე სწავლება, განათლების ენად საბჭოთა მოსახლეობა ხშირად რუსულს

ირჩევდა, ვინაიდან მისი ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო პროფესიული წინსვლა და განვითარება; გ) გათვალისწინებული არ იყო ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, განსაკუთრებული მნიშვნელობა არაქართულ სკოლებში; დ) საგნები არაერთ საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებელში რუსულად ისწავლებოდა; ე) სპეციალისტები, ინტელიგენცია ცდილობენ გააფრთხილონ საზოგადოება უცხო ენაზე სწავლების უარყოფითი შედეგების თაობაზე და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აუცილებლობას შეახსენებენ მას; დ) თუმცა, ჩანს, საზოგადოებას უჭირს წარსული შეცდომების გაანალიზება და გათვალისწინება და ზოგ შემთხვევაში ვითარება უარესდება კიდევ - თანამედროვე პირობებში რუსულს ინგლისური ჩაენაცვლა, უცხო ენის სწავლება პირველივე კლასიდან იწყება (მაშინ როცა საბჭოთა კავშირში, ბოლო ათწლეულში მაინც მეორე ენის სწავლება მეორე კლასიდან იწყებოდა), უცხოენოვანი ბავშვი და სასწავლებელი არც დღეს არის უცხო და რაოდენობის მიხედვით აღემატება კიდევ საბჭოთადროინდელ დაწესებულებებს.



## თავი V

### ტოპონიმთა ცვლის თავისებურებანი XX საუკუნის 80-იანი

#### წლების პერიოდიკის მიხედვით

80-იანი წლების მიწურულს საბჭოთა კავშირის ერებისათვის დემოკრატიზაციისა და საჯაროობის დევიზით ახლებურად დაისვა ეროვნულ-კულტურული თვითგამორკვევის საკითხი. ამ დროს მედიაში ტოპონიმებთან დაკავშირებით არა მარტო ახალი პრობლემები წამოიჭრა, არამედ ამ თემას წარსულში, და უახლოეს წარსულშიც, ახლებური შეფასება მიეცა. უკვე დაუფარავად საუბრობდნენ საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტისა და მისი თანმხლები უფლებების აღდგენის შესახებ. ერთ-ერთი აქტუალური თემა სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტისათვის ისტორიული ტოპონიმების დაბრუნებაც იყო. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ტოპონიმების: ქუჩების, ქალაქების, ხშირად ქვეყნების სახელწოდებათა, ცვალებადობა რეჟიმთა ცვლის პროპორციულია, მაგალითად, ლენინგრადი - სანქტ-პეტერბურგი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ „მოლდავია“ „მოლდოვა“ გახდა, ჩეჩნეთი - იჩქერია; სტალინის სიცოცხლეში 1931 წ. ქ. ცხინვალს სტალინირი ეწოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი, 1961 წ., ისევ ძველი სახელწოდება, ცხინვალი, დაუბრუნდა<sup>1</sup>.

80-იანი წლების ბოლოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა საკითხი განსაკუთრებით გამწვავდა თვითონ რუსეთში. რუსული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა მოთხოვნები ისტორიული სახელწოდებების აღდგენის თაობაზე, მაგალითად, კალინინის ნაცვლად - ტვერის, კუიბიშევის ნაცვლად - სამარას, ჟდანოვის ნაცვლად - მარიუპოლის, გორკის

---

<sup>1</sup> ამგვარი ცვლილების კარგი მაგალითია თავისუფლების მოედნის სახელების ისტორია: ერევანსკის მოედანი (რუსეთის იმპერიის მმართველობისას) → თავისუფლების მოედანი (მენშევიკების მმართველობა) → ზაკვედერაციის მოედანი (ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობისას) → ლენინის (მოკლე ხნით ბერიას) მოედანი (გასაბჭოების შემდეგ) → დაბოლოს, კვლავ თავისუფლების მოედანი (1990 წ.-დან, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ).

ნაცვლად - ნიჟნი ნოვგოროდის, კიროვის ნაცვლად - ვიატკას, კიროვაბადის ნაცვლად - განჯისა და სხვ. (ლიხაჩოვი... 1988: 3).

ძველი სახელწოდებების აღდგენის თაობაზე სსრკ უმაღლესი ორგანოების წინაშე საკითხი წამოჭრეს აკადემიკოსებმა: დ. ლიხაჩოვმა, თ. გამყრელიძემ და პროფესორმა ვ. ნეროზნაკმა. მეცნიერები ითხოვდნენ ტოპონიმების სამართლებრივ დაცვას სახელმწიფოს მხრიდან; სახელმწიფოს უნდა ეღიარებინა ისტორიული გეოგრაფიული სახელწოდებანი (ქალაქების, დასახლებების, ქუჩების, მოედნების, ნაკვეთების, მთების, მდინარეების და ა. შ.) ისტორიისა და კულტურის ძეგლებად, რამდენადაც ისინი მოწმობდნენ ენის კონკრეტულ მდგომარეობას ამა თუ იმ ეპოქაში; მოითხოვდნენ გეოგრაფიულ სახელწოდებათა „წითელი წიგნის“ შექმნასაც: „ტოპონიმიკაში, ანუ ადგილის აღმნიშვნელ სახელებში - ქალაქის, სოფლის, დასახლებული პუნქტების, მთებისა თუ ლანდშაფტის სხვა ობიექტების სახელწოდებებში - აღბეჭდილია სათანადო ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ისტორია და კულტურა, მისი წარსულის დამახასიათებელი თავისებურებანი. ხშირად ასეთი სახელები მშობლიური ენის ისტორიული სინამდვილეა, ენობრივი განვითარების ამა თუ იმ ეპოქის ამსახველი. ...გეოგრაფიულ სახელწოდებათა შეცვლა იწვევს ისტორიული ინფორმაციის დაკარგვას, ხოლო ამგვარ სახელთა მასობრივი გადაკეთება - სათანადო ხალხის ისტორიულ-კულტურული მეცნიერების მოშლას და ეროვნული თვითშეგნების ხელყოფას“ (გამყრელიძე 1988: 4).

ეს კარგად უწყოდნენ იმპერიული ხელისუფლების წარმომადგენლებმაც. ტოპონიმთა ცვლილებაც, რასაკვირველია, მიზანმიმართული კამპანია იყო და საბჭოთა პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, იდენტური გეოგრაფიული სახელწოდებების გავრცელებას, მათ „გაერთფეროვნებას“ ხელი უნდა შეეწყო ეროვნული ნაირგვარობის წაშლისა და ერთიანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებისათვის. „ადვილად გავწირეთ ისტორიულ-კულტურულად და ენობრივად მრავლისმთქმელი, შესანიშნავი და დიდებული ტოპონიმები და მათ ნაცვლად ე. წ. „ეპოქის შესაფერისი“ თუ „იდურობით დატვირთული“ სახელწოდებანი შემოვიღეთ (თუმცა ხალხის მეტყველებიდან ძველი მაინც ვერ ამოვპირკვეთ!). საოცარი პრიმიტიულობა, ენობრივი სიღარიბე და უგემოვნება (ყველა ერთად!) გამოვიჩინეთ ძველი ტოპონიმების გადანათვლისა თუ ახალი საცხოვრებელი პუნქტებისათვის

სახელების შერჩევა-მიკუთვნებისას. ამის დამადასტურებელია საქართველოში დღეს თუნდაც 24 ახალი სოფლის, 13 ახალშენის და „შრომის ჰეროიკით“ გაჟღენთილი კიდევ სხვა ერთგვაროვან სახელიანი სოფლების არსებობა“, - შენიშნავდნენ პრესაში (სურგულაძე 1988: 5).

ამგვარ „იდეურ“ სახელწოდებათა ვარიანტები იყო: კავშირი, წინსვლა, შეერთება, საბჭოთა ჩაი, სოციალისტური სოფელი და მრავალი სხვა. ქართული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებებშიც ტოპონიმები გავრცობილი იყო სოციალურ-პოლიტიკური პოზიციის ამსახველი სიმბოლოებით: „წითელი ქართლი“, „წითელი კახეთი“, „განახლებული მესხეთი“, „საბჭოთა აფხაზეთი“, „საბჭოთა აჭარა“, „საბჭოთა ოსეთი“ და სხვ. (ტაბიძე 1989: 342).

გაზეთ „იზვესტიაში“ აღნიშნავდნენ, რომ მთელ საბჭოთა კავშირში 80-ზე მეტ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტს ეწოდა კალინინის სახელი, 70-ზე მეტს - კიროვის, 30-ზე მეტს - ორჯონიკიძის და ა. შ. საქართველოში 8 სოფელს ოქტომბერი ერქვა, 6-ს - განთიადი, 6 განახლება იყო, 5 - კიროვი, 5 - წითელსოფელი, 3 - პირველი მაისი, 3 - ჩაისუბანი. სხვადასხვა ინტერპრეტაციით გვხვდებოდა: ლენინგორი, ლენინისი, ლენინო, ლენინოვკა, ულიანოვკა, ქვედა ულიანოვკა, კალინინი, კალინინო, კიროვი, კიროვისი... „თბილისში იყო პლენანოვის პროსპექტი, პლენანოვის სახელობის ბიბლიოთეკა და, მგონი, პლენანოვის სახელობის კლუბიც და ბაღიც“ (კეკელიძე 1988: 14). „მანც ყველაზე მეტად ორჯონიკიძის სახელობისა ყოფილა საქართველო: ორჯონიკიძის რაიონი, ორჯონიკიძის ქალაქი, ორჯონიკიძის დაბა, ორჯონიკიძის სკოლა, ორჯონიკიძის თეატრი...“ (სანიკიძე 1988: 6)

საკავშირო კულტურის ფონდის ტოპონიმის საბჭოს თავმჯდომარემ ვ. პ. ნეროზნაკმა ერთ-ერთ ინტერვიუში სახელწოდებათა სისტემა განსაზღვრა როგორც საკულტო მოდელი, მაგალითად სვერდლოვის, კუიბიშევის, კალინინის, ძერჟინსკის და სხვ. რაიონები. მეცნიერის აზრით, ეს სახელები ვერ ასრულებდნენ თავიანთ ტოპონიმურ ფუნქციას - ყოფილიყვნენ ამა თუ იმ ადგილის ზუსტი აღმნიშვნელი და იქვე მიუთითებდა, რომ ეს არც იყო აუცილებელი. ტოპონიმებს სულ სხვა ფუნქცია ეკისრებოდა (კვესელავა 1988: 3).

ქართულ პრესაში მწვავედ დაისმის ტოპონიმთა „დაბრუნების“ საკითხი. ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩართული ჯგუფები ითხოვენ ტოპონიმთა საკითხის

შესწავლას მეცნიერულად და ძველი სახელწოდებების აღდგენას: „მეცნიერულ დონეზე იქნეს შესწავლილი საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ (ისტორიული საქართველოს) ადრეული და დღევანდელი გეოგრაფიული სახელწოდებანი. გამოიცეს ქართულ ტოპონიმთა ლექსიკონი სათანადო კომენტარებით. აღდგეს ისტორიული და ტოპონიმური სახელწოდებანი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (სახალხო ფრონტის რწმუნებულთა საბჭო 1989: 2).

ადმინისტრაციულ ერთეულთა სახელწოდებების, ასე ვთქვათ, ადმინისტრაციულ ტოპონიმთა, მიზანმიმართული ცვლა საქართველოში XIX საუკუნიდანვე დაიწყო, როდესაც რუსულ სამაზრო დაყოფას ქართულ სახელწოდებათა მეტ-ნაკლები ცვლილებებიც ახლდა (მაგალითად, სახელწოდება „საქართველო“ შეცვალა ახალმა დასახელებებმა: ტიფლისის გუბერნია და ქუთაისის გუბერნია). ცნობილია, რომ ცარიზმის ბატონობის დროს ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები ძირითადად იცვლებოდა რუსეთის სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა სახელებით ან რუსეთის არმიის გენერალთა გვარებით, აგრეთვე სხვაგვარად მოტივირებული რუსული სახელებით (გვანცელაძე 2000: 45). ასე გაჩნდა საქართველოში, ძირითადად აფხაზეთის ტერიტორიაზე: ანდრეევკა, ანასტასიევკა, ეკატერინოვკა, ოლგინსკოე, კონსტანტინოვკა, მიხაილოვკა, ერმოლოვსკი, პილენკოვო, ტატიანოვკა (გარდაბნის რ.) და ა. შ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს სახელები საბჭოური და სხვა სახის ტოპონიმებით შეცვალეს: ტატიანოვკა - კალინინო, ანდრეევკა - ახალშენი, ანასტასიევკა - განახლება, ოლგინსკოე - ოქტომბერი, მიხაილოვკა - შრომა, პილენკოვო - განთიადი...

ამგვარი „ტოპონიმური აგრესია“ საქართველოს მანამდეც განუცდია. რუსეთი რომ გამონაკლისი არ იყო, ჩანს თუნდაც თურქეთის საქართველოს ტოპონიმებშიც. როგორც ცნობილია, ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ მას „გურჯისტანის ვილაიეთი“ უწოდა და მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად: ლივებად, სანჯაყებად და ნაპიებად დაყო. თურქების კვალი აისახა მიკროტოპონიმიაშიც.

ტოპონიმის ცვლის არნახული მასშტაბები მაინც გასაბჭოების შემდგომ პერიოდზე მოდის. სახელწოდებები იცვლებოდა სტიქიურად, ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე, ძირითადად რევოლუციონერთა გვარ-სახელებითა და ე. წ. „მიძღვნითი ტოპონიმებით“ (როგორცაა: შრომა, ოქტომბერი და სხვ.). ტოპონიმთა

ცვლა რუსეთის ენობრივი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო, ერთ-ერთი მიზანი კი - საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ეთნოსების ავტოქტონობის დამტკიცებისათვის ხელის შეწყობა. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ინტერნაციონალიზაციას (რაც საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა ერთმანეთში შერევას, გათქვეფას ითვალისწინებდა), სხვა ღონისძიებებთან ერთად, ეს პროცესიც უწყობდა ხელს. ტოპონიმთა ცვლა ერთ-ერთი მძლავრი საშუალება იყო ყოველივე ეროვნულის წასაშლელად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრი ისტორიული გეოგრაფიული სახელწოდება გაუქმდა. ძირითადად, ისინი რევოლუციონერთა **სახელებითა(!)** და გვარებით შეცვალეს, მაგალითად, **ოქონას** (ისტორიული **ტყისუბანი**) რევოლუციონერ ზნაურ აიდაროვის პატივსაცემად **ზნაური** უწოდეს, **გიორგიწმინდას**, ისაკ ხარებოვის სახელის მიხედვით - **ისაკყაუ**, **ხონი წულუკიძე** გახდა, **სენაკი - ცხაკაია**, **შულავერი - შაუმიანი** და ა. შ.

რამდენადაც ცნობილია, საბჭოური დიქტატი განსაკუთრებით რელიგიას, მეტადრე, ქრისტიანობას შეეხო. ებრძოდნენ ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ტოპონიმებს (ამ გზით ეროვნულ მემკვიდრეობასაც შლიდნენ და რწმენასაც ანადგურებდნენ). ასე გახდა **ქრისტესი - ანკარა**, **მრავალძალი - მთისკალთა**, **გიორგიწმინდა - განთიადი**, **მონასტერი - ლარგვისი**, **უფალკარი - შრომისკარი**, **მანცხვარკარი - განათლებისკარი**, **ყულიშკარი (ყული ხატის სახელია) - ორჯონიკიძე...**

თავადაზნაურობას არა მარტო გასახლებითა და სხვადასხვა რეპრესიული ღონისძიებით დევნიდნენ, არამედ მათ სახსენებელსაც შლიდნენ. ცვლიდნენ არისტოკრატთა გვარ-სახელებთან დაკავშირებულ ადგილთა სახელებს: **ვაჩნაძიანი - შრომა**, სოფელ **საგურამოს** რამდენიმე წლის განმავლობაში არაოფიციალურად **არაგვიანი** რქმევია, რაც ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით მოხუცებს, კარგად ხსომებიათ. ამ უკანასკნელთ ისიც კარგად სცოდნიათ, რომ ეს დადგენილებები თუ მითითებები „ზევიდან“ მოდიოდა და ძალით ახვევდნენ თავს (სახლთხუციშვილი 1989: 3).

1934 წელს სამხრეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტმა გამოსცა ბროშურა „სამხრეთ ოსეთის დასახლებული პუნქტების, მდინარეების და მთების ახალი სახელწოდებები“, რომელშიც პირდაპირ

მიუთითებდნენ, რომ „ჩვენს გეოგრაფიულ სახელწოდებებში ბევრია ისეთი, რომლებიც შერქმეულია ფეოდალებისა და რელიგიური ადათ-წესების პატივსაცემად და აღსანიშნავად. ყველა ეს სახელწოდება უნდა შეიცვალოს, ანდა შესწორდეს“ (ცხოვრებოვა 1979: 148).

ტოპონიმებს ცვლიდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთა ქართულ ტერიტორიებზეც (მაგ., საინგილო) და ჩვენი ქვეყნის იმ ადგილებშიც, სადაც ჭარბად სახლობდნენ ეთნიკური უმცირესობები (აფხაზეთი, ე. წ. სამხრეთ ოსეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი). ეს უკანასკნელნი, ერთი შეხედვით, არსებულ ქართულ სახელწოდებებს საკუთარი სურვილისამებრ ცვლიდნენ, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა რეჟიმის ატმოსფეროს, ამგვარი ცვლის უფლებას ფარულად ცენტრი იძლეოდა. მიზანმიმართულად ითარგმნა, მთლიანად გადაკეთდა ან დამახინჯდა ბევრი ქართული ტოპონიმი და ხშირ შემთხვევაში ეს შერყენილი ფორმები ოფიციალურად დამკვიდრდა. მარტო ერთ დღეს, 1955 წლის 16 აპრილის დადგენილებით, აფხაზეთში 33 ტოპონიმი შეცვალეს: თარგმნეს რუსულად (რამდენიმე აფხაზურადაც) ან რუსული (ასევე აფხაზური) სახელწოდებებით ჩაანაცვლეს. ამ დროს დაამტკიცეს და ოფიციალურ სახელწოდებად აქციეს, ძველი *ბიჭვინთის* ნაცვლად, ბერძნულიდან რუსულში დამახინჯებულად შესული *პიცუნდა*... ამგვარი ტოპონიმები მტკიცდებოდა კომისიებზე, იქმნებოდა დადგენილებები.

ა) აფხაზეთში რუსულად ითარგმნა: **სალხინო - ვესიოლოვკა, კაკლიანი - ორეხოვო, სიხარული - ოტრადნოე, საქართველოს ხეობა - გრუზინსკოე-უშჩელიე, ალპური - ალპისკოე, ქვემო აფიანჩი - ნიჟნაია-აპიანჩა, ცივწყარო - ხოლოდნაია-რეჩკა** და მრავალი სხვა.

აფხაზურად თარგმნეს: **ბზისხევი - ბზიბტა, გაგრისხეობა - გაგრაფსტა, ჟირწყალი - აძირბჟარა.**

აფხაზურად ითარგმნებოდა მიკროტოპონიმებიც: **აფსკა იძიხ - ზანური მაფაწყუ/მაფაწყარის კალკი, აყვარიში - ზანური ჩექუალონის თარგმანი („თეთრქვიანი“), ატიშადუ - მეგრ. გარამის თარგმანი („დიდი უფსკრული, ჭისებრი ღრმული“)** (ცხადაია... 2003: 230).

სამცხე-ჯავახეთში ტოპონიმებს თარგმნიდნენ თავდაპირველად თურქულად, სომხური მოსახლეობის ჩასახლების შემდგომ კი, სომხურ ენაზეც. მაგალითად,

ისტორიული მგელციხე თურქულად ითარგმნა, როგორც კურტკალა, ოქროსციხე - ალთუნ კალა (ბერიძე 1992: 109), თეთრი ხიდი - ახქერფი. სომხურად ითარგმნა ტოპონიმები (ძირითადად მიკროტოპონიმები): ღვდლის ყანა - ტერტერინ არდერ, ხანჩლის ტბა - ლიჯ... (სომხურად ლიჯ - ტბა) (ბერიძე 1992: 111).

საინგილოში აზერბაიჯანულად ითარგმნა: ტყისთავი - მეშაბაშ, შავი ტყე - ყარა მეშა, ვარდიანი - გულლუქ, რუსის ციხე - ურუს ყალა, დიდი მთა - ულუ ბაშით, კახის თავი - კახბაშ...

ბ) არსებული სახელწოდებები ხშირად მთლიანად იცვლებოდა ახლით, მაგალითად, აფხაზეთში: კოდორი - ვლადიმროვკა, ოკვანე - შრომისუბანი, ბაღნაშენი - ესტონკა, ვარდისუბანი - ატაშადუ, ქეთევანი - კოჩარა... ქართულ ტოპონიმთა შეცვლა აფხაზური სახელწოდებებით სეპარატისტულად განწყობილ აფხაზთა ერთი ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო. ამ მიზნით აფხაზეთში სპეციალურად შექმნილმა კომისიამ 154 დასახლებული პუნქტის სახელწოდების შეცვლა მოითხოვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თითქმის ყველა ტოპონიმი აფხაზური უნდა ყოფილიყო (თოთაძე 1995: 38).

ცხინვალის რეგიონში: ქვედის ტბა - კოზის ტბა... ზემოთ ნახსენებ ბროშურა „სამხრეთ ოსეთის დასახლებული პუნქტების, მდინარეებისა და მთების ახალი სახელწოდებების“ მიხედვით, 558 ქართული ტოპონიმიდან 352 ოსურით უნდა შეეცვალათ: ზოგი ეთარგმნათ, ზოგი ახალი ოსური სახელწოდებით ჩაენაცვლებინათ, ზოგიც ოსური წარმოთქმისთვის დაეახლოებინათ, მაგალითად: ნაგომევი - ტიჯითა, ფიჭვნარი - კულდიმ, ვაშლოვანი - ფატკუჯინი, მეტეხი - ცაგათა, მსხლები - უალაზა, დვალთანთკარი - დვალთანთ, ჯრია - ძრია და სხვ. (ცხოვრებოვა 1979: 151).

საოლქო აღმასკომის დადგენილებით, ეს სია გამოქვეყნებულა მაშინდელ საოლქო გაზეთ „კომუნისტში“, რათა მოსახლეობას, რაიონებსა და სასოფლო საბჭოებს უფლება მისცემოდათ საკუთარი სურვილისამებრ შემოეთავაზებინათ სახელწოდება, თუ რომელიმე სახელწოდება არ მოეწონებოდათ. ამ სიის გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა შეეტყობინებინათ „კომუნისტის“ რედაქციის ან მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტისათვის, თუ რატომ იყო აუცილებელი ძველი სახელწოდების შეცვლა.

ერთ წელზე მეტი გასულა, მაგრამ არც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას და არც მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტს ადგილებიდან არავითარი ცნობა არ მიუღიათ. ამიტომ შემდგენლებს აღარაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ დუმილი თანხმობად მიეღოთ და ეს სია დაებეჭდათ ცალკე ბროშურად იმ იმედით, რომ „რუკებსა და გეოგრაფიულ წიგნებს შემდგომში ამ ახალი გეოგრაფიული სახელწოდებების მიხედვით შეადგენდნენ“ (ცხოვრებოვა 1979: 149).

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობა (როგორც ქართველები, ისე ოსები) მაშინ არ აპყობია ზემოდან თავსმოხვეულ პროვოკაციას და აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტებისთვის ისტორიული სახელები არ შეუცვლიათ. „ჩვენთვის ახლა უკვე ნათელია, თუ რა შორსგამიზნული საქმე იყო ამ ბროშურის შედგენა და შემდეგ საბუთად ქცევა. დღეს თუ არა ხვალ ან ზეგ აქ მითითებული სახელწოდებებით უნდა შეცვლილიყო ძირძველი ქართული ტოპონიმია, რაც ნაწილობრივ განახორციელეს კიდევ ჩვენი წინამორბედების დაუდევრობისა და წაყრუების წყალობით!“ (სახლთხუციშვილი 1989: 3-4).

1841-45 წლებში სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებულმა რუსმა სექტანტებმა, დუხობორებმა, აქ რუსული ტოპონიმები „ჩამოიტანეს“: **ბოგდანოვკა** (← **ნინოწმინდა**), **როდიონოვკა** (← **ფარავანი**), **ფილიპოვკა**, **ვლადიმროვკა**, **გორელოვკა**, **ორლოვკა**, **სპასოვკა**, **ტამბოვკა**... სომეხი მოსახლეობის ჩასახლების შედეგად კი (1830 წ.) სომხური ტოპონიმები (უპირატესად მიკროტოპონიმები) გაჩნდა: **დაბაიენც ახპურ**, **ღალინ ბერთ**... (ბერიძე 1992: 110). როგორც მიუთითებენ, ახალი უცხოენოვანი ტოპონიმების გაჩენას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ჩამოსახლებულებს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა არ დახვედრია (ისინი მანამდე რუსეთის მთავრობამ გაასახლა), რომელიც მათ ამა თუ იმ ადგილის სახელს ასწავლიდა (ბერიძე 1992: 110).

ქვემო ქართლში გავრცელდა აზერბაიჯანული ტოპონიმები: ალაიანი, მულანლო, შახმარლო, ინჯაოღლი, იმირასანი, ყიზილაჯლო, სარაჩლო... 1989 წლის 25 ივნისს მარნეულში აზერბაიჯანული მოსახლეობის მიერ გამართულ მიტინგზე წამოაყენეს მოთხოვნა მარნეულს დაბრუნებოდა ძველი აზერბაიჯანული სახელწოდება **ბორჩალო** (გოგოლაშვილი 1989: 1).

ტოპონიმთა ცვლის მაგალითები მრავლად გვაქვს საინგილოში: **ქათმისხევი** - **ალიბეგლო**, **ფიფინეთი** - **ზაქათალა**, **ბინა** - **ალათემური**...



გ) ასევე ხშირი იყო ტოპონიმების ფონეტიკური სახეცვლა, დამახინჯება:

აფხაზეთში: **რიწა - რიცა, ღალიძგა - გალიძგა** („ღალიძგა მეგრულად ღელისპირს ნიშნავს, ამდენად ამ სიტყვის ტრადიციული, მართებული ქართული დაწერილობის შეცვლა, ჩვენი აზრით, სრულიად გაუმართლებელია“, - მიუთითებდა ლ. ღვინჯილია (ღვინჯილია 1986ა: 3), **სოხუმი - სუხუმი** (ქართულად ეწერა აფხაზეთში დასახლებული პუნქტების მაჩვენებლებსა და სატრანსპორტო დაფებზე (ღვინჯილია 1986ა: 3).

ცხინვალის რეგიონში: **ბალიანთ-კარი - ბაგიათა, ბრუტსაბძელი - ბურსამჯელი, ზეკარი - ზიკარა, ხწვე - ხწე, როკი - რუკი, ქვიტკირი - ქვიჭირი და სხვ.**

სამცხე-ჯავახეთში: **კუმურდო - კუმბურდო||გუმბურდო||გიმბირდო, ჩამძვრალა - ჩამდურა, მაჭატია - მაჯადია, ზაკვი - ზაკა, კოთელია - კოტელია, განძანი - განძაკი...**

უცხოეთნიკური ელემენტების დამკვიდრებას თან სდევდა ტოპონიმთა გადაკეთებაც. ისინი ან ამახინჯებდნენ არსებულ სახელწოდებებს, რის შედეგადაც, მაგალითად, **კუმურდო** იქცა **გუმბურდოდ** (**||გიმბირდო**), **ჩამძვრალა - ჩამდურად, ღრტილა - იხტილად** ან სრულიად ახალ სახელებს არქმევდნენ მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებს. აღსანიშნავია ის ტენდენციაც, რომ ტოპონიმები ცვილებებს განიცდიდნენ იმის მიხედვით, თუ რომელი ეთნოსის წარმომადგენლები ჭარბობდნენ შერეულ სოფლებში. მაგალითად, ადმინისტრაციულ ტამბოვკას სომეხი მოსახლეობა უწოდებს „**ახალ ხულგუმოს**“. ბარალეთში „**ღვდლის ყანა**“ ახლა უკვე „**ტერტერინ არდერად**“ მოიხსენიება და, ფიქრობენ, მომავალში ეს ტერმინები დამკვიდრდება.

მწვავედ დაისმოდა ტოპონიმების საკითხი საინგილოში, ძველი ქართული ტოპონიმები ითარგმნა აზერბაიჯანულად ან გადააკეთეს სხვაგვარად: ფიფინეთი - ზაქათალა; ზედგზისი - ზეიზით; ზარნა - ზერნა; თეთრი წყალი - აღ-ჩაი; ლექართი - ლექეთი; სოსიკანთ კარი - სუსკანი; სისხლიანი ღელე - ყანლუ-ყობი; კოხმოხი - კოხმუს; ქალის ციხე - ყიზყა; კარის წყალი - ყაფი-ჩაი; ძაგანი - ზეამ; მუხახე - მუხახ; ვერხვიანი - ვარხიან; ჩინარი - ჩინარლუ; რუსის ციხე - ურუს ყალა; დიდი მთა - ულუბაშით; სერი-გორი - სარუ ბაშით; წახურული - წახურით; საკანი მოსპეს საერთოდ; მაღლაკი - მაღახით; განუხი - გოინუთ; გიში-ნუხი - შაქი; ვარდნაშენი - ვართაშენი; ვარდიანი - გულლუქ; ვაშლოვანი - აღმალო; შავი ტყე - ყარა მეშა; ტყისთავი - მეშა-ბაშ; თასმალული - თასმალო; თოფაილი - თოპალი; მდინარის პირეთი - ჩაი-ყირალ; კახისთავი - კახბაშ; კირმიწა - კირმიწლი; კახის მულალები - გახმულალ; ნიკორწყალი -

კაშხა ჩაი; ყორღანი - კორაგან; მალლაკი - მალახით, ვარდნაშენი - ვართაშენი... წერეთელთა ტახტი - წერეთელთა თახტა; დარბაზის ეკლესია - დარბაზ ქილისა... დიდ ბინას ალა-თემური დაარქვეს, ქათმისხევს - ალიბეგლო, ელისენს - ალიაბათი... (ყოლოშვილი 1988: 4).

ცდილობდნენ წმინდა ქართული სახელებიც არაქართულ, კერძოდ თურქულ, ტოპონიმებად გამოეცხადებინათ: „...მასობრივად გადაუკეთეს სახელები ძველ ტოპონიმებს, იშლებოდა თანდათან ქართული ტოპონიმები - ჩვენი წარსულის კვალი და თანდათან იკარგებოდა ისტორიული ინფორმაცია. აზერბაიჯანელი მეცნიერები გ. ახმედოვა, გ. გეიბულაევი და სხვები ზედიზედ სტამბავენ წიგნებსა და წერილებს, სადაც ცდილობენ დღემდე გადარჩენილი ქართული ტოპონიმებიც გააყალბონ და მათ თურქული ძირები დაუძებნონ. აზერბაიჯანელი მეცნიერების ამ მცდელობას ...ძალზე კანტიკუნტად ეხმაურებოდნენ ქართველი მეცნიერები“ (ყოლოშვილი 1988: 4).

1979 წელს გამოქვეყნებულ მოლა ზადეს „აზერბაიჯანის ჩრდილოეთ რაიონების ტოპონიმოგრაფიაში“ საინგილოს ტოპონიმები თურქულიდან მომდინარედ არის მიჩნეული (გიგინეიშვილი... 1988: 5).

საინგილოელი ქართველები ითხოვდნენ ძველ ქართულ სოფლებს დაბრუნებოდა ისტორიული სახელები: „კვლავ დაერქვას ალიბეგლოს - ქათმისხევი, ალათემურს - ბინა, მემზაზე ითარგმნოს ქართულად - ტყის თავი, ასევე ითარგმნოს ყარა მემზა - შავი ტყე“ (საგინაშვილი 1989: 3).

მოითხოვდნენ ტოპონიმების აღდგენას ქვემო ქართლში: „როგორც ყველა ქართველი, მეც მომხრე ვარ, რომ საქართველოს სოფლებს აღვუდგინოთ პირვანდელი ქართული სახელები. „აღიანი“, „მულანლო“, „აღმამედლო“, „ტაშტიკულარი“, „იმირასანი“, „ყიზიყაჯლო“, „სარაჩლო“ და ეს და კიდევ ბევრი სხვა სოფლის არაქართული სახელები შეიცვალოს ძველი ქართული სახელებით. ვფიქრობ, ამ საკითხის გადაწყვეტას არ სჭირდება ზემოდან მითითება. იგი რესპუბლიკის კომპეტენციაში შედის (მიმინოშვილი 1989: 4).

ხშირი იყო ტოპონიმთა ცვლის ნიმუშები, როცა ეთნიკური უმცირესობანი ქართულ სახელწოდებებს თავიანთი სუფიქსებით განავრცობდნენ: მაგალითად, სოფელი **ვარდგინეთი** (ბორჯომის რ.). მისი ამოსავალი ფორმა, გურამ ბედოშვილის ეტიმოლოგიით, არის **ვარდიგინა** (რომელსაც შემდეგ ქართული -ეთ სუფიქსი

დართვია), რაც, მკვლევრის აზრით, **ვარდნარ ადგილს** ნიშნავს (ოსურ ენაში -გინა/-ჯინა სუფიქსი, როგორც სპეციალისტების მიერ არის გარკვეული, შეესატყვისება ქართულ -იან/-ნარ/-ოვან სუფიქსებს): „ქართული ისტორიულ-ეკონომიკური წყაროები ზუსტად ამ არეალში ასახელებენ ვარდის სოფელს. გვიანდელი ოსური გაფორმების **ვარდიგინა** სწორედ ამ ქართული **ვარდისოფლის** კალკი ჩანს“ (ბედომვილი 2002: 140). ასეთივეა ე. წ. სამხრეთ ოსეთში არსებული ტოპონიმები: **ფიჭვიგინა, თელაგინა...** ამავე სუფიქსით უნდა იყოს ნაწარმოები ცხინვალის რეგიონის სხვა ოსური ტოპონიმებიც: **გადიგინა, ახსარგინა, ქასაგინი, ციფგინა, მართგაჯინა...**

ქართულ თანხმომავანუძიან ტოპონიმებს ჩამოაშორეს სახელობითი ბრუნვის ნიშანი: ჯავახეთში - **კორხ - კორხი**-ს ნაცვლად, **ახალქალაქ - ახალქალაქი**-ს ნაცვლად... ამგვარად დამახინჯებული ფორმები ოფიციალურადაც მკვიდრდებოდა, მაგალითად: **რაგ, ჩეთარ** (ჯავის რ.) (საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977: 157, 159). დასახლებული პუნქტების მაჩვენებელ დაფებზეც გაკეთებული იყო ქართული წარწერები: **წონ, ხალივდონ, ზამთარეთ** („სოფ. **ზამთარეთის** დასაწყისში დადგმულ დაფაზე ამჟამად ჩანდა კვალი იმისა, რომ ბოლოკიდური -ი ხმოვანი აქ ოდესღაც თავის ადგილზე უნდა ყოფილიყო. შემდგომ ეს ადგილი ამოუჭრიათ და იმავე ფერის უწარწერო მასალით ჩაუწებებიათ, რისი გაკეთებაც, ცხადია, შემთხვევით გამვლელს არ შეეძლო“, - აღნიშნავდნენ პრესაში (ღვინჯილია 1987ვ: 3). ქალაქ ცხინვალის შესასვლელთან დადგმულ დაფაზეც ოსურად ეწერა **ცხინვალ** (ღვინჯილია 1987ვ: 3).

გარდა ამისა, დაფებზე არ იყო დაცული ენათა იერარქია: „წარწერებში ენების კანონიერი თანმიმდევრობა არ არის დაცული. ოსურის შემდეგ უნდა ეწეროს ქართულად და [შემდეგ რუსულად]. მხოლოდ ერთენოვანი, რუსული აბრებია ცხინვალში, ასევე ჯავის რ-ში“ (ღვინჯილია 1987ვ: 3).

პრესაში მწვავედ დაისმის მიკროტოპონიმთა, კერძოდ, თბილისის ქუჩების სახელწოდებების შეცვლის საკითხიც. ხშირია მოთხოვნა გადაკეთდეს როგორც თბილისის რაიონების, ისე ქუჩების დასახელებებიც. მაგალითად, ლევან სანიკიძის შემოთავაზება იყო პლექსანოვის ქუჩას მინიჭებოდა დავით აღმაშენებლის სახელი. მოითხოვდნენ ჩელუსკინელების ქუჩასა და ხიდს შერქმეოდა თამარ მეფის ქუჩა და ხიდი. იყო მოთხოვნები თბილისში გვექონოდა იაკობ ხუცესის, სულხან-საბა ორბელიანის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა

სახელები. ითხოვდნენ სახელწოდებათა გამრავალფეროვნებას, მაგ., გურამ ბედომვილი აღნიშნავდა: „თბილისში ვითმენტ ისეთ ურბონიმებს, როგორცაა: მაშხალის, საყვირის, ფერშლის, ფაბრიკის, წითელარმიელის... და ამ დროს ვამბობთ უარს ისეთ მნიშვნელოვან ქართულ-ქართველური წარმოშობის სახელებზე, როგორცაა: ადიში, ვარიანი, სიმონეთი, უბისი, ფიტარეთი, ყინწვისი, ჭყვიში, ხეკორძი, ხცისი და მრავალი სხვ.“ (ბედომვილი 1988: 14).

მიკროტოპონიმების უმრავლესობას არაფერი ჰქონდა საერთო ადგილებთან, რომლებსაც ისინი აღნიშნავდნენ: „ქალაქის რაიონთაგან მხოლოდ ერთს ჰქვია ქართველი კაცის სახელი. ...ორჯონიკიძის რაიონს ეწოდოს ვაკე, კალინინს ეწოდოს მთაწმინდა, კიროვის რაიონს ეწოდოს კალა, 26 კომისრის რაიონს ეწოდოს ისანი (და არა ავლაბარი - ეს გვიანდელი სახელია), ოქტომბრის რაიონს ეწოდოს მახათა, პირველი მაისის რაიონს ეწოდოს დიდუბე, საქარხნო რაიონს ეწოდოს თუნდაც სამგორის რაიონი“ (ბერიძე 1989: 4).

საზოგადოების მოთხოვნები რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. რსფსრ-ში აღადგინეს არაერთი ისტორიული სახელწოდება: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელმა დადგენილებამ იჟევსკის, ნაბერეჟნიე ჩელნისა და ჩერიომუშკის ისტორიული სახელების აღდგენის შესახებ, საზოგადოების დიდი კმაყოფილება გამოიწვია“ (სურგულაძე 1988: 5).

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისია, რომელმაც დაიწყო ერთ დროს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონებისათვის უმართებულოდ შერქმეული სახელწოდებების უარყოფა და გადარქმევა.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ზემოხსენებულ მოთხოვნათაგან ბევრი გათვალისწინებულ იქნა. დამოუკიდებლობის აღდგენის სერიოზულ ცდებთან ერთად პრაქტიკულად ხორციელდებოდა ტაძრების, ნასოფლარების აღდგენა-განახლება, ახალი სოფლების შენება (ერისიმედი და სხვ.), გვარების დაბრუნება, უპირველეს ყოვლისა კი, ძველი ტოპონიმების აღდგენა.

გარდა ამისა, პერიოდიკაში გვხვდება ზოგიერთი ტოპონიმის (მაგალითად, ოზურგეთი, ოცხე და სხვ.) ეტიმოლოგიური კვლევის ცდები. გაანალიზებულია ზოგი სახეცვლილი გეოგრაფიული სახელწოდება და აღსადგენად შემოთავაზებულია მათი ისტორიული ვარიანტები, მაგალითად: **ხარაგაული → ხარაგოული, ბებრის ციხე → ბელტის ციხე, ხოპი → ხობი...**

80-იანი წლების მედიაში მსჯელობის საგანია გეოგრაფიულ სახელთა მართლწერის საკითხებიც, როგორცაა: მსაზღვრელიანი გეოგრაფიული სახელებისა თუ რთულფუძიანი ტოპონიმების მართლწერა, მაკრო- და მიკროტოპონიმთა თარგმნა, უცხოურ გეოგრაფიულ სახელთა ქართულად გადმოცემის საკითხი და სხვ.

**აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიისა და საბჭოთაკავშირისდროინდელი სახელწოდებების სრული ჩანაცვლება ჯერაც არ მომხდარა. ამ თემაზე მსჯელობა კვლავ გრძელდება:** „პარლამენტმა დეკემბრის შუა რიცხვებში მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც დედაქალაქში, და საერთოდ, მთელ საქართველოში, უნდა შეიცვალოს საბჭოური და რუსეთის იმპერიის მიერ მინიჭებული სახელები“ (დედაქალაქის ტოპონიმთა: ახალი უბნები, ახალი ქუჩები“ 2007).

ცალკე საკითხად დგას ორ-ორი სახელწოდების პრობლემა. ძველი ტოპონიმები განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა თბილისში: დღემდე გრძელდება ორი (ძველი და ახალი) ტოპონიმის გამოყენება ზეპირმეტყველებაში (პლენანოვი - აღმაშენებელი, პავლოვი - ყაზბეგი, ნახალოვკა - ნაძალადევი და სხვ.).

**ეროვნული მოძრაობის გააქტიურებამ 80-იანი წლების ბოლოს მრავალი პრობლემური საკითხი წამოსწია წინ, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ტოპონიმთა აღდგენა-დაცვა იყო:**

1. საბჭოთა ტოპონიმის გადახედვა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სახელწოდებანი ისტორიული რეალობის ამსახველია და პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად ისინიც საგრძნობლად იცვლება. საბჭოთა ტოპონიმთა, შესაძლოა, ცალკე კვლევის საგანიც იყოს, ვინაიდან გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა, მაგალითად, გეოგრაფიულ სახელწოდებებზე რევოლუციონერთა გვარებთან ერთად სახელების დაკანონება; ყოფილა შემთხვევები, როცა ცოცხალი პირის გვარ-სახელი მიუკუთვნებიათ ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტისთვის (ტრადიციულად გვარ-სახელი ტოპონიმად

შეირჩეოდა პიროვნების გარდაცვალების შემდეგ); იდეოლოგიით მოტივირებული იდენტური ტოპონიმების გავრცელება მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და სხვ.

2. საზოგადოება ითხოვდა ისტორიული ტოპონიმების, როგორც ეროვნული კუთვნილების, აღდგენას, ამასთან სპეციალისტები უფრო წინ იხედებიან და ითხოვენ ისტორიული ტოპონიმებისთვის სამართლებრივი დაცვის მექანიზმის შემუშავებას, რითაც შესაძლებელი იქნებოდა გეოგრაფიული სახელწოდებების დაცვა ამა თუ იმ ცვლილების (მაგალითად, პოლიტიკური წყობის) შემთხვევაში.
3. ტოპონიმები კარგი საშუალება იყო ეთნიკურ უმცირესობათათვის ისტორიული სინამდვილის წასაშლელად, რაც არაერთხელ გამხდარა მკვიდრ მოსახლეობასთან კონფლიქტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ტოპონიმებს ცვლიდნენ, თარგმნიდნენ, განავრცობდნენ საკუთარი ენობრივი ელემენტებით... ამ ცვლას ზოგჯერ სპონტანური ხასიათი ჰქონდა, ხშირად კი მიზანმიმართულად ხორციელდებოდა.
4. საკითხი დღესაც არ კარგავს აქტუალობას, ვინაიდან ტოპონიმთა უმართებულო და უკანონო ცვლა არც დღევანდელი ვითარებისთვის არის უცხო საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კონფლიქტურ ზონებში.

## თავი VI

### ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი ორიენტაციის საკითხი

თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს ერთეოვანი ქვეყნები (მიუთითებენ რამდენიმე სახელმწიფოზე, რომლებსაც მხოლოდ პირობითად მიიჩნევენ მონოეთნიკურად: იაპონია (იაპონელები - 98%), სომხეთი (სომხები - 97%), ფინეთი (ფინელები - 93%), ბრაზილია და სხვ.). ამდენად, ეთნიკური უმცირესობანი არსებობენ ყველგან. მათი წარმოშობა სხვადასხვაგვარია: ისინი შესაძლოა ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ სახელმწიფოს შექმნამდე ამა თუ იმ ტერიტორიაზე, ეთნიკური უმცირესობა შეიძლება წარმოიქმნას პოლიტიკური საზღვრების შეცვლის შედეგად, შესაძლოა ისინი გაჩნდნენ მიგრაციების საფუძველზე (სოციოლინგვისტური ტერმინების ლექსიკონი, 2006: 143). ეთნიკური უმცირესობანი სახლობენ კომპაქტურად ან დისპერსიულად.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით საერთაშორისო სამართალში არ არსებობს „ეთნიკური უმცირესობის“ ზუსტი განმარტება, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოთა და ექსპერტთა მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგი განსაზღვრება: ეროვნული უმცირესობა არის „სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც რიცხობრივად მცირეა ძირითად მოსახლეობასთან შედარებით და განსხვავდება მისგან თავისი ენით, რელიგიით, ეთნიკური კუთვნილებით“ (ალექსიძე 2005: 89).

ტერმინ „ეთნიკური უმცირესობის“ გვერდით გამოიყენება „ეროვნული უმცირესობა“ (გავრცელებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში). უმეტეს შემთხვევაში ისინი სინონიმებად იხმარება. დასავლეთ ევროპულ სპეციალურ ლიტერატურაში უმეტესად იყენებენ სინტაგმა „ეთნიკურ უმცირესობას“. არის მცდელობა „ეროვნული უმცირესობა“ და „ეთნიკური უმცირესობა“ განსხვავდეს ერთმანეთისგან, თუმცა როგორც მიუთითებენ, ტერმინთა გამიჯვნა ხელოვნურია, ამიტომ მათ სინონიმებად მიიჩნევენ მკვლევართა ერთი ნაწილი და ამასთან იძლევა რეკომენდაციას, დამკვიდრდეს

<sup>1</sup> დისპერსია - დაშლა, დაყოფა, დაქუცმაცება; განზნევა.

პარალელური ცნებები: „მიგრირებული ეთნიკური უმცირესობა“ და „ისტორიული ეთნიკური უმცირესობა“ (ვრცლად იხ. ფუტკარაძე... 2010: 162).

უნდა ითქვას, რომ უმცირესობანი უარყოფითად არიან განწყობილი სახელწოდების მიმართ - „ეროვნული უმცირესობა“, აღიქვამენ როგორც დამამცირებელს და ცდილობენ უფრო ნეიტრალური ტერმინით მის ჩანაცვლებას (ტიშკოვი 2002).

დღეს აქტიურად მსჯელობენ სათანადო ტერმინის შესარჩევად. ზოგი სპეციალისტი ამჯობინებს „ეთნიკურ უმცირესობას“, რისთვისაც სხვადასხვა არგუმენტი მოჰყავს, ესენია:

1. ეთიკური ასპექტი: „ის ფაქტის კონსტატაციას ახდენს და სხვებთან შედარებით ნაკლებად მტკივნეულად და გამომწვევად ჟღერს“ (ნოდია 2003).
2. ტერმინული მოსახერხებლობა: „უნებლიეთ ჩნდება აზრი ჩვენს სამართლებრივ ცნობიერებაში შემოვიღოთ ცნება „ეთნიკური უმცირესობა“ ტრადიციული, მაგრამ „მოუხერხებელი“ „ეროვნული უმცირესობის“ ნაცვლად. მაგრამ არსი, რა თქმა უნდა, სიტყვათშეწყობაში არ არის. მთავარია, რა აზრი იდება მათში: არის სურვილი, დაუკავშიროთ თავი ეთნოეროვნულ აზროვნებას თუ არა“ (ნოდია 2003).
3. ადამიანის უფლებათა დარღვევა: „არ მომწონს ტერმინი „უმცირესობა“ (დისკრიმინაციული ელფერი აქვს), მირჩევნია „ჯგუფი“ ან „დიასპორა“. ტერმინები „არაქართული მოსახლეობა“, „ეროვნული უმცირესობა“, „ეთნიკური უმცირესობა“, „დიასპორა“ - ყველა მისაღებია გარკვეულ კონკრეტულ შემთხვევებში. ასევე, „ეთნიკური ჯგუფის“ მაგივრად, ზოგიერთ კონტექსტში აჯობებს „ეროვნული ჯგუფის“ ხმარება. მიუხედავად ამისა, „უმცირესობის“ ხმარება შესაძლებლად მიმაჩნია, თუ ყურადღებას მივაქცევთ კონტექსტს“ (ნოდია 2003).

აღსანიშნავია, რომ ეთნოლოგ რ. თოფჩიშვილის განმარტებით, ქართული ენა ვერ იტანს ეთნოსისა და მისი ტერიტორიული ერთეულის მიმართ სიტყვა „ჯგუფის“ ხმარებას. მისი თქმით, „ქართულში „ჯგუფს“ სულ სხვა შინაარსი და დატვირთვა აქვს“ (თოფჩიშვილი 2005: 31).



საბჭოთა კავშირში თავდაპირველად, 20-იან წლებში, გამოიყენებოდა „მცირე ერები“ (ან „მცირე ხალხები“), რომელიც მოგვიანებით შეიცვალა ტერმინით - „ეროვნული უმცირესობა“. ზოგადად, საბჭოთა კავშირში „ეროვნება“, „ეთნოსი“ მეტად თავისუფლად განიხილებოდა. მაგალითად, 1926 წ. აღწერით, სსრკ-ში აღრიცხული იყო 194 ეთნიკური ერთეული, 1959 წ. კი - 109, მაშინ, როცა სსრკ-მა ტერიტორია ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გააფართოვა. არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ სსრკ-ში „გაქრა“ თითქმის 90 ეთნიკური ერთობა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეთნოსთა რაოდენობის შემცირება სინამდვილეში ამ (ან მხოლოდ ამ) მიზეზით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. საქმე ის არის, რომ ახლად შექმნილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის აღწერა რუსეთის იმპერიის აღწერას ეყრდნობოდა, რომლის მიხედვითაც, ცალკე ეროვნებად იყო გამოყოფილი სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფიც: მაგალითად, საქართველოში ქართველების გვერდით ცალკე ეროვნებად აღწერილი იყვნენ მეგრელები, სვანები, ლაზები, აჭარლები, იმერლები და სხვ. მომდევნო წლების საბჭოთა კავშირის აღწერებში ეს „უზუსტობა“ გასწორდა.

70-იანი წლების შუა ხანებში სსრკ-ის ახალი კონსტიტუციის მომზადების პერიოდში, ჩნდება ცნება „ეროვნული უმცირესობა“ და იგი გულისხმობს უკვე არა „მცირე ხალხებს“, არამედ მხოლოდ ეროვნებებს, რომლებიც „სსრკ-ს არამკვიდრი მოსახლეობაა“: კორეელები, გერმანელები, ბულგარელები... და სხვა.

ეთნიკური უმცირესობანი, ჩვეულებრივ, ბი- ან მულტილინგვები არიან. მათ, როგორც წესი, იციან მშობლიური ენა, ეუფლებიან იმ სახელმწიფოს ძირითად ენას, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათ ემატებათ კიდევ ერთი (ან მეტი) უცხო ენა. საბჭოთა კავშირში ეთნიკურ უმცირესობებს, მშობლიური ენის გარდა, უნდა სცოდნოდათ ფაქტობრივი სახელმწიფო ენა - რუსული, უნდა ესწავლათ იმ რესპუბლიკის ენა, რომელშიც ცხოვრობდნენ და საშუალო სასწავლებელში დამატებით ერთი უცხო ენა მაინც. როგორც წესი, ენათა ამ სიიდან ამოვარდნილი იყო იმ რესპუბლიკის ენა, რომელშიც ისინი სახლობდნენ და ეთნიკური უმცირესობანი ძირითადად ორენოვნების (კერძოდ ეროვნულ-რუსული ორენოვნების) დონეზე რჩებოდნენ. ამ ვითარებას კარგად ასახავს საბჭოთა კავშირის აღწერებიც,

რომლებშიც ცხადად ჩანს სხვაობა ქართულისა და რუსული ენის მცოდნე ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობას შორის:

	მოცემული ეროვნების საერთო რიცხოვნობიდან თავისუფლად ფლობს სსრკ ხალხთა მეორე ენას						არ ფლობს სსრკ ხალხთა მეორე ენას		
	ქართულს			რუსულს					
საქართველოს მოსახლეობა	1970	1979	1989	1970	1979	1989	1970	1979	1989
სულ	3,7	4,6	5,7	21,5	26,7	32,3	73,5	67,4	60,8
ქართველი	0,3	0,1	0,1	20,1	25,5	31,8	79,2	74,2	67,7
აფხაზი	2,0	2,1	2,4	59,3	73,9	80,5	38,3	23,6	16,6
ოსი	25,3	31,4	32,6	25,3	31,5	36,6	45,6	33,7	26,1
რუსი	10,5	15,5	22,5	0,3	0,4	0,7	87,1	82,1	74,1
უკრაინელი	5,6	8,7	14,1	47,9	44,3	41,6	38,4	39,0	35,4
ბელორუსი	3,3	5,2	11,0	41,1	33,1	37,4	45,5	54,0	42,8
აზერბაიჯანელი	5,0	6,4	9,3	16,5	26,3	34,2	77,4	66,9	55,7
სომეხი	11,4	13,7	20,3	35,5	41,8	42,9	50,8	41,9	34,2
თათარი	8,4	9,9	14,0	49,5	48,9	49,7	35,3	36,6	30,0
ებრაელი	6,6	15,1	27,7	22,4	32,0	24,0	68,7	50,3	43,4
ქართველი ებრაელი	2,4	3,0	3,1	49,7	44,4	49,5	47,3	49,0	46,7
ასირიელი	24,1	35,3	36,0	34,5	35,7	31,2	39,2	26,7	30,8
ბერძენი	6,7	8,5	15,4	36,9	33,5	44,7	40,6	36,2	29,7
ქურთი	27,2	32,6	43,8	28,2	30,1	26,2	40,7	35,1	27,8 <sup>1</sup>

<sup>1</sup> აღწერის მასალები მოგვყავს სტატისტიკური კრებულიდან „საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა (მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით)“, თბილისი: 1991, 156-157.

საქართველოს ტრადიციულად მიიჩნევენ მრავალეთნიკურ ქვეყნად, თუმცა არსებობს საპირისპირო შეხედულებაც: „ქვეყანა მრავალეროვნულად შეიძლება ჩათვალოს იმ შემთხვევაში, თუკი აქ სახლობს თუნდაც 6 ისეთი ძველი თუ ახალი უმცირესობა, რომლის პროცენტული მაჩვენებელიც ერთს აღემატება. 2002 წლის აღწერით, საქართველოში ასეთი მხოლოდ 3 ეთნიკური ჯგუფია (შდრ.: მულტუმ - მრავალი, ბევრი): აზერბაიჯანელი (6.5 %), სომეხი (5.7 %), რუსი (1.5 %) ...შესაბამისად, ტერმინოლოგიური შესიტყვება: „მულტიეთნიკური ქვეყანა“ საქართველოსთვის შეუსაბამოდ მიგვაჩნია“ (ფუტკარაძე... 2010: 175).

ჩვენთვის საინტერესო XX საუკუნის 80-იან წლებში, 1989 წლის აღწერით, საქართველოში დღევანდელთან შედარებით ეთნიკური უმცირესობის პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო: 70.1% ქართველი ცხოვრობდა, 29.9% კი - ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი (2002 წლისთვის ვითარება ასე შეიცვალა: ქართველები - 83.7%, ეთნიკური უმცირესობა - 16.3%). საქართველოში სახლობდნენ შემდეგი ჯგუფები: აზერბაიჯანელები, სომხები, აფხაზები, ოსები, რუსები, ბერძნები, ებრაელები, ქურთები, ასირიელები, უკრაინელები, ბელორუსები, თათრები. ებრაელთაგან ცალკე ჯგუფად გამოყოფილი იყვნენ ქართველი ებრაელები, რომელთა უმრავლესობა მშობლიურ ენად მიიჩნევდა ქართულს. მათგან 80-იან წლებში კომპაქტურად დასახლებული უმცირესობანი იყვნენ: სომხები - 8.1%, აზერბაიჯანელები - 5.7%, ოსები - 3.0%, აფხაზები - 1.8%. მაღალი პროცენტული მაჩვენებლით იყვნენ წარმოდგენილი რუსებიც (6.3%), რომლებიც ძირითადად დისპერსიულად სახლობდნენ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (მაგ., ჯავახეთში კომპაქტურად დასახლებული დუხობორები, ზუგდიდსა თუ ჯვარში ჩასახლებული მუშახელი და სხვ.).

ყველა ეს უმცირესობა საქართველოში ძირითადად მიგრაციის საფუძველზე გაჩნდა. მკვიდრი ეთნიკური უმცირესობანი საქართველოში არ სახლობენ. უმცირესობანი საკუთარი სურვილით თუ სხვადასხვა ყოფითი მიზეზით (ეკონომიკური, სოციალური და ა. შ.) თავშესაფრის საძიებლად მოდიოდნენ და სახლდებოდნენ. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ამ პროცესს ზოგჯერ თვითონ ქართული სამეფო ხელისუფლება უწყობდა ხელს დემოგრაფიული ვითარების გამოსწორებისა თუ სხვა სამხედრო-სახელმწიფოებრივი მიზნით. უმეტესწილად უცხო

ეთნოსის ჩამოსახლება საქართველოს ტერიტორიაზე გამიზნული იმპერიული პოლიტიკის (მაგ., ირანის, რუსეთის იმპერიისა თუ მისი მემკვიდრე საბჭოთა კავშირის) ნაწილი იყო (ტაბიძე 2005: 79-89).

საქართველოში დღესაც ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული 4 რეგიონია: აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი.

ეთნიკურ უმცირესობათა ჩამოსახლება საქართველოში ძირითადად XV – XVI საუკუნეებიდან იწყება. ამ დროს რთული დემოგრაფიული პროცესები მიმდინარეობს. ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებას იწყებენ მომთაბარე ტომები.

ოსთა ჩამოსახლება, როგორც მიუთითებენ, მხოლოდ მე-15 საუკუნიდან შეიძლება დაწყებულიყო. მე-16 საუკუნეში ისინი დასახლდნენ დვალეთში, ხოლო დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ თრუსოში, ისინი სახლდებიან მე-17 საუკუნის დასაწყისში (თოფჩიშვილი 1997: 14), თუმცა მათი ოდენობა არ ყოფილა დიდი. მასობრივად ოსთა გადმოსვლა მე-19 ს.-ის შუა ხანებში მიმდინარეობს. საერთოდ, XVII-XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც აღნიშნავენ, ოსები საქართველოში უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობდნენ.

ოსთა დიდი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე ასევე განსახლებულია დისპერსიულად.

ადიღურ-ჩერქეზულმა ტომებმა (რომლებსაც შემდგომ აფხაზები უწოდეს) აფხაზეთის საერისთავოში ჩამოსახლება დაიწყო XV-XVI სს.-იდან. მათი რაოდენობაც მომდევნო ხანებში უფრო მატულობს, თუმცა უმნიშვნელოდ.

1970 წლის მონაცემებით -

199 595 ქართველი

92 889 რუსი

77 276 აფხაზი

74 860 სომეხი...

1979 წლის აღწერით -

213 322 ქართველი

83 097 აფხაზი

79 730 რუსი

73 350 - სომეხი...

1989 წლის აღწერით, აფხაზეთის ასსრ-ში სახლობდა

239 872 ქართველი

93 267 აფხაზი

76 541 სომეხი

74 914 რუსი... (საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1991: 142).

სომეხების მიგრაცია საქართველოში განსაკუთრებით ინტენსიური იყო XIX ს.-ში, როცა რუსეთის იმპერიამ თურქეთიდან დევნილი სომხური ოჯახები ძირითადად სამცხე-ჯავახეთში, ასევე ქვემო ქართლში, ჩაასახლა.

XV-XVI სს.-დან იწყება ირანის იმპერიის მიერ თურქმენული ტომების ჩამოსახლება. მათი რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება მე-17 საუკუნეში, როდესაც შაჰ-აბასი აქ ბორჩალუს ტომს ასახლებს. თურქული ტომების მიგრაცია XVIII საუკუნეშიც გრძელდებოდა. სახლდებოდნენ ძირითადად ქვემო ქართლისა და კახეთის რაიონებში.

ეთნიკური უმცირესობანი კომპაქტურად საქართველოს იმ რეგიონებში ცხოვრობენ, რომლებიც მათი წარმოშობის ქვეყნებს ესაზღვრება: სომხეთის მოსაზღვრე მხარეა სომხური მოსახლეობით დასახლებული სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი აზერბაიჯანს ესაზღვრება (ქვემო ქართლში მცხოვრები მაჰმადიანი მოსახლეობა სხვადასხვა წარმოშობისაა, თუმცა თავს აზერბაიჯანელებს მიაკუთვნებენ და აზერბაიჯანის ხელისუფლებაც მათ საკუთარ ნაწილად აღიქვამს), ოსებით დასახლებული შიდა ქართლი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მოსაზღვრეა, ხოლო აფხაზებს თავიანთი სახელმწიფო არ აქვთ.

ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრირება თანამედროვე სამოქალაქო სივრცეში ერთ-ერთი ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემაა საქართველოსთვის. თვალნათლივ ჩანს მათი გაუცხოება მკვიდრი მოსახლეობისაგან, რასაც, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ენის არცოდნა განაპირობებს. თვითონ რეგიონებში შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ეთნიკურ უმცირესობათა ენა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე სახელმწიფო ენა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან

(1991 წ.) 15 წლის შემდგომ, მაგალითად ახალქალაქში, არაქართულენოვანი აბრები იყო გაკრული და ქართული აქ ისევ საოჯახო ენად ითვლებოდა. ქართველ მოსახლეთა განწყობა აქ ასეთი იყო: „...ქვეყნის ღირსების შელახვად აღიქვამენ, როცა ქალაქში ქართულენოვანი აბრების ნაცვლად ხედავენ არაქართულ აბრებს. წუხან, რომ ქართულად მხოლოდ ოჯახში შეუძლიათ საუბარი და „თუ არ იცი სომხური, სამსახურში არ მიგიღებენ“. აქვთ განცდა, რომ „სხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ“. ხელისუფლებისაგან მიტოვებული არიან და საკუთარ სამშობლოში ვერ გრძნობენ მოქალაქისათვის „დამახასიათებელ სიამაყეს“ (ლობჯანიძე 2009).

- საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ტერმინოლოგიური აღნიშვნის, ამ მოსახლეობის საქართველოში გამოჩენის ისტორიულ-კულტურული მიზეზებისა და „მიმღებ“ გარემოში ინტეგრაციის დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ მრავალი კვლევაა ჩატარებული (ტაბიძე 2009: 192-206); ჩვენს მიზანს ამჯერად არ წარმოადგენს ისტორიული წიადსვლები. ამ ტიპის ცნობებს მხოლოდ საკითხის ზოგადი განმარტებისთვის მოვიხმობთ. ხოლო დღევანდელი ვითარების აღწერა იმის ნათელსაყოფად გვჭირდება, თუ რატომ და როგორ იქმნებოდა ისეთი პირობები, რომ საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი „არასოდეს“ არ დამთავრებულიყო (ვრცლად ამის შესახებ იხ., ტაბიძე მ., ფარული და ღია ენობრივი დაგეგმვის თავისებურებანი XIX-XX საუკუნეების საქართველოში, „სპეკალი“, №5; ტაბიძე მ., ენობრივი პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, თბ., 2014ბ, 333-348; ტაბიძე მ., სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვა: ევროპული გამოცდილება და საქართველო, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, 2, 2013, 144-156.)

დღეს ეთნიკური უმცირესობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, აცნობიერებს სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობას და ცდილობს შეისწავლოს ის. ხელისუფლება ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირესობათა მიერ სახელმწიფო ენის შესწავლას სხვადასხვა ღონისძიებით: გაიხსნა „ქართული ენის სახლები“ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში; განსაკუთრებული

ყურადღება ექცევა არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლებას; უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების შემდგომ ეთნიკურ უმცირესობებს შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ ქართულ ენას 1 წლის განმავლობაში. თუმცა სახელმწიფო ენის გავრცელება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ჯერ კიდევ ბევრ სირთულეს აწყდება. მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით უფროსი თაობა, რუსულ ენას იყენებს საურთიერთოდ, ნაწილს სურვილიც არ აქვს სახელმწიფო ენის დაუფლების და უკვირს კიდევ, რატომ უნდა შეისწავლოს ის. ამ რამდენიმე წლის წინ განწყობა ასეთი იყო:

- „რატომ უნდა იყენებდნენ ადამიანები ქართულ ენას, ან სხვა ენას, როცა ისინი აზროვნებენ მშობლიურ ენაზე. ვთქვათ, სომეხი აზროვნებს სომხურად, რატომ უნდა გადმოსცეს მან თავისი აზრები სხვა ენაზე, თუნდაც ეს იყოს სახელმწიფო ენა“ (24 წლის სომეხი მამაკაცი, ახალციხე).

- „მომავალშიც თუ ასე გაგრძელდება (იგულისხმება ჩინოვნიკებისათვის სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებელი მოთხოვნა) მაშინ მოვუწოდებთ ყველა ადგილობრივს, გამოიყენონ მხოლოდ თავიანთი მშობლიური, სომხური ენა და პროკურატურამ და სხვა ორგანოებმა არ უპასუხოთ განცხადებას დათქმულ დროში. ეს ფაქტი მაშინვე აღიქმება, როგორც ადამიანთა უფლებების დარღვევა და მაშინ ვნახოთ როგორ შეძლებენ ჩამოსულები აქ მუშაობას“ (46 წლის სომეხი მამაკაცი, ნინოწმინდა).

- „ჩვენ აქ მაცხოვრებელი სომეხები უმცირესობა კი არ ვართ, არამედ უმრავლესობა, რატომ უნდა ვიცოდეთ ჩვენ ქართული? მათ კი არ უნდა იცოდნენ სომხური?“ (25 წლის მამაკაცი, ახალქალაქი).

- „აფხაზეთი და ოსეთი ფეხზე დადგნენ, მიაყენეს რა უსიამოვნება სახელმწიფოს და ამით მიეცათ საშუალება გამოეყენებინათ საკუთარი ენა საქმის წარმოებაში კანონის საფუძველზე. მათ აღარ აკრიტიკებენ ქართული ენის არცოდნის გამო. ის კი არა, უფლებებიც გაუფართოვეს. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, მით უმეტეს ჩვენ კიდევ 100 ათასზე მეტი ვართ (იგულისხმება სამცხე-ჯავახეთის რეგიონი)“ (52 წლის სომეხი მამაკაცი, ახალქალაქი) (ლობჯანიძე 2009).

2008 წლისთვის ქართული ენის ცოდნის დონე ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ასე გამოიყურებოდა:

	Non-Georgian population of Kvemo Kartli (ქვემო ქართლის არაქართველი მოსახლეობა)	
	Do you speak in Georgian? (ლაპარაკობთ ქართულად?)	
	Yes (დიახ)	No (არა)
18-25 years (წლის)	14.1%	85.9%
26-30 years (წლის)	23.8%	76.2%
31-36 years (წლის)	14.5%	85.5%
37-45 years (წლის)	7.7%	92.3%
46-55 years (წლის)	23.5%	76.5%
56-65 years (წლის)	20.3%	79.7%
65+ years (წლის)	20.5%	79.5%
Total (სულ)	16.9%	83.1%

	Non-Georgian population of Samtckhe-Javakheti (სამცხე-ჯავახეთის არაქართველი მოსახლეობა)	
	Do you speak in Georgian? (ლაპარაკობთ ქართულად?)	
	Yes	No
18-25 years (წლის)	15.10%	84.90%
26-30 years (წლის)	34.20%	65.80%
31-36 years (წლის)	14.80%	85.20%
37-45 years (წლის)	22.60%	77.40%
46-55 years (წლის)	25.30%	74.70%
56-65 years (წლის)	38.90%	61.10%
65+ years (წლის)	26.70%	73.30%
Total (სულ)	24.60%	75.40%



(ცხრილი მოხმობილია კვლევის ანგარიშიდან: „National Integration and Tolerance in Georgia Assessment Survey Report“ (2007-2008), 2008: 50).

შექმნილი ენობრივი სიტუაცია ჯერ მეფის რუსეთის, ხოლო შემდგომ საბჭოთა იმპერიის მიერ გატარებული (და ჯერაც ამოუწურავი) ეთნოენობრივი პოლიტიკის შედეგია.

საბჭოთა კავშირში კომუნიზმზე გადასვლა თანდათანობით, შესაბამისი ეტაპების გავლით უნდა მომხდარიყო, რაც ითვალისწინებდა გარკვეული ამოცანების გადაჭრას: „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებას, ახალი ადამიანის აღზრდას“ (ქსე 1984: 580). საზოგადოებრივი ურთიერთობანი ემყარებოდა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის განვითარებას. მთავარი ტენდენცია იყო ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის ჩამოყალიბება: კლასებისა და ეროვნებების დაახლოება-შერწყმა და სოციალური და ეროვნული ერთგვაროვნების შექმნა.

კომუნისტური იდეოლოგიის, ინტერნაციონალიზმის, ურთიერთმომობისა და ურთიერთთანამშრომლობის ლოზუნგების „ფართო მასებში“ გასავრცელებლად და დასაწერად კი განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აგიტაციურ-პროპაგანდისტულ მუშაობას. იმართებოდა ლექციები, ეწყობოდა ფორუმები და ყრილობები. ლექტორიუმებს მართავდნენ რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა ენებზე, მაგალითად, აფხაზეთში ამგვარი ლექციები ეწყობოდა აფხაზურ, ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე (პარტიული გავლენის ეფექტიანობა... 1982: 3).

საბჭოთა რესპუბლიკის ყოველგვარი წარმატება „ინტერნაციონალიზმს“ უკავშირდებოდა. 1972 წ. 22 თებერვალს სკკპ ცკ-ის დადგენილებაში ყურადღება გამახვილებული იყო „ინტერნაციონალური მუშაობის“ ხარვეზებზე საქართველოში, (კვესელავა 2004: 79), მაგრამ 1981 წლისთვის მაღალი ტრიბუნიდან უკვე საუბრობდნენ საქართველოში არსებულ „ინტერნაციონალური მეგობრობის ატმოსფეროზე“: „სასიხარულოა აღინიშნოს, - განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა საიუბილეო სხდომაზე თბილისში 1981 წლის 22 მაისს, - რომ საბჭოთა საქართველოში ნამდვილი ინტერნაციონალური მეგობრობის ატმოსფერო სუფევს. ქართველები და რუსები, აფხაზები და უკრაინელები, ოსები, სომხები და აზერბაიჯანელები, ბერძნები და ქურთები - სამოცდაათზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები ერთმანეთის მხარდამხარ

იღვწიან რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ“ (მერკვილაძე 1982: 3).

ჩვენში ეროვნებათაშორისი ურთიერთობა, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ნაკლებად დამაბული იყო, გამომდინარე ქართველი ხალხის „ინტერნაციონალური ბუნებიდან“. „ქართველი ხალხის ინტერნაციონალური ბუნება რომ არა, არც ისე ადვილი იქნებოდა 80-მდე ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა ყოველდღიური შეხმატკბილებული ცხოვრება, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჩვენი რესპუბლიკისათვის“ (ჟვანია 1982: 2), - აღნიშნავდნენ პრესაში.

საინტერესო სოციოლოგიური კვლევა ჩატარებია 1983 წ. თბილისში ლოუელის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორს შირლი მერიონ კოლექს. ეთნიკურ უმცირესობებთან გამოსაყენებელი კითხვარი შედგენილი იყო ქართულ და რუსულ ენებზე. სულ გამოიკითხა 50 კაცი: სტუდენტები, მუშები, პედაგოგები, ინჟინრები, სხვადასხვა განათლების, თანამდებობის, პროფესიისა და ეროვნების ადამიანები. მიღებული შედეგების მიხედვით, „საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანი მეგობრულად ცხოვრობენ“. ამას ადასტურებდა შერეული ქორწინებებიც. სხვა ეროვნების რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მტკიცე უარს ამბობდა საქართველოდან, თბილისიდან, წასვლაზე, თუნდაც სხვაგან ცხოვრების უკეთესი პირობები შეეთავაზებინათ მათთვის. ისინი მკვიდრად და კარგად გრძნობდნენ თავს საქართველოში. გამოკითხულ ქართველთა უმრავლესობა „მყარი ეროვნული იდენტიფიკაციით“ ხასიათდებოდა, აუცილებლად მიაჩნდათ ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება. ამასთანავე, ქართველთა უმრავლესობა სიყვარულისა და საერთო ინტერესების შემთხვევაში, წინააღმდეგი არ იყო დაქორწინებულიყო სხვა ერის წარმომადგენელზე, თუმცა თავიანთი ეროვნების წარმომადგენელი ერჩივნათ. „მყარი იდენტიფიკაციით“ ხასიათდებოდნენ აგრეთვე სხვა ეთნიკური უმცირესობები. მაგალითად, ვინაობის დასადგენ კითხვაზე (თქვენ ვინ ხართ?) უპირველესი და დაუყოვნებელი პასუხი იყო „ქართველი ვარ“, „სომეხი ვარ“, „რუსი ვარ“ და ა. შ. „ეროვნული თვითცნობიერების გრძნობა მიჩქმალული და დათრგუნვილი კი არ არის, არამედ პირიქით, წინწამოწეული და ამაღლებულია...“ (საქართველოში ყველა მეგობრულად ცხოვრობს 1983: 3).

საბჭოთა ხელისუფლება სრულიად არ უწყობდა ხელს (პირიქით, აბრკოლებდა კიდევ) ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრირებას მკვიდრ ერებთან. ცდილობდა ცალკეულ რესპუბლიკებში შეენარჩუნებინა ეროვნულ-ენობრივი და კულტურული სხვაობა. ერთი შეხედვით, ყველაფერი კეთდებოდა მათ მიერ მშობლიურ ენაზე განათლების მისაღებად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის მიხედვით, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო „სსრკ-ს ხალხთა ენების თავისუფალი განვითარება, სსრკ-ს თითოეული მოქალაქის სრული თავისუფლება ილაპარაკოს, აღზარდოს და ასწავლოს თავის შვილებს ნებისმიერ ენაზე, ამა თუ იმ ენის გამოყენებისას ყოველგვარი პრივილეგიის, შეზღუდვებისა თუ იძულების დაუშვებლად“ (სკკპ პროგრამა 1974). თუმცა ამავე დროს წახალისებული იყო „რუსული ენის ნებაყოფლობითი შესწავლა“. რეალურად, ხელისუფლება ხელოვნურად ქმნიდა ისეთ ვითარებას, რომ განათლებისა და ურთიერთობის ენად „ნებაყოფლობით“ ყოფილიყო არჩეული რუსული ენა. პრესაში აღნიშნავენ: „1932 წელს სსრ კავშირში 102 ენაზე მიმდინარეობდა სწავლება, 1988 წლის მონაცემებით ეს რიცხვი 40-მდე შემცირდა. აი კიდევ ერთი ტენდენცია იმისა, რომ ბავშვი აღარ სწავლობს მშობლიურ ენაზე“ (ეროვნული სკოლა... 1989: 3).

ამავე დროს საბჭოთა რესპუბლიკებში არ არსებობდა ხელშემწყობი პირობები ადგილობრივი, თუნდაც სახელმწიფო, ენის შესასწავლად: მაგალითად, ქართული ენა ხშირად ფაკულტატური საგანი იყო არაქართულ სკოლებში, ასწავლიდნენ ძირითადად არაპროფესიონალები, ქართული ენის გაკვეთილებს ეთმობოდა ძალზე მცირე დრო, რაც არ იყო საკმარისი ენის შესასწავლად (ტაბიძე 2008: 294-304). „1938 წლამდე ქართული ენა ისწავლებოდა კვირაში 5-6 საათი. პრაქტიკულად გაკვეთილები ყოველდღე ტარდებოდა. ბავშვები კარგად ითვისებდნენ ენას და თითქმის ყველა მათგანი სკოლის დამთავრების შემდეგ თავისუფლად მეტყველებდა ქართულად. 70-იან წლებში იყო სულ ორი საათი კვირაში, ხოლო 80-იანი წლების დასაწყისში სასწავლო წელს შემოიღეს 3 საათი და მხოლოდ მერვეკლასელები მეცადინეობდნენ კვირაში 2 საათს. ... არის სკოლები - ძირითადად სომხური, აზერბაიჯანული, სადაც თვით ქართული ენის მასწავლებლები ცუდად ფლობენ ამ ენას“ (ერთადერთი სწორი გზა 1988: 4). ზოგიერთ რუსულ სკოლაში ქართული ენა საერთოდ არ ისწავლებოდა.

ასეთმა მიდგომამ გამოიწვია ის, რომ არაქართულ სკოლებში მკვეთრად დაეცა ქართული ენის სწავლების დონე. ამიტომაც 1956 წელს საჭირო გახდა საგანგებო ზომების მიღება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმადაც, შემოიღეს ქართული ენის სწავლება არაქართულ სკოლებში. 1979 წელს კი (აპრილში) საკითხი რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე.

მარნეულში იყო სოფლები, სადაც 17 წლის განმავლობაში ქართული არ ისწავლებოდა (ეროვნული სკოლა 1989: 3).

ქართული ენა ფაკულტატური საგანი იყო, მიღებული ნიშანი ატესტატში არ იწერებოდა (რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევის დიდი პროგრამა 1989: 2).

მარნეულს სასექტემბროდ 40 ქართული ენის მასწავლებელი არა ჰყავს (აზერბაიჯანულ სკოლებში), 30 ქართული ენის მასწავლებელი აკლია ბოგდანოვკის რაიონს (ყურაშვილი 1989: 2).

წალკაში 48 მასწავლებლიდან მხოლოდ 8-ს აქვს უმაღლესი სპეციალური განათლება. ქართული ენა ისწავლება შეთავსებით (ემინოვა 1989: 2).

80-იანი წლების დასასრულს დაიწყეს ზრუნვა ქართული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად: „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1988 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით 1989-90 წლიდან სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილება: „ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ყველა ენაზე სწავლების სკოლების I-XI კლასები ორ ჯგუფად დაიყოფა, თუ კლასში 26 ან მეტი მოსწავლეა“ („სახალხო განათლება“ 1989: 3). ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტის გამოქვეყნებისთანავე საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში შეიქმნა ქართული ენის შემსწავლელი წრეები (მიქაძე 1989: 2).

1989-90 სასწავლო წლიდან ქართული ენის სწავლება რესპუბლიკის ყველა არაქართულ სკოლაში სავალდებულო გახდა და საათების რაოდენობაც გაიზარდა: „რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში ქართული ენის შესწავლა დაიწყება II კლასიდან და დაეთმობა რუსული სკოლის II-XI კლასებში 1020 წლიური საათი, ნაცვლად 918 საათისა, სომხური სკოლის II-XI კლასებში - 646 წლიური საათი, ნაცვლად

238 საათისა. ამასთან ქართული ენა ყველა არაქართულ (რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ) სკოლაში სავალდებულო საგნად იქნა შეტანილი და მისი ნიშანიც შევა საშუალო განათლების ატესტატში (ბურდილაძე 1989: 2).

უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზე იქმნებოდა ავტონომიური ერთეულები, რაც კიდევ უფრო უშლიდა ხელს ინტეგრაციის პროცესს. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულადაც რეგიონები დაყოფილი იყო იმგვარად, რომ უმცირესობანი ძირითად მოსახლეობასთან არ ინტეგრირებულიყვნენ. ისინი კომპაქტურად იყვნენ მოქცეული ადმინისტრაციულ საზღვრებში, სადაც ისინი ხშირად უმრავლესობას შეადგენდნენ მკვიდრ მოსახლეობასთან შედარებით. ავტონომიები და კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობები ე. წ. მუდმივმოქმედი „ნაღმები“ იყო, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება მისთვის ხელსაყრელ დროს გამოიყენებდა (ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე დღეს წარმოქმნილი არაერთი ეთნიკური კონფლიქტი ამას ადასტურებს). საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ საქართველოში ორი ეთნიკური კონფლიქტი გაღვივდა, რომლებშიც ენობრივი საკითხები ერთ-ერთი გადამწყვეტი იყო, ზოგიერთი ექსპერტი ამ კონფლიქტებს „ენობრივი ომების“ კლასიფიკაციასაც აძლევს (იხ. სვანიძე 2002). ამიტომ სწორი ენობრივი და საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი გარანტია იქნება ამ კონფლიქტების მოსაგვარებლად.

საბჭოთა კავშირში შექმნილი ვითარება ემსახურებოდა „დიადი“ კომუნისტური მიზნის მიღწევას: საბჭოთა კავშირში კომუნიზმის გამარჯვებას, რაც თვისობრივად ახალი ხალხის - საბჭოთა ხალხის - ჩამოყალიბებით უნდა დამთავრებულიყო. ეს იქნებოდა ახალი „ეთნოსი“ რუსული ენითა და იდენტობით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კომუნიზმს განმარტავდა, როგორც უკლასო საზოგადოებრივ წყობილებას, ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრებით, საზოგადოების ყველა წევრის სრული სოციალური თანასწორობით. ერები თანდათანობით სულ უფრო მეტად უნდა დაახლოებოდნენ ერთმანეთს „ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის საფუძველზე“: „საბჭოთა რესპუბლიკებში ერთად ცხოვრობენ და მეგობრულად შრომობენ მრავალი ეროვნების ადამიანები. საზღვრები საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საბჭოთა კავშირის ფარგლებში სულ უფრო კარგავენ თავიანთ წინანდელ მნიშვნელობას,

რამდენადაც ყველა ერთი თანასწორუფლებიანია, მათი ცხოვრება შენდება ერთიან სოციალისტურ საფუძველზე და თანაბრად კმაყოფილდება თითოეული ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები. სსრკ-ში ეროვნულ ურთიერთობათა ახალი ეტაპი ხასიათდება ერთა შემდგომი დაახლოებით და მათი სრული ერთობის მიღწევით. სსრკ-ში კომუნიზმის გამარჯვებასთან ერთად მოხდება ერების კიდევ უფრო მეტად დაახლოება, გაიზრდება მათი ეკონომიკური და იდეური ერთობა...“ (სკკპ პროგრამა 1974).

თუმცა პარტიისთვის ისიც ცხადი იყო, რომ „ნაციონალური სხვაობის წაშლა, განსაკუთრებით ენობრივი სხვაობისა, - გაცილებით უფრო ხანგრძლივი პროცესი იქნებოდა, ვიდრე კლასობრივი საზღვრების მოშლა“ (სკკპ პროგრამა 1974).

ავტონომიური წარმონაქმნების სიმრავლე საბჭოეთის ტერიტორიაზე ხელს უწყობდა ენობრივი სიჭრელის წარმოქმნასაც, ასეთ შემთხვევაში კი აუცილებელი ხდებოდა ერთი საერთო ენის გამოყენება ეროვნებათაშორისი ურთიერთობისათვის: საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა 15 მოკავშირე რესპუბლიკა, 20 ავტონომიური რესპუბლიკა (აქედან 16 - რსფსრ-ში, 2 - საქართველოში), 8 ავტონომიური ოლქი (აქედან 5 - რსფსრ-ში), 10 ავტონომიური ოკრუგი რსფსრ-ში<sup>1</sup>.

ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი დაყოფა უმრავლეს შემთხვევაში არ შეესაბამებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას: მაგ., ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები თურქულენოვანი ყარაჩაელ-ბალყარელები, ერთი ენის - ყარაჩაულ-ბალყარულის მატარებლები, მოქცეული იყვნენ ორ სხვადასხვა რესპუბლიკაში: ყარაჩაელები - ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ბალყარელები - ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ენის დასახელებაც იცვლებოდა რეგიონების მიხედვით: ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში ეს ენა ოფიციალურად სახელდებოდა როგორც ყარაჩაული, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში - როგორც ბალყარული (ტაბიძე 2008: 91-102; ბარამიძე 2013: 47). ასევე ხელოვნურად იყვნენ გაყოფილი საერთო ენის მატარებელი ყაბარდოელები და ჩერქეზები (ბარამიძე 2013: 36).

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველო ავტონომიური წარმონაქმნების რაოდენობით მეორე ადგილზე იყო (რუსეთის შემდეგ). აქ იყო 2 ავტონომიური რესპუბლიკა და 1 ავტონომიური ოლქი.

თუ ზოგიერთ ერს საერთოდ არ ჰქონია თავისი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი საბჭოთა კავშირში, სხვებს სახელმწიფოებრიობის ორი ფორმა ჰქონდათ: მაგ., ოსებს - ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა რსფსრ-ს შემადგენლობაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს რესპუბლიკაში.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაციონალურ-ტერიტორიული დაყოფა რთულდებოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მხარეებად და ოლქებად, რის შედეგადაც გამოდიოდა, რომ ერთი ეროვნების წარმომადგენლები, მაგალითად ბურიატები, ცხოვრობდნენ ბურიატიის ასსრ-ში, უსტ-ორდის ბურიატთა ავტონომიური ოკრუგის ირკუტსკის ოლქში, აგის ბურიატთა ავტონომიური ოკრუგის ჩიტის ოლქში; ნენები განაწილებული იყვნენ სამ: ნენების, იამალ-ნენტა, დოლგან-ნენტა - ავტონომიურ ოკრუგში. აღსანიშნავია, რომ ნენები ყველა ამ ოკრუგში მოსახლეობის მცირე ნაწილს შეადგენდნენ. ბაშკირეთის, ბურიატიის, კარელიის, კომის, მორდოვეთის, უდმურტეთის, იაკუტიის ავტონომიურ რესპუბლიკებში რუსული ან სხვა ეროვნების მოსახლეობა უფრო მეტი იყო, ვიდრე მკვიდრი. საბჭოთა კავშირში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ავტონომიური წარმონაქმნები იცვლიდა სტატუსს: ისინი ან უქმდებოდა ან, პირიქით, იქცეოდა მოკავშირე რესპუბლიკად, ან მოკავშირე რესპუბლიკა ხდებოდა ავტონომია და ა. შ.

15 საბჭოთა რესპუბლიკიდან მკვიდრი ერები 13-ში მოსახლეობის სტატისტიკურ უმრავლესობას შეადგენდნენ (როგორც წესი, სრულიად უმნიშვნელოს). ყაზახები და ყირგიზები თავიანთ რესპუბლიკაში ჩამორჩებოდნენ უცხოენოვან მოსახლეობას. დაღესტანი მიიჩნეოდა ყველაზე მრავალეროვან რესპუბლიკად, თუმცა ცალკე ეროვნებებად დაღესტნის ეთნოგრაფიულ ჯგუფებს თვლიდნენ, შესაბამისად ხელოვნურად იყო გაზრდილი დაღესტნურ „ენათა“ რაოდენობაც (აბაშიძე 1992: 124).

საქართველოს სსრ ავტონომიათა რაოდენობის მიხედვით მე-2 ადგილზე იყო საბჭოთა კავშირში (რსფსრ-ს შემდგომ) შექმნილი იყო ორი ავტონომიური რესპუბლიკა - აფხაზეთისა და აჭარისა და ერთი ავტონომიური ოლქი - სამხრეთ ოსეთისა. ავტონომიური ერთეულები შექმნეს ეროვნული ნიშნის მიხედვით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ხოლო აჭარაში - რელიგიური ნიშნით.

რაც შეეხება ამ ავტონომიებში არსებულ ენობრივ სიტუაციას, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის აო-ის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სახელმწიფო ენა ქართული,

აგრეთვე საბჭოთა კავშირის ფაქტობრივი ოფიციალური ენა - რუსული, უზრუნველყოფილი იყო „ხმარება აგრეთვე სხვა ენებისა“ განსაზღვრული წესით. აფხაზეთის ასსრ-ში ქართულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა რუსულსა და აფხაზურ ენებს.

უმცირესობათა ენებს, გარდა აფხაზურისა, საქართველოში რაიმე სტატუსი არ ჰქონია მინიჭებული, ერთაშორისი ურთიერთობის ენად კი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით რუსული გამოიყენებოდა, რასაც საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, სპეციალისტები „ისტორიულად შეპირობებულ რეალობად“ სახავდნენ. რუსული ლინგვა ფრანკა იყო საბჭოთა კავშირში, გარკვეული პროცენტისთვის კი - მშობლიური ენაც. ამას ხელს უწყობდა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან პროპაგანდა რუსული ენის, როგორც „მეორე დედაენის“, „მეორე მშობლიური ენის“, „ინტერნაციონალიზმის ენისა“.

შესადარებლად მოვიყვანთ საბჭოთა კავშირში ჩატარებული სსრკ ხალხთა მეორე ენის ფლობასთან დაკავშირებულ აღწერის მონაცემებს<sup>1</sup>:

საქართველოს მოსახლეობა	მათ შორის თვლის მშობლიურ ენად				
	სულ	თავისი ეროვნების ენას	ქართულს	რუსულს	სხვა ენებს
სულ	5 400 841	5 167 181	83 679	142 561	7 520
ქართველი	3 787 393	3 777 017	-	8 877	1 499
აფხაზი	95 853	92 369	1 233	2 212	39
ოსი	164 055	125 872	33 694	4 246	243

<sup>1</sup> საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, თბილისი, 1991, 62-63.



რუსი	341 172	336 718	4 000	-	454
უკრაინელი	52 443	28 018	1 259	23 069	97
ბელორუსი	8 595	4 660	176	3 716	43
აზერბაიჯანელი	307 556	300 474	2 899	3 972	211
სომეხი	437 211	371 642	24 947	40 312	310
თათარი	4 099	2 429	169	1 464	37
ებრაელი	10 481	1 403	3 065	5 926	87
ქართველი ებრაელი	14 314	13 613	-	657	44
ასირიელი	6 206	3 335	1 520	1 261	90
ბერძენი	100 324	57 230	4 987	35 084	3 023
ქურთი	3 3331	24 905	3 834	4 105	487

თანამედროვე ვითარებაში ფართო კვლევის საგნად იქცა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების (აფხაზეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი) ენობრივი სიტუაცია, რომლის თავისებურება განპირობებული იყო საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიითა და მმართველობით. ექსპერტები, მკვლევრები, დარგის სპეციალისტები აღწერენ აქ არსებულ რთულ ვითარებას და იძლევიან რეკომენდაციებს სიტუაციის გამოსასწორებლად.

ეთნიკური უმცირესობის ენა, ზოგადად, ნაკლებ სოციალურ ფუნქციას ასრულებს უმრავლესობის ენასთან შედარებით; ის არ გამოიყენება ურთიერთობის პრესტიჟულ სფეროებში (სახელმწიფო მმართველობა, საერთაშორისო საქმიანობა, მეცნიერება, უმაღლესი განათლება და ა. შ.). ჩვეულებრივ, უმცირესობის ენის გამოყენება შემოიფარგლება მის მატარებელთა ძირითადი მასის საცხოვრებელი ადმინისტრაციული ტერიტორიებით. საბჭოთა კავშირში რესპუბლიკათა უმრავლესობის ენები და ეთნიკურ უმცირესობათა ენები თითქმის თანაბარი უფლებებით სარგებლობდა. თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებში კონსტიტუციურად სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული რესპუბლიკათა ძირითადი მოსახლეობის ენებს, რაც, ცხადია, მხოლოდ იურიდიულ აქტად რჩებოდა. საბჭოთა კავშირში ორენოვნება უნდა

გამოხატულიყო შემდეგი ფორმით: უნდა შექმნილიყო „ენათა ორსაფეხურიანი იერარქია“, ერთი მხრივ, რუსული ენა, და, მეორე მხრივ, ყველა სხვა ენა, რაც მიზნად ისახავდა რუსული ენის უფლებების თანდათანობით გაფართოებას, ეროვნებათა შორის ურთიერთობის ფუნქციის შესრულებას და, საბოლოოდ, სრული ერთენოვნების ჩამოყალიბებას (კობაიძე 2008: 129). სწორედ ამ მიზნით შეიცვალა 1978 წელს კონსტიტუციაში მუხლი ენის შესახებ, რომლის მიხედვით, „საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსულის, აგრეთვე, სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“, რასაც სამართლიანად მიიჩნევდნენ ორენოვნების დაკანონების მცდელობად.

1977 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, განსხვავებით 1936 წლის კონსტიტუციისგან, საუბარია არა უფლებაზე, არამედ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების მხოლოდ შესაძლებლობაზე. მართალია, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში სახელმწიფო ენებად დარჩა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული, მაგრამ ამის გამო ენობრივი სიტუაცია ამ ქვეყნებში არ ყოფილა სხვა რესპუბლიკებისაგან პრინციპულად განსხვავებული. ენათა რეალური იერარქია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მათი ფორმალური იერარქიისაგან, რომელიც დაკავშირებული იყო შესაბამისი განათლების სტატუსთან.

იერარქიის მწვერვალზე იყო რუსული ენა, მიუხედავად მისი იურიდიული სტატუსის განუსაზღვრელობისა (შდრ. ინგლისური აშშ-ში). ოფიციალურ საქმის წარმოებაში საკავშირო დონეზე, საერთაშორისო ურთიერთობებისას, ჯარში, ტექნიკისა და მეცნიერების მრავალ სფეროში სსრკ-ის არც ერთი ენა არ გამოიყენებოდა.

შემდეგ დონეს შეადგენდნენ რეგიონული ენები, პირველ რიგში, ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკების სატიტულო ენები. მოცემული კლასის ყველა ენა ზეპირი ურთიერთობის სფეროში შესაბამისი ეთნოსის შიგნით, აქტიურად გამოიყენებოდა პრესასა და მხატვრულ ლიტერატურაში, გამოიყენებოდა ადგილობრივ საქმის

წარმოებაში, ამა თუ იმ ხარისხით შეიძლება ყოფილიყო ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენად, მაგრამ არანაირი სტატუსი არ ჰქონდათ „თავიანთი“ რესპუბლიკების საზღვრებს გარეთ, არ ემსახურებოდა ან ნაკლებ ემსახურებოდა მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროებს და არ იყო ცნობილი რუსულენოვანი მოსახლეობისთვის „თავიანთ“ რესპუბლიკებშიც კი (ამ მხრივ გარკვეულწილად გამონაკლისი იყო სომხეთი, საქართველო, ლიტვა).

## 6.1 რუსული ენის როლი ნაციონალურ რესპუბლიკებში სამოქალაქო ინტეგრაციის დაბრკოლების საქმეში

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების (და არა მარტო რესპუბლიკების) დემოგრაფია ორი მიმართულებით განიცდიდა პოლიტიკურ ზეწოლას:

1. მოსახლეობის შემადგენლობის ხელოვნური ცვლა (გადასახლებები, ჩამოსახლებები, გრანდიოზული საკავშირო დანიშნულების მშენებლობები და სხვ.);
2. ხელოვნურად შექმნილი ეთნიკური სიჭრელის გამაერთიანებელ ენად რუსული ენის შემოტანა<sup>1</sup>.

ეს გამიზნული პოლიტიკა ყოველთვის შემჩნეული ჰქონდა საზოგადოებას. თუმცა რეჟიმის შიშით, დისიდენტების გარდა, ყველა ერიდებოდა ხმის ამოდებას. 80-იანი წლების „დათბობამ“ ამგვარი მიგნებები და ანალიზი პრესის ფურცლებზეც კი მოახვედრა. რუსული ენა რესპუბლიკათა ეროვნული ენების ფუნქციებს ზღუდავდა: „რუსული ენა, მაღალი ცივილიზაციის გამომხატველი ენა, როგორც ყველა სხვა ენა, თავისთავად მხოლოდ სასარგებლო და კეთილშობილი ფუნქციების შესრულებისათვის შექმნილი, რატომღაც რესპუბლიკებში მკვიდრი ერების დათრგუნვის იარაღი გავხადეთ. რესპუბლიკებში მკვიდრი ერების დათრგუნვის საშუალება ისაა, რომ

---

<sup>1</sup> *Manana Tabidze and Bela Shavkhelishvili, Russian Language in Georgia, Workshop Language Change in Bilingual Communities. Focus on the Post-Soviet Countries and their Immigrant Communities Elsewhere. October 3, 2008, Uppsala, Sweden.*

არსებობს მესამე (იერარქიით - კავშირისთვის პირველი) ენა, რომელიც საერთოა ყველასთვის; არამკვიდრი მოსახლეობა ამ იარაღს ფლობს, თავის თავს არაფერს მატებს, მკვიდრ ერს აკლებს..." (სილაგამე 1989: 3).

საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი ორიენტაციის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეით დაისვა ეროვნული მოძრაობის აღმავლობისას. უმცირესობათა მიმართ ღიად გამოთქვამდნენ საყვედურს ძირითადი მოსახლეობის ეროვნულ ფასეულობათა უპატივცემულობის გამო. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას, და გაღიზიანებასაც, იწვევდა სახელმწიფო ენის მიმართ მათი დამოკიდებულება. ამის შესახებ ბევრი იწერებოდა 80-იანი წლების ქართულ პრესაში: „საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს დედაქალაქში მრავალათასიანი არაქართველი მოსახლეობა თავისი ავტონომიით ცხოვრობს; მათ არ სჭირდებათ არც ქართული ენა, არც ქართული კულტურა, მშვენივრად ახერხებენ ქართულ მიწაზე, საქართველოს დედაქალაქში ცხოვრებას... ისე, რომ არასოდეს უჩნდებათ სურვილი იცოდნენ რა კულტურის, ისტორიის თუ ენის ქვეყანაში ცხოვრობენ“ (გოგოლაშვილი 1988: 6). და იქვე: „ჩვენს დედაქალაქში... ქართულად თითქმის არავინ მეტყველებს! მაშასადამე, აქ ქართული ენა არ ასრულებს თავის უპირველეს „საკომუნიკაციო ფუნქციას“ - სამეტყველო ფუნქციას და შორეული იმედიც კი არ არის იმისა, რომ ოდესმე შეასრულებს. აქ ქართული სამეტყველო ენისთვის ნიადაგი მკვდარია!“ (გოგოლაშვილი 1988: 6).

საბჭოთა კავშირში შეიქმნა სიტუაცია, სადაც შეზღუდული აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობა, როცა მას აღარ ეძლეოდა საშუალება საკუთარი, მათ შორის, სახელმწიფო სტატუსის მქონე, ენა გამოეყენებინა საზოგადოებრივ ადგილებში: „მრავალეროვანი დაწესებულების ერთ-ერთი განყოფილება. განყოფილებაში ორი აზერბაიჯანელია, ორი - სომეხი, ერთი - რუსი და ერთი - ქართველი. ურთიერთობის ენად რუსული აურჩევიათ. ქართველს სწყინდება ყოველი ფრაზის რუსულად თარგმნა და თვითონაც იწყებს საუბარს საყველპურო რუსულით, ალაგ-ალაგ ქართულის მოშველიებით. იგი პარადოქსულ სიტუაციაში ვარდება: თავისი წინაპრების მიწა-წყალზე მცხოვრები ერთბაშად თვითონვე ექცევა ეროვნულ უმცირესობაში. მისთვის მშობლიური ენა „საოჯახო ენად“ ქცეულა, რადგან სამსახურში, სადაც მისი ენა არ ესმით, მთელ დღეს ატარებს“ (ფოცხიშვილი 1988: 2).

რუსული ენის ზესახელმწიფოებრივი ფუნქციონირება, ცხადია, ზღუდავდა რესპუბლიკათა ენების ფუნქციონირების არეალს, ხოლო ამ მიმართულებით გამოთქმული ნებისმიერი პროტესტი, ინტერნაციონალიზმის მაღალი იდეის ღალატის ტოლფასი ხდებოდა. საკითხები, რომლებიც მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ქართული პრესის ფურცლებზე იკითხება, „პერესტროიკის“ ფსევდოდემოკრატიის იმედად დაისვა. ამ საკითხთა გარკვეული კლასიფიცირებაცაა შესაძლებელი:

- **წარმოება-დაწესებულებათა საკავშირო მართვას დაქვემდებარებულობა განაპირობებდა ე. წ. ორენოვანი კანცელარიის მუშაობას:** რუსულად დოკუმენტაცია აუცილებლად უნდა მომზადებულიყო, რადგან მას საკავშირო სამინისტროები (ანუ მოსკოვი) გეგმავდა და ამოწმებდა; ქართულად ამავე დოკუმენტაციის წარმოება ნებადართული იყო, მაგრამ ამგვარი სამუშაო აზრს კარგავდა (რადგან დროისა და ენერჯის ფუჭ ხარჯვას მოითხოვდა. საკონტროლო ეგზემპლარი ხომ მაინც რუსულ ენაზე მზადდებოდა?!), ამასთანავე, გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორიც: დოკუმენტაციის ორ ენაზე წარმოებისუნარიანი ერთი თანამშრომლის პოვნა ძნელი იყო, როგორც წესი, კარგი რუსულით წერის უნარის მქონე ადამიანს კარგი ქართული არ ეხერხებოდა და პირიქით; ორი თანამშრომლის აყვანა ერთი საქმისთვის კი დაწესებულების საკადრო ფორმატს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც, ჩვეულებრივ, არჩევანი რუსულენოვან კადრზე ჩერდებოდა; ამით რუსეთი ორ საქმეს აკეთებდა: რუსულენოვან საქმის წარმოებასაც ამკვიდრებდა, და დასაქმების ბაზარზე რესპუბლიკის ენის პრესტიჟსაც დაბლა წევდა რუსული ენის პრესტიჟის ამაღლების ხარჯზე.
- **საკადრო პოლიტიკა ზეპირ საკომუნიკაციო სივრცეშიც რუსულის დამკვიდრებას უწყობდა ხელს.** ხშირად დაწესებულებაში აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი იყო. მხოლოდ ერთი არაქართველის გამო ეს აბსოლუტური უმრავლესობა რუსულად უნდა ალაპარაკებულიყო „და ეს ხდება მაშინაც, როცა ამ არაქართველმა ცოტა ქართულიც იცის, მაგრამ, რადგან რუსულ სკოლაშია გაზრდილი, რუსულად ლაპარაკს ამჯობინებს. ხოლო კიდევ უარესი ისაა, რომ მთლად ქართველთაგან

დაკომპლექტებული დაწესებულება, რომელთაგან გამართული რუსული ერთმაც არ იცის, იძულებულია საქმიანი ქაღალდები რუსულად აწარმოოს. თუმცა არც ერთი ამ ქაღალდთაგან დაწესებულების კანცელარიასა და ბუღალტერიას იქით არ მიდის“ (ფოცხიშვილი 1988: 1). რუსული დოკუმენტაციის წარმოებას კი რუსული ენის კარგ დონეზე ფლობა სჭირდებოდა, რაც შეუძლებელი იქნებოდა ქართულად განათლებამიღებული სპეციალისტისთვის, თავისი საქმის თუნდაც საუკეთესო მცოდნისთვის. ამიტომაც როგორც მიუთითებდნენ, „წარმოება-დაწესებულებების უმეტესობაში სამუშაოზე მოწყობის პრიორიტეტს“ განაპირობებდა არა პროფესიული განათლების დონე, ან სხვა ორგანიზაციული თუ ადმინისტრაციული თვისებები, ადამიანური ღირსებები და მოქალაქეობრივი პოზიცია, არამედ, რუსულის კარგად ცოდნა. „...იმისათვის, რომ ასე თუ ისე მნიშვნელოვანი რანგის პარტიული ან მთავრობის მუშაკი გახდეს, აუცილებელია, კარგად ფლობდეს რუსულს, კარგად წერდეს და მეტყველებდეს მასზე, და არავინ გეკითხება, შეგიძლია თუ არა გამართულად მეტყველება შენს მშობლიურ ენაზე, რაც სხვათა შორის აუცილებელი პირობაა იმისა, რომ შენ საერთოდ გამართულად აზროვნებდე“ (ფოცხიშვილი 1988: 1).<sup>1</sup>

ამგვარი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ უმრავლესობა, ქართველობაც და არაქართველებიც, უკეთესი თანამდებობის მოპოვების იმედით რუსულ განათლებას იღებდა.

„უკვე კარგა ხანია სოციალურ ფაქტად იქნა აღიარებული, რომ მეტ-ნაკლებად ყველა რესპუბლიკის არამკვიდრ მოსახლეობას სულ უფრო უქრება ინტერესი მკვიდრი მოსახლეობის ენისადმი. ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ის მიმაჩნია, რომ მკვიდრი მოსახლეობის ენები, მაგალითად, ქართული, თანდათან კარგავს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლი, სადაც წერია, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა, ფორმალური და ფუნქციონალური ადგილი ადამიანს“ (პეტრიაშვილი 1988: 2).

---

<sup>1</sup> წარსულის გათვალისწინებით შეიძლება უკეთ მივხვდეთ ინგლისური ენის გადაჭარბებული იდეალიზაციის მოსალოდნელ შედეგებსაც.

„საქართველოში არაქართველი მოსახლეობა შეადგენს 28,6%. ცენტრალიზებული საბჭოური ეკონომიკის შედეგად იგი განუხრელად იზრდება, საქართველოში ცხოვრების მიუხედავად მათ არ იციან ქართული, ყოველი მათგანი ითვლება საქართველოს სსრ მოქალაქედ და კონსტიტუციით სრული უფლება აქვს ისწავლოს, იმუშაოს და წეროს თავის მშობლიურ ენაზე; სინამდვილეში კი (ჯერჯერობით) - მაღალი „პრესტიჟის“ რუსულ ენაზე!“ (თოფურია 1989: 10).

გავრცელებული შეხედულების თანახმად, თუ ნაციონალური უმცირესობა მრავალრიცხოვანია და ცხოვრობს კომპაქტურად, ასეთი სიტუაცია უმრავლეს შემთხვევაში იწვევს ენობრივ კონფლიქტებს. ენობრივი ფაქტორი ყოველთვის მოქმედებს სხვა ფაქტორებთან ერთად: ეკონომიკურთან, პოლიტიკურთან, ეთნიკურთან და ა. შ. (ალპატოვი 2000: 35).

- საკადრო პოლიტიკის ენობრივი ქვეტექსტი საყოფაცხოვრებო პირობებზეც ახდენდა გავლენას. არა პროფესიული, არამედ ენობრივი კომპეტენციის გამო ილახებოდა მკვიდრი, სატიტულო ეთნოსის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები, რაც ფარული სტიმული ხდებოდა ეთნიკურ-ენობრივი კონფლიქტებისა. განვლილი ათწლეულების განმავლობაში ქართველობასა და საქართველოში მცხოვრებ არაქართველთა შორის მნიშვნელოვანი ბზარი გაჩნდა, რაც გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: „საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულობა უნიტარული საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ხშირ შემთხვევაში ფიქციად იქცა, ძალზე შეიზღუდა ქართული ენის ფუნქციონირების ფარგლები, საქართველოს ისტორიის, კულტურისა და გეოგრაფიის ცოდნა მეორეხარისხოვნად იქნა ჩათვლილი თვითონ ქართველთათვისაც კი და ა. შ. ამგვარ ვითარებაში ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ არაქართველთა თვალში გაუფასურდა ქართული ენა, ზედმეტი გახდა ქართველი ერის ისტორიის შესწავლა, ინტერესი ჩვენი კულტურისადმი, დღემდე ვერ გარკვეულან საქართველოს მოქალაქეობის სტატუსის დამკვიდრების მიზანშეწონილობაში. ყოველივე ამან, რასაკვირველია, გააუცხოვა ქართველები და არაქართველები“ (საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართვა... 1989: 3).

➤ ენობრივი კომპეტენციების საკითხები მჭიდროდ უკავშირდებოდა საგანმანათლებლო პოლიტიკას. შექმნილ ვითარებაში საზოგადოება გამოსავალს ეძებდა. ერთ შემთხვევაში სკოლას ადანაშაულებდნენ და არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერებას ითხოვდნენ, სხვანი გამოსავალს ხედავდნენ ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფების შექმნაში: „ვფიქრობთ, უხერხულია მუდმივად ცხოვრობდე რომელსამე რესპუბლიკაში და არ ფლობდე ამ რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის ენას (ისე არავინ გაიგოს, რომ ჩვენ აფხაზებს მკვიდრ მოსახლეობად არ ვთვლიდეთ). ... უნდა გვახსოვდეს, რომ „ენის პატივისცემა ერის პატივისცემაც არის და პირუკუ“ (არნ. ჩიქობავა). სწორედ ამ ასპექტში გაგებული ქართული ენის სწავლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რესპუბლიკაში მცხოვრებ ერთა შორის დაახლოებას, ეროვნებათა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, ამ მხრივ არც თუ სახარბიელო მდგომარეობა გვაქვს. ...ყოველივე ეს იმის საჭიროებაზე მიგვანიშნებს, რომ არაქართულენოვან სკოლებში რუსულთან ერთად ქართული ენის სწავლებასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს“ (თოთაძე 1989ა: 6).

➤ **რესპუბლიკის მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის ნაცვლად გამმაფრდა დაპირისპირება: ქართველი/არაქართველი, ქართულენოვანი/არაქართულენოვანი.** გაჩნდა ეთნიკური ჯგუფების მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი ახალი კრიტერიუმი: რესპუბლიკის სახელმწიფო ენის ცოდნის ხარისხი. ცხადია, საქართველოში ამგვარი ენა ქართული იყო. „საქართველოში მცხოვრებმა არაქართველმა მოსახლეობამ მასობრივად არ იცის ქართული ენა, წარმოდგენა არა აქვს ქართულ კულტურაზე, საქართველოს ისტორიაზე, რაც მეტად სამწუხარო ფაქტია. არაქართული საშუალო სკოლა არ იძლევა ამის საშუალებას. იქ დაინტერესებული კარგი მოსწავლეც ვერ მიიღებს აღნიშნულ საკითხზე მინიმალურ წარმოდგენას. თითოეული ჩვენგანი ვიცნობთ საქართველოში გაზრდილ მშვენიერ ახალგაზრდებს, მათ შორის ქართველებსაც, თავიანთი საქმის კარგ სპეციალისტებს, რომლებსაც ქართულად საუბარი უჭირთ,



წერა და კითხვა ხომ თავისთავად. დღესდღეობით კი კარგი იქნება, იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც უცხო ენის შემსწავლელ ჯგუფებში იწვევენ ახალგაზრდებს, ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფებიც გახსნან. იქნებ, კოოპერატივებმაც, რომლებიც აბიტურიენტთა მომზადების საქმეს ემსახურებიან, ამ მიმართულებითაც გაშალონ მუშაობა“ (შენგელაია... 1988: 10).

მრავალეროვან სახელმწიფოში სახელმწიფო ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სწორედ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენის როლის შესრულებაა. სამოქალაქო ინტეგრაციის ძირითად მაჩვენებლად სახელმწიფო ენის ცოდნა ითვლება. საბჭოთა კავშირის ვერცერთ რესპუბლიკაში დომინანტი ერების ენები ვერ ასრულებდნენ მაინტეგრირებელ ფუნქციას.

- **80-იანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სატიტულო ენათა ფუნქციების გაფართოების საკითხს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც.** ქართულ პრესაში ყურადღებას ამახვილებდნენ მთელ საბჭოთა კავშირში ენობრივი სიტუაციის ცვლის პროცესებზე. მაგალითად, ლიტვური ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების შემდგომ სავალდებულო გახდა მისი დაუფლება რესპუბლიკის ყველა მოქალაქისთვის. შეიქმნა ლიტვური ენის სწავლების ცენტრი, ყველა საშუალო სკოლაში გაზარდეს ლიტვური ენის გაკვეთილების რაოდენობა. უმაღლეს სასწავლებელში ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტისათვის შემოღებულ იქნა ლიტვური სიტყვიერების კულტურის კურსი. ამავე დროს არ იზღუდებოდა უმცირესობათა ენების გამოყენება. მაგალითად, პოლონელებისათვის პოლონურად გამოიცემოდა რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი, მათ ჰქონდათ სკოლები, რომლებშიც სწავლობდნენ პოლონურ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოებით. ვილნიუსის პედაგოგიურ ინსტიტუტში არსებობდა პოლონური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. გარდა პოლონურისა, სხვა ეთნიკურ უმცირესობათათვის შექმნილი იყო რუსული, ებრაული, თათრული, ბელორუსული კულტურის ცენტრები. „ამრიგად, ლიტვური ენისათვის სახელმწიფო

სტატუსის მინიჭებას ოდნავადაც არ შეუბღალავს სხვა ეროვნებათა ინტერესები, ოღონდ ახალმა კანონმა ლიტვური ენის ცოდნა ფაქტობრივად სავალდებულო გახადა რესპუბლიკის ყველა მცხოვრებისათვის“, - აღნიშნავდნენ სტატიაში (ბალტიისპირეთის რესპუბლიკები... 1989: 3).

როგორც მიუთითებდნენ, უფრო რთულად მიმდინარეობდა ეს პროცესი **ლატვიაში**: „რესპუბლიკის თითქმის სამმილიონიანი მოსახლეობის ნახევრისათვის ლატვიური მშობლიური არ არის. აქ ცხოვრობენ ასამდე ეროვნების წარმომადგენლები - რუსები, ბელორუსები, ლიტველები, პოლონელები, ებრაელები, სომხები, უკრაინელები... ამ ფაქტორმა ბოლო ათწლეულებში საგრძნობლად შეზღუდა ლატვიური ენის გამოყენების არე. მაგალითად, იგი პრაქტიკულად განიდევნა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებიდან“ (ბალტიისპირეთის რესპუბლიკები 1989: 3).

1988 წლის შემოდგომაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით ლატვიური ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა. ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ საბოლოოდ განსაზღვრა როგორც ლატვიური ენის, ისე იქ მცხოვრებ სხვა ეროვნებათა ენების გამოყენების სფეროები. ლატვიელ ლინგვისტთა, იურისტთა, ლიტერატურის სპეციალისტთა აზრით, ახალი კანონი გააფართოებდა ლატვიური ენის გამოყენების სფეროს, უზრუნველყოფდა მისი დაუბრკოლებელი განვითარების პერსპექტივებს. ლატვიური ენის კანონის ოპონენტები მიუთითებდნენ, რომ კანონი მხოლოდ ლატვიელთა ინტერესებს ითვალისწინებდა, რასაც იზიარებდა რუსულენოვანი მოსახლეობის ნაწილი. რუსულენოვანი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი იმასაც კი მიუთითებდა, რომ ლატვიური ენის ფართოდ გავრცელება და გამოყენება თვით ამ ენის სიწმინდეს დაემუქრებოდა - მრავალი არალატვიელი დამახინჯებულ ენაზე ალაპარაკდებაო. სახელმწიფო ენის ლექსიკური დამახინჯების საფრთხე კარგად ესმოდა ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელსაც. მაგრამ ენების შესახებ კანონის ფარგლებში გათვალისწინებულ სპეციალური ღონისძიებების პროგრამას უნდა უზრუნველყო, ერთი მხრივ, ენის სიწმინდე, ხოლო, მეორე მხრივ, მისი სწავლების მაღალი ხარისხი (ბალტიისპირეთის რესპუბლიკები 1989: 3).

ეროვნული ენების უფლებებს ზღუდავდა საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური პოლიტიკა - ერებისა და ენების შერწყმის თეორია, რის გამოც საბჭოთა

რესპუბლიკებში თანდათანობით გაქრა ინტერესი ეროვნული ენისადმი როგორც უმცირესობების, ისე რესპუბლიკათა ძირითადი მოსახლეობის მხრიდანაც, მაგალითად: „ლენინაბადში 1987 წელს 39 საბავშვო ბაღიდან მხოლოდ სამ ბაღში მიმდინარეობდა მეცადინეობა ტაჯიკურ ენაზე. ყირგიზ მოსწავლეთა 42 პროცენტი არ სწავლობს დედაენას, ხოლო სხვა ეროვნების ადამიანებს, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ცხოვრობენ რესპუბლიკაში, არ შეუძლიათ მიესაღონ ყირგიზს მის ენაზე. ანალოგიური ვითარებაა ესტონეთშიც, სადაც რუსი და სხვა არაესტონელი მოსახლეობის 90 პროცენტმა არ იცის ესტონური ენა (მათი უმრავლესობა კი ტალინში ცხოვრობს)“ (თევზაძე 1989: 2).

- **რუსული ენა იქცა დენაციონალიზაციის საშუალებად:** „ტიპური და ნიშანდობლივი მაგალითი: რა არის საჭირო იმისათვის, რომ ქართველი გააფხაზდეს - მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ დაკარგოს ქართული და ალაპარაკდეს არა აფხაზურად, არამედ რუსულად; თუ ქართველი ალაპარაკდება მხოლოდ რუსულად (რა თქმა უნდა, მოცემულ რეგიონში), ის ხდება აფხაზი“ (სილაგაძე 1989: 16).
- **ენობრივი „დისკომფორტი“ პოლიტიკური მოთხოვნების წინაპირობა გახდა.** გარდაქმნის პერიოდში რესპუბლიკათა მკვიდრმა მოსახლეობებმა მოითხოვეს საკუთარ ენათა პრიორიტეტულობის აღიარება თავიანთი რესპუბლიკების ტერიტორიებზე. ამ დროს საკავშირო პრესაში იბეჭდებოდა ცნობილ მოღვაწეთა წერილები, რომლებშიც იცავდნენ ბილინგვიზმის თეორიას. მათი მოსაზრებით, რუსულენოვანი მოქალაქეები რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის ენის გარეშე იოლად შეძლებდნენ ცხოვრებას. ისინი ჩიოდნენ მოკავშირე რესპუბლიკებში სხვა ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის შეზღუდვის თაობაზე ეროვნულ ენათათვის პრიორიტეტის მინიჭების გამო, რაც, მათი შეხედულებით, ეწინააღმდეგებოდა როგორც საკავშირო კანონებს, ისე საერთაშორისო პაქტებს. თუმცა იყვნენ გამონაკლისები, ძირითადად, მეცნიერთა შორის: აკადემიკოს ბრომლის მოსაზრებით, „არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რუსებმა და სხვა ეროვნებათა პირებმა ისწავლონ რესპუბლიკების ადგილობრივ მკვიდრთა ენა. ეს აუმჯობესებს პიროვნებათა

ურთიერთობას, ხელს უწყობს სხვა ეთნიკური გარემოებისადმი ადაპტაციას“ (თევზაძე 1989: 2). საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. პოლიაკოვი მიუთითებდა: „რესპუბლიკის ენის შესწავლა სავალდებულოა რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა მოქალაქისათვის, მიუხედავად მისი ეროვნული კუთვნილებისა“ („იზვესტია“, 22 მარტი, 1988) (თევზაძე 1989: 2).

საბჭოთა მწერლების გამგეობის პლენუმზე (1988 წ.) ორატორები მოითხოვდნენ რესპუბლიკაში მკვიდრი ერის ენის, რომელიც რესპუბლიკის სახელმწიფო ენად იყო გამოცხადებული, სავალდებულო ცოდნას, როგორც სავალდებულო საგნის დაკანონებას და შესწავლას არა მხოლოდ სკოლაში, არამედ საბავშვო ბაღშიც, მით უმეტეს, რომ ამით ქართული ენა არ ზღუდავდა რესპუბლიკაში გავრცელებულ სხვა ენათა უფლებებს: „ვერავინ დაასახელებს თუნდაც ერთ ისეთ შემთხვევას ოციანი წლებიდან დღემდე, როცა ქართულის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ რომელიმე სხვა ენის უფლებები უსამართლოდ შეზღუდა საქართველოში. ხანგრძლივმა ისტორიულმა გამოცდილებამ სწორედ ის გვიჩვენა, რომ რაიმე შეზღუდვა სხვა ენისა ამ კონსტიტუციურ დებულებას არ გამოუწვევია. მით უმეტეს, რომ საქართველოს კონსტიტუცია არც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ერთა თუ ეროვნებათა ენებს ტოვებს უყურადღებოდ. საქართველოს სსრ 1978 წ. კონსტიტუციის 75-ე მუხლის ძალით საქართველოს სსრ-ში უზრუნველყოფილია თავისუფალი გამოყენება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც სარგებლობს მოსახლეობა“ (გამყრელიძე 1989: 2).

სპეციალისტები ითხოვდნენ რუსულის, როგორც „ფედერაციისთვის კომუნიკაციის ენის“, ფუნქციების განსაზღვრასაც. „არასწორია, რომ საერთოდ იქ და საერთოდ მაშინ, სადაც და როდესაც ადამიანებს (კოლექტივებს და ა. შ.) ერთმანეთის არ ესმით, უნდა ალაპარაკდეს რუსული. სწორი იქნებოდა, რომ მოცემულ რესპუბლიკაში ყველამ უნდა იცოდეს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა - მკვიდრი ერის ენა (იცოდეს რუსულიც)“ (სილაგაძე 1989: 16).

შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნები თანდათანობით იზრდებოდა. რესპუბლიკის ენობრივ უფლებებთან ერთად უკვე ქვეყნის სუვერენიტეტის უფლებაზეც თამამად საუბრობდნენ. მკვიდრი მოსახლეობის ენის - რესპუბლიკის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშნის, ფუნქციების გაფართოებისთვის საჭირო იყო ქვეყნისთვის რეალური

სუვერენიტეტის მინიჭება: „მოცემული რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის (!) ერთი საერთო ენა უნდა არსებობდეს - მოცემული რესპუბლიკის მკვიდრი ენა. რუსული უნდა იყოს რესპუბლიკათაშორისი და ცენტრთან რესპუბლიკების ურთიერთობის ენა (ბილინგვიზმი და ტრილინგვიზმი, თუ იგი სირთულეს ქმნის, ჩვენი უსაშველოდ დიდი ფედერაციის ხარჯზე მოდის). რესპუბლიკა უნდა რესპუბლიკობდეს. ამისათვის: უნდა არსებობდეს რეალური სრული სუვერენიტეტი“ (სილაგაძე 1989: 16).

საზოგადოებაში დისკუსია გამოიწვია მოთხოვნამ **გარკვეული ცენზის დაწესების შესახებ რესპუბლიკური მოქალაქეობის მოსაპოვებლად**. ეროვნული მოძრაობის აღმავლობასთან ერთად ითხოვდნენ მოქალაქეობის შესახებ კანონში ცვლილებას: პირისთვის მოქალაქეობა მიენიჭებინათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ეცოდინებოდა მკვიდრი ერის ენა. საბჭოთა მოქალაქეების თანასწორუფლებიანობის პრინციპის დარღვევად მიიჩნევდნენ ამ შეხედულებას ოპონენტები: „დისკრიმინაციული ხასიათისაა წინადადება დავუკავშიროთ მოქალაქეობის მინიჭება მკვიდრი მოსახლეობის ენის ცოდნას, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო ენის სტატუსი. თავისთავად ამ ენის ცოდნა, რა თქმა უნდა, უადვილებს ყოფა-ცხოვრებას ყველას, ვინც რესპუბლიკაში ცხოვრობს, საშუალებას აძლევს უფრო აქტიურად ჩაებას მუშაობაში, ისარგებლონ კულტურის საგანძურით, მაგრამ მრავალი მიზეზით - ასაკის, განათლების და, ასე განსაჯეთ, ინტერესების გამო - ადამიანთა ნაწილს, მათ შორის რესპუბლიკაში მცხოვრებთ, შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე იოლად წავიდეს თავისი ეროვნული ენით. განა შეიძლება ამ საფუძველზე წავართვათ მათ შესაძლებლობა იყვნენ რესპუბლიკის მოქალაქეები? მათ ხომ ყველა საფუძველი აქვთ ისარგებლონ იურისდიქციით და იქონიონ მისი დაცვის იმედი“ (ტოპორნინი 1988: 3). „ეს ეწინააღმდეგება დემოკრატიზაციისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპებს“, - აცხადებდნენ ისინი.

საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა მიერ ქართული ენის ცოდნა თანდათანობით უარესდება მე-20 ს.-დან, ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ. მანამდე არაქართველი მოსახლეობისთვის სალაპარაკო ენა ქართული იყო. „თბილისში არაქართველი მოსახლეობისათვისაც საოჯახო, სალაპარაკო ენა ძირითადად ქართული იყო. ამის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავდა კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის რუსი მოხელე დ. კობიაკოვი: თბილისში მცხოვრებმა

ბევრმა სომეხმა სომხური ენა თითქმის სრულებით არ იცის და თავის მშობლიურ ენად ქართულს თვლის. ზოგიერთი კი, ვინც სომხური იცის, მაინც უმთავრესად ქართულ ენაზე ლაპარაკობს, რომელიც თბილისში ძირითადი სალაპარაკო ენაა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომ მშობლიური ენის მიხედვით ეროვნების განსაზღვრა შეცდომით დასკვნამდე მიგვიყვანდა. დაბადებითა და სარწმუნოებით ბევრ სომეხს ქართველს მიაკუთვნებდნენ, რადგან ქართულ ენას ისინი თავიანთ მშობლიურ ენად თვლიანო“, - წერდნენ პრესაში (თოთაძე 1989ბ: 4). აღნიშნავდნენ იმასაც, რომ გასულ საუკუნეში და ამ საუკუნის I ნახევარშიც საქართველოში მცხოვრებმა სხვადასხვა ერის წარმომადგენლებმა გაცილებით კარგად იცოდნენ ქართული ენა, ვიდრე ამჟამად: „მაგალითად, 1926 წელს 8920 აფხაზი მშობლიურ ენად ქართულს თვლიდა, 1979 წელს კი - მხოლოდ 730. ამავე წლებში შესაბამისად 74 ათასი აზერბაიჯანელი და 33 ათასი სომეხი თავის მშობლიურ ენად ქართულს აღიარებდა“ (თოთაძე 1989ა: 6).

ცნობილია, რომ ქართული ენა ცარიზმის პირობებშიც კავკასიის ხალხთა საურთიერთო ენა იყო. მას ფლობდა სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. „გასული საუკუნის ათიან და ოციან წლებში გამოდიოდა „საქართველოს გაზეთი“ (შემდგომში „ქართული გაზეთი“), რომელიც მრავლდებოდა არა მარტო ქართულ მოსახლეობაში, არამედ სომხურ, აზერბაიჯანულ, და დაღესტნის მოსახლეობაში“ (ნებიერიძე 1989: 2).

შესადარებლად: სომეხი ეროვნების მშობლიური ენა მე-20 საუკუნის დასაწყისში და 80-იანი წლების ბოლოს

თბილისში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის დედა ენა	1922	1989
რუსული	6,8%	18,8%
ქართული	29,57%	10,15%
სომხური	63,26%	70,9%

20-იანი წლებიდან ვითარება იცვლება: „სახელმწიფო დაწესებულებებში გაბატონებულმა უცხო ელემენტებმა იმდენი ჰქნეს, რომ საქართველოს რევკომის დეკრეტი ქართული ენის შესახებ ...ფაქტიურად გააუქმეს. მიწერ-მოწერა, საქმის

წარმოება უცხო ენაზე. რითაც გენებოთ ახსენით ეს და გაამართლეთ, მაგრამ ხალხის შეგნებაში მას მხოლოდ ერთი დასკვნა უკეთდება, დაგვიპყრეს და ქვეყანას უცხოელები განაგებენ“.

ოციანი წლების დასაწყისში ზოგი დაწესებულება „ტექნიკური დაბრკოლების“ საბაზით მიმოწერას მხოლოდ რუსულ და სომხურ ენებზე აწარმოებდა; ერთ-ერთი გამომცემლობის მაშინდელი დირექტორი ბაგდატაევი „ოფიციალურად მოითხოვდა უარი გვეთქვა ქართულ შრიფტზე და ლათინურზე გადავსულიყავით; იყო შემთხვევა, როცა მასწავლებელთა კოოპერატივის სია არ მიიღეს მუშათა მაგიდაში იმიტომ, რომ ქართულ ენაზე იყო შედგენილი. როდის მოელება ბოლო ასეთ თავხედობას?“ - კითხვას სვამს გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ (თევზაძე 1989: 2).

XX საუკუნის 20-იან წლებში არაქართულენოვანი მოსახლეობა ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების წინააღმდეგ მოქმედებდა. როგორც პრესაში აღნიშნავდნენ, ამ პროცესს ხელს უწყობდა მაშინდელი ხელისუფლება, განსაკუთრებით, სერგო ორჯონიკიძე. იგი ქართველებს „მპყრობელ ერს“ უწოდებდა და მოითხოვდა საქართველოში სომხურენოვან რაიონებში „საქმეების წარმოებას სომხურ ენაზე“: „ჩვენ სომხებს უნდა ვუთხრათ, - ამბობდა იგი, - თქვენ შეგიძლიათ ახალქალაქში აწარმოოთ საქმეები სომხურ ენაზე“. ამავე დროს ქართველ ინტელიგენციას ემუქრებოდა, „თუ საბოტაჟის გზას დაადგებით, თქვენთან სალაპარაკოდ ტყვიის ენა გვექნებაო“ (თევზაძე 1989: 2).

## **6.2. სამცხე-ჯავახეთი - სომეხთა ენობრივი ორიენტაცია და ენობრივი პრობლემები 80-იანი წლების პერიოდის მიხედვით**

80-იანი წლების დასასრულს რთული ენობრივი სიტუაცია შეიქმნა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. კომუნიკაცია მათთან სულ უფრო ძნელდებოდა. ერთ-ერთი ასეთი მხარე იყო სამცხე-ჯავახეთი. ამ მხარის ენობრივი სიტუაციის შესწავლისას აუცილებელია მისი ისტორიული, ეთნოფსიქოლოგიური და დემოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინება.

საერთოდ, საგანგებო დემოგრაფიული პოლიტიკა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა იმპერიული

ხელისუფლებისათვის თავისი სურვილისამებრ მართოს სიტუაცია მისთვის საინტერესო რეგიონში<sup>1</sup>. ეს კარგად ჩანს სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე, თუ თვალს გავადევნებთ მისი ადმინისტრაციული დაყოფის ისტორიას: ცნობილია, რომ მე-16 ს.-იდან სამცხე-საათაბაგოს ოსმალები დაეუფლნენ და მცირე ერთეულებად - ლივებად, სანჯაყებად და ნაჰიებად დაყვეს. ამ დროს ამ მხარის მოსახლეობა ძირითადად ქართული იყო, რასაც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მონაცემებიც მოწმობს. მე-18 ს.-ის ბოლოს და მე-19 ს.-ის დასაწყისში თურქეთმა განსაკუთრებით გააძლიერა თავისი აგრესია. ქართველებს უკრძალავდნენ მშობლიურ ენაზე ლაპარაკს, ავალდებულებდნენ ესწავლათ და ელაპარაკათ თურქულ ენაზე.

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემდეგ დაიწყო ქართველთა მიგრაციის პროცესი, რამაც ხელი შეუწყო ამ მხარის შემდგომ კოლონიზაციას. რუსეთმა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აქ ოსმალეთიდან ლტოლვილი სომხები ჩამოსახლა, რის შედეგადაც ისინი ამ რეგიონში ეთნიკურ უმრავლესობად იქცნენ. მომდევნო წლებში აქ რუსი დუხობორების ჯგუფი შემოჰყავთ. სომეხთა და დუხობორთა კომპაქტური დასახლებით რუსეთმა რეგიონში იზოლირებული ჯგუფები შექმნა, რაც მიზნად ისახავდა სამხრეთის საზღვრების გამაგრებას და აქ რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას. ამ პროცესს ხელს უწყობდა რუსეთის მიერ ამ მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობაც. მეფის რუსეთის მიერ შემოერთებულ ტერიტორიას ახალციხის პროვინცია ეწოდა. ამის შემდეგ რეგიონის ადმინისტრაციულ დაყოფაში ცვლილებები ძირითადად ხელოვნური იყო, რადგან როგორც თურქული, ისე რუსული ხელისუფლება, ამ მხარის

---

<sup>1</sup>ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია საპირისპირო მოსაზრებანი: „მსოფლიოს იმ მრავალეროვან ქვეყნებში, სადაც ადმინისტრაციული დაყოფა არ ემთხვევა ნაციონალურ-ენობრივს, ნაციონალურ-ენობრივი კონფლიქტების საფრთხე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ქვეყნებში, სადაც ასეთი დაყოფა ემთხვევა“ (დიაჩკოვი 1993: 98). სხვა შეხედულებით, ეთნოენობრივი მიმართების პრაქტიკა საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მაგ., ბელგიაში ნაციონალურ-ენობრივი დამაბულობა არსებითად შესუსტდა სწორედ ნაციონალურ-ენობრივი საზღვრების ადმინისტრაციულთან შეთავსების შედეგად. ამის დასტურია სსრკ-ს ტერიტორიული მოწყობაც: ნაციონალურ-ენობრივი საზღვრები სწორედ რომ არ ემთხვეოდა ეთნოსების განსახლების საზღვრებს, რაც იყო კიდევ ხშირ შემთხვევაში ბევრი კონფლიქტისა და სოციალური დამაბულობის წყარო (დიაჩკოვი 1993: 99).



ადმინისტრაციული დაყოფის დროს თავიანთი სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ. მაგალითად, 1846 წ. ახალციხის მაზრის აბასთუმნისა და ხერთვისის უბნები რუსეთის მმართველობამ ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შეიყვანა, ახალქალაქის უბანი კი, რომელიც ძირითადად სომხური მოსახლეობით იყო დასახლებული, თბილისის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრას გადასცა. როგორც ჩანს, მთავრობას თბილისის გუბერნიაში ერთიანი ეთნიკური სომხური მაზრის შექმნა სურდა.

გასაბჭოების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორია უფრო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყო. სამცხე-ჯავახეთში გამოიყო ექვსი რაიონი, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფოდა საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებად. რჩება შთაბეჭდილება, რომ საბჭოები შედგენილი იყო არა მარტო გეოგრაფიული, არამედ ეთნიკური ნიშნითაც. სოფლები, რომლებიც ძირითადად სომხური მოსახლეობით იყო დასახლებული, ერთ სოფლსაბჭოში ერთიანდებოდა. ასევე ერთ საბჭოშია თავმოყრილი, ერთი მხრივ, დუხობორებით დასახლებული პუნქტები, მეორე მხრივ კი - ქართული სოფლები. იქმნებოდა ეთნიკურად ჩაკეტილი სივრცეები, რითაც საფრთხე ექმნებოდა ქართული ენის ეკოლოგიას (იხ. ტაბიძე მ., ენობრივი კონტაქტები და ენობრივი დაგეგმვა, არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბილისი, 1998, გვ. 87-88, ტაბიძე მ., ენობრივ საკითხებზე გამართულ პოლემიკათა სოციოლინგვისტური ასპექტები (ქართულ სინამდვილეში), ქუთაისური საუბრები, საერთაშორისო სიმპოზიუმი, VI, ქუთაისი, 1999, გვ. 147-149; Manana Tabidze, Sociolinguistic aspects of the development of Georgian, Working Papers, 47, Lund University Department of linguistics, General Linguistics honetics, Lund, 1999, p. 201-211., მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, 2005). დუხობორებს მათთვის დამახასიათებელი რელიგიური კარჩაკეტილობის გამო ნაკლებად ჰქონდათ ურთიერთობა როგორც ქართულ, ისე სომხურ მოსახლეობასთან და თითქმის მთლიანად იზოლირებულად ცხოვრობდნენ. სომეხთა კომპაქტური დასახლებების ადგილებზე, სადაც მმართველობით ორგანოებში მხოლოდ სომეხები იყვნენ წარმოდგენილი, საქმის წარმოება ძირითადად უცხო ენებზე მიმდინარეობდა: „ახალციხის მაზრაში საქ. კპ ცკ-ის დადგენილებით დაწესდა აზერბაიჯანული,

ქართული, რუსული და სომხური. ახალქალაქის მაზრაში მთავარ ენად სომხური, თემებთან ურთიერთობის ენებად - რუსული, აზერბაიჯანული, ქართული და სომხური დაწესდა“ (სონდულაშვილი 2013: 153). მოგვიანებით „ახალციხის მაზრაში ძირითად ენად გამოცხადდა თურქული ენა, მაგრამ თურქული ენის მცოდნე ინტელიგენციის თითქმის არარსებობის პირობებში გამწვანდა ამ მოთხოვნის შესრულება, ამიტომ რუსული ენა გამოიყენებოდა სასწავლო დაწესებულებებში“ (სონდულაშვილი 2013: 160). იხსნებოდა არაქართული, ძირითადად, სომხური ან რუსული სკოლები, რომლებშიც არ ისწავლებოდა ქართული ენა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის საერთო ენის ფუნქციას ასრულებდა რუსული და რეგიონის დომინანტი ენა. ხშირად ქართველი იძულებული ხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველებისათვის მიემართა რუსულად ან მის მშობლიურ ენაზე. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ის, რომ 1989 წლის აღწერის მონაცემებით, 10 376-მა ქართველმა მშობლიურად აღიარა სხვათა ენა. 2000 წლის აღწერით, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ქართველებში შემცირდა რუსულის, ხოლო თითქმის ორჯერ გაიზარდა სომხური ენის მცოდნეთა რაოდენობა. გამოკითხულ სომეხთა მხოლოდ 18% ფლობს ქართულს, 26% ძნელად ლაპარაკობს, დანარჩენებმა კი არ იციან ან არც სურთ ქართული ენის ცოდნა.

შემოსული მოსახლეობა ყოველთვის ცდილობდა საკუთარი ენის ადგილობრივი მოსახლეობისთვის თავს მოხვევას. ახალქალაქის რაიონის სოფლები - ბავრა, ხულგუმო და კარტიკამი მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ იმის გამო, რომ ამ სოფლების გარშემო სომხები დასახლდნენ, ქართულმა მოსახლეობამ თანდათან დაკარგა ქართული ენა და ქართული თვითშეგნება - ისინი საბოლოოდ გასომხდნენ.

სამცხე-ჯავახეთში ამგვარი ენობრივი ვითარების შექმნა გარე იმპერიული ძალების მიზანმიმართულმა პოლიტიკამ განაპირობა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ჩვენს ხელისუფლებას მიეცა საშუალება ამ რეგიონში ვითარების გამოსასწორებლად სასურველი პოლიტიკური ნაბიჯები გადაედგა. 1990-91 წლებში საქართველოს მთავრობამ ჯავახეთში სტიქიით დაზარალებული აჭარლები ჩაასახლა, რითაც ცდილობდა ეთნოდემოგრაფიული ბალანსის გაწონასწორებას.

ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწყობაში მონაწილეობას იღებს საქართველოს საპატრიარქოც. მის მიერ გამოყოფილი ეპარქიები გულისხმობს არაქართველი მოსახლეობით დასახლებული მხარეების გაერთიანებას რეგიონებთან, რომლებშიც ძირითად მოსახლეობას ქართველები წარმოადგენენ. 1978 წელს აღდგენილი სამცხე-ჯავახეთის ეპარქია 1995 წელს ორად გაიყო და ახალციხისა და ბორჯომ-ახალქალაქის ეპარქიები ჩამოყალიბდა (ბორჯომი ძირითადად ქართველებით დასახლებული რაიონია, ახალქალაქში კი უმრავლესობას სომხები წარმოადგენენ). 2002 წ. ახალციხის ეპარქიას ნომინალურად დაუქვემდებარეს უძველესი ქართული მხარეები: ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი. ყველაზე ოპტიმალურად სწორედ ამგვარი დაყოფა უნდა მივიჩნიოთ (მარკოზია... 2004: 43-44).

1989 წლისთვის სომეხი მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი უმცირესობა იყო საქართველოში.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რიცხოვნობა და ეთნიკური შემადგენლობა 1970 წლის მდგომარეობით ამგვარია<sup>1</sup>:

რაიონი	ქართველები	სომხები	რუსები	სულ
ახალციხის	21.436 (41,3%)	25.497 (49,1%)	2.849 (5,5%)	51.907
ადიგენის	17.582 (86,7%)	1.466 (7,2%)	676 (3,3%)	20.272
ასპინძის	9.929 (79,5%)	2.421 (19,4%)	95 (0,8%)	12.494
ახალქალაქის	3.926 (5,6%)	63.954 (91,4%)	1.297 (1,9%)	69.992
ნინოწმინდის	321 (0,9%)	32.399 (86,9%)	4.344 (11,7%)	37.267
სულ	53.194 (27,7%)	125.737 (65,5%)	9.261 (4,8%)	191.932

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რიცხოვნობა და ეთნიკური შემადგენლობა 1979 წლის მდგომარეობით:

რაიონი	ქართველები	სომხები	რუსები	სულ
--------	------------	---------	--------	-----

<sup>1</sup> მონაცემები მოხმობილია: Samtskhe-Javakheti: realities and perspectives. UNDP: თბილისი, 2004, გვ. 59.

ახალციხის	21.702 (43,1)	24.035 (47,7)	2.910 (5,8%)	50.350
ადიგენის	18.007 (90,1%)	1.263 (6,3%)	424 (2,1%)	19.975
ასპინძის	9.651 (77,8%)	2.654 (21,4%)	56 (0,5%)	12.411
ახალქალაქის	3.067 (4,4%)	63.692 (91,7%)	1.788 (2,6%)	69.455
ნინოწმინდის	370 (1,0)	32.231 (88,0%)	3.330 (9,1%)	36.632
სულ	52.797 (28,0)	123.875 (65,6%)	8.508 (4,4%)	188.823

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რიცხოვნობა და ეთნიკური შემადგენლობა 1989 წლის მდგომარეობით:

რაიონი	ქართველები	სომხები	რუსები	სულ
ახალციხის	25.648 (46,8%)	23.469 (42,8%)	3.426 (6,2%)	54.822
ადიგენის	19.491 (91,6%)	1.237 (5,8%)	294 (1,4%)	21.282
ასპინძის	10.753 (80,1%)	2.565 (19,1%)	45 (0,3%)	13.432
ახალქალაქის	3.005 (4,3%)	63.092 (91,3%)	1.737 (2,5%)	69.108
ნინოწმინდის	454 (1,2%)	33.964 (89,6%)	3.161 (8,3%)	37.895
სულ	59.351 (30,2%)	124.327 (63,3%)	8.663 (4,4%)	196.539

შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთში ძირითადად გამოიყენებოდა ქართული, რუსული, სომხური ენები. ქართულ ენაზე ძირითადად საუბრობდა ქართველი მოსახლეობა, სომხურ ენას იყენებდნენ სომხები, ფაქტობრივი სახელმწიფო ენის ფუნქციებს ასრულებდა რუსული ან სომხური. რუსულს იყენებდა ყოველი ერის წარმომადგენელი, როგორც ეროვნებათაშორისი ურთიერთობის, ასევე ადმინისტრაციასთან ურთიერთობის ენას. განათლების ენაც ძირითადად რუსული იყო. ქართულის ცოდნის გარეშე ადგილობრივ მოსახლეობას არავითარი დაბრკოლება არ ექმნებოდა, ისე რომ, ქართული ენა აქ ვერ ასრულებდა თავის სახელმწიფოებრივ ფუნქციას და თითქმის მხოლოდ საოჯახო ენად რჩებოდა. ძალზე ცუდად ისწავლებოდა ქართული ენა სკოლებში. ადგილობრივი ქართველები კი რუსულსაც ფლობდნენ და სომხურსაც.

აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც თბილისში, ჯავახეთის სომეხმა მოსახლეობამაც ვიდრე მე-20 ს.-ის დასაწყისამდე იცოდა ქართული ენა. გასაბჭოების შემდეგ კი აქ მნიშვნელოვნად გაძლიერდა რუსული ენის როლი, რამაც გამოიწვია ენობრივი სიტუაციის შეცვლა.

ერთი შეხედვით, საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ ხელს უწყობდა ეთნიკური უმცირესობების მიერ მშობლიური ენის გამოყენებას: არსებობდა სომხურენოვანი სკოლები, პრესა, რადიო- და ტელეგადაცემები, თუმცა დომინანტი ენა აქ რუსული იყო. ეთნიკურ უმცირესობათა ენაც უფრო მეტი უფლებებით სარგებლობდა რეგიონში, ვიდრე სახელმწიფო ენა: ამ ენის მატარებელი მოსახლეობა აქ უმრავლესობა იყო, პრესა, ტოპონიმიკა, წარწერები უმეტეს შემთხვევაში სომხურენოვანი იყო. პრესა სამცხე-ჯავახეთში ორენოვანი იყო. ახალციხის რ-ნში, სადაც ქართველი მოსახლეობა აღემატებოდა სომხურს, გამოიცემოდა ქართულ-სომხური 4-გვერდიანი გაზეთი „წითელი დროშა“ (1989 წლის 14 ნოემბრიდან გამოდიოდა სახელწოდებით „სამცხე“), რომელშიც ერთი გვერდი ჰქონდა დათმობილი სომხურენოვან სტატიებს, ახალქალაქში კი, სადაც სომეხი მოსახლეობა იყო უმრავლესობა, სომხურ-ქართულ 4-გვერდიან გაზეთ „შუქურაში“ ქართულ სტატიებს ეთმობოდა მხოლოდ ერთი გვერდი (ტალიაშვილი 1988: 3). კინოთეატრებში ძირითადად არაქართულ ფილმებს უჩვენებდნენ, რაც ასევე უკმაყოფილებას იწვევდა ქართველ მოსახლეობაში, პრესაში არაერთხელ გამოუთქვამთ საყვედური ამის გამო: „კინოგაქირავებაში ბევრი კარგი ქართული ფილმი „ინახება“. გვაჩვენეთ ქართული ფილმებიც“ (სამართლიანი რეპლიკა 1989: 4). მოსახლეობა მოკლებული იყო ქართულ ტელეგადაცემებსაც: „კარგი იქნება, თუ ყურად იღებენ ადგილობრივი მოსახლეობის წუხილსაც იმის შესახებ, რომ ქართული ტელევიზიის გადაცემები ხშირად ფერხდება, თუკი სრულყოფილად იღებენ ცენტრალური და სომხური ტელევიზიის გადაცემებს, ვფიქრობთ, არც ქართული გადაცემების მიღება უნდა იყოს უსაშველო საქმე“ (წილოსანი 1989: 3).

პრესაში ჩანს ჯავახეთის მოსახლეობის განწყობა ენობრივი პრობლემების მიმართ. ეროვნული მოძრაობის გაძლიერების პარალელურად მკვიდრი მოსახლეობა ითხოვს ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციების გაძლიერებას განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში, ეთნიკური უმცირესობების მხრიდან კი - მის შესწავლასა და გამოყენებას ადგილობრივ საქმის წარმოებაში.

ამ დროს რეალური ნაბიჯებიც გადაიდგა ქართული ენის დასაცავად, ცდილობდნენ საქმის წარმოების ენად ქართულის დამკვიდრებას; ახალციხეში გამოიცა პროექტი „საქართველოს ალკკ ახალციხის რაიკომის პროგრამა“ ქართული ენის განვითარებისა და ფუნქციების გაფართოების მიზნით:

საკითხი	შემსრულებელი	შესრულების ვადა	კონტროლი
I. ქართული ენის განვითარება და სიწმინდის დაცვა.			
1. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.	კომკავშირის რაიკომი	წლის განმავლობაში	იდეოლოგიური განყოფილება
2. ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლების საკითხები სომხურ და რუსულ სკოლებში.	განათლების განყოფილება, კომკავშირის რაიკომი	1989-90 წლის პირველი სემესტრი	სასკოლო განყოფილება
3. ახალციხეში და რაიონის ტერიტორიაზე არსებული სარეკლამო აბრებისა და წარწერების გადამოწმება.	კომკავშირის რაიკომი კომკავშირული ორგანიზაციები	წლის განმავლობაში	მუშა-ახალგაზრდობის განყოფილება
4. ქ. ახალციხეში ქართულენოვანი სატელეფონო ცნობარის შექმნაზე საკითხის	კომკავშირის რაიკომი კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის	წლის განმავლობაში	მუშა-ახალგაზრდობის განყოფილება

დაყენება და მომზადებაში მონაწილეობის მიღება	კომკავშირული ორგანიზაცია		
5. რაიონის ორგანიზაციებში საქმის წარმოების ქართულ ენაზე გადასვლა	რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია	სისტემატურად	საორგანიზაციო განყოფილება
6. ქართული ენისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მოწყობა	რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები პიონერთა სახლი	სისტემატურად	სასკოლო განყოფილება
IV. ერთაშორის ურთიერთობის გაუმჯობესება			
1. რაიონის ქართულ და არაქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება	რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები	სისტემატურად	სასკოლო განყოფილება
2. ვიქტორინების მოწყობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საქართველოს და უშუალოდ ახალციხის ისტორიული წარსულის შესახებ	რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები	სისტემატურად	სასკოლო განყოფილება
3. რაიონის ახალგაზრდობაში ერთაშორის ურთიერთპატივისცემის	კომკავშირის რაიკომი, კულტურის სახლი, მესხეთის	სისტემატურად	იდეოლოგიური განყოფილება

ამაღლები მიზნით სპეციფიკური ღონისძიებების მოწყობა	სახელმწიფო თეატრი		
---	----------------------	--	--

(საქართველოს ალკკ ახალციხის რაიკომის პროგრამა 1989: 4).

საქმის წარმოება თანდათანობით გადადიოდა ქართულ ენაზე, რასაც ზოგ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებიც უწყობდნენ ხელს: „ახალციხის წარმოება-დაწესებულებებში რომ რუსულ-სომხურ ენებზე მძლავრობდა წარმოება, ყველასათვის ცნობილია. ქართული ენის შესახებ სახელმწიფო პროგრამის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად იცვლება, ჩვენი მშობლიური ენა იბრუნებს კანონიერ უფლებებს. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება მისი პრესტიჟის ამაღლებას“ (მესხიძე 1989: 2).

მოსახლეობას მოუწოდებდნენ ქართული ენის სიწმინდის დაცვისკენ: „წნისელი სერგო თაქთაქიძე: დროა ყველასათვის კანონად იქცეს ქართული ენის პროგრამა. თუმცა რას ვერჩით სხვას, როცა ჩვენ თვითონაც გვიჭირს ხშირად სუფთა ქართულით ლაპარაკი. დახვეწილ მეტყველებას ვიღა ჩივის, ისევ სპიჩკა-ასანთსა და სათვალე-აჩკებზეა საუბარი“ („რატომ ქართული ენა არა?“ 1989: 2). ახალციხეში ახალგაზრდა ჟურნალისტების თაოსნობით შეიქმნა „ქართული ენის სიწმინდის დაცვის საგუშაგო“, რომელიც ქართული ენის ფუნქციონირებას ადევნებდა თვალყურს და პერიოდულად აწვდიდა მასალებს რაიონულ გაზეთს.

**იხსნებოდა ქართული სკოლები, ქართული სექტორები არაქართულ სკოლებში:**

„უამრავი წლების მანძილზე ქალაქი [ახალციხე] ერთი ქართული საშუალო სკოლით საზრდოობდა, საბედნიეროდ, იმატა ქართველთა რიცხვმა და შედეგად 1980 წლის სექტემბერში უძველესი ქართული სკოლის ნაფუძარზე მე-2 ქართული საშუალო სკოლის (რიგით მეხუთესი) გახსნა იზეიმა რაიონმა. 1984 წ. სკოლას ილია ჭავჭავაძის სახელი მიენიჭა“ (წიქარიშვილი 1989: 2).

„ვალის არასრულ საშუალო სკოლაში, სადაც ამაჟამად რუსულ და სომხურ ენებზეა სწავლება ... გაიხსნა ქართული სექტორი, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია ქართულ მოსახლეობაში“ (უსოვა 1989: 4).



პრესაში შუქდება ეთნიკურ უმცირესობათა დამოკიდებულება სახელმწიფო ენის მიმართ, რომელიც არაერთგვაროვანია. თუ ნაწილი მათგანი უარს აცხადებს სახელმწიფო ენის გამოყენებაზე, სხვები, პირიქით, მისი შესწავლისკენ მოუწოდებენ თანამემამულეთ.

**„ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ გამოქვეყნებას გარკვეული ღონისძიებები მოჰყვა, რასაც უარყოფითად შეხვდა არაქართული მოსახლეობა:**

„ეროვნებათაშორის ურთიერთობები დღეს საქართველოში მტკივნეული პროცესებია, რომელმაც თავისებური გამოძახილი ჰპოვა ჩვენს რაიონშიც. არამოყვრულად იქნა მიღებული რესპუბლიკის მასშტაბით დაწყებული და ახალციხის რაიონშიც ფეხადგმული მოძრაობა - „ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა მოქმედებაში!“ (იდეოლოგიური კონტაქტები 1989: 2).

**არაქართველი მოსახლეობა პროტესტით ხვდება სახელმწიფო ენის სავალდებულო ცოდნის მოთხოვნას. ქართველი მოსახლეობა წუხს არაქართველთა მხრიდან ქართული ენის მიმართ ამგვარი უპატივცემულობის გამოვლენის გამო:**

- „ხშირია შემთხვევები, როცა სასჯელად თვლიან იმ ენაზე ლაპარაკს, რომელ მიწაზეც ცხოვრობენ. ჩვენ კი ყველაფერ ამას ვითმენთ და უმსგავსო შედეგიც სახეზეა;

- ახალციხელი ნინო თოთაძე: „რატომ უნდა უარყოფდნენ საქართველოში მცხოვრები არაქართველები ჩვენს მშობლიურ ენას?“ [მესხურ] მიწაზე ქართველთა გვერდით ცხოვრობენ სომხები, რუსები, ბერძნები და ებრაელები... თითოეულ მათგანს უფლება აქვთ ისაუბრონ და წერონ თავიანთ ენაზე, მისდიონ ნაციონალურ კულტურას, მაგრამ ჩვენგან შეუზღუდავი პატივისცემა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მათი უპატივცემლობა დავიმსახურეთ“ („რატომ ქართული ენა არა?“ 1989: 2).

განსაკუთრებით მტკივნეული იყო ეს დამოკიდებულება მაშინ, როცა ადგილობრივი მოსახლეობა სწავლობდა უმცირესობის ენას და ამით გამოხატავდა თანამცხოვრებთა მიმართ პატივისცემას: „ვალეში მცხოვრები ვ. ლობჯანიძე გვწერს: აღშფოთებას იწვევს ჩემში საქართველოში ქართულ ენაზე საუბრისათვის ამდენ წინააღმდეგობას რომ ვაწყდებით არაქართულ საზოგადოებაში. თუ საქართველო და სომხეთი ძმები იყვნენ და ერთმანეთის ესმოდათ ოდითგანვე, დღეს რა გახდა ქართულ ენაზე მეტყველება, მით უფრო, რომ ჩვენს მხარეში მცხოვრები ყველა ქართველი შესანიშნავად ფლობს სომხურს. ჩვენ, ქართველებმა, სხვათა პატივისცემა ყოველთვის

ვიცოდით და ალბათ, იმავეს ვიმსახურებთ სხვათაგან“ („რატომ ქართული ენა არა?“ 1989: 2).

„...ჩემთვის სომხურის სწავლა არც არავის მოუთხოვია და არც არავის დაუვალვია, მაგრამ ვფლობ მას, ...იმ სომხურს, რომლითაც ახალციხეში ლაპარაკობენ სომხები“ (კაკოშვილი 1989: 1).

**მოითხოვდნენ არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სათანადოდ სწავლებას:**

„ძირეულად უნდა შეიცვალოს ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლება არაქართულ სკოლებში. ...საჭიროდ მივიჩნევთ არაქართულ სკოლებში ქართული ენა ისწავლებოდეს ისე, როგორც ქართულ სკოლებში ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა“ (გვიშიანი 1989: 2).

„მოგეხსენებათ დღემდე რესპუბლიკის სკოლებში სავალდებულო წესით არ ისწავლება მხარის ისტორია და არც არსებობს სათანადო ლიტერატურა სკოლებისათვის. ... საჭიროდ ვთვლი რესპუბლიკის რუსულ (და ალბათ არარუსულ სკოლებშიც) ექსპერიმენტის წესით დამატებით დაიშვას შესასწავლ საგნად მხარისა და საქართველოს ისტორია ქართულ ენაზე“ (ზაქროშვილი 1989: 4).

**ქართული ენის სწავლების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო სპეციალისტების ნაკლებობა.** „ქართულ ენას ზოგჯერ შემთხვევითი პირები ასწავლიან, მაშინ, როცა ყველაზე კვალიფიციური და დახელოვნებული მასწავლებლები არაქართულ სკოლებში უნდა იგზავნებოდნენ (ნებიერიძე 1989: 2). „...განსაკუთრებით გვიჭირს სომხურ და რუსულ სკოლებში ქართული ენის მასწავლებლები. სამწუხაროა, რომ ბევრ სომხურ სკოლაში ქართულს არასპეციალისტი ასწავლის“ (ნატროშვილი 1989: 3).

„[უნ-ტის პროფესორი ბორის ლომსაძე]: ... ქართველობას დიდი ხანია უჭირს ჯავახეთში. ... ბოგდანოვკის რაიონში 200 ქართული ენის მასწავლებელი სჭირდებათ. ახლაც ვერ მომინელებია, როცა ვიხსენებ, როგორ ერთი ხელის მოსმით მოსპეს ახალქალაქში არსებული პედაგოგიური ტექნიკუმი. ...ახალქალაქის რაიონში არის სოფლები ვარევანი, ბარალეთი, ხოსპიო, მურჯახეთი, გოკიო, სადაც ძალიან ცოტაა

ქართველი მოსახლეობა, ამიტომ გაუქმდა ქართული სკოლები“ (უდარდებლობა ვაქციოთ დარდად 1989: 3).

**პრესაში ასახულია ეთნიკური უმცირესობის მხრიდან სრულიად საპირისპირო დამოკიდებულებაც სახელმწიფო ენის მიმართ. უმცირესობის ნაწილი სწავლობდა ქართულს და საკმაოდ კარგად ფლობდა მას: „ახალციხეში არაერთი სხვა ეროვნების ადამიანი ფლობს ქართულს ნებისმიერ ქართველზე არანაკლებად, აფასებს იმ ხალხის ეროვნულ ღირსებებსა და ტრადიციებს, რომელმაც თავის დროზე შეიფარა და მზრუნველი კალთა გადააფარა. ეს ადამიანები სწორედაც რომ იმსახურებენ პატივისცემას“ (მიშველაძე 1989: 1).**

„ქართული ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. მისი შესწავლა რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა არაქართველისათვის სავალდებულოა. ...დღეს უკვე არავის აკვირვებს ის, რომ სომხეთში, კერძოდ ერევანში, სამი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა სურვილი გამოთქვეს შეისწავლონ ქართული ენა. და, ჩვენ აქ, საქართველოში, ყოველივე უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ქართული ენის სწავლების დონემ აიწიოს, უფრო საფუძვლიანად ფლობდეს მას მოსწავლე, რომელიც ამთავრებს საშუალო სკოლას“ (თამამიანი 1989: 4).

**ეთნიკური უმცირესობა თვითონ ითხოვდა სახელმწიფო ენის შესწავლაში დახმარებას.** ამ მიზნით ახალციხის რ-ნის პრესამ შემოიღო რუბრიკა - „ვსწავლობთ ქართულ ენას - ძმის ენას“: „რედაქცია ბევრ წერილს ღებულობს რაიონის სომხური მოსახლეობისაგან. მათ სურთ შეისწავლონ ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ენა - და გვთხოვენ გაზეთის საშუალებით დავეხმაროთ ამ მიზნის განხორციელებაში. რესპუბლიკური გაზეთი „ხორჰრდაინ ვრასტანი“ („საბჭოთა საქართველო“) კარგა ხანია თავის ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებს მასალებს ამ თემაზე რუბრიკით „ვსწავლობთ ქართულ ენას“ („ვსწავლობთ ქართულ ენას - ძმის ენას“ 1989: 1).

„ქართული ენა სახელმწიფო ენად იქცა. ეს ფაქტი ახალი პრობლემების წინაშე გვაყენებს. სოფელში ბევრს გულით უნდა ქართულის სწავლა. ...ქართული ენის სპეციალისტების საჭიროება დიდად იგრძნობა. რამდენი პედაგოგიც არ უნდა ჩამოვიდეს რაიონში, ყველასათვის გამოიძებნება საქმე. მარტო სკოლები არა მაქვს მხედველობაში. სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს სურთ ისწავლონ რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის, ჩვენი მოძმე ხალხის ენა“ (აბრამიანი 1989: 4).

**განსაკუთრებით გაძლიერდა სურვილი ქართული ენის შესწავლისა მას შემდეგ, რაც სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ იქ დაზარალებულთა დასახმარებლად ქართველები ჩავიდნენ:**

„ქართველებს და სომხებს ოდითგანვე კეთილი მეზობლობა აკავშირებთ. მაშ, რატომ არ უნდა იცოდნენ ერთმანეთის ენა. ეს არა მარტო ურთიერთპატივისცემის გამოხატულება იქნება, სიახლოვისა და სულიერი გამდიდრების საშუალებაც. ... ერის სული - ეს მისი ენა, მისი ლიტერატურა, მისი ხელოვნებაა. ამ ორ ერს შორის თარჯიმანი საჭირო არ უნდა იყოს. რატომ არ უნდა ვლაპარაკობდეთ ძმის ენით“ (ქთოიანი 1989: 4).

გაზეთი „სოვეტაკან ვრასტანი“ იუწყებოდა, რომ საქართველოში სომხეთიდან ევაკუირებული იყო 20 ათასამდე ადამიანი. ყმაწვილებს, ასაკის მიხედვით, საბავშვო ბაღებსა და ბაგებში ათავსებდნენ. ადგილობრივი ხელისუფლება მზადა იყო დროებით გაეხსნა სომხური საბავშვო ბაღები და სკოლები, დაზარალებულ სტუდენტებს კი კარი გაუღეს რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა. „...და რაკი სომხებს და ქართველებს ბედის ერთობა გვაკავშირებს, რატომ არ უნდა დავეუფლოთ ერთმანეთის ენას? სომხეთში სხვადასხვა განხრის მრავალი სკოლაა. სასურველია, ქართული განხრითაც იყოს ერთი სკოლა, თუნდაც ერთი კლასი. ეს იქნებოდა ადგილი, სადაც სომეხ ბავშვს საშუალება მიეცემოდა, შეესწავლა ქართული ენა, თავისი ძმის ენა. ... ეს იქნება არა მარტო პატივისცემის გამოხატვა, არამედ სულიერი გამდიდრების, დაახლოება-დანათესავეების გზაც“, - აღნიშნავდნენ პრესაში (ოვანათიანი 1989: 3).

**ქართული ენის სწავლებას სომხეთშიც იწყებდნენ: „სომხეთის რესპუბლიკურმა გაზეთმა „სოვეტაკან დპროცმა“ („საბჭოთა სკოლამ“) კონკრეტული ზომები მიიღო სომხეთში ქართული ენის შესასწავლად. ამ მიზნით რედაქციის მუშაკი ა. ჰოვნათანი სპეციალურად იყო მოვლინებული თბილისში.**

„სომხეთში გვაქვს სკოლები სხვადასხვა განხრით. შესაძლებელია გაიხსნას სკოლა, ან კლასი მაინც, სადაც შეისწავლიან ქართულ ენას. სწორედ ენა დაგვეხმარება ჩავწვდეთ ამ ერის სულს, საიდანაც იწყება სიყვარული... ერთმანეთის ენაც უნდა ვიცოდეთ, ძმას ძმის ენა უნდა ესმოდეს. დღესდღეობით წესიერი ლექსიკონებიც არ არის - ქართულ-სომხური ან სომხურ-ქართული“ (ჰოვნათანი 1989: 4).

**ქართველობა ხედავდა და აფასებდა ყველა არაქართველის მონდომებას შეესწავლა ქართული ენა. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ებრაელთა მხრიდან გამოვლენილ პატივისცემას ქართული ენისა და ქართველი ხალხის მიმართ:**

„სამცხე-ჯავახეთში შემოსული ებრაელები მკვიდრ მესხელებს ისე შეეთვისნენ, რომ თანამოდმეებად გაიხადეს. ...ქართული ენის შენარჩუნებისათვის მესხელებს ებრაელები მხარში ედგნენ. როდესაც კლავდნენ ქართულ ენას, გასაქანი არ ეძლეოდა მას, მაშინ ხმალამოდებული იბრძოდა ებრაელი მოსახლეობა ქართველებისა და ქართული ენის შენარჩუნებისათვის, როდესაც აკრძალული იყო მესხეთში ქართულ ენაზე წერა-კითხვა და ლაპარაკი, ამას ისინი ახერხებდნენ და ამით პროპაგანდას უწყევდნენ რუსთაველის ენას არაქართულ მოსახლეობაში“ (თორდია 1989: 4).

„იმ მრავალ კეთილ საქმეთა შორის, რომლებიც ებრაელებს საქართველოს ისტორიაში მიუძღვით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ახალციხელ ებრაელთა დამოკიდებულება ქართული ენის დაცვისა და მისი მოვლა-პატრონობის საქმეში“ (კაპანაძე 1989: 4).

**განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებდნენ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საკითხზე, რადგან სამცხე-ჯავახეთში როგორც არაქართველი, ისე ქართველი ბავშვებიც მშობლებს ძირითადად რუსულენოვან სკოლებში შეჰყავდათ:**

„მშობლები დიდ შეცდომას უშვებენ, როდესაც თავიანთ შვილებს არამშობლიურ ენაზე ასწავლიან და არამშობლიურ გარემოში ზრდიან. აიძულებენ სხვათა ენაზე სწავლებას და თავისი აზრის სხვათა ენაზე გადმოცემას. ამიტომ მშობლებს მოვუწოდებ, რომ შვილები იმ სკოლებში მიიყვანონ, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს. ქართველებმა - ქართულ სკოლაში, სომხებმა - სომხურში, რუსებმა - რუსულში“ (გვიშიანი 1989: 2).

„სამწუხაროდ პრაქტიკაში გვხვდება ისეთი დამახინჯებებიც, როცა ეროვნებით ქართველი ბავშვი რუსულ სკოლაში თხზულებას წერს და დიდი ილიას გვარს ასე ამახინჯებს: „ჩავჩავადზე“, რა თქმა უნდა, ეს მასწავლებლისა და თვით ბავშვის ბრალიცაა, მაგრამ იქნებ სხვა რამემაც განაპირობა ეს?“ (ზაქროშვილი 1989: 4).

**მიუხედავად ამისა, რუსული ენის ცოდნის დონე მაინც არ იყო დამაკმაყოფილებელი. რეგიონში მოითხოვდნენ რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებას: „რუსული ენის სწავლების საკითხში რაიონის სკოლებს გააჩნიათ**

მთელი რიგი ნაკლოვანებები. მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი, განსაკუთრებით სოფლად, ცუდად ფლობს რუსულ ენას“ (სასწავლო-საადმინისტრაციული პროცესის გარდაქმნა - უპირველესი ამოცანა 1989: 3).

ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პარალელურად სულ უფრო მტკივნეულად განიცდიდნენ ქვეყანაში არსებულ მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობას. 1989 წელს გამოიცა საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის პროექტი. სამცხე-ჯავახეთში დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად დაიწყო სტიქიით დაზარალებული აჭარლების ჩასახლება. „ცოტაც და გაქრებოდა ჯავახეთის უძველეს ქართულ მიწაზე ქართული სიტყვა. ამჟამად რაიონის 70 ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ 3 ათასია ქართველი (დაახლოებით 4 პროცენტი). ამ ორმოციოდე წლის წინ არსებული 15 ქართული სოფლიდან ექვსიოდელა დარჩენილა, სადაც ხუთასამდე ოჯახი ცხოვრობს. ...ჯავახეთის მიწაზე ქართული ფესვის გაძლიერებას მეტად წაადგება თუნდაც 1000-მდე ქართული ოჯახის ჩასახლება ახალქალაქის რაიონში“ (წილოსანი 1989: 3).

„ამჟამად ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობა სომხებია. დღეისათვის ქართული სოფლები აქ თითზე ჩამოსათვლელია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ადგილობრივი მოსახლეობის, ქართველების, მიგრაციამ ჯავახეთიდან კატასტროფულ მდგომარეობამდე მიგვიყვანა, ამასთან ერთად აქ არაქართული მოსახლეობის მიგრაცია თითქმის არ შეიმჩნევა მათი მაღალი შობადობის გამოც“ (ზარიძე 1989: 3).

ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარელთათვის ქართული გარემოს შექმნას. „დღეს აჭარელი კაცი ორმაგად პატრიოტულ საქმეს კისრულობს. ჯერ ერთი ქრისტიანდება, მეორე - ჯავახეთს სახლდება. ... ამ ბედგამწარებული კუთხის შვილებს ახლა მაინც შეუუქმნათ სულიერი განვითარების ქართული ასპარეზი. რა დასამალია და ახალქალაქში სწორედ ამის დეფიციტი იგრძნობა. აქ ჩამოსახლებული აჭარლები ნატრობენ, რომელიმე უმაღლესი სასწავლებელი თბილისიდან გატანილ იქნეს ახალქალაქის რაიონში (კერძოდ ზოოვეტერინარული ინსტიტუტი), ჰქონდეთ ქართულენოვანი გაზეთი. ...კაბინეტების რუსულენოვანი წარწერებიდან დაწყებული, კერძო საუბრებით დამთავრებული, იქ მყოფ ქართველს თავი სტუმარი გგონია... ვიღაც-ვიღაცები შენს მშობლიურ ენაზე ლაპარაკს კუმტად ხვდებიან, არ განებებენ, გიჯავრდებიან და მერე აქეთაც გდებენ

ბრალს. ასეთი რამ უფრო ხშირად სახელმწიფო ორგანოებში ან მმართველობის სისტემაში ხდება. რა უნდა ქნას ასეთ ცივ კართან მდგარმა აჭარელმა, რომელსაც ჯერ ყურის მოყრუება არ უსწავლია და იმით მოაქვს თავი, რომ მტრის უღელში შებმულმა ენა არ დაკარგა, ქართველობა შეინარჩუნა. ...ყოველივე ამის მიუხედავად, იმ ქართული ენის კანონიერ უფლებებზე მეტად, ჩვენ მაინც ჰაოსის შთამომავალთა კეთილგონიერების იმედი გვაქვს. საუკუნეთა ხელით ნაგებ კედლებს ბზარი არ უნდა გაუჩნდეს, ბზარი არ უნდა შეეპაროს!“ (გაბროშვილი 1989: 3).

### **6.3. აზერბაიჯანელები ქვემო ქართლში და მათი ენობრივი კომპეტენციის საკითხი 80-იანი წლების პრესის მიხედვით**

აზერბაიჯანელებით დასახლებულია ძირითადად ქვემო ქართლის რეგიონი. მათთან ერთად ცხოვრობენ აქ სომეხი და ბერძენი უმცირესობებიც. აზერბაიჯანელები კომპაქტურად სახლობენ კახეთსა და შიდა ქართლშიც.

თანამედროვე ვითარების მიხედვით, აზერბაიჯანელები ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობაა საქართველოში.

საქართველოში აზერბაიჯანელთა რიცხოვნობის დინამიკა 70-80-იან წლებში ამგვარია:

1970 წ. – 217 758

1979 წ. – 255 678

1989 წ. – 307 556

მათგან მშობლიურ ენაზე მოალაპარაკე აზერბაიჯანელთა რაოდენობის დინამიკა ასე გამოიყურება:

1970 წ. - 97,6

1979 წ. - 98,0

1989 წ. - 97,7

1989 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები 307 556 აზერბაიჯანელიდან მშობლიურ ენად თვლიდა:

თავისი ეროვნების ენას - 300 474

ქართულს - 2 899

რუსულს - 3 972

სხვა ენებს - 211

თავისუფლად ფლობდა:

ქართულს - 28 598

რუსულს - 105 083

სხვა ენებს - 718 (საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1991: 62-63).

1979 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, რუსულ ენაზე თავისუფლად მეტყველებდა 67 ათასი (26,2 პროცენტი) აზერბაიჯანელი და ქართულ ენაზე - 16 ათასი (6,3 პროცენტი) (თოთაძე 1989ა: 6).

XX საუკუნის 80-იან წლებში მარნეულის რაიონში გამოდიოდა ქართულ-აზერბაიჯანული გაზეთი „ახალი მარნეული“, ხოლო გარდაბნის რაიონში გაზეთი „სამგორი“, რომლებშიც იბეჭდებოდა ქართულ- და აზერბაიჯანულენოვანი სტატიები.

აზერბაიჯანელებთან ურთიერთობის ენა 80-იანი წლების ბოლოს ისევ რუსული იყო, თუმცა დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფო ენის მიმართ ამ დროისთვის თანდათანობით იცვლება: „აზერბაიჯანელ კოლეგასთან საუბრისას ასეთ საერთო აზრამდე მივდივით: რატომ უნდა იყოს, რომ რესპუბლიკაში, რომელსაც აქვს კონსტიტუციით აღიარებული სუვერენული უფლებები, ორი ერის წარმომადგენლები (მხედველობაში გვქონდა ქართველები და აზერბაიჯანელები) მესამე ენაზე ვსაუბრობთ... ვერ ვიტყვი, დიდ აღმოჩენამდე მივდივით-მეთქი; უბრალოდ ენის პრობლემამ თანამედროვე საბჭოთა საზოგადოებაში მეტად აქტუალური ჟღერადობა შეიძინა; თანაც, თითქმის ყველგან, ყველა რესპუბლიკასა თუ ავტონომიურ წარმონაქმნში. ...ბოლო ხანებში ჩვენს რეგიონში საინტერესო ტენდენციები შეინიშნება. აზერბაიჯანული მოსახლეობის ერთი ნაწილი - უწინარესად კი ეს შეეხება სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეებს - გარკვეულ დაინტერესებას იჩენენ ქართული ენის შესწავლისადმი; კონტაქტისას ისინი ცდილობენ ქართულად ისაუბრონ. პირადად არაერთი ასეთი შემთხვევა მქონია. ცალკეულ დაწესებულებებში გახსნილია



ქართული ენის შესწავლის კურსები, სადაც სპეციალისტები მსურველებთან ატარებენ გაკვეთილებს“ (ჭინჭარაული 1989ა: 2).

80-იანი წლების პრესაში აშუქებენ იმ სავალალო ვითარებას სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მხრივ, რომელიც ქვემო ქართლის რეგიონში იყო და მკაცრად დაისმის ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის შესწავლის აუცილებლობის საკითხი.

„საბარათიანოში მთლიანად მივიწყებულია ბარათაშვილის ენა. ...ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომმა ადგილებზე შეისწავლა ეს საკითხი. იმან, რაც ორგანიზაციებში ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უმეტესგან მთლიანად უგულებელყოფილია ქართული ენა. მაგალითად, მარნეულის ელექტროქსელებში ვერსად, სანთლით კი არა, ელექტრონათურითაც რომ ეძებოთ, ვერ ნახავთ ვერც ერთ ქართულ წარწერას. უფრო გულსაკლავი მდგომარეობაა მარნეულის კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძში. ...საქმის წარმოება ყველგან რუსულენოვანია. ბევრ ორგანიზაციაში - სავაჭრო ცენტრი, ენერგოზედამხედველობა, ქალაქის სამომხმარებლო საზოგადოება, საზკვება - იმის გამო, რომ არა აქვთ საბეჭდი ქართული შრიფტით ან არა ჰყავთ შესაბამისი კადრი, ადგილობრივი სამინისტროებიდან და სამმართველოებიდან შემოსულ წერილებს პასუხები რუსულ ენაზე უბრუნდებათ, რაც ყოვლად შეუწყნარებელია“ (ილაპარაკეთ რამდენიც გინდათ, მხოლოდ ქართულად ილაპარაკეთ 1989: 1).

სახელმწიფო ენა უგულებელყოფილი იყო ქვემო ქართლის თითქმის მთელ ტერიტორიაზე: მარნეულში აბრები, წარწერები მხოლოდ რუსულენოვანია, იგივე ვითარებაა სადახლოში, მხოლოდ საშუალო სკოლის წარწერა იყო ორენოვანი, ისიც დარღვევით „აბრაზე ქართული წარწერა მარჯვნივაა, რუსული კი - მარცხნივ“ (კუჭავა 1989: 3). მხოლოდ რუსული წარწერებია სოფელ დამია გაიურარხში, სოფელ ხოჟორნში, სოფელ ზემო სარალში, თუმცა აქ ორენოვანი რუსულ-აზერბაიჯანული წარწერებიც იყო, შაუმიანში მხოლოდ რუსული ან სომხური წარწერებია. სოფელ გიულბახში წარწერები რუსული ან სომხურია (კუჭავა 1989: 3).

ამას უპირისპირებენ ღონისძიებებს ქართული ენის ფუნქციონირების გასამტკიცებლად რეგიონში: „...რაიონში დიდი მუშაობა წარმოებს ქართული ენის შესასწავლად. მოქმედებს სპეციალური კომისია, რომელიც კოორდინაციას უწევს

ქართული ენის შესწავლას რუსულ სკოლებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში. ამ მიზნით შექმნილია სპეციალური კურსები და წრეები. საკითხი „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის განვითარებისა და დახვეწის შესახებ“ განიხილა პარტიის მარნეულის რაიკომის სპეციალურმა ბიურომ 1989 წლის 30 ნოემბერს“ (პლატფორმა 1989: 1).

ქართული ენის სწავლება არაქართულ სკოლებში მარნეულშიც, ისევე როგორც ყველგან, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში, დაბალ დონეზე იყო. 80-იანი წლების ბოლოს ამ საკითხზე განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას:

„სხვა საკითხებთან ერთად პარტიის რაიკომის ყურადღების ცენტრშია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენის სწავლება. მიმდინარე წლის 10 მარტს, ამ საკითხის განხილვისას, ბიუროზე ითქვა, რომ ქართული ენის სწავლებას მეტი ყურადღება ექცევა, მაგრამ ამ საქმეშიც გარკვეული ნაკლოვანებებია. ... მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მიხეილ გრიგორიანმა კონფერენციაზე წამოაყენა წინადადება, რომ რაიონის არაქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენის სწავლებას უნდა დაეთმოს არანაკლებ სამი საათისა (მარნეულის რაიონის მასწავლებელთა კონფერენცია 1989: 1).

1989 სასწავლო წლის დასაწყისში არაქართულ სექტორზე ქართული ენის სწავლება ნებაყოფლობითი იყო. მშობლები განცხადებით მიმართავდნენ სკოლის დირექტორს, რომ მათი შვილებისათვის ქართული ენის სწავლება წამებაა და ითხოვდნენ ამ გაკვეთილებიდან მოსწავლეთა განთავისუფლებას (სულაკაური 1989: 4).

**საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები მაქსიმალურად დაცული იყო, შესაბამისად, ქართულ პრესაში სამართლიანად ითხოვდნენ ქართველი უმცირესობის დაცვას ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ:**

1. ქართული გამომცემლობა „განათლება“ ყოველწლიურად ბეჭდავდა სახელმძღვანელოებს აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე საქართველოს აზერბაიჯანული და სომხური სკოლებისათვის ამავე გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი ქართული სახელმძღვანელოების ჩატანა აზერბაიჯანის ქართულ სკოლებში რის ვაი-ვაგლახით ხერხდება!..
2. თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფუნქციონირებს აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის და სომხური ენისა

და ლიტერატურის განყოფილებები. საქართველოში აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე „პრავდის“ ფორმატის გაზეთები იბეჭდება, აზერბაიჯანელები და სომხები მუშაობენ რაიკომების პირველ მდივნებად, მინისტრებად, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეებად... ქართველთათვის აზერბაიჯანის ამ რაიონების (კახის, ბელაქანისა და ზაქათალის) ტექნიკუმებსა და პროფტექსასწავლებლებში თვით სექტორიც კი არ არსებობს მშობლიურ ენაზე. კახის რაიონში, სადაც ქართველები საერთო მოსახლეობის სულ მცირე 30 პროცენტს შეადგენენ, არც ერთი ქართველი ხელმძღვანელ თანამდებობაზე არ მუშაობს, თუმცა რაიონში მრავალი სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაა. ...

3. ქართულ მუსულმანურ სოფლებში - ალიაბადში, მოსულში, ითითალაში არ არის არც ერთი ქართულენოვანი საბავშვო ბაღი.
4. საქართველოში, სხვა მრავალი რესპუბლიკისაგან განსხვავებით, ბერძნები სკოლაში სწავლობენ ბერძნულს, როგორც საგანს. უკვე რამდენიმე წელია, რაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიღო სპეციალური ზომები ამ საგნის მასწავლებელთა მოსამზადებლად. საქართველოში არა არის არც ერთი აზერბაიჯანული და სომხური სოფელი ეროვნული სკოლის გარეშე, რომ არაფერი ვთქვათ რუსულ სოფლებზე, მაშინ როცა სოფელ ძეგამში და სოფელ თასმალოში (კახის რაიონი) ქართული სკოლები საბოლოოდ დახურეს ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში. 1953-56 წლებში ქართული სკოლები დაიხურა კახის, ბელაქანისა და ზაქათალის რაიონების ყველა მუსულმანურ სოფელში და 1959-60 წლებში იქნა მხოლოდ აღდგენილი ქართული მოსახლეობის აქტიური გამოსვლებისა და დელეგაციების მოსკოვში გამგზავრების წყალობით.
5. საქართველოში არსებულ აზერბაიჯანულ სკოლებს თავისუფლად შეფობენ აზერბაიჯანის სხვადასხვა დაწესებულებები, ხოლო აზერბაიჯანის მფლობელობაში მყოფი ქართული სოფლების მდგომარეობა ამ მხრივ სავალალოა. დიდი ხანია, რაც დაიხურა ქართული სკოლა ბაქოში. 1980 წელს, იმხანად აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის, ამჟამად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მდივნის, სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ამჟამად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს წევრის ან. გ. ა.

ალიევის უშუალო ინიციატივით ზაქათალის რაიონში დაიხურა ერთადერთი ქართული სკოლა-ინტერნატი, რომელიც აღნიშნული სამი რაიონის ქართულ მოსახლეობას ემსახურებოდა (ფაცაცია 1988: 3).

**პროვოცირებული ეთნოკონფლიქტები კიდევ უფრო აუცხოებდა ეთნიკურ უმცირესობას ადგილობრივი მოსახლეობისაგან.** 1989 წლის ივნისში მარნეულში შეტაკება მოხდა ქართველ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის. დაპირისპირებას მოჰყვა მიტინგები ეთნიკური უმცირესობების მხრიდან, რომლის მიმდინარეობისას დაისვა საკითხი აზერბაიჯანული ენის ოფიციალურად აღიარების და ბორჩალოს სახელწოდებით ავტონომიის შექმნის თაობაზე (ჭინჭარაული 1989გ: 2).

მანამდე არაქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს...

პრესაში მოვლენებს აფასებენ, როგორც პროვოკაციულს, მიზეზი საქართველოში ეროვნული მოძრაობის გაძლიერება უნდა ყოფილიყო, რომლის თანმხლები მოთხოვნა იყო სახელმწიფო ენისთვის სათანადო პატივის მიგება და მისი ფუნქციონირების სფეროს გაფართოება კონსტიტუციით დადგენილი წესით: „გაისმის ხმები, რომ ადგილობრივი აზერბაიჯანელი პედაგოგების ერთი ნაწილი აღსაზრდელებს ჩააგონებს - ეს მიწაწყალი ჩვენიაო. ... არსებობს ერთგვარი თვალსაზრისი, თითქოს ქვემო ქართლის გამოხდომა ჩაწყობილი იყო გარედან. არც ჩვენ უარვყოფთ ამ თვალსაზრისს, მაგრამ გადაწყვეტით უნდა ითქვას - ვერავითარი „ჩაწყობა“ თუ ინსპირაცია ვერ შეისხამს ფრთას, თუ ადგილობრივი ნიადაგი არაა ნოყიერი. ...ანტიქართულმა ძალებმა ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ობიექტურად აფასებს სიტუაციას და არ დაუშვებს ინტერესების აშკარა დისბალანსს ქართველთა საწინააღმდეგოდ. ...ამჯერად მხედველობაში გვაქვს სახელმწიფო ენისა და კადრების საკითხი. მარნეულში არავინ არ ზღუდავს ენების გამოყენებას. ხოლო თუ რა პატივშია ამათგან ძირითადი - ქართული, ეს მართლაც საჭიროებს ანალიზს. იშვიათად თუ ნახავ აზერბაიჯანელი ერის მარნეულელ ნომენკლატურულ პირებს, საყველპურო ქართული მაინც რომ იცოდნენ. ყოველივე ეს მშვენივრად იციან გამოხდომის მოთავეებმა, რომლებსაც სრულიად ვერ ვუწოდებთ არაფორმალებს. მიტომაც დასვეს აზერბაიჯანული ენის ოფიციალური აღიარების საკითხი, რათა საკუთარი

ხელშეუხებლობა უზრუნველყონ. აზერბაიჯანული ენის პრაქტიკულ გამოყენებას არავინ ზღუდავს, საწარმო-დაწესებულებებში კი ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობს საქმის წარმოება. ამდენად აზერბაიჯანულიც და ქართულიც თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. ... ერთ დასკვნამდე მივდივართ: საქართველოში გაშლილ ეროვნული მოძრაობის მოთხოვნებმა (განსაკუთრებით ენის საკითხში) ადგილობრივ აზერბაიჯანელთა მომძლავრებული ბიუროკრატის ერთი ნაწილის გასაგები რეაქცია, უფრო სწორად კი უკურეაქცია გამოიწვია“ (ჭინჭარაული 1989გ: 2).

ადგილობრივი მოსახლეობის კანონიერ მოთხოვნებს (მაგალითად, სახელმწიფო ენის ცოდნის თაობაზე) წინააღმდეგობა ხვდებოდა არამარტო არაავტოქტონი მოსახლეობის მხრიდან, არამედ ხელისუფლების წარმომადგენლებისგანაც. დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პავლე გილაშვილის გამოსვლას მარნეულის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის მშრომელთა მიტინგზე, როცა ქართველ მოსახლეობას მოუწოდა, თვითონ შეესწავლა აზერბაიჯანული, რადგან რაოდენობრივად ჩამორჩებოდნენ აზერბაიჯანულ მოსახლეობას მოცემულ რეგიონში: „თქვენ, მარნეულის ქართველ მოსახლეობას, თურმე ის გაწუხებთ, რომ აქაურმა აზერბაიჯანელებმა ქართული არც იციან და არც ცდილობენ მის შესწავლას... თუ ისინი არ სწავლობენ ქართულს, თქვენ ისწავლეთ აზერბაიჯანული, თქვენ ცოტანი ხართ, ისინი კი ბევრნი არიან...“ (კვაჭანტირაძე 1989: 10). „მარნეულის რაიონის ქართველობას ურთიერთობა უხდება, არა მარტო აზერბაიჯანელებთან, არამედ სომხებთანაც, ბერძნებთანაც - და ზოგ რეგიონში ისინი რიცხობრივად სჭარბობენ კიდევ ქართველ მოსახლეობას. თქვენი ლოგიკით, ...მათთვის საჭირო და გამოსადეგი არ ყოფილა ქართულის შესწავლა, აი ორჯონიკიძელმა და თამარისელმა ქართველებმა კი თურმე აზერბაიჯანულიც უნდა ისწავლონ, სომხურიც ბერძნულიც. ...უბედურება ეს კი არ არის, უბედურება ის გახლავთ, რომ თქვენ, რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჩვენ, ქართველებს, სხვა, ჩვენში მოსახლე ერებთან ურთიერთობის პრინციპად გვიხდით მათი ენის ცოდნას. ...ერთა შორის ურთიერთობის ენობრივ პრინციპად ის კი არ უნდა გავიხადოთ, რომელ ეზოში ან თუნდაც რაიონში ვინ რამდენია, არამედ რომელ რესპუბლიკაში ვცხოვრობთ და რომელია ამ რესპუბლიკის ენა“, - უპასუხებდნენ პრეზიდიუმის თავმჯდომარეს (კვაჭანტირაძე 1989: 10).

აზერბაიჯანელი მოსახლეობის ნაწილი შეგნებულად უდგებოდა საკითხს და სახელმწიფო ენის შესწავლას ითხოვდა. „საჭიროა შეიქმნას არაქართველთა საზოგადოება, რომელიც იდეოლოგიურ ბრძოლას გაშლის ქართველების პატიოსანი და უანგარო დახმარებისათვის. ... მიზანშეწონილი იქნება დავებმართ იმათაც, ვინც სულით და გულით შეერწყა ამ მიწას, მაგრამ, რაღაც მიზეზების გამო არ იცის ქართული. საჭირო იქნება გაიხსნას კურსები, სადაც არაქართველები ისწავლიან საქართველოს ისტორიას, ლიტერატურას და კულტურას“ (ბურლაკოვი 1989: 2).

„ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს ყოველთვის ადუღაბებდა მტკიცე და საუკუნოვანი მეგობრობა. უზარმაზარი ფენა აზერბაიჯანელი ხალხისა არის და იქნება მაღლიერი სტუმართმოყვარე და კაცთმოყვარე ქართველი ხალხისა. ... საქართველოს მაღლიერი მიწის სიკეთით აღსავსე აზერბაიჯანელი, ოსი თუ რუსი, უკრაინელი თუ ბელორუსი, ქურთი თუ სომეხი, ბერძენი თუ აისორი ვალდებულია იცოდეს ქართული ენა, პატივს სცემდეს საქართველოს ისტორიას და ქართველი ხალხის მაღალ კულტურას“ (წერილს ხელს აწერენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები: დურსუნ კურბანოვი, საბირ გუშნაროვი, აბაბას ველიევი, ვიტალი ბაირამოვი, ხოჯაევი, ბახრამ შახვერდიევი, თემურ ნამაზოვი, შირხან გუსეინოვი, კურბანოვი) (საქართველოს კეთილმო ხალხო 1989: 2).

ქვემო ქართლის რუსული საშუალო სკოლები ძირითადად არარუსი მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული. 80-იანი წლების ბოლოს მოსწავლეთა რაოდენობა მატულობს ქართულ სკოლებში. „მიმდინარე სასწავლო წელს მარნეულის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი შესამჩნევად გაიზარდა. [გარდა პირველი კლასისა] სხვა კლასებმაც მიიღეს „შევსება“. ესენი ძირითადად ის მოსწავლეები არიან, რომლებიც ადრე რუსულ სკოლებში სწავლობდნენ“ (ხმალამე 1989: 2).

80-იანი წლების პრესამ ცხადად აჩვენა, რამდენად მწვავე იყო ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი ორიენტაციის საკითხი, განსაკუთრებით, დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ საბჭოთა რესპუბლიკებში. საბჭოთა კავშირში ეთნიკური უმცირესობები ხელისუფლების მხრიდან გარკვეული მფარველობითაც სარგებლობდნენ, მიზანმიმართულად იქმნებოდა უმცირესობათა კომპაქტური დასახლებები (ამისთვის იყენებდნენ ადმინისტრაციულ დაყოფასაც), ქმნიდნენ

ავტონომიებს, რაც საბჭოთა ხელისუფლებისთვის საყრდენ ძალად იქცეოდა ამა თუ იმ რეგიონში კონფლიქტური სიტუაციების პროვოცირებისათვის.

1. საბჭოთა კავშირის ეთნიკური უმცირესობანი ძირითადად ბილინგვალეები იყვნენ. მეორე ენა მათთვის რუსული იყო, რომელსაც ხშირად მშობლიურ ენადაც აღიქვამდნენ. ეთნოსთა შორის საურთიერთოდ რუსულს იყენებდნენ.
2. როგორც წესი, ეთნიკური უმცირესობა არ სწავლობდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ ენას (რუსული ენის გამოკლებით, რასაკვირველია).
3. ცხოვრობდნენ კომპაქტურად, რაც ასევე ხელს უშლიდა მათ ინტეგრირებას ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამას ემატებოდა საბჭოთა ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა სხვადასხვა ეროვნების კადრების „როტაცია“- „გადაადგილებითა“ თუ „პერელივანიე“-„გადასხმით“ გამოხატული.
4. ყოველთვის, როცა კი იწყებოდა დომინანტი ერის ეროვნული თვითგამორკვევის პროცესი, ამას თან ახლდა უკუპროცესი უმცირესობათა მხრიდან „ანალოგიური“ მოთხოვნებით, რაც, როგორც წესი, მართული იყო და თუ საკითხის ისტორიას გადავხედავთ, ასეთ დროს ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ენობრივი პრობლემატიკა. თუმცა იყო სხვაგვარი გამოხმაურებაც. ეთნიკურ უმცირესობათა არცთუ მცირე ნაწილი ითხოვდა იმ რესპუბლიკის ენის შესწავლას, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება, ამ დროს მოსწავლეები ეთნიკურ უმცირესობათა ოჯახებიდან შეჰყავთ სკოლებში, ადგილობრივ მცხოვრებთა ენაზე სწავლებით ან გადაჰყავთ ამ სკოლებში, ძირითადად, რუსული სკოლებიდან/კლასებიდან.
5. თუ ეთნიკური უმცირესობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს შევაჯამებთ, მათგან სურდათ ინტეგრაცია იმ რესპუბლიკის მოსახლეობასთან, რომლის მიწა-წყალსაც ისინი იყოფდნენ, რაც დღესაც, უკვე დამოუკიდებლობამოპოვებულ, არაერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში ერთ-ერთი ჯერაც გადაუჭრელი პრობლემაა. თუმცა გარკვეული მუშაობა ამ მხრივ მიმდინარეობს, რისი მაგალითებიც ზემოთ გვქონდა დასახელებული.

## თავი VII

### სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხი XX ს.-ის 80- იანი წლების საქართველოში

#### 7.1. სალიტერატურო ქართული ენის ნორმირების საკითხი XX საუკუნის 80-იანი წლების პერიოდის მიხედვით

სახელმწიფო ენა განსაკუთრებული ფუნქციებით არის აღჭურვილი. ამ ენაზე იქმნება სახელმწიფო-ადმინისტრაციული ტექსტები, კანონები, განკარგულებები; ეს არის სწავლებისა და მასობრივი ინფორმაციის ენა და ა. შ. ამასთან იგი სახელმწიფო ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა; ის ამ ფუნქციებს ასრულებს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურსა და კულტურულ სფეროებში, რამდენადაც ამ ენაზე ხორციელდება ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა მოქალაქეებს შორის, რომლებსაც სახელმწიფო აერთიანებს (სოციოლინგვისტური ტერმინების ლექსიკონი 2006: 47).

- სალიტერატურო ენაზე ზრუნვა გამოიხატება მისი სტანდარტიზირებით, ნორმების დადგენით, ტერმინოლოგია-ლექსიკონების შექმნით, ენის სიწმინდის დაცვითა და სხვა ღონისძიებებით, რასაც დღეს ენობრივი კორპუსის დაგეგმარებას ვუწოდებთ. სამწიგნობრო ენის ნორმირებას დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოში. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, დიდი გამოცდილება დაგროვდა. გამოირჩეოდნენ ქართული ენის მოამაგენი: ექვთიმე და გიორგი ათონელები, იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, ანტონ კათოლიკოსი, ილია ჭავჭავაძე... ამ კუთხით საქმიანობა კიდევ უფრო გააქტიურდა XX საუკუნიდან. გასაბჭოების შემდეგ საქართველოში დაარსდა არაერთი კომისია, რომელსაც სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა და მისი კონტროლი ევალებოდა: 1925 წელს სამთავრობო



დონეზე დაარსდა ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია; მოგვიანებით განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც გამოიმუშავა სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა მოწესრიგების ძირითადი პრინციპები და დაადგინა სალიტერატურო ენის ზოგიერთი ნორმა; 1946-1947 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია; 1953 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომელსაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა. 1963 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, სადაც განიხილებოდა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში წარმოშობილი სადავო საკითხები და მუშავდებოდა ნორმათა პროექტები ამ საკითხთა მოსაგვარებლად (ქართული ენის ისტორია 2006: 260).

როგორც ცნობილია, ენობრივი კორპუსის დაგეგმარების საკითხი ოფიციალურად დაისმის მას შემდეგ, რაც გაკეთდება არჩევანი ქვეყანაში მოქმედი რომელიმე ენისთვის „სახელმწიფო“ ენის სტატუსის მინიჭებისა (ჯაფარიძე 2005: 150). ქართულ ენას სახელმწიფოებრივი სტატუსი 1921 წლის კონსტიტუციით მიენიჭა. შესაბამისად, ზრუნვა სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხებზე უკვე ამავე პერიოდიდან დაიწყო. 80-იანი წლების პერიოდიკაში ენობრივ პრობლემატიკაზე დისკუსიისას ხშირად იხსენებდნენ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირების განვითარების ისტორიას. 20-იანი წლების პრესაზე დაყრდნობით თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი გასაბჭოების შემდეგ საქართველოში ქართული ენის სახელმწიფო ენად დამკვიდრების რთული პროცესი (თევზაძე 1989: 3).

XX საუკუნის შუა წლებში განსაკუთრებით ზრუნავენ ქართული ენის ფუნქციონირების გაფართოება-გაუმჯობესებისათვის, ინტენსიურად მუშაობდნენ ქართული ენის ნორმირების საკითხებზე: 1941 წ. გამოიცა „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, 1970 წ. - „თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმები“, 1950-1964 წწ. - „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“.

- XX საუკუნის 70-იანი წლებიდან სიტუაცია შეიცვალა: ქართული ენის ფუნქციონირება საგრძნობლად შეიზღუდა. ამავე წლებში (1978 წ.) საფრთხე დაემუქრა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსსაც. ქართულ ენას შეუნარჩუნდა სტატუსი, თუმცა ამას საქართველოში ფაქტობრივი ენობრივი სიტუაცია დიდად არ შეუცვლია. რუსული ენა გაბატონებული იყო სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ყველა სფეროში. პრესაში აღნიშნავდნენ: „ამიერკავკასიის ენებსაც სახელმწიფო ენის სტატუსი მხოლოდ იურიდიულად ჰქონდათ მინიჭებული. ფაქტობრივად სახელმწიფო ენის ფუნქციას რუსული ასრულებდა. სახელმწიფო თუ სხვა საზოგადოებრივ ორგანოებსა და დაწესებულებებში საქმისწარმოება ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგალითად, ფოსტატელეგრაფში, რკინიგზის სისტემასა და სხვა საკომუნიკაციო სისტემებში, როგორც წესი, იგნორირებული იყო ეროვნული ენები; მოსკოვის „ვაკ“-ის დებულებით მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერ-მუშაკები ვალდებული იყვნენ დისერტაციები დოკუმენტაციითურთ მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოედგინათ“ (გამსახურდია 1989ბ: 3).
- ქართველი საზოგადოება ვერ ურიგდებოდა სახელმწიფო ენის ასეთ მდგომარეობას. თუ 80-იანი წლების I ნახევარში პრესაში ხანგამოშვებით იბეჭდება სტატიები ენობრივი ნორმების დაცვის, ქართული ტერმინოლოგიის დახვეწისა და ენის სიწმინდის შენარჩუნების საკითხებზე, II ნახევრიდან დისკუსიის საგანია ენის სოციოლინგვისტური სფერო, ენობრივ პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა - უკვე ღიად და აქტიურად გამოთქვამენ უკმაყოფილებას სახელმწიფო ენის ფუნქციების შეზღუდვის თაობაზე: „სადავო არ არის, რომ კონსტიტუციურად ენათა საერთო თანასწორუფლებიანობის პირობებში, სახელმწიფოში უმაღლესი სოციალურ-პოლიტიკური სტატუსი სახელმწიფო ენას აქვს. ეს უზენაესობა უნდა გამოიხატებოდეს ძირითადად იმით, რომ სახელმწიფო ენა უნდა იყოს ოფიციალური ენა, ე. ი. ამ ენაზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე საქმის წარმოება - „სახელმწიფო და

საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლების და სხვა დაწესებულებებში“ (კონსტ. 75-ე მუხლი). ამგვარად, საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, როგორც წესი, ყველა ორგანოსა და დაწესებულებაში საქმის წარმოება უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე - ქართულ ენაზე. ეს, უწინარეს ყოვლისა, სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა ცენტრალური ორგანოსათვის - ესენია: უმაღლესი საბჭო, პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მინისტრთა საბჭო, სამინისტროები, და, რასაკვირველია, მათი დაქვემდებარებული ორგანოები, აგრეთვე საზოგადოებრივი და კულტურული დაწესებულებები“, - აღნიშნავდა იურისტი პროფ. თამაზ შავგულიძე (შავგულიძე 1989: 5). რეკომენდაციას იძლეოდნენ გამონაკლისის სახით რუსული ენა დასაშვები ყოფილიყო საავიაციო ან სარკინიგზო ტრანსპორტის დაწესებულებებში, სადაც სახელმწიფო ენაზე საქმის წარმოებასთან ერთად შეიძლებოდა დადგენილიყო საქმის რუსულად წარმოება. ერთადერთი ორგანიზაცია, სადაც სახელმწიფო ენაზე საქმის წარმოება გამორიცხული იქნებოდა, საჯარისო ფორმირებები იყო, რომლებიც ტერიტორიულად არ ექვემდებარებოდნენ რესპუბლიკას (შავგულიძე 1989: 5).

- **სპეციალისტები საზოგადოებას მოუწოდებდნენ გააქტიურებულიყვნენ სახელმწიფო ენის დასაცავად, სთავაზობდნენ მას პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას:** „უკანასკნელი წლების გამოცდილებამ ცხადყო, რომ დღევანდელ საქართველოში ქართული ენისათვის ზრუნვა ძალუძს ყოველ ადამიანს, ყოველ მოქალაქეს, განურჩევლად ასაკისა, პროფესიისა, თანამდებობისა თუ სოციალური მდგომარეობისა. ეს ზრუნვა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს ნაყოფს, თუ მას ექნება საყოველთაო-სახალხო ხასიათი, რაც, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, უზრუნველჰყოფს ოფიციალურ მხარდაჭერასაც“ (გამსახურდია 1989ბ: 3).
- **სახელმწიფო დაწესებულებებში, ქართულ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის პრაქტიკული ხმარება-გამოყენების სურათის შესწავლა-შემოწმების საქმეში უნდა ჩართულიყვნენ არამართო**

სპეციალისტები, არამედ, უმეტესწილად, რიგითი მოქალაქენი. „უნდა ვიცოდეთ, თუ რამდენად რეალურად ახორციელებენ დაწესებულებები საქ. სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც ქართული ენა ჩვენში გამოცხადებულია სახელმწიფო ენად, ხომ არ იჩენს თავს ფორმალური მიდგომა საკითხისადმი? ამ მიზნით უნდა შევისწავლოთ საქმის წარმოება და ქართველ მემანქანეთა შტატების განაწილება რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებში, რათა გამოვლინდეს, თუ რა როლს თამაშობს ქართული ენა. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქენი შენიშნავენ ხარვეზებს ამ სფეროში, მათ შეუძლიათ განცხადებებით და კოლექტიური წერილებით მიმართონ ჯერ თავად დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ხოლო შემდეგ ოფიციალურ ინსტანციებსაც. არ უნდა მოვერიდოთ თანამდებობის პირთა მხილებას, თუ ადგილი აქვს კონსტიტუციური პრინციპის დარღვევას ქართულ ენასთან დაკავშირებით. ...სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი შერყვნილ, ბარბარიზმებით დანაგვიანებულ ენაზე მეტყველებს, განსაკუთრებით რაიონებში. დღევანდელ საერთო-სახმარ ენაში სიტყვებისა და გამოთქმების 50 პროცენტი არაქართულია. ინტელიგენციამ, ახალგაზრდობამ, მუშათა კლასმა, გლეხობამ უნდა იზრუნოს ქართული ენის სიწმინდის დაცვისთვის, რასაც სჭირდება პრაქტიკული ღონისძიებები ლექცია-სემინარების, საუბრების, კრებების სახით, საჭიროა წერა ამ საკითხზე, უნდა მოეწიოს კულტურულ-საპროპაგანდო ღონისძიებები, ენის შემრყვნელნი უნდა ვამხილოთ ყოველნაირად, სატირითა და იუმორითაც კი. შეიძლება გამოვიყენოთ კედლის გაზეთი, კრება-სადამო, კონცერტი და ა. შ. უნდა შემოწმდეს რესპუბლიკაში აბრებისა და წარწერების მდგომარეობა, უნდა ვიცოდეთ, ხომ არ არის სადმე იგნორირებული ქართული ენა. უნდა ვიზრუნოთ ფოსტა-ტელეგრაფში, რკინიგზის სისტემაში და სხვა საკომუნიკაციო სისტემებში ქართული ენის უფლებების აღდგენისათვის. ქართული ენის დაცვა საყოველთაო-სახალხო მოთხოვნად უნდა გადაიქცეს, რაც შესაძლოა გამოიხატოს როგორც ცალკეულ მოქალაქეთა, ასევე მოქალაქეთა

ჯგუფების წერილებსა და განცხადებებში, პეტიციებში და ა. შ. აუცილებელია აგრეთვე დოკუმენტური ხასიათის კრებულების შექმნა ქართული ენის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, სადაც აისახება ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტები. ...აუცილებელია აგრეთვე ზრუნვა, რათა გაუქმდეს მოსკოვის „ვაკ“-ის უკანონო ანტიკონსტიტუციური დებულება, რომლის მიხედვითაც მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერ-მუშაკები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ დისერტაციები მთელი დოკუმენტაციითურთ მხოლოდ რუსულ ენაზე. ამისათვის საჭიროა განცხადებებით მივმართოთ „ვაკ“-ის ხელმძღვანელობას და ზემო ინსტანციებს“ (გამსახურდია 1989ბ: 3).

➤ **შემოთავაზებული იყო დაეწესებინათ ქართული ენის დაცვის დღე, რათა შეჯამებულიყო მთელი წლის განმავლობაში სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული ღონისძიებები:** „საკითხის უფრო უკეთ შესწავლისათვის აუცილებელია დაწესდეს ქართული ენის დაცვის დღე. ამ დღეს მოსახლეობა დაუთმობდა ქართულ ენასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მის ისტორიას, მის კულტურულ როლს, მასთან დაკავშირებულ დღევანდელ ვითარებას ყველა ასპექტში. ამ დღეს დაწესებულებები წარმოადგენდნენ საანგარიშო მოხსენებების სახით რესპუბლიკაში ქართული ენის პრაქტიკული გამოყენების სურათს. გამომცემლობები, სტამბები, წიგნის სავაჭრო წერტები გვიჩვენებდნენ, თუ როგორია ქართული წიგნის ხვედრითი წონა დღევანდელ წიგნის ბაზარზე, წარმოადგენდნენ ანგარიშს, თუ როგორ დგას საქმე ქართული წიგნის, განსაკუთრებით საბავშვო წიგნის და სახელმძღვანელოების გამოცემისა, თუ როგორია ტირაჟები ქართული წიგნისა, თუ რამდენად გაიზარდა ეს ტირაჟები წინა წლებთან შედარებით, თუ რა პრობლემები დგას ქართული წიგნის გამოცემის საქმის წინაშე და სხვ. ქართული ენის დაცვის დღისათვის საქართველოს რადიო და ტელევიზია წარმოგვიდგენდა ანგარიშს ქართული გამოცემების შესახებ, მათი ხარისხისა და აქტუალობის შესახებ, აგრეთვე იმ ხვედრითი წონის შესახებ, რომელიც მათ გააჩნიათ ყოველდღიურ პროგრამებში (იგულისხმება საათობრივი

რაოდენობა). ამავე დროს შევისწავლოთ, თუ რა ვითარებაა საქართველოს კინოსტუდიაში ენის თვალსაზრისით. ამ დღეს განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ზრუნვა ქართული ენის სიწმინდის დაცვაზე“ (გამსახურდია 1989ბ: 3).

- **სპეციალისტთათვის ცხადი იყო, რომ ენათა კონსტიტუციური სტატუსის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, საკუთრივ ენობრივი პრობლემების მოგვარებასთან ერთად, პირველ რიგში, საჭირო იყო სათანადო პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს შექმნა. რუსულ ენასთან არათანაბარ ვითარებაში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის სხვა ენები. რუსული აშკარა უპირატესობით სარგებლობდა: „კონსტიტუციებით აღიარებული ენათა თანასწორობა და მკვიდრი ეთნოსების ენებისათვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭებაც კი, დეკლარაციულ განცხადებად დარჩება, თუ არ შეიქმნება საამისოდ ხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები“ (ნინიძე 1989: 4).**

საბჭოთა ხელისუფლება სწორედ იმ გარემოს ქმნიდა, რომელშიც რუსული ენა იქნებოდა წამყვანი: „რუსული ენა იქცა ურთიერთობისა და თანამშრომლობის ენად სოციალისტური სახელმწიფოს ყველა ხალხისათვის, იმისდა მიხედვით, რომ გაძლიერდა ეკონომიკური და საწარმოო ეროვნებათაშორისი კავშირები, ინტენსიფიცირდა მოსახლეობის ინტერნაციონალიზაცია, იხსნება ფსიქოლოგიური ბარიერები და მათს ადგილას მყარდება ძმური მეგობრობა, ნდობა და ურთიერთდახმარება“ (ისაევ 1982: 115).

- **საზოგადოების წარმომადგენლები, ეყრდნობოდნენ რა ლოზუნგებს თანასწორუფლებიანობის თაობაზე, პრესის ფურცლებიდან მოუწოდებდნენ საბჭოთა მთავრობის მესვეურთ, რომ ერთა თანასწორობა და ენათა თანაბარუფლებიანობა საბჭოთა კავშირის მასშტაბით მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწეოდა, თუ სახელმწიფოში პრიორიტეტული იქნებოდა რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის ენა. ამის საწინააღმდეგოდ საბჭოთა იურისტები ასახელებდნენ სწორედ „არახელსაყრელ“ ეკონომიკურ გარემოს: „...დაისმის კითხვა: რატომ უნდა დავუპირისპიროთ ერთი რესპუბლიკის (თუნდაც ერის) ინტერესი სხვა**

რესპუბლიკებს (ერებს), თუნდაც ეროვნულ საკითხში? ბევრი ამის აუცილებლობას „ასაბუთებს“ ქვეყანაში სახალხო მეურნეობის განვითარების მასშტაბებით, პიგოლკინიცა და სტუდენიკინაც ... ერთ-ერთ მთავარ მოტივად რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის ენის პრიორიტეტის წინააღმდეგ მიიჩნევენ ჩვენი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო ერთიანი კომპლექსების არსებობას. ...თუ სრულუფლებიანობა მიენიჭება რუსულ ენას, პარალელურად ეროვნული ენისა, - იგი უკვე კონკურენციას გაუწევს მკვიდრი მოსახლეობის ენას; ამის გამართლება კი არც „სახალხო მეურნეობის „კომპლექსების“ მშენებლობით შეიძლება, არც ინტერნაციონალიზმისა“ და „ხალხთა მეგობრობის“ პრინციპით და, რა თქმა უნდა, არც ბურჟუაზიული ქვეყნების მაგალითებით, რასაც ზოგჯერ იშველიებენ კიდევ“ (თევზაძე 1989: 2).

## 7.2. სახელმწიფო ენის, როგორც სამართალწარმოების ენის, ფუნქციონირების პრობლემა XX საუკუნის 80-იან წლებში

80-იანი წლების პერიოდიკაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ენის გამოყენებას მართლმსაჯულების სფეროში, სამართალწარმოებისა თუ საკანონმდებლო აქტების ენას. სამართალწარმოების ენები განსაზღვრული იყო სსრ კავშირის კონსტიტუციით, რომლის მიხედვითაც იყო შემდგომ აგებული სხვა რესპუბლიკათა და მათ შორის საქართველოს სსრ კონსტიტუციის ნორმა.

კანონის თანახმად, საქართველოში სამართალწარმოება მიმდინარეობდა სახელმწიფო, ე. ი. ქართულ ენაზე, თუ რომელიმე რაიონის ან ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა არ ფლობდა ქართულ ენას, მაშინ წინასწარ უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი სამართალწარმოების ენის საკითხი. ...გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელ ენას ფლობდა რაიონის ან ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა (შავგულიძე 1989: 5).

არსებობდა ამ სფეროში გამოსაყენებელ ენათა იერარქია: სახელმწიფო ენა; ავტონომიური რესპუბლიკის ენა; ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენა;

„სახელმწიფოში სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება სამართალწარმოების ენის პრობლემას. იგი რეგლამენტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით, რომლის მიხედვითაც, „სამართალწარმოება საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება ქართულ ენაზე, ან ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე, ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. საქმის მონაწილე პირთათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია დედაენაზე განცხადების შეტანის, ჩვენების მიცემის, შუამდგომლობის განცხადების, საქმის ყველა მასალის გაცნობის, სასამართლოში გამოსვლის და ამ კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად ბრალდებულს ჩაბარდება დედაენაზე ან სხვა ენაზე, რომელსაც იგი ფლობს, თარგმნილი საგამომძიებო და სასამართლო დოკუმენტები“ (შავგულიძე 1989: 5).

თუმცა „ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენები“ დაკონკრეტებული არ ყოფილა, რაც, სპეციალისტთა განმარტებით, სახელმწიფო ენის შეზღუდვის მიზეზი შეიძლება გახდარიყო: „ასეთი ენების ოფიციალურად განუსაზღვრელობამ შესაძლოა სუბიექტივიზმის და სახელმწიფო ენის უგულებელყოფის საფუძველი შექმნას. ...ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენა, როგორც მართლმსაჯულების ენა, გამოყენებული [უნდა იყოს] მხოლოდ რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ნებართვით, ქალაქის ან რაიონის საბჭოების წინადადებების საფუძველზე“ (ნინიძე 1989: 4).

საბჭოთა რესპუბლიკებში მოქმედებდა როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო კანონმდებლობა. ძირითადად, კანონმდებლობის ენა რუსული იყო, საკავშირო ორგანოებთან მიმოწერა მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სპეციალისტები მოითხოვდნენ კანონები გამოქვეყნებულიყო როგორც „საკავშირო“, ანუ რუსულ, ენაზე, ისე რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის ენაზე: „რადგან ორი სახის კანონები მოქმედებენ ჩვენში, რესპუბლიკური და საკავშირო, ამიტომაც ორივე საკანონმდებლო ორგანოებში თანაბარი უფლებით უნდა გაბატონდნენ რესპუბლიკათა ენები. ეს კი უდავოდ ნიშნავს იმას, რომ საკავშირო ხელისუფლების (და მმართველობის) ორგანოებში ქართველი კანონმდებელი თავის მოსაზრებას ქართულ ენაზე უნდა გამოთქვამდეს და კანონსაც, დაწყებული პროექტიდან კანონად ქცევამდე, ქართულივე ენაზე განსჯიდეს, წერდეს და აქვეყნებდეს. საქმე იმაში როდია, „ცენტრში“



თავშეყრილმა განსხვავებული ეროვნების კანონმდებლებმა იციან თუ არა რომელიმე სხვა ენა (მაგ. რუსული), არამედ იმის დასტურია, რომ იგი სუვერენულ სახელმწიფოს წარმომადგენლად იმყოფება იქ, რაც ნიადაგ სამახსოვრო ხდება კოლეგათათვისაც. თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში ასეთი რამ არ უნდა წარმოადგენდეს „ოცნებას“, მთავარი ისაა, რომ იგი არ მიიჩნიონ რუსული ენის „დამცირებად“, რაც მისი ენის სხვა ეროვნულ ენებთან გათანაბრებაში მდგომარეობს“ (კეკელია 1989: 6).

სპეციალისტთათვის ისიც ცხადი იყო, რომ რესპუბლიკის ენები თავდაპირველად თავისსავე ქვეყნებში უნდა აღჭურვილიყვნენ სათანადო უფლებებით და მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი საკავშირო ორგანოებში მათს უფლებებზე საუბარი.

- მწვავედ დაისმოდა ადგილობრივი, რესპუბლიკის კანონმდებლობის ენის საკითხი. რესპუბლიკის ენას აქაც თავისი ფუნქცია უნდა შეესრულებინა, რაც, როგორც წესი, არ სრულდებოდა. კანონები იქმნებოდა რუსულ ენაზე და შემდგომ ითარგმნებოდა ადგილობრივ ენებზე: „კანონები და მმართველობის აქტები უნდა ქვეყნდებოდნენ არსებული წესის მიხედვით, ქართულ და რუსულ ენებზე. მაგრამ პირველწყაროს უნდა წარმოადგენდეს ქართული ტექსტი. არცთუ იშვიათად, ჩვენთან პირიქითაა. თარგმანი კი ხშირად არაავთენტურია, რითაც, ჯერ ერთი, ირღვევა სახელმწიფო ენის პრეზუმფცია, მეორეც, შესაძლოა ზიანი მიადგეს კანონის განხორციელებას“ (ნინიძე 1989: 4).

მიუთითებდნენ კიდევ შეცდომებზე: „სხვას რომ თავი დავანებოთ, ჯერ არავის დაუმტკიცებია ორიგინალურისა და ნათარგმნის აბსოლუტური იდენტურობა ... აღნიშნულს საბედისწერო შეცდომის დაშვების შესაძლებლობაც უნდა დაემატოს. ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ საჯაროდ აუწყა ქვეყანას, რომ 9 აპრილთან დაკავშირებული მთავრობის განკარგულება რუსულ ენაზე დაიწერა, რომლიდანაც შემდგომ ორი სიტყვის *правление*-ს და *удалить*-ს არაზუსტად თარგმნამ ძირფესვიანად შესცვალა განკარგულების შინაარსი“ (კეკელია 1989: 6).

საკავშიროს გარდა, საქართველოშიც ყველა კანონი დაწყებული პროექტიდან კანონად ქცევამდე, როგორც წესი, რუსულად იწერებოდა და მხოლოდ გამოქვეყნების

წინ ითარგმნებოდა ქართულად: „სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ თითქმის ყველა ქართულ კანონს დაკარგული აქვს ქართული საკანონმდებლო ენის პეწი, - აღნიშნავდნენ პრესაში, - სამწუხაროდ, ცალკეულ კანონთა მიღება კი არა, მთელი საკოდიფიკაციო მუშაობაც ამ წესის მტკიცე დაცვით მიმდინარეობს ჩვენში. მიზეზი ყველასათვის ადვილი მისახვედრია. რესპუბლიკის კანონები ხომ ძირითადად „ცენტრის“ კარნახით და მათთან საკეკლუცოდ იწერება“ (კეკელია 1989: 6).

### 7.3. ტერმინოლოგიის საკითხი 80-იანი წლების პერიოდიკაში

ტერმინოლოგიის შემუშავება ყველა დროის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, უმნიშვნელოვანესი, სალიტერატურო ენის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის. ეს ლინგვისტიკის ის სფეროა, რომელიც განუწყვეტლივ საჭიროებს ყურადღებას, დამუშავებას, განახლებას. საბჭოთა პერიოდში ქართული ტერმინოლოგია დიდი გამოწვევის წინაშე დადგა. XX საუკუნის I ნახევარში მან ღირსეულად დაძლია ეს გამოწვევა. ამავე საუკუნის II ნახევარში კი ვითარება შედარებით გაართულდა. პრესის ფურცლებზე თითქმის უწყვეტად მოითხოვენ ტერმინოლოგიის შევსებას, დახვეწას, გამოთქვამენ უკმაყოფილებას ამა თუ იმ სპეციფიკურ დარგში ქართული ტერმინების არარსებობის თაობაზე, რაც აფერხებდა თარგმანსაც სხვადასხვა სამეცნიერო სფეროში და ამავე დროს იწვევდა რუსული ენის ფუნქციების გაფართოებას: „მთელი რიგი სპეციალობებისთვის საერთოდ არ არსებობს მშობლიურ ენაზე დაწერილი თუ ნათარგმნი სახელმძღვანელოები. ეს გარემოება განაპირობებს იმ საერთო განწყობას, რასაც ვხვდებით თბილისში არაჰუმანიტარულ დაწესებულებებში, სადაც საქმიანობა და საქმეთა წარმოება უმეტესად რუსულ ენაზე მიმდინარეობს. დროულად უნდა ვიზრუნოთ უმაღლესი სასწავლებლებისათვის თანამედროვე დონეზე შესრულებული სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე შესაქმნელად. დღეს, როდესაც ვისწრაფით კომპიუტერიზაციის სისტემისაკენ, ვჩქარობთ მის განვითარებას, გვავიწყდება, რომ არა

ვართ საამისოდ მზად - არ გაგვაჩნია ტერმინოლოგია მეცნიერების უმრავლესი დარგებისათვის<sup>1</sup> (შენგელაია 1988: 10)<sup>2</sup>.

**განსაკუთრებით მწვავედ დაისმოდა იურიდიული და პოლიტიკური ტერმინების გადმოქართულების საკითხი. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და იურიდიულ ტერმინთა რუსულიდან არასრულყოფილი თარგმნის შესახებ შენიშვნებს გამოთქვამდნენ პრესაში. ხშირად, როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, არაერთი შეცდომა და შეუსაბამობა იჩენდა თავს თარგმნისას და მკვიდრდებოდა მცდარი ფორმები. პრესაში აქტიურად განიხილავენ ტერმინოლოგიის თარგმნის საკითხებს. პირველი შენიშვნა შეეხება რუსული ტერმინის «Государственное управление» თარგმნას. „სწორი იქნება „სახელმწიფო მმართველობა“. ...მთელ რიგ შემთხვევებში კი მთარგმნელები აშკარა შეცდომას უშვებენ და „მმართველობის“ მაგიერ უადგილოდ იყენებენ ტერმინს „მართვა“. ...აშკარა შეცდომაა აგრეთვე მეორე რუსული პოლიტიკურ-იურიდიული ტერმინის Полновластие-ს თარგმნისას, რომელიც ქართულად ნიშნავს „სრულძალაუფლებიანობას“. ჩვენთან კი დამკვიდრდა როგორც „სრულუფლებიანობა“. სინამდვილეში კი „სრულუფლებიანობა“ დამოუკიდებელი ცნებაა და რუსულად არის «полноправие». ასეთი შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების, ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტების მიერ ჯერ კიდევ 1963 წელს შედგენილ და გამოცემულ „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ სიტყვა Полновластие უყოყმანოდაა მიჩნეული „სრულძალაუფლებიანობად“ (ინწკირველი 1989: 4).**

არაზუსტი თარგმნის კიდევ ერთ ნიმუშად მოჰყავდათ საბჭოთა სახელმწიფოს ზოგიერთი ორგანოს უმაღლესი რგოლების ქართული სახელწოდებები. სპეციალურ ლიტერატურაში ორი ტერმინი იყო გამოყენებული: «Высший» და «Верховный». ქართულად ორივე ტერმინი თარგმნილი იყო ერთნაირად - უმაღლესი, რომელიც გამოიყენებოდა ხან ერთი გაგებით (Высший), ხან კი მეორე გაგებით (Верховный). უზუსტობას უხერხულობაც (ტავტოლოგია) გამოუწვევია კონსტიტუციის ერთი

<sup>1</sup> პროგნოზი, შეიძლება ითქვას, გამართლდა. უკვე დამოუკიდებელი საქართველო მოუმზადებელი შეხვდა ტექნიკური ტერმინოლოგიის შემოტევას XXI საუკუნეში.

<sup>2</sup> პროგნოზი, შეიძლება ითქვას, გამართლდა. უკვე დამოუკიდებელი საქართველო მოუმზადებელი შეხვდა ტექნიკური ტერმინოლოგიის შემოტევას XXI საუკუნეში.

დებულების თარგმნისას: „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ორგანო“ (ინწკირველი 1989: 4).

გადმოთარგმნისას ტერმინოლოგიური შეცდომის მაგალითებს განიხილავდნენ ეკონომიკის სფეროშიც (მაგალითად, «Производительные силы» - „საწარმოო ძალები“; „ხარჯთაღრიცხვა“ – роспис და სხვ.) (ჩანტლაძე 1989: 13).

**„ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ მიღების შემდეგ დაიწყო დოკუმენტაციის „გაქართულება“, მაგრამ ტერმინოლოგიის, განსაკუთრებით ტექნიკური ტერმინოლოგიის არასახარბიელო მდგომარეობის გამო საქმე მეტად რთულდებოდა. ამ მიზეზით ფერხდებოდა ტექნიკური სახელმძღვანელოების თარგმნაც: „...ტექნიკაში უკვე გვხვდება ძალზე ბევრი ტერმინი, რომლის ქართული შესატყვისი არ გაგვაჩნია, რაც ძალზე ართულებს ქართულ ენაზე აზროვნებასა და ტექნიკური აზრის მშობლიურ ენაზე ჩამოყალიბებას; ...რკინიგზის ტრანსპორტის ექსპლუატაციის პროცესში ერთი სიტყვის არასწორმა წარმოთქმამ შეიძლება მძიმე შედეგიც კი გამოიღოს“ (კიკნაძე 1989: 2).**

ფერხდებოდა ტექნიკური სახელმძღვანელოების თარგმნაც: „რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლები ამზადებენ სპეციალისტებს, რომლებიც ქართულ ენაზე ტექნიკურ სახელმძღვანელოებს მოკლებული არიან, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სპეციალისტების მომზადების ხარისხზე“ (კიკნაძე 1989: 2).

**ტერმინოლოგიური ლექსიკონები გამოიცემოდა, მაგრამ მათში ბევრი იყო შეუსაბამობა-უზუსტობანი:** „რადიოელექტრონიკასა და მის მონათესავე დარგებში გამოიცა რამდენიმე ტერმინოლოგიური ლექსიკონი. მსგავსი ტერმინოლოგიური ლექსიკონები უნდა იქმნებოდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან მჭიდრო კავშირში. ნაკლებად შეიმჩნევა ავტორების შემოქმედებითი მიდგომა ახალი ტერმინების დამუშავების თვალსაზრისით; ლექსიკონებში წარმოდგენილი ბევრი ტერმინის შესაბამისი ქართულ ენაში უკვე არსებობს და სასურველია არაქართულების საერთოდ ამოღება“ (უღრელიძე 1989: 4-5).

პრობლემის გადაჭრას ცდილობდა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართულის სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია: „კომისიის სხდომამ განიხილა საკითხი ეკონომიკის ზოგიერთი

ტერმინის ხმარებისა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, რის შესახებაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ან. ო. ჩერქეზიას ინფორმაცია.

ეს ტერმინებია:

ეკონომიკური და ეკონომიური;

აღწარმოება, კვლავწარმოება (და რეპროდუქცია);

მწარმოებლური ძალები და საწარმოო ძალები;

მწარმოებლური შრომა;

შინამრეწველობა, კუსტარი“ (დედაენის სიწმინდისათვის 1988: 1).

განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა ტექნიკური მეცნიერების სახელმძღვანელოების არარსებობა. იყენებდნენ მხოლოდ რუსულენოვან ლიტერატურას: „ტექნიკურ მეცნიერებაში რაღაც ეროვნული კონსოლიდაცია უნდა იყოს. შესანიშნავი მეცნიერები დღეს ქართულად აღარ წერენ. რა თქმა უნდა, საჭიროა რუსული ენისა და უცხო ენების ცოდნა, ლიტერატურის კითხვა, მაგრამ ყველა დარგი საქართველოში ქართულად უნდა ვითარდებოდეს. ჩვენთან, ენათმეცნიერების ინ-ტში, დამუშავებულია ტერმინოლოგია, დასხდნენ და იკითხონ და წერონ ქართულად, სახელმძღვანელოები ქართულად თარგმნონ“ (ლომთათიძე 1988: 1).

საგაზეთო სტატიებში ცდილობენ დააზუსტონ ესა თუ ის ტექნიკური ტერმინი, გაასწორონ რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნის დროს დაშვებული შეცდომები თუ გაპარული ხარვეზები, შემოთავაზებულია ზოგიერთი ტერმინის უთარგმნელად დატოვება.

#### **7.4. სახელმწიფო ენის ფუნქციონირება და ლექსიკონების საკითხი ქართულ პერიოდიკაში**

პრესაში კარგად ჩანს რაოდენ დიდი იყო მოთხოვნა ლექსიკონებზე 80-იანი წლების ბოლოს. ითხოვდნენ ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონების ხელმეორედ გამოცემას, პერიოდულად კი სხვა სახის ლექსიკონების ბეჭდვასაც. ამ პრობლემას განიხილავდა მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო კომისიაც: „გაიმართა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოცემისა და სხვა ლექსიკონებზე მუშაობის მდგომარეობის საკითხი“ (საჭიროა მეტი და კარგი ლექსიკონები 1982: 1).

მიიღეს გადაწყვეტილება, შექმნილიყო ერთიანი საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც არა მარტო მოახდენდა რეცენზირებას, არამედ მაღალი მეცნიერული პოზიციებიდან შეისწავლიდა მოთხოვნილებას ცოდნის ამა თუ იმ დარგის ლექსიკონებსა და საცნობარო ლიტერატურაზე, რეკომენდაციას მისცემდა და დააწესებდა სადირექტივო ორგანოების თანხმობით მათი გამოცემის რიგითობასა და მიზანშეწონილ ტირაჟებს.

„ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ გამოქვეყნების შემდეგ მკითხველები აქტიურად გამოთქვამდნენ თავიანთ შენიშვნებს პროგრამის ირგვლივ, მათ შორის ლექსიკონების გამოცემის თაობაზე: „ლექსიკონები აუცილებელია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ქართულ ენაზე მრავალდარგობრივი ნაშრომების, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების შესაქმნელად, საშუალო და უმაღლეს სკოლებში სასწავლო პროცესების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვისათვის. გამსახკომმა კონტროლზე უნდა აიყვანოს სამეცნიერო-ტექნიკური ორენოვანი ლექსიკონების გამოცემა, განსაკუთრებით ისეთი ლექსიკონებისა, რომლებიც განკუთვნილია უახლეს სამეცნიერო-ტექნიკურ დარგებსა და მიმართულებებში მომუშავე სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისათვის, მოსწავლეთათვის, მთარგმნელთათვის, რედაქტორთათვის და სხვ. ...არ გვაქვს რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები ფიზიკაში, გამოთვლით ტექნიკაში, დაპროგრამებაში, ინფორმატიკაში, კიბერნეტიკაში, ელექტრონიკაში, ბიოფიზიკაში, კვანტურ ელექტრონიკაში და სხვ. თანამედროვე დარგებში. სპეციალური დარგების ლექსიკონების შედგენა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს“ (ბერულავა 1988: 2).

პრესაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეთნიკურ უმცირესობებთან თანამშრომლობას ენობრივ საკითხებში, იქნებოდა ეს თარგმნისა თუ ლექსიკოგრაფიის სფერო. 1988 წ. გამოიცა „ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი“. ლექსიკონი შეადგინეს ჟურნალისტებმა სულეიმან სულეიმანოვმა, ნასიბ ნასიბოვმა და საქ. მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის უფროსმა მეცნ.-თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნ.

კანდიდატმა ვენერა ჯანგიძემ. შეიცავს 21 000 სიტყვას. სულიმან სულიმანოვი: „საქართველოში ბევრია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, პროფტექსასწავლებელი, სადაც აზერბაიჯანულად ასწავლიან. აქ სწავლობს დაახლოებით 60 000 მოსწავლე, რომლებიც მშობლიურ ენასთან ერთად ქართულსაც ეუფლებიან, რაც ნათელს ხდის, თუ რამდენად საჭიროა ასეთი დამხმარე სახელმძღვანელო („ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი“ 1988: 2).

გამოქვეყნდა „სომხურ-ქართული სასაუბრო“, რომლის ავტორები არიან ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები, არმენოლოგი რამაზ გიორგაძე და პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინ-ტის უფროსი მასწავლებელი ვლადიმერ პოლოსიანი. „საგამომცემლო გეგმაშია რ. გიორგაძის მეორე წიგნი „ქართულ-სომხური სასკოლო ლექსიკონი“ (რედ. მამიკონ თაქორიანი), რომელშიც შედის 6 000 ლექსიკური ერთეული“ (მურადიანი 1989: 8).

გამოიცა აფხაზეთის სახ. უნ-ტის დოცენტის ვლ. კასლანძიას მიერ შედგენილი ახალი აფხაზურ-ქართული ლექსიკონი (20 000 აფხაზური სიტყვა ქართული განმარტებით), რომელსაც აფხაზოლოგი თეიმურაზ გვანცელაძე მეურვეობდა (ქობალია 1989: 2).

## 7.5. თარგმნის განვითარება XX საუკუნის 80-იან წლებში,

### პერიოდიკის მიხედვით

80-იანი წლების პრესაში მწვავედ დაისმოდა თარგმნის საკითხიც. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ აფხაზურ, ოსურ, სხვა ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე თარგმნის პრობლემებს: „29 ივნისს საქ. მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ სამხრეთ ოსეთის მწერლებთან ერთად გამართა საუბარი ოსური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის თაობაზე.

ბოლო წლების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოქვეყნება გამომცემლობა „ირისტონის“ მიერ. ოსურ ენაზე იგი პოეტმა გიორგი ბესთათურმა თარგმნა. იმსჯელეს კოლეგიის მიერ დასახელებულ მომავალ შემოქმედებით გეგმებზე“ (ოსური ლიტერატურა ქართულ ენაზე 1978: 1).

ინტერნაციონალური ურთიერთობანი საბჭოთა კავშირში თარგმანის გზითაც უნდა განმტკიცებულყო. „საქ. მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმეთა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში შეიქმნა რუსული რედაქცია, რომლის მოწოდებაცაა თარგმნის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და რომელმაც უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები, რათა საბჭოთა და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე ღირსეულად წარმოჩნდეს ქართული, აფხაზური და ოსური ლიტერატურების საუკეთესო ნიმუშები. განუხრელად გაატარებს საბჭოთა და საზღვარგარეთული ლიტერატურების საუკეთესო ნაწარმოებთა ქართულ, აფხაზურ, და ოსურ ენაზე თარგმნის აღებულ კურსს. ქართველ, აფხაზ და ოს ლიტერატორთა ასეთი დაახლოება კარგ შედეგებს მოგვცემს“ (ლიტერატურულ ურთიერთობათა განმტკიცებისათვის 1979: 1).

მაგალითად, მოეწყო საბჭოთა ლიტერატურის დღეები დევიზით „მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალიზმი განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში“, გაიმართა საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის თარგმანის პრობლემებისათვის მიძღვნილი სრულიად საკავშირო თათბირი, ჰუმკინის სრულიად საკავშირო კონფერენცია, აფხაზი, ოსი და ქართველი მთარგმნელი მწერლების შეხვედრები მრგვალ მაგიდასთან და სხვ. (საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 1979: 1).

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აფხაზეთთან სამწერლო-ლიტერატურულ ურთიერთობას. „ქართველი მწერლები ყოველთვის სიამოვნებით თარგმნიდნენ აფხაზი მწერლების ლექსებსა და მოთხრობებს, მწერლებისა, რომლებთანაც მათ უმტკიცესი ძმური ურთიერთობა ჰქონდათ. სიამოვნებით წერდნენ აფხაზეთზე, მის ადამიანებზე, ისინი ყოველთვის ერთად იყვნენ, ემსახურებოდნენ მეგობრობის ნათელი იდეალების დამკვიდრებას“ (მუზებს მასპინძლობს მშვენიერი აფხაზეთი 1984: 1).

ქართველი სპეციალისტები გულისტკივილით აღნიშნავდნენ აფხაზთა მიერ უსაფუძვლოდ გამოთქმული საყვედურების თაობაზე, რომლებიც გამოითქვა 1989 წლის მარტში ლიხნში შედგენილ ცნობილ „აფხაზურ წერილში“. წერილს, სხვებთან ერთად, ხელს აწერდნენ ლიტერატორებიც. „ვის-ვის და მათ ნამდვილად არ აკლდათ ყურადღება ქართველ მთარგმნელთაგან. მაგალითები:



მოკიდებული 1978 წ-დან დღემდე [საქ. მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო] კოლეგიის გრიფითა და ხარჯით გამოიცა 14 აფხაზი მწერლის ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნები და კრებულები.

იმავე კოლეგიის გრიფით მისივე ხარჯით გამოიცა რუსულ ენაზე თარგმნილი 7 აფხაზი ავტორის წიგნები;

რუსულ ენაზე ითარგმნა და აღმანახ „კავკასიონში“ გამოქვეყნდა 5 აფხაზი ავტორის მოთხრობები.

გამოსაცემად მზად არის „აფხაზური წერილის“ ავტორთა პროზაულ ნაწარმოებთა შემცველი კრებულები, მზადდება 5 აფხაზი ავტორის ნაწარმოებთა კრებულები;

იმავე კოლეგიის გრიფით და მისივე ხარჯით გამოიცა ქართული და რუსული ენებიდან აფხაზურ ენაზე თარგმნილი 22 წიგნი, გამოსაცემად მზადდება 40-ტომიანი „მსოფლიო ლიტ-რის ბიბლიოთეკა“;

კოლეგიამ თბილისში მოაწყო „მრგვალი მაგიდა“ თემაზე „აფხაზური ლიტ-რის ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემები“. სოხუმში „მრგვალი მაგიდა“ თემაზე „ქართული ლიტ-რის აფხაზურ ენაზე თარგმნის პრობლემები“, რამდენიმე თათბირი „მსოფლიო ლიტ-რის ბიბლიოთეკის“ აფხაზურ ენაზე თარგმნის საკითხების შესახებ“ (გვანცელაძე 1989ა: 5).

„საბჭოთა პერიოდში შეუძლებელი იყო (არ გვექონდა საშუალება) ორიგინალურიდან გვეთარგმნა ნაწარმოებები (თარგმანი ხდებოდა რუსულიდან). გამონაკლისი - ჯოისის „ულისე“, ნიკო ყიასაშვილის მიერ (წყარო უცნობია)“.

#### ➤ **თარჯიმანთა მეტყველების პრობლემები.**

საბჭოთა საქართველოში უცხო ენიდან თარჯიმანი თარგმნიდა არა სახელმწიფო ქართულ ენაზე, არამედ საბჭოთა კავშირისთვის ფაქტობრივად ოფიციალურ რუსულ ენაზე. „გადაცემის ავტორებმა ინგლისელ ბიზნესმენტა ერთი ჯგუფი წარმოგვიდგინეს და აქეთ ჩვენი წამყვანები დაუშაქრდნენ შორეულ სტუმრებს „ქართულაქცენტოვანი“ ინგლისურით, იქით, რასაკვირველია, ინგლისელებმა ჩაატანეს გემო თავის დედაენას, მათ შორის უფუნქციოდ ჩაჭედდნენ მთარგმნელი კი, კაცმა არ იცის ვისთვის და რისთვის, თარგმნიდა ინგლისურ ტექსტებს რუსულ ენაზე! იმავე სტუდიაში, სადაც

ხუთიოდე წუთის წინ სხვებს ვმოდღვრავდით, ჩვენ თვითონ შევექმენით ქართული ენის იგნორირების „წვრილმანი“ პრეცედენტი...“ (კალაძე 1988: 4).

პრობლემა გამოწვეული იყო იმითაც, რომ თარჯიმნებად ძირითადად არაქართულენოვანი სპეციალისტები იყვნენ. „ვინ არიან თარჯიმნები? უმთავრესად არაქართველნი ან არაქართული განათლების მქონე ქართველები. დიდი ილიას იუბილეს იხდიდა საქართველო. სტუმარი ბევრი გვყავდა. თარჯიმანთა ბრიგადაც ჩამოვიდა. ერთი სტუმარი დიდი სიყვარულით ლაპარაკობდა საქართველოზე, ილიაზე. თავის სიტყვაში „კაცია-ადამიანიც“ ახსენა. თარჯიმანმა თარგმნა ისე, როგორც გაიგო: «Мужчина ли он?». ქართული ფილმი უცხოეთში ნათარგმნი გადის, ოღონდ რუსული თარგმანიდან. შარშან, სექტემბერში, ჩატარდა საბჭოთა-კავშირ-აშშ-ს წარმომადგენელთა შეხვედრა. ოთხი შეხვედრიდან 2 აშშ-ში ჩატარდა, 1 - ლატვიაში, 1 - საქართველოში. ლატვიაში თარგმანი ლატვიურ ენაზე მიმდინარეობდა, საქართველოში, ჩვეულებისამებრ, რუსულად. ბოლოს სინქრონული თარგმანის უმაღლესი კურსების დირექტორს თემურ გოგოლაძეს უხმეს. ეს ფაქტი ქართულ სათარჯიმნო ისტორიაში ასე შეიძლება დაფიქსირდეს: 1988 წ., სექტემბერს, შესრულდა პირველი ქართული თარგმანი საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე“ (როგორც კანონი 1989: 4).

## 7.6. სახელმწიფო ენის ფუნქციონირება სხვადასხვა ოფიციალურ დაწესებულება-ორგანიზაციაში

ეროვნული მოძრაობის გააქტიურებას უკურეაქცია მოჰყვა სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებების ხელმძღვანელობისა თუ ზოგიერთი რიგითი მოსამსახურის მხრიდან. მაგალითად, ხშირად სხვადასხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებაში მოთხოვნას არ ასრულებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ დოკუმენტი ქართულ ენაზე იყო შედგენილი: „1989 წ. 29 მარტს გაგრის ბინსოცბანკმა ზუგდიდის აგროსამრეწველო ბანკის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა მხოლოდ იმიტომ, რომ საგადასახადო მოთხოვნა ქართულ ენაზე იყო შევსებული, მოთხოვნა უკან უბრუნდებოდათ პასუხით: „ჩვენთან საქმის წარმოება რუსულად წარმოებს“. თუმცა მანამდეც გადახდის მოთხოვნები ქართულ ენაზე წარუდგენიათ, მაგრამ არასდროს ასეთი რამ არ ჩაუდენიათ“ (ტულუში 1989: 2).

ლ. ღვინჯილიას ცნობით, თბილისიდან ქართულად გაგზავნილ ოფიციალურ მასალას ხშირად უკან აბრუნებდა აფხაზეთის ესა თუ ის დაწესებულება და ორგანიზაცია იმ მოტივით, რომ თურმე მათთან არ მოიძებნება ქართული ენის მცოდნე (ღვინჯილია 1988ა: 3).

ასევე იქცეოდა ქ. ცხინვალის შემნახველი ბანკი, რომელმაც ხელფასები არ გასცა იმ მოტივით, რომ მუშა-მოსამსახურეთა სიები ქართულ ენაზე იყო დაბეჭდილი. ბანკის მმართველი მათს რუსულ ენაზე წარდგენას მოითხოვდა, თუმცა მანამდე ხელფასები ქართულად დაბეჭდილი სიებით გაიცა (ნებიერიძე 1989: 3).

მაღალ თანამდებობაზე მყოფმა არაქართველებმა ან არ იცოდნენ სახელმწიფო ენა, ქართული, ან იცოდნენ, მაგრამ მიზანმიმართულად არ იყენებდნენ მას. ზოგადად ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა ყოფილა 80-იანი წლების ბოლო პერიოდამდე: „არაქართველები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ამა თუ იმ დარგს, შესანიშნავად ფლობდნენ ქართულ ენას. შესანიშნავი ტრადიცია დავიწყებას მიეცა. ერთ-ერთ საზეიმო სხდომაზე რუსულად გამოვიდა მოხსენებით ყოფილი მინისტრი ა. მოვსესიანი. ...საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში მინისტრის მდივანმა ასევე მინისტრის სხვა სამი მოადგილის მდივანმა არ იციან ქართული ენა. ილახება ქართველი ერის ინტერესები, ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლი“ (წულეისკირი 1989: 10).

„მრავალი წლის წინათ საქართველოს უმრავლეს საწარმო-დაწესებულებაში საქმისწარმოება ქართულად მიმდინარეობდა, ხოლო საკავშირო უწყებებში წარსადგენი საბუთები რუსულად ითარგმნებოდა. ... დღეს არათუ საკავშირო, არამედ რესპუბლიკის შიგნით უწყებათა შორის თითქმის ნებისმიერი მიმოწერა რუსულენოვანია, ამასთან უგულვებელყოფილია არა მარტო ქართული, არამედ რუსული ენაც, რადგანაც მათში უხვად არის მიმოხვეული სტილისტური და გრამატიკული შეცდომა“ (აგიაშვილი 1989: 3).

„ქართული დეპუტების გადაცემა ხდება რუსული ანბანის გამოყენებით, რადგან საქართველო, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკები, ჩართულია ერთიან სატელეგრაფო ქსელში. რაკი ქსელი ერთიანია, ტექსტის გადასაცემი ანბანიც ერთიანი უნდა იყოს. ასეთ პირობებში არცთუ იშვიათად მახინჯდება ტექსტი, ადრესატს უჭირს ტექსტის წაკითხვა და აზრის გამოტანა.

კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილის თქმით, საჭიროა ქართულშრიფტიანი სატელეგრაფო აპარატის შექმნა, რომლებიც ჩაირთვება იმავე ქსელში, რომელიც ამჟამად მოქმედებს და ერთსა და იმავე სატელეგრაფო აპარატს ორივე ანბანის გამოყენება შეეძლება“ (ღვინჯილია 1987ბ: 4).

„სკოლებში ცნობები სამსახურიდან მხოლოდ რუსულ ენაზე შევსებული მოაქვთ მშობლებს“ (ღვინჯილია 1987ზ: 3).

„თვითმფრინავებში ინფორმაცია უნდა ცხადდებოდეს ორივე ენაზე, რაც მხოლოდ ცალკეულ რეისებზე ხდება.

ენობრივი დამახინჯებანი მრავლად გვხვდება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს სისტემაში. მართალია, მოსკოვში მიმავალ თვითმფრინავებზე დაიწყეს ინფორმაციების გამოცხადება ქართულ ენაზეც, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ცალკეულ რეისებზე ხდება და ერთობ იშვიათად“ (ღვინჯილია 1987ე: 3).

„თბილისის ორგანულ-თერაპევტულ ქარხანაში ყველა ოფიციალური დოკუმენტი რუსულად ფორმდება; იგი 15 დასახელების პროდუქციას ქმნის, მათ შესაფუთსა და ეტიკეტებზე ქართული წარწერები არ კეთდება. განყოფილების უფროსის თქმით, ეტიკეტები მოსკოვში მზადდება. თუ 10 წლის წინ ეს პროდუქცია ორენოვანი გაფორმებით გამოდიოდა, ახლა რატომაა ამის გაკეთება შეუძლებელი.

თერჯოლის შამპანური ღვინოების ქარხნის პროდუქციის გაფორმების დროსაც ზურგი უქცევიათ ქართული ენისათვის“ (ღვინჯილია 1988გ: 4).

„ინგირის ქალაქის კომბინატის პროდუქციის გაფორმებისას ქართული ენა მეტწილად უგულბელყოფილი იყო. საწერი თუ საფოსტო ქალაქდები მხოლოდ რუსულად ფორმდება“ (ღვინჯილია 1988გ: 4).

**ითხოვენ ორენოვანი ინსტრუქციების დაბეჭდვას.** „ბევრი რამ გამოდის ჩვენშიც და სხვაგანაც სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად, მაგრამ სათანადო ინსტრუქციები ორ ენაზეა დაბეჭდილი. ამის საილუსტრაციოდ მარტო სომხეთისა და ბალტიისპირეთის მოკავშირე რესპუბლიკებში გამოშვებული პროდუქციის გახსენებაც იკმარებდა“ (ღვინჯილია 1987ე: 3).

„ცხინვალიდან გამოგზავნილი ფოტომასალებით ირკვევა, რომ ცხინვალის ტერიტორიაზე განლაგებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სარეკლამო და

საცნობარო წარწერებში მთლიანად უგულებელყოფილია ოსური და ქართული ენები“ (ღვინჯილია 1987გ: 3).

ენობრივი ნორმები უხეშად ირღვეოდა სხვადასხვა სახის სარეკლამო სტენდებზე, აფიშებზე, ფირნიშებზე, ლოზუნგების, განცხადებების, წარწერების დამზადებისას, რაც ცუდად აისახებოდა მომავალი თაობის მეტყველებაზე: „კედელზე, აფიშაზე, მაღაზიის კარებზე ამოკითხული სიტყვა, წინადადება უთუოდ მოქმედებს ბავშვის შემეცნებაში წერისა და მეტყველების გარკვეული ჩვევების გამომუშავებაზე. მცდარად დაწერილი სიტყვა და დამახინჯებული სინტაქსი სამუდამოდ შეიძლება აღიბეჭდოს ბავშვის მხედველობით მეხსიერებაში“ (ახვლედიანი 1982: 3).

**გაზეთის მკითხველთა და ტელემყურებელთა ერთი ნაწილი დიდ ინტერესს იჩენდა პრესის ენაში და სატელევიზიო გადაცემებში შემჩნეული შეცდომებისა თუ დამახინჯებათა მიმართ.** წერილებში გაკრიტიკებულია ზოგიერთი ცნობილი პიროვნება, რომლებიც ეკრანიდან საუბრის დროს უხეშად არღვევდნენ ენის ელემენტარულ ნორმებს: „უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, როცა უმაღლესი სასწავლებლის რექტორი ქაღალდის ან ტექნიკის ნაცვლად იტყვის ქახალდი ან ტეხნიკა...“ (ღვინჯილია 1987დ: 3).

შენიშვნების მიღების შემდეგ სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებანი ცდილობდნენ ვითარების გამოსწორებას, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიმართავდნენ სხვადასხვა ღონისძიებას, ითვალისწინებდნენ მიღებულ შენიშვნებს და ცდილობდნენ მათ გამოსწორებას. „1986 წლის 23 ოქტომბერს გამოთქმული შენიშვნების პასუხად საქ. კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე მიხეილ ინაური გვწერს, რომ მისალოცი ბარათები, ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერი ბლანკები დაიბეჭდება ქართულ ენაზე. ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა ბლანკები და ბარათები, რომლებსაც ამჟამად იყენებენ სამინისტროს სისტემაში. კონვერტებსა და ღია ბარათებს ყოველგვარი რეკვიზიტი გაუკეთდება ორ ენაზე“ (ღვინჯილია 1987ა: 4). „ამჟამად კონსერვატორიაში ხელნაწერი აფიშები უკვე მხოლოდ ქართულად ან ქართულ-რუსულად იბეჭდება“ (ღვინჯილია 1988ბ: 3).

**80-იანი წლებიდან განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენენ სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სფეროს გასაფართოებლად და ენის სიწმინდის დასაცავად. 1979 წლის ივნისიდან საქართველოს რადიოს ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციამ შემოიღო**

გადაცემათა ციკლი „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის“. გადაცემათა ციკლს უძღვებოდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მდივანი, საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ენათმეცნიერების ინ-ტის მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე პროფ. ივ. გიგინეიშვილი (გოგოლაშვილი... 1982: 16). „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ცოდნის დონის ამაღლებისაკენ მოგვიწოდებს და საზოგადოებაში სალიტ. ენის ნორმათა შეგნებული ცოდნის გავრცელებას ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად დაგვისახავს“ (სიტყვა ჩვენი ქართული 1982: 4).

1981 წელს გაზეთმა „კომუნისტმა“ შემოიღო რუბრიკა „დედაო ენავ!“ რედაქცია მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისთვის, დადგენილი ლიტერატურული ნორმების პოპულარიზაციისთვის (სიტყვა ჩვენი ქართული 1982: 4).

ზოგიერთმა რაიონულმა და სხვა მრავალტირაჟიანმა გაზეთმაც დაიწყო ენის სიწმინდის დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი მასალების ბეჭდვა. მაგ. თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთი. აგრეთვე საჩხერის რ-ნული გაზეთი „ახალი ცხოვრება“ (ღვინჯილია 1986ბ: 4).

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 31 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად, დაწესდა, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები გამოქვეყნებულიყო ბიულეტენების სახით კვარტალში ერთხელ. „იმის გამო, რომ ბიულეტენების ტირაჟი მცირეა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი ვერ იქნება, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ დამტკიცებულ ნორმათა ანოტაციების გამოქვეყნება ჩვენს გაზეთში“ (ღვინჯილია 1987ბ: 3).

მოგვიანებით, 1987-1988 წწ., „ახალგაზრდა კომუნისტი“ ფილოლოგ ლევან ღვინჯილიას ავტორობით ბეჭდავს წერილებს, სათაურით „ენა დედაა ერისა“, ქართული ენის სიწმინდესთან დაკავშირებით, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის უფლებების დასაცავად. ამავე სახელწოდებით მზადდება სატელევიზიო გადაცემებიც.

გაზეთმა „მოლოდიოჟ გრუზიი“ შემოიღო რუბრიკა „გოგორიტე პო გრუზინსკი“, რუსუდან ნიშნიანიძე-ამირეჯიბის ავტორობით.

საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „მომბეში“ შემოღებულ იქნა ყოველკვირეული რუბრიკა, რომელიც მოწოდებულია თვალყური ადევნოს ენის სიწმინდისა და ენობრივ ნორმათა დაცვის მდგომარეობას. სიუჟეტების ტექსტების შემოკლებული ვარიანტები რეგულარულად იბეჭდებოდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ („ახალგაზრდა კომუნისტი“ 1988: 3).

გაზეთი „თბილისი“ - რუბრიკით „ჩვენი ენა ქართული“ აქვეყნებს პროფ. გიორგი შალამბერიძის წერილებს, სახელწოდებით „სწორად ვამბობთ და ვწერთ?“ 1986-87 წწ. წერილებში განხილულია ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები. გაკრიტიკებულია სხვადასხვა სახის მცდარი ფორმები, კალკები... მაგალითად: „ვიფლემში“ გაიმართა მასობრივი მიტინგი; სპარსეთი და ირანი ებრძვიან ერთმანეთს; დათვრებოდა და სკანდალობდა; ძვირფასი რელიკვია; მეოთხე ვაჟი - პირმშოს შეძენა; სიკვდილის უკანასკნელ დღემდე; ისტორიისადმი სიყვარული და მრავალი სხვ. („თბილისი“, 1986-1987).

ამ დროს მეტად აქტუალური გახდა ენათმეცნიერთა მიერ შემოღებული ახალი ცნება „ენობრივი ეკოლოგია“, რომელსაც თ. გამყრელიძე განიხილავდა. მეცნიერს ჰქონდა შემოთავაზება, შექმნილიყო ენათა და მცირერიცხოვან ერთა „წითელი წიგნი“: „საჭიროა გავარჩიოთ ადამიანის ფიზიკურ-ბიოლოგიური ეკოლოგია და ეკოლოგია კულტურულ-სოციალური, რომელიც განიხილავს „ეკოლოგიის“ ჰუმანიტარულ ასპექტებს და რომლისთვისაც შეიძლება „კულტურის ეკოლოგია“ გვეწოდებინა. ...მთელი მსოფლიოს ხალხებს, და განსაკუთრებით „მცირერიცხოვან ერებს“, ფიზიკური გარემოს სიწმინდის დაცვაზე არანაკლებ მწვავედ აწუხებთ ეროვნული კულტურისა და ენის გადარჩენის, თავიანთ ესთეტიკურ და ეთიკურ ფასეულობათა დაცვის საკითხები. ...საჭიროა სასწრაფოდ შევქმნათ დაკარგვის საშიშროების წინაშე მყოფი ენებისა და ხალხების „წითელი წიგნი“ და დაუყოვნებლივ მივიღოთ სამეცნიერო-ორგანიზაციული ზომები ამ ენებისა და ხალხების გადასარჩენად. ყველაფერი ეს აქტუალური და არანაკლებ მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებისა და კულტურებისათვის“ (გამყრელიძე 1989: 7).

ამდენად, XX ს.-ის 80-იანი წლების პრესამ აჩვენა საზოგადოების (პროფესიონალი სპეციალისტებისა თუ რიგითი მოქალაქეების) სრული მობილიზება სახელმწიფო ენის დაცვისა და მისი ფუნქციონირების სფეროთა გაფართოების საკითხებთან დაკავშირებით (შესაძლებელია, საზოგადოების ეს აქტიურობა მივიჩნიოთ იმ საპროტესტო მოძრაობის გაგრძელებადაც, რომელიც 1978 წლის აპრილში დაიწყო სახელმწიფო ენის სტატუსთან დაკავშირებით):

80-იანი წლების ბოლოს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახელმწიფო ენის ნორმირების საკითხებს, ლექსიკონებისა და ტერმინოლოგიის დამუშავებისა თუ თარგმანის განვითარების პრობლემატიკას. მედია - პრესა, ტელე- თუ რადიომუწყებლობა - პერმანენტულად აშუქებდა სახელმწიფო ენის ნორმირების პრობლემებს, შემოდებულ იქნა რუბრიკები ქართული ენის სწავლებისა თუ სიწმინდის დაცვის კუთხით.

ვართო საზოგადოებისათვის განსაკუთრებით აქტუალური იყო ენის სიწმინდის დაცვა, სახელმწიფო ენის ფუნქციონირების გაფართოება სხვადასხვა ოფიციალურ დაწესებულება-ორგანიზაციაში... მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო ენის პროგრამის შემუშავებაში (იმდროინდელ პრესის მასალას თუ დავაკვირდებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ, ალბათ, არცერთ სხვა საზოგადოებრივ საკითხს ისეთი აქტიურობა არ გამოუწვევია მოსახლეობის მხრიდან, როგორც სახელმწიფო ენის პროგრამას მოჰყვა. ეს შეიძლება ზოგადად მთელ ენობრივ პრობლემატიკაზეც გავრცელდეს). იმ პროცესში, რომელსაც პროფესიულ ენაზე „ენობრივი დაგეგმარება“ ჰქვია, ოფიციალურ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, ჩართული იყო მთელი სამოქალაქო საზოგადოება, განურჩევლად პროფესიისა, ეროვნებისა თუ პოლიტიკური შეხედულებისა.



## დასკვნები

XX საუკუნის 80-იანი წლების პერიოდის შესწავლამ გვიჩვენა, რომ სადისკუსიო თემების უმრავლესობა აქტუალურია დღესაც (საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ უკვე 25 წლის დამოუკიდებლობის მქონე რესპუბლიკაში), პრობლემათა ნაწილი კი - გადაუჭრელი.

1. საბჭოთა კავშირში დომინანტი ენა რუსული იყო. კონსტიტუციური სტატუსის არქონა რუსული ენის ფუნქციონირების სფეროს განუსაზღვრელს ხდიდა და რეალურად იგი მთელ საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ენის ფუნქციებს ასრულებდა. ის ენებიც, რომლებსაც საბჭოთა კავშირში კონსტიტუციურად სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული (ქართული, აფხაზური, სომხური, აზერბაიჯანული), ფაქტობრივად თავიანთ ფუნქციებს ვერ ასრულებდნენ.
2. საბჭოთა რესპუბლიკებში ცდილობდნენ ენობრივი საკითხების სამართლებრივ რეგულირებას, რისთვისაც გადადგამდნენ კონკრეტულ ნაბიჯებს: ითხოვდნენ ეროვნული ენებისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭებას, თუნდაც რუსულ ენასთან ერთად, რათა კანონმდებლობის ძალით მოეხერხებინათ ეროვნულ ენათა დაცვა და მათი ფუნქციონირების განმტკიცება, შეიმუშავებდნენ ენის პროგრამებს, იღებდნენ კანონებს ენის შესახებ... თუმცა ის პრობლემები, რომლებიც გასული საუკუნის ბოლოს წამოიჭრა ენასთან დაკავშირებით სამართლებრივ სფეროში, დღესაც აქტუალურია და ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელი (კვლავაც გადაუჭრელია, მაგალითად, ენის კანონის მიღების საკითხი; პროვოცირებული კონფლიქტების შედეგად საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ვერ აკონტროლებს საბჭოთა კავშირის დროს წარმოქმნილ ავტონომიებს (აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის); ენობრივ სიტუაციას იქ გარე ძალა მართავს).
3. 80-იანი წლების ბოლოს კიდევ ერთხელ გაიმართა პოლემიკა ქართველურ ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის (ენა - კილო) საკითხებზე, რაც დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება.
4. ორენოვნების საკითხი საბჭოური იდეოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო საერთო ერთენოვნებისკენ სავალ გზაზე. ერთიანი

საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების შემდეგ ოფიციალურ-საურთიერთო ენის ფუნქცია რუსულს უნდა შეესრულებინა. ეროვნულ ენებს საოჯახო ფუნქცია და დარჩებოდათ, რისი მაგალითებიც საბჭოთა კავშირში უკვე იყო 80-იანი წლების ბოლოსთვის.

5. განსაკუთრებით მძიმე იყო ვითარება, ეროვნული ენების ფუნქციონირების თვალსაზრისით, განათლების სფეროში: საბჭოთა კავშირში კონსტიტუციურად აღიარებული იყო მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკებში იხსნებოდა სკოლები, უმცირესობათა ენებზე სწავლებით. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის მოსახლეობა განათლების მიღებას არჩევდა უმთავრესად რუსულენოვან (როგორც საშუალო, ისე უმაღლეს) სასწავლებლებში, ვინაიდან ხელოვნურად იქმნებოდა გარემო, რომელშიც რუსული ენის ცოდნის გარეშე უმაღლესგანათლებამიღებულსაც არ შეეძლო გზის გაკვლევა. საგნები არაერთ საშუალო თუ უმაღლეს ეროვნულ სასწავლებელშიც რუსულად ისწავლებოდა. სპეციალისტები, ინტელიგენცია ცდილობდნენ გაეფრთხილებინათ საზოგადოება უცხო ენაზე სწავლების უარყოფითი შედეგების თაობაზე და მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისკენ მოუწოდებდნენ მას. თუმცა, ჩანს, საზოგადოებას უჭირს წარსული შეცდომების გათვალისწინება და ზოგ შემთხვევაში ვითარება უარესდება კიდევ - თანამედროვე პირობებში რუსულს ინგლისური ჩაენაცვლა და არაერთ შემთხვევაში იგი ოფიციალური ენის ფუნქციებსაც ასრულებს. განათლების ენად ინგლისური დღეს ისეთივე პრესტიჟულია, როგორც თავის დროზე რუსული იყო. კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა უცხოენოვანი ბალები და სკოლები, ამასთან სახელმწიფო (საჯარო) სკოლებში და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც კი ინგლისური ენის სწავლება პირველივე კლასიდან **სავალდებულოა**. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტების (პედაგოგების, ფსიქოლოგების, ლინგვისტების) რჩევაა, მეორე ენის სწავლება დაიწყოს მე-3 კლასიდან მაინც, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის რისკი, რომელიც შეიძლება ახლდეს პირველივე წლიდან უცხო ენის სწავლებას. საბჭოთა პერიოდის ეროვნულ-რუსული ორენოვნება დღეს, ძირითადად, ეროვნულ-ინგლისურმა შეცვალა.

6. საბჭოთა ტოპონიმიკის გადახედვა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სახელწოდებანი ისტორიული რეალობის ამსახველია და პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად ისინიც საგრძნობლად იცვლება. 80-იანი წლების ბოლოს საზოგადოება ითხოვდა ისტორიული ტოპონიმების, როგორც ეროვნული კუთვნილების, აღდგენას, ამასთან სპეციალისტები უფრო წინ იხედებოდნენ და ითხოვდნენ ტოპონიმებისთვის სამართლებრივი დაცვის მექანიზმის შემუშავებას, რითაც შესაძლებელი იქნებოდა გეოგრაფიული სახელწოდებების დაცვა ამა თუ იმ ცვლილების (მაგალითად, პოლიტიკური წყობის) შემთხვევაში. ტოპონიმები კარგი საშუალება იყო ეთნიკურ უმცირესობათათვის ისტორიული სინამდვილის წასაშლელად, რაც არაერთხელ გამხდარა მკვიდრ მოსახლეობასთან კონფლიქტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი. ტოპონიმებს ცვლიდნენ, თარგმნიდნენ, განავრცობდნენ საკუთარი ენობრივი ელემენტებით... ამგვარი ცვლა ზოგჯერ სპონტანური იყო, უმრავლეს შემთხვევაში კი მიზანმიმართულად ხორციელდებოდა. საკითხი დღესაც არ კარგავს აქტუალობას, ვინაიდან ტოპონიმთა უმართებულო და უკანონო ცვლა არც დღევანდელი ვითარებისთვის არის უცხო საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კონფლიქტურ ზონებში.
7. 80-იანი წლების პრესამ ცხადად აჩვენა, რამდენად მწვავე იყო ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი ორიენტაციის საკითხი, განსაკუთრებით, დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ საბჭოთა რესპუბლიკებში. საბჭოთა კავშირის ეთნიკური უმცირესობანი ძირითადად ბილინგვალები იყვნენ. მეორე ენა მათთვის რუსული იყო, რომელსაც ხშირად მშობლიურ ენადაც აღიქვამდნენ; როგორც წესი, არ ფლობდნენ მკვიდრი მოსახლეობის ენას; ეთნოსთა შორის საურთიერთოდ რუსულს იყენებდნენ; ცხოვრობდნენ კომპაქტურად, რაც ასევე ხელს უშლიდა მათ ინტეგრირებას ადგილობრივ მოსახლეობასთან. დღესაც, უკვე დამოუკიდებლობამოპოვებულ, არაერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრირების საკითხი ერთ-ერთი ჯერაც გადაუჭრელი პრობლემაა.
8. XX ს.-ის 80-იანი წლების პრესამ აჩვენა საზოგადოების (პროფესიონალი სპეციალისტებისა თუ რიგითი მოქალაქეების) სრული მობილიზება

სახელმწიფო ენის დაცვისა და მისი ფუნქციონირების სფეროთა გაფართოების საკითხებთან დაკავშირებით. 80-იანი წლების ბოლოს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახელმწიფო ენის ნორმირების საკითხებს, ლექსიკონებისა და ტერმინოლოგიის დამუშავებისა თუ თარგმნის განვითარების პრობლემატიკას. ფართო საზოგადოებისათვის განსაკუთრებით აქტუალური იყო ენის სიწმინდის დაცვა, სახელმწიფო ენის ფუნქციონირების გაფართოება სხვადასხვა ოფიციალურ დაწესებულება-ორგანიზაციაში... იმ პროცესში, რომელსაც პროფესიულ ენაზე „ენობრივი დაგეგმარება“ ჰქვია, 80-იანი წლების ბოლოსთვის აქტიურად იყო ჩართული მთელი სამოქალაქო საზოგადოება.

9. ის პრობლემური ენობრივი საკითხები, რომლებიც ჩვენს საკვლევ პერიოდში დაისვა, დღესაც არ გადაჭრილა, ზოგან კი, პირიქით, ვითარება გაუარესდა კიდევ; კვლავ დარღვეულია სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ნორმები (მაგ., აბრები უცხო-, ძირითადად, ინგლისურენოვანია, ოფიციალური დოკუმენტაციის მეორე ენა ინგლისურია, დისერტაციები დღესაც იწერება უცხო, ამჯერად ინგლისურ ენაზე). გაუქმდა უწყებები, რომლებსაც ევალუბოდან სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სფეროების გაკონტროლება (მაგალითად, აღარ არსებობს საბჭოთა პერიოდში არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია (შემდგომში ქართული ენის სახელმწიფო კომისია), ენის სახელმწიფო პალატა. მართალია, შეიქმნა სახელმწიფო ენის პალატა განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში, მაგრამ ის არ მოიცავს იმ ფუნქციებს, რომლებსაც მანამდე არსებული დაწესებულებები ასრულებდნენ).

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე 1992: Игорь Блищенко, Аслан Абашидзе, Права национальных меньшинств в свете мирового опыта, Журнал: Общественные науки и современность, 1992, № 4.
2. აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუცია 1957: Конституция (основной закон) Азербайджанской Советской Социалистической Республики, Баку, 1957.
3. აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუცია 1978: Конституция (основной закон) Азербайджанской Советской Социалистической Республики, Баку, 1978.
4. ალექსიძე... 2005: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი, ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ., თბილისი, 2005.
5. ალპატოვი 2000: Алпатов В. М. 150 Языков и политика, Москва: Институт востоковедения РАН, 2000.
6. აფხაზეთის კომისარიატის პროექტი 1919: აფხაზეთის კომისარიატის პროექტი. ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუცია, 1919 წლის 21 ივლისი, [http://www.rrc.ge/law/konst\\_1919\\_07\\_21\\_ge.htm?lawid=77&lng\\_3=ge](http://www.rrc.ge/law/konst_1919_07_21_ge.htm?lawid=77&lng_3=ge) ნანახია 2010, მაისი.
7. აფხაზეთის სსრ კონსტიტუციის პროექტი 1925: აფხაზეთის სსრ კონსტიტუციის პროექტი 1925.
8. აფხაზეთის სსრ კონსტიტუცია 1926: აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), სოხუმი, 1926.
9. ბარამიძე 2013: ბარამიძე ცირა, ენობრივი სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში, თბილისი: „უნივერსალი“, 2013.
10. ბაქრაძე 2002: ბაქრაძე აკაკი, წერილები, თბილისი, 2002.
11. ბაქრაძე 2005: ბაქრაძე აკაკი, თხზულებანი, ტ. 6, თბილისი: ლომისი, 2005.
12. ბედოშვილი 2002: ბედოშვილი გურამ, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2002.
13. ბერიძე 1992: ბერიძე მერაბ, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბილისი 1992.
14. გამახარია... 1997: Гамахария Джемал, Гогия Бадри, Абхазия – историческая область Грузии, ООО «Агргома», Тб. 1997.

15. გვანცელაძე 2000: გვანცელაძე თეიმურაზ, ტოპონიმთა მასობრივი ცვლა აფხაზეთში 1864 წლის შემდგომ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 34, თბილისი, 2000.
16. გვანცელაძე 2006: გვანცელაძე თეიმურაზ, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბილისი, „უნივერსალი“, 2006.
17. გოგოლაშვილი 2008: გოგოლაშვილი გიორგი, ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVI, თბილისი, 2008.
18. გოგოლაშვილი 2009: გოგოლაშვილი გიორგი, ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVII, თბილისი, 2009.
19. დაბრუნება 1991: დაბრუნება, ტ. 1, გურამ შარაძის საერთო რედ., თბილისი, „მეცნიერება“, 1991.
20. დედა ენის დღე უნივერსიტეტში 2009: დედა ენის დღე უნივერსიტეტში „თბილისის უნივერსიტეტი“, №5, 20.04.2009.
21. დედაქალაქის ტოპონიმია: ახალი უბნები, ახალი ქუჩები 2007: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ოფისში გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „დედაქალაქის ტოპონიმია: ახალი უბნები, ახალი ქუჩები“, 2007.
22. დიაჩკოვი 1993: М. В. Дьячков, О национально-территориальной, национально-государственной, национально-культурной автономии, 1993.  
<http://ecsocman.hse.ru/data/108/924/1216/018-fakty-Dyachkov.pdf> ნანახია 2014, მაისი.
23. ნოდია 2003: ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი (ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში), რედ. გ. ნოდია, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკას. ინ-ტი, თბილისი, 2003, <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe> ნანახია 2012, აპრილი.
24. ვახტინი... 2004: Вахтин Н. Б., Головки Е. В., Социоллингвистика и социология языка, Санкт-Петербург: ИЦ «Гуманитарная Академия», 2004.
25. თოთაძე 1995: თოთაძე ანზორ, რას ამბობს ენობრივი მასალა, ტოპონიმია, ანთროპოლოგია, გვარ-სახელები და ზეპირსიტყვიერება აფხაზეთა ეთნიკურ წარმომავლობაზე, აფხაზეთის მოსახლეობა. ისტორია და თანამედროვეობა, თბილისი, 1995.

26. თოფჩიშვილი 1995: თოფჩიშვილი რ., ეთნოისტორიული ეტიუდები, წ. 1, თბილისი: ენა და კულტურა, 2005.
27. თოფჩიშვილი 1997: თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლში ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი: ლომისი, 1997.
28. თურქმენეთის სსრ კონსტიტუცია 1928: Конституция (основной закон) Туркменской Советской Социалистической Республики, 1928.
29. ისაევი 1982: Исаев М. И., Социолингвистические проблемы языков народов СССР, Москва: Высшая школа, 1982.
30. კანონი სამხრეთ ოსეთის აო-ის შესახებ 1980: Закон Грузинской ССР о Юго-Осетинской Автономной Области, 12 Ноября 1980 г. <http://www.rrc.ge> ნანახია 2010, ოქტომბერი.
31. კვესელავა 2004: კვესელავა იგორ, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, წ. I, თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2004.
32. კობაიძე 2008: კობაიძე მანანა, ვინაობისა და ენის დაგეგმვის პოლიტიკიდან საქართველოში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 36, თბილისი, 2008.
33. კონსტიტუციური აქტების კრებული 1983: საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული, თბილისი, 1983.
34. ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონი 2010: Жеребило Т. В., Словарь лингвистических терминов, Изд-во ООО «Пилигрим», Назрань: 2010.
35. ლობჯანიძე 2009: ლობჯანიძე მერი, სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემები სამცხე-ჯავახეთში, სამოქალაქო საზოგადოება საქართველოს რეგიონებში: ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში, თბილისი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი, 2009, <http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe> ნანახია: 2013, ნოემბერი.
36. მარკოზია 2004: მარკოზია ნ., წიკლაური ნ., ენობრივი ეკოლოგიის საკითხები და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრები, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XXIV, თბილისი: „ქართული ენა“, 2004, 15-16 ოქტომბერი.
37. ნაჭყებია 2010: ნაჭყებია მერაბ, აფხაზეთის ტოპონიმის მეტამორფოზები, „სპეკალი“, №2, 2010.

38. ორენოვნებისა და მრავალენოვნების პრობლემები 1972: Проблемы двуязычия и многоязычия, сб. науч. тр., М., 1972.
39. პეტრიაშვილი 1990: პეტრიაშვილი გურამ, როცა თქმა სჯობს არათქმასა, თბილისი: 1990.
40. პირველი საყოველთაო აღწერა... 1897: Первая Всеобщая перепись населения Российской империи 1897 г., Том 69, 1905.
41. რსფსრ-ის კონსტიტუცია 1925: Конституция (Основной закон) Российской Социалистической Федеративной Советской Республики (утверждена постановлением XII Всероссийского Съезда Советов от 11 мая 1925 г. <http://constitution.garant.ru> ნანახია 2010, ოქტომბერი.
42. რსფსრ-ის კონსტიტუცია 1937: Конституция (Основной Закон) Российской Советской Федеративной Социалистической Республики (утверждена постановлением Чрезвычайного XVII Всероссийского Съезда Советов от 21 января 1937 г.) <http://constitution.garant.ru> ნანახია 2010, ოქტომბერი.
43. რსფსრ-ის კონსტიტუცია 1978: Конституция (Основной закон) Российской Федерации – России (принята на внеочередной седьмой сессии Верховного Совета РСФСР девятого созыва 12 апреля 1978 г.) <http://constitution.garant.ru> ნანახია 2010, ოქტომბერი.
44. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისათვის, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1977.
45. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრისათვის, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1987.
46. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1991: საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, თბილისი, 1991.
47. საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი და კონტინგენტი, 1980: საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი და კონტინგენტი, თბილისი, 1980.



48. სკკპ პროგრამა 1974: Програма КПСС, Принята XXII съездом КПСС в 1961 г., М.: Политиздат, 1974, <http://leftinmsu.narod.ru/polit-files/books/III-program-KPSS-files/III-program-KPSS.htm> ნანახია ოქტომბერი 2010:
49. სომხეთის სსრ კონსტიტუცია 1939-1969: Конституция (основной закон) Армянской Советской Социалистической Республики, Ереван, 1939-1969.
50. სონღულაშვილი 2013: სონღულაშვილი ავთანდილ, ქართული ენა და ეროვნული უმცირესობა, თბილისი, 2013.
51. სოციოლინგვისტური ტერმინების ლექსიკონი, 2006: Словарь социолингвистических терминов, Российская академия наук, Институт языкознания, Российская академия лингвистических наук, М., 2006.
52. სრული კრებული 1973: Полное собрание сочинений В. И. Ленина, 5-е издание, т. 24, Москва, Издательство политической литературы, 1973 <http://ru.wikisource.org/wiki/%D0%9D%D1%83%D0%B6%D0%B5%D0%BD> ნანახია 2010, ოქტომბერი.
53. სსრკ მოსახლეობა 1983: Население СССР (Справочник), Издательство политической литературы, Москва, 1983.
54. სსრკ-ის კონსტიტუცია 1924: Конституция (Основной Закон) Союза Советских Социалистических Республик (утверждена резолюцией II-го Съезда Советов Союза ССР от 31 января 1924 г. <http://constitution.garant.ru> ნანახია 2010, ოქტომბერი.
55. სსრკ-ის კონსტიტუცია 1936: Конституция (Основной закон) Союза Советских Социалистических Республик (утверждена постановлением Чрезвычайного VIII Съезда Советов Союза Советских Социалистических Республик от 5 декабря 1936 г. <http://constitution.garant.ru> ნანახია 2010, ოქტომბერი.
56. სსრკ-ის კონსტიტუცია 1977: Конституция (Основной закон) Союза Советских Социалистических Республик (принята на внеочередной седьмой сессии Верховного Совета СССР девятого созыва 7 октября 1977 г.) <http://constitution.garant.ru> ნანახია 2010, ოქტომბერი.
57. სცა, საქმე №2966 1978: სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა, 1978 წ., 11 აპრილი, სცა, №2966, ფორმა 8, აღწ. 1.

58. ტაბიძე 1988: ტაბიძე მანანა, ქტემატონიმებისა და პრაგმატონიმების შესახებ ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მერვე, თბილისი, „მეცნიერება“, 1988.
59. ტაბიძე 1989: ტაბიძე მანანა, ქართული ჟურნალ-გაზეთების სახელდების მოტივაციისა და სტრუქტურის საკითხები, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. 9, თბილისი, „მეცნიერება“, 1989.
60. ტაბიძე 1998: ტაბიძე მანანა, ენობრივი კონტაქტები და ენობრივი დაგეგმვა, არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბილისი, 1998.
61. ტაბიძე 1999ა: Manana Tabidze, Sociolinguistic aspects of the development of Georgian, Working Papers, 47, Lund University Department of linguistics, General Linguistics and Phonetics, Lund, 1999.
62. ტაბიძე 1999ბ: ტაბიძე მანანა, ენობრივ საკითხებზე გამართულ პოლემიკათა სოციოლინგვისტური ასპექტები (ქართულ სინამდვილეში), ქუთაისური საუბრები, საერთაშორისო სიმპოზიუმი, VI, ქუთაისი, 1999.
63. ტაბიძე 2005: ტაბიძე მანანა, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბილისი: ქართული ენა, 2005.
64. ტაბიძე 2008ა: ტაბიძე მანანა, ორენოვანი და მრავალენოვანი განათლების პრობლემატიკა საქართველოს ენობრივი სიტუაციის ფონზე, ქართველური მემკვიდრეობა, XII, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008.
65. ტაბიძე 2008ბ: ტაბიძე მანანა, თანამედროვე ენობრივი სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტ. კრებული, თბილისი: უნივერსალი, 2008.
66. ტაბიძე... 2008: Manana Tabidze and Bela Shavkhelishvili, Russian Language in Georgia, Workshop Language Change in Bilingual Communities. Focus on the Post-Soviet Countries and their Immigrant Communities Elsewhere. October 3, 2008, Uppsala, Sweden.
67. ტაბიძე 2009: ტაბიძე მ., საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისათვის, საქართველოში არსებული

კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები, Konrad Adenauer Stiftung, (ქართულ და ინგლისურ ენებზე) 2009.

68. ტაბიძე 2012: ტაბიძე მანანა, ფარული და ღია ენობრივი დაგეგმვის თავისებურებანი XIX-XX საუკუნეების საქართველოში, სპეკალი №5, რეცენზირებადი, ორენოვანი ჟურნალი, 2012.
69. ტაბიძე 2013: ტაბიძე მანანა, სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვა: ევროპული გამოცდილება და საქართველო, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, 2, 2013.
70. ტაბიძე 2014ა: ტაბიძე მანანა, ენობრივი კანონმდებლობის საკვანძო საკითხები, სამეცნიერო კონფერენცია: „ენასთან დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხები და ენობრივი პოლიტიკა საქართველოში“, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2014, 19 ნომბერი. სტატია დაიბეჭდა: საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი „სვეტიცხოველი“, №2, 2014.
71. ტაბიძე 2014ბ: ტაბიძე მანანა, ენობრივი პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, თბილისი: ქართული უნივერსიტეტი, 2014.
72. ტიშკოვი 2002: Тишков В. Что есть „национальные меньшинства“? (Меняющийся мир и меняющиеся рамки конвенции)//Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N46, 2002 [www.iea.ras.ru](http://www.iea.ras.ru) ნანახია მარტი, 2013.
73. ფუტკარაძე... 2010: ფუტკარაძე ტარიელ, დადიანი ეკა, შეროზია რევაზ „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო, განათლების ეროვნული ინსტიტუტი, ქუთაისი, 2010.
74. ქართული ენის ისტორია 2006: ქართული ენის ისტორია, „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ქუთაისი, 2006.

75. ქსე 1984: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, თბილისი: მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1984.
76. ცხადაია... 2003: ცხადაია პაატა, ჯოჯუა ვილენა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი, 2003.
77. ცხოვრებოვა 1979: Цховребова З. Д., Топонимия Южной Осетии в письменных источниках, Тбилиси, «Мецниереба», 1979.
78. ძირითადი სახელმწიფო კანონები... 1906: Основные Государственные Законы Российской Империи, 1906, <http://www.rusempire.ru/konstitutsiya-rossii.html> ნანახია 2010, ოქტომბერი.
79. ჯაფარიძე, 2005: ჯაფარიძე თ., სოციოლინგვისტიკის შესავალი, თბილისი: მერიდიანი, 2005.
80. National Integration and Tolerance in Georgia Assessment Survey Report (2007-2008), 2008 <http://www.una.ge/eng/artdetail.php?id=74&group=documents> ნანახია 2013, მარტი.
81. Samtskhe-Javakheti: realities and perspectives. UNDP: თბილისი, 2004.
82. Конституция (основной закон) Белорусской Советской Социалистической Республики, Минск, 1937-1969.
83. Конституция (основной закон) Казахской Советской Социалистической Республики, Алма-ата, 1937-1964.
84. Конституция (основной закон) Киргизской Советской Социалистической Республики, Фрунзе, 1937-1965.
85. Конституция (основной закон) Латвийской Советской Социалистической Республики, Рига, 1944-1967.
86. Конституция (основной закон) Литовской Советской Социалистической Республики, Вильнюс, 1940-1963.
87. Конституция (основной закон) Молдавской Советской Социалистической Республики, Кишинев, 1946-1978.
88. Конституция (основной закон) Таджикской Советской Социалистической Республики, 1939-1958.

89. Конституция (основной закон) Узбекской Советской Социалистической Республики, Ташкент, 1931-1964.
90. Конституция (основной закон) Украинской Советской Социалистической Республики, Киев, 1938-1965.
91. Конституция (основной закон) Эстонской Советской Социалистической Республики, Таллин, 1946-1978.

## წყარო:

1. აბრამიანი 1989: აბრამიანი ჰრანტ, ბოგდანოვკის რაიონი, ბოგდანოვკა ელის აჭარლებს, „სოფლის ცხოვრება“, №148, 27.06.1989.
2. „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის“ ტაქტიკა... 1989: „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის“ ტაქტიკა ვერ გაიმარჯვებს, „სახალხო განათლება“, №55, 20.12.1989.
3. აგიაშვილი 1989: აგიაშვილი გივი, ლენინის რაისურსათვაჭრობის ქსელის პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე, ომისა და შრომის ვეტერანი, „თბილისი“, №9, 11.01.1989.
4. ალქსნისი 1989: Алкснис В. И., Только в месте мы – Латвия, «Известия», №28, 28.01.1989.
5. ანდრონოვი 1988: Андронов Иона, соб. Корр. «ЛГ», НЬЮ-ЙОРК, Пешки в чужой игре, «Литературная Газета», №12, 23.03.1988, ст. 14.
6. აუელბეკოვი 1989: Ауельбеков Е., Как мы ищем новый язык, «Известия», №34, 3.02.1989.
7. აფხაზური ენის სახელმწიფო პროგრამა 1989: აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, „საბჭოთა აფხაზეთი“, №11, 17.01.1989.
8. ახალი გვარები 1989: ახალი გვარები, „მუქურა“, №84, 13.07.1989.

9. ახვლედიანი 1982: ახვლედიანი ზურაბ, იყოს ქართული გვარისა, „კომუნისტი“, №196, 25.08.1982.
10. ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და სახელმწიფო ენის სტატუსი 1989: ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და სახელმწიფო ენის სტატუსი, „თბილისი“, №149, 30.06.1989.
11. ბანძელაძე 1978: ბანძელაძე გელა, პროფესორი, ხალხის ოპტიმიზმი, „კომუნისტი“, №73, 28.03.1978.
12. ბარამიძე 1978: ბარამიძე ალ., საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი, „ცისკარი“, №4, აპრილი, 1978.
13. ბარამიძე 1988: ბარამიძე რევაზ, ყველას საფიქრალი, საზრუნავი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ, „კომუნისტი“, №93, 21.04.1988.
14. ბაქრაძე 1988: ბაქრაძე აკაკი, ბუმერანგი, „სახალხო განათლება“, №90, 5.11.1988.
15. ბაქრაძე... 1988ა: ბაქრაძე აკაკი, პეტრიაშვილი გურამ, დიალოგი, „ქართული ფილმი“, №25, 22.06.1988.
16. ბაქრაძე... 1988ბ: ბაქრაძე ა., ჯაფარიძე რ., კიკნაძე ზ. და სხვები, ჩვენ გვიხმობს ზარი!..., „ახალგაზრდა კომუნისტი“, №129, 27.10.1988.
17. ბედოშვილი 1988: ბედოშვილი გურამ, თბილისის ქუჩების სახელწოდებებზე, „ლიტერატურული საქართველო“, №26, 24.06.1988.
18. ბერიძე 1989: ბერიძე ვახტანგ, ჩვენს ღირსებას ჩვენვე უნდა მოვუაროთ, „თბილისი“, №103, 5.05.1989.
19. ბერულავა 1988: ბერულავა რევაზ, ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინტის განყოფილების გამგე, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის სწავლული მდივანი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, უთუოდ გასათვალისწინებელია, „კომუნისტი“, №263, 15.11.1988.
20. ბლუაშვილი 1989: ბლუაშვილი ნინო, ნომრის სტუმრები - ლოვარდ ტუხაშვილი, ზვიად გამსახურდია, „წითელი დროშა“, №75, 24.06.1989.
21. ბოკუჩავა-გაგულია 1989: ბოკუჩავა-გაგულია ტ., საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკი, მეგობრობას უნდა გავუფრთხილდეთ, „ლიტერატურული საქართველო“, №17, 28.04.1989.

22. ბრეგაძე 1978: ბრეგაძე გ., საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, „კომუნისტი“, №82, 7.04.1978.
23. ბურდილაძე 1989: ბურდილაძე ზ., საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მთავარი ინსპექტორი, რესპუბლიკის სასწავლებლებში ქათული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ, №41, 13.09.1989.
24. ბურლაკოვი 1989: ბურლაკოვი ვალერი, ქუთაისის სპორტკომბინატის დირექტორი, ვინ ვინ არის, „ახალი მარნეული“, №99, 19.08.1989.
25. გაბუნია... 1988: გაბუნია კახა, შარმანაშვილი თენგიზ, გამოვასწოროთ ძველი შეცდომები, „ლიტერატურული საქართველო“, №49, 2.12.1988.
26. გამსახურდია 1978: გამსახურდია გ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის ლექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დიდი ქარტია, „სახალხო განათლება“, №27, 5.04.1978.
27. გამსახურდია 1989ა: გამსახურდია ზვიად, სამეგრელოს საკითხი, „ლიტერატურული საქართველო“, №51, 22.12.1989.
28. გამსახურდია 1989ბ: გამსახურდია ზვიად, ქართული ენა - სახელმწიფო ენა, „საქართველო“, №5, 31.12.1989.
29. გამსახურდია 1989გ: გამსახურდია იპოლიტე, დაფიქრება გვმართებს, „სახალხო განათლება“, №36, 9.08.1989.
30. გამყრელიძე 1988: გამყრელიძე თამაზ, დავიცვათ ისტორიული სახელწოდებანი, აკადემიკოსი, „კომუნისტი“, №210, 10.09.1988.
31. გამყრელიძე 1989ა: გამყრელიძე თამაზ, ეკოლოგია და კულტურა, „ლიტერატურული საქართველო“, №2, 13.01.1989.
32. გამყრელიძე 1989ბ: გამყრელიძე ოთარ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სისხლის სამართლის სექტორის ხელმძღვანელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, გაზეთ „თბილისის“ კონსულტანტი სამართლის საკითხებში, 1. დავამკვიდროთ კანონის უზენაესობა, „თბილისი“, №002, 3.01.1989.
33. განათლების მდგომარეობა რესპუბლიკაში 1989: განათლების მდგომარეობა რესპუბლიკაში, „სახალხო განათლება“, 18.01.1989, №5-6.

34. გარდაქმნის პრინციპები... 1987: გარდაქმნის პრინციპები - პრაქტიკაში, ი. კ. ლიგაჩოვის გამოსვლა 3 ივნისს თბილისში გამართულ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივის თათბირზე, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №70, 6.06.1987.
35. გელოვანი 1989: გელოვანი აკაკი, ჩვენს გზაზე კოთელია, „სოფლის ცხოვრება“, №218, 20.09.1989.
36. გერმესაშვილი 1989: გერმესაშვილი იზაბელა, მე ჯავახეთს დავმკვიდრდები..., „სოფლის ცხოვრება“, „წითელი დროშა“, №68, 6.06.1989.
37. გვანცელაძე 1987: გვანცელაძე თეიმურაზ, სწორად ვწეროთ, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №3, 8.01.1987.
38. გვანცელაძე 1989ა: თეიმურაზ გვანცელაძე, ისტორიის გაკვეთილები, „სახალხო განათლება“, №28, 14.06.1989.
39. გვანცელაძე 1989ბ: გვანცელაძე თეიმურაზ, რა დავარქვათ თქვენს საქციელს? „ლიტერატურული საქართველო“, №30, 28.07.1989.
40. გვიშიანი 1989: გვიშიანი კ., ახალციხის რაიონის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე, მეტი დაფიქრება გვმართებს... „წითელი დროშა“, №99, 19.08.1989, .
41. გიგინეიშვილი 1988: გიგინეიშვილი მანანა, „ენა ერის წმიდათაწმიდაა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №74, 21.06.1988.
42. გიგინეიშვილი... 1988: გიგინეიშვილი მანანა, გეგეშიძე გურამ, როდონაია ვახტანგ, ზღვარი, „ლიტერატურული საქართველო“, №45, 4.10.1988.
43. გოგოლაშვილი... 1982: გოგოლაშვილი გიორგი, ხმალაძე თამაზ, ქართული ენის სიწმინდისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, №7, 12.02.1982.
44. გოგოლაშვილი 1988: გოგოლაშვილი ნანა, „ერთ საყდარში ორი ღმერთი ვერ იქნება!“ „ლიტერატურული საქართველო“, №48, 25.11.1988.
45. გოგოლაშვილი 1989: გოგოლაშვილი ვლადიმერ, სიმშვიდე - მოჩვენებითი თუ ჭეშმარიტი? „სოფლის ცხოვრება“, №154, 5.07.1989.
46. გოგოჭური 1989: გოგოჭური ნიკო, აშორდიას მემკვიდრენი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №120, 10.10.1989.
47. გუბოგლო, 1988: Губогло М., Как два крыла в полёте, «Правда», №238, 25.07.1988.



48. გულახდილი საუბრები დიდ პრობლემებზე 1989: გულახდილი საუბრები დიდ პრობლემებზე, „სახალხო განათლება“, №19, 6.05.1989.
49. გუმბარიძე, 1989: გ. გუმბარიძის გამოსვლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1989 წლის 19 სექტემბერს, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №113, 23.09.1989.
50. გურგენიძე 1988: გურგენიძე კ., ერთად მოთმინებით დავშალოთ გორგალი...“, „სახალხო განათლება“, №98, 6.12.1988.
51. გურგენიძე 1989: გურგენიძე ნ., ინტერვიუ მინისტრთან, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №107, 9.09.1989.
52. გურეშიძე 1988: გურეშიძე ნოდარ, კვლავ ქართველების, აჭარლების, მეგრელების, სვანების და... მწერალ ამირან კვანტრიშვილის შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, №44, 28.10.1988.
53. დავაჩქაროთ სახლების მშენებლობა... 1989: დავაჩქაროთ სახლების მშენებლობა სტიქიით დაზარალებულთათვის, „ახალი მარნეული“, №132, 4.11.1989.
54. დავით აღმაშენებლის ქუჩა 1989: დავით აღმაშენებლის ქუჩა ვალეში, „წითელი დროშა“, №21, 16.02.1989.
55. დედაენის სიწმინდისათვის 1988: დედაენის სიწმინდისათვის, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ თანამედროვე ქართულის სალიტ. ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიაში, „ლიტერატურული საქართველო“, №8, 18.02.1988.
56. დემოგრაფიული პრობლემები 1989: დემოგრაფიული პრობლემები: გადაჭრის გზები, „საბჭოთა ოსეთი“, №20, 7.03.1989.
57. დიდ შოთას რომ ეკადრება 1988: დიდ შოთას რომ ეკადრება, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №45, 14.04.1988.
58. დიდებული წინაპრის სახელობის 1989: დიდებული წინაპრის სახელობის, „წითელი დროშა“, №25, 25.02.1989.
59. დოღბაძე... 1989: დოღბაძე დ. - იურიდ. მეცნ. კანდიდატი, კალანდია გ. - სსრკ მწერალთა კავშირის წევრი, მაგალობლიშვილი ნ. - სსრკ მხატვართა კავშირის წევრი, ხუბუტია ჯ. - ბიოლ. მეცნ. კანდიდატი, ბერია მ. - ისტ. მეცნ. კანდიდატი,

- ადამია ი. - ისტორიის მასწავლებელი და სხვები, წერილი რედაქციას, „სახალხო განათლება“, №26, 31.05.1989.
60. ემინოვა 1989: Эминова М., студентка факультета журналистики Воронежского госуниверситета, Грузинский язык... по советительству?, „Молодёж Грузии“, №112, 23.09.1989.
61. ენა დედაა ერისა 1987: ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №136, 12.11.1987.
62. ენა... 1988: Язык начало всех начал, «Литературная газета», №38, 21.09.1988.
63. ენუქიძე 1982: ენუქიძე გ. ნ., საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მეგობრობის ხიდები, „კომუნისტი“, №174, 27.07.1982.
64. ერთადერთი სწორი გზა 1988: ერთადერთი სწორი გზა (ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვებს რესპუბლიკაში ქართული ენის შესწავლის, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ჰარმონიული შეხამების შესახებ უპასუხებს რესპუბლიკური მეთოდური ცენტრის მეთოდისტი თამარ ციხისელი), „სახალხო განათლება“, №15, 18.02.1988.
65. ერი. ენა. ლიტერატურა. 1988: Нация. Язык. Литература., «Дружба народов», №6, 1988.
66. ეროვნული სკოლა... 1989: ეროვნული სკოლა საზოგადოების გაჯანსაღების უმთავრესი იარაღია, სოფლის ცხოვრება“, 18.06.1989, №142.
67. „ვეფხისტყაოსანი“ აზერბაიჯანულად 1978: „ვეფხისტყაოსანი“ აზერბაიჯანულად, „ლიტერატურული საქართველო“, №48, 1.12.1978.
68. ვის უხმობს ზარი?... 1988: ვის უხმობს ზარი?... „ახალგაზრდა კომუნისტი“, №123, 13.10.1988.
69. ვსწავლობთ ქართულ ენას - ძმის ენას 1989: ვსწავლობთ ქართულ ენას - ძმის ენას, „სამცხე“, №1, 14.11.1989.
70. ზამბახიძე 1989: ზამბახიძე ჯ., ნე პრინიმაიუ ზაკაზ, „ლიტერატურული საქართველო“, №3, 20.01.1989.
71. ზარიძე გიორგი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული მეტყევე, მე ჯავახეთს დავმკვიდრდები, „სოფლის ცხოვრება“, №61, 20.05.1989.

72. ზაქროშვილი 1989: ზაქროშვილი ს., ვალის II საშუალო სკოლის დირექტორი, განვიხილავთ საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტს, „წითელი დროშა“, №119, 5.10.1989.
73. ზეიმალი 1988: Зеймаль Е., О чем говорят цифры, «Советская Культура», №82, 9.07.1988.
74. თამამიანი 1989: თამამიანი როზა, აზავრეთის და ბურნაშეთის საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, შვეიცარიის ქართული ენა, „შუქურა“, №44, 11.04.1989.
75. თამარ მეფის სახელობის 1989: თამარ მეფის სახელობის, „წითელი დროშა“, №71, 15.06.1989.
76. თასოევი... 1989: თასოევი გ., მირიანაშვილი თ., დრო განსჯის, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №116, 30.11.1989.
77. თევდორაშვილი 1986: თევდორაშვილი ნ., რ. თევდორაშვილი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი, „თბილქალაქპროექტის“ არქიტექტურული სახელოსნოს წამყვანი არქიტექტორი, მოსაზრებები ტექნიკური ტერმინოლოგიის შესახებ, №191, 20.08.1986.
78. თევზაძე 1989: თევზაძე დავით, სახელმწიფო ენის პრიორიტეტი - ეროვნული ურთიერთობების ნორმალიზაციის ძირითადი საკითხი, „ლიტერატურული საქართველო“, №35, 1.09.1989.
79. თვალჭრელიძე 1988: თვალჭრელიძე ალექსანდრე, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, შვექმნათ საბუნებისმეტყველო ლექსიკონი, „ლიტერატურული საქართველო“, 2.12.1988.
80. თოთაძე 1989ბ: თოთაძე ანზორ, 1. თბილისის მოსახლეობა, „თბილისი“, №133, 10.06.1989.
81. თოთაძე 1989ა: თოთაძე ანზორ, 2. თბილისის მოსახლეობა, „თბილისი“, №134, 12.06.1989.
82. თორდია 1989: თორდია კ., ქართული ამაგის არდავიწყება, „წითელი დროშა“, №9, 19.01.1989.

83. თოფურია 1989ა: თოფურია პავლე, ორენოვნობის ბუნება ანუ რამდენ ენაზე ვილაპარაკოთ?, „ლიტერატურული საქართველო“, №5, 3.02.1989.
84. თოფურია 1989ბ: თოფურია პავლე, ორენოვნობის ბუნება ანუ რამდენ ენაზე ვილაპარაკოთ? „ლიტერატურული საქართველო“, №7, 17.02.1989.
85. იაკობაშვილი 1989: იაკობაშვილი ლ., ჩვენ - შვილები საქართველოსი..., „სახალხო განათლება“, №46, 18.10.1989.
86. იდეოლოგიური კონტაქტები 1989: იდეოლოგიური კონტაქტები: პარტიის რაიონული კომიტეტი და შრომითი კოლექტივები, „წითელი დროშა“, №90, 29.07.1989.
87. ილაპარაკეთ რამდენიც გინდათ, მხოლოდ ქართულად ილაპარაკეთ 1989: ილაპარაკეთ რამდენიც გინდათ, მხოლოდ ქართულად ილაპარაკეთ, „ახალი მარნეული“, №128, 26.10.1989.
88. იმსჯელეს თარგმანის საკითხზე 1977: იმსჯელეს თარგმანის საკითხზე, „ლიტერატურული საქართველო“, №15, 8.04.1977.
89. ინტერნაციონალური ლიტერატურული ურთიერთობების შემდგომი განმტკიცებისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, (საქინფორმი), „ლიტერატურული საქართველო“, №30, 27.07.1979.
90. ინწკირველი 1989: ინწკირველი გივი, პროფესორი, მართვა და მმართველობა, უმაღლესი და უზენაესი, „თბილისი“, №023, 27.01.1989.
91. ისაკოვი 1989: ისაკოვი ევგენი, გარდაბნის №2 რუსული საშუალო სკოლის დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელი, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, „სამგორი“, №41, 4.04.1989.
92. კაკაჩიშვილი 1989: კაკაჩიშვილი მარიკა, მიზანი - პატრიოტ ინტერნაციონალისტთა აღზრდა, „სამცხე“, №22, 18.02.1989.
93. კაკოშვილი 1989: კაკოშვილი ლალი, რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე პოლიკლინიკურ დარგში, ჟამი არს გონიერების, „წითელი დროშა“, №83, 13.07.1989.
94. კალაიჯიშვილი 1989: კალაიჯიშვილი ს., სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ახალციხის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, წარმოსაჩენია ეროვნული ღირსებები, „წითელი დროშა“, №49, 22.04.1989.

95. კალანდია 1988: კალანდია ზ., სანამ ილია ზუგდიდს ჩამობრძანდება..., „ლიტერატურული საქართველო“, №45, 4.11.1988.
96. კალაძე 1988ა: კალაძე ამირან, მკითხველის რეპლიკა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №136, 15.11.1988.
97. კალაძე 1988ბ: ამირან კალაძე, რა ენა წახდეს..., ჟურნ. „კრიტიკა“, 2, თბილისი: მერანი, 1988.
98. კაპანაძე 1989: კაპანაძე ნუნუ, ახალციხის მეგობრობის მუზეუმის დირექტორი, ისტორიულად განმტკიცებული მეგობრობით, „წითელი დროშა“, №101, 24.08.1989.
99. კეკელია 1989: კეკელია მიხეილ, პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, როჭიკობით მონაკვერებული, „სახალხო განათლება“, №50, 15.11.1989.
100. კეკელიძე 1988: კეკელიძე რობერტ, სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს, „ლიტერატურული საქართველო“, №37, 9.09.1988.
101. კვანჭილაშვილი 1988: კვანჭილაშვილი ტარიელ, „ლიტერატურული საქართველო“, №40, 30.09.1988.
102. კვაჭანტირაძე 1989: თ. კვაჭანტირაძის „ძველი წერილის ახალი წინათქმა“, „ლიტერატურული საქართველო“, №28, 14.08.1989.
103. კვერენჩილაძე 1989: კვერენჩილაძე რომან, ხარაძე კობა, დავუბრუნოთ ისტორიული სახელწოდებები, „ლიტერატურული საქართველო“, №26, 30.06.1989.
104. კვესელავა 1988: კვესელავა რეზო, ეღირსებაო ლუხუმსა, „ქართული ფილმი“, №47, 23.11.1988.
105. კვესელავა 1988: კვესელავა რეზო, ეღირსებაო ლუხუმსა, „ქართული ფილმი“, №47, 23.11.1988.
106. კვიციანიშვილი 1988: კვიციანიშვილი ნინო, საკუთარ თავთან ურეგლამენტოდ, „ლიტერატურული საქართველო“, №49, 2.12.1988.
107. კიდევ ერთი ახალი სოფელი 1989: კიდევ ერთი ახალი სოფელი, №114, 23.09.2015.
108. კიკალეიშვილი 1989: კიკალეიშვილი ლაშა, მრავალი კითხვა ერთი პროექტის ირგვლივ, „თბილისი“, №200, 3.08.1989.
109. კიკნაძე 1988: კიკნაძე ვასილ, სახელწოდება ისტორიას, „ლიტერატურული საქართველო“, №36, 2.09.1988.

110. კიკნაძე... 1985: კიკნაძე ლ., ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, წულაძე მ., ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. კანდიდატი, საჭირო ლექსიკონი, „კომუნისტი“, №6, 8.01.1985.
111. კინოგაქირავების განყოფილება 1989: კინოგაქირავების განყოფილება, „წითელი დროშა“, №35, 2.03.1989.
112. კომუნისტი 1988: „კომუნისტი“, №60, 12.03.1988.
113. კონდრატოვი 1989: Э. Кондратов, Услышать друг друга, «Известия», №32, 1.02.1989.
114. კუპრაშვილი 1988: კუპრაშვილი ბორის, დავაბრუნოთ ქართული ენა მეცნიერებაში, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №126, 20.10.1988.
115. კუჭავა 1989: კუჭავა ნოდარ, სპეციალური სამეცნიერო სარესტავრაციო გაერთიანების დირექტორი, ღია წერილი საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველ მდივანს აშხ. ქამილ სულეიმან ოღლი მამედოვს, „ლიტერატურული საქართველო“, №7, 17.02.1989.
116. ლექსიკონები 1978: ლექსიკონები, რედაქტორის ჩანაწერები, „ლიტერატურული საქართველო“, №3, 13.01.1978.
117. ლიტერატურულ ურთიერთობათა განმტკიცებისათვის 1979: ლიტერატურულ ურთიერთობათა განმტკიცებისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, №31, 3.08.1979.
118. ლიხაჩოვი... 1988: Исторические названия - тоже памятники культуры, Д. Лихачов, председатель правления Советского фонда культуры, академик; Т. Гамкrellidze, лауреат Ленинской премии, академик; В. Нерознак, председатель совета по топонимии Советского фонда культуры, доктор филологических наук. «Известия», №217, 4.08.1988.
119. ლომთათიძე 1988: აკად. ქ. ლომთათიძე: ბედნიერი ვარ, მე ივანე ჯავახიშვილს მოვესწარი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №124, 15.10.1988.
120. ლომოური 1989: ლომოური ნოდარ, პრეტენზიული პასკვილი, „ლიტერატურული საქართველო“, №29, 21.07.1989.
121. მაისურაძე 1989: მაისურაძე მარინა, რატომ ქართული ენა არა, „წითელი დროშა“, №22, 18.02.1989.

122. მარნეულის რაიონის მასწავლებელთა კონფერენცია 1989: მარნეულის რაიონის მასწავლებელთა კონფერენცია, „ახალი მარნეული“, №40, 4.04.1989.
123. მერკვილაძე 1982: მერკვილაძე ვ., საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციური განვითარება, რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის 60 წლისთავი, „კომუნისტი“, №50, 2.03.1982.
124. მესხიძე 1989: მესხიძე თ., საქმის წარმოება - ქართულ ენაზე, „წითელი დროშა“, №38, 28.03.1989.
125. მეტი ქართული ფილმი 1989: მეტი ქართული ფილმი - ჩვენი კინოთეატრების ეკრანებზე, „წითელი დროშა“, №44, 11.04.1989.
126. მიმინოშვილი 1989: მიმინოშვილი გურამ, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, ინჟინერი, დავუბრუნოთ ძველი სახელები, მეც მომხრე ვარ, „სოფლის ცხოვრება“, №179, 3.08.1989.
127. მიქაძე 1989: მიქაძე ლიანა, მშობლიურის სიტბოს გავცემთ, დედაენა - ერის საგანძური, „სახალხო განათლება“, №48, 1.11.1989.
128. მიშველაძე 1989: მიშველაძე ქეთევან, ო, ენავ, ჩემო!.. „წითელი დროშა“, №52, 29.04.1989.
129. მუზებს მასპინძლობს მშვენიერი აფხაზეთი 1984: მუზებს მასპინძლობს მშვენიერი აფხაზეთი, „თბილისი“, №257, 10.11.1984.
130. მუმლაძე 1989: მუმლაძე ლ., №5 ბაგა-ბადის მეთოდისტი, დედა ენა - სულიერი განვითარების დასაყრდენი, „წითელი დროშა“, №67, 6.06.1989.
131. მურადიანი რამაზ, გამოიცა სომხურ-ქართული ლექსიკონი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №99, 22.08.1989.
132. ნატროშვილი 1978: ნატროშვილი გიორგი, სიტყვა ახალ კონსტიტუციაზე, „ლიტერატურული საქართველო“, №17, 21.04.1978.
133. ნებიერიძე 1989ა: ნებიერიძე ანტონ, ენის პრობლემა ეროვნული პრობლემაც არის, „წითელი დროშა“, №125, 19.10.1989.
134. ნებიერიძე 1989ბ: ნებიერიძე გივი, ენა და გენეტიკა, „სახალხო განათლება“, №45, 11.10.1989.
135. ნებიერიძე 1989გ: ნებიერიძე გივი, ენა და გენეტიკა, „სახალხო განათლება“, №48, 1.11.1989.

136. ნებიერიძე 1989დ: ნებიერიძე ნოდარ, იურისტი, „ლიტერატურული საქართველო“, №7, 17.02.1989.
137. ნეროზნაკი 1988: პროფ. ვ. ნეროზნაკი, „ნედელია“, №37, 12-18 სექტემბერი, 1988.
138. ნინიძე თედო, სახელმწიფო ენა, „ლიტერატურული საქართველო“, №4, 27.01.1989.
139. ნოზაძე 1989: ნოზაძე ზენარ, ვის ველოდებით, რას ველოდებით?!, „სამგორი“, №4, 7.01.1989.
140. ოვანათიანი... 1989: ოვანათიანი არუთინ, გრიგორიანი არამ, საქართველო - რაინდთა ქვეყანა, „თბილისი“, №27, 21.02.1989.
141. ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა 1989: Государственная программа развития осетинского языка, «Советская Осетия», №170, 5.09.1989.
142. ოსური ლიტერატურა ქართულ ენაზე 1978: ოსური ლიტერატურა ქართულ ენაზე, „ლიტერატურული საქართველო“, №27, 30.06.1978.
143. პაიკიძე 1984: პაიკიძე ვახტანგ, „ხალხია ენის კანონის დამდეგი“, „ლიტერატურული საქართველო“, №31, 27.07.1984.
144. პარტიული გავლენის ეფექტიანობა 1982: პარტიული გავლენის ეფექტიანობა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის რ. მ. ბუთბას გამოსვლიდან, „კომუნისტი“, №149, 26.06.1982.
145. პეტრიაშვილი 1988: პეტრიაშვილი რობერტ, „თბილისი“, №141, 18.06.1988.
146. პლატფორმა 1989: მარნეულის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ორგანიზაციულ-პოლიტიკური პლატფორმა, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოსა და ადგილობრივ საბჭოებში სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებისათვის, „ახალი მარნეული“, №157, 30.12.1989.
147. პროფესია: თარჯიმანი 1989: პროფესია: თარჯიმანი, თ. გოგოლაძეს ესაუბრა ზაირა ჩომახაშვილი, „სოფლის ცხოვრება“, №201, 1.09.1989.
148. ჟვანია 1982: პროფესორი გ. ჟვანია, სამშობლოს სიყვარული ამაღლებული გრძნობაა, „კომუნისტი“, №75, 31.03.1982.
149. „რატომ ქართული ენა არა?“... 1989: „რატომ ქართული ენა არა?“ ანუ ჩვენი სათქმელი (რედაქციისაგან), „წითელი დროშა“, №54, 4.05.1989.
150. რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევის დიდი პროგრამა 1989: რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევის დიდი პროგრამა, სადისკუსიო



- „მრგვალი მაგიდა“ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში, „თბილისი“, №225, 30.09.1989.
151. რიგგარეშე მერვე სესია 1978: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესია, საქართველოს მშრომელთა ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი, დეპუტატ ე. ა. შევარდნაძის საბოლოო სიტყვა, „კომუნისტი“, №90, 16.04.1978.
152. როგორც კანონი 1989: როგორც კანონი, გვესაუბრება მეცნიერი, ლიტერატორი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელი ალექსი ჭინჭარაული, „თბილისი“, №004, 5.01.1989.
153. რუხაია 1989: რუხაია გრიგოლ, ჯავახური დღიურები, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №147, 7.12.1989.
154. საგინაშვილი 1989: საგინაშვილი თამარ, „ნუ ამბობთ ინგილოს, თქვით ქართველი!“, „სოფლის ცხოვრება“, №14, 16.06.1989.
155. სამართლიანი რეპლიკა 1989: სამართლიანი რეპლიკა, „წითელი დროშა“, №36, 23.03.1989.
156. სამომავლო მოქმედების პროგრამა 1989: სამომავლო მოქმედების პროგრამა, განვიხილავთ საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტს, „წითელი დროშა“, №116, 28.09.1989.
157. სანიკიძე 1988: სანიკიძე ლევან, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს, „ლიტერატურული საქართველო“, №30, 22.07.1988.
158. საუბარი დიდ პრობლემებზე 1989: საუბარი დიდ პრობლემებზე, „ლიტერატურული საქართველო“, №28, 14.08.1989.
159. საქართველო აღდგა! 1989: საქართველო აღდგა!, „თბილისი“, №140, 19.06.1989.
160. საქართველოს ალკვ ახალციხის რაიკომის პროგრამა 1989: პროექტი საქართველოს ალკვ ახალციხის რაიკომის პროგრამა, „წითელი დროშა“, №84, 15.07.1989.
161. საქართველოს კეთილო ხალხო 1989: საქართველოს კეთილო ხალხო, „ახალი მარნეული“, №79, 4.07.1989.
162. საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომში 1989: საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომში, „ახალი მარნეული“, №90, 29.07.1989.

163. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 1989: საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, „ახალი მარნეული“, №94, 8.08.1989.
164. საქართველოს კონსტიტუციის პროექტი 1989: საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, „სახალხო განათლება“, №25, 24.05.1989.
165. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში 1989: საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში, „ახალი მარნეული“, №145, 7.12.1989.
166. საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართვა 1989: საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართვა საქართველოში მცხოვრებ არაქართველთადმი, „სახალხო განათლება“, №26, 31.05.1989.
167. საქართველოს სახალხო ფრონტის ქარტია 1989: საქართველოს სახალხო ფრონტის ქარტია, „სახალხო განათლება“, №29, 21.06.1989.
168. საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია 1989: საქართველოს კომუნისტური პარტია, საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია, პროექტი, „სამგორი“, №114, 23.09.1989.
169. საქართველოში ყველა მეგობრულად ცხოვრობს 1983: საქართველოში ყველა მეგობრულად ცხოვრობს - ამბობს პროფესორი შირლი მერიონ კოლეკი (აშშ), „კომუნისტი“, №163, 16.07.1983.
170. საჭიროა მეტი და კარგი ლექსიკონები 1982: საჭიროა მეტი და კარგი ლექსიკონები, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოში, (საქინფორმი), „კომუნისტი“, №123, 26.05.1982.
171. „სახალხო განათლება“ 1989: „სახალხო განათლება“, №36, 9.08.1989.
172. სახალხო განათლების მუშაკთა კონფერენცია 1989: სახალხო განათლების მუშაკთა კონფერენცია, „ახალი მარნეული“, №118, 3.10.1989.
173. სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომში 1989: სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომში, „წითელი დროშა“, №4, 21.11.1989.
174. სახალხო ფრონტის რწმუნებულთა საბჭო 1989: გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის რედაქციას“, თბილისის ოქტომბრის რაიონის რეგიონალური სახალხო ფრონტის რწმუნებულთა საბჭო, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №96, 15.08.1989.
175. სახვაპე 1988: ქართულ ენას გაფრთხილება სჭირდება, ინტერვიუ გერონტი სახვაპესთან, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №144, 1.12.1988.

176. სახლთხუციშვილი 1989: სახლთხუციშვილი უმანგ, რეპრესირებული ტოპონიმები, „სოფლის ცხოვრება“, №291, 19.12.1989.
177. სილაგაძე 1988: სილაგაძე აპოლონ, მერმე შინათ აიშალნენ, „ლიტერატურული საქართველო“, №46, 11.11.1988.
178. სილაგაძე 1989: სილაგაძე აპოლონ, რესპუბლიკა, „ლიტერატურული საქართველო“, №33, 18.08.1989.
179. „სინქრონი“ თარგმნის აფხაზურიდან 1989: „სინქრონი“ თარგმნის აფხაზურიდან, (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი), „საბჭოთა აფხაზეთი“, №8, 12.01.1989.
180. სიტყვა ჩვენი ქართული 1982: სიტყვა ჩვენი ქართული, „კომუნისტი“, №16, 21.01.1982.
181. სულაკაური 1989: სულაკაური მ., ქართული ფოლკლორის საღამო, „სამგორი“, №62, 25.05.1989.
182. სურგულაძე 1988: სურგულაძე აბელ, დოცენტი, მივხედოთ ჩვენს ისტორიულ და ეროვნულ სიწმინდეებსაც, „თბილისი“, №55, 5.03.1988.
183. სურგულაძე 1988: სურგულაძე აბელ, დოცენტი, მივხედოთ ჩვენს ისტორიულ და ეროვნულ სიწმინდეებსაც, „თბილისი“, №55, 5.03.1988.
184. ტალიაშვილი 1988: ტალიაშვილი ირინე, მშობლიურო ჩემო მიწავ, „ქართული ფილმი“, №45, 9.11.1988.
185. ტოპორნინი 1988: ტოპორნინი ბ., სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, „მოქალაქეობის შესახებ“ „დემოკრატიულია თუ არა?“, „კომუნისტი“, №280, 7.12.1988.
186. ტულუში 1989: ტულუში აბესალომ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის - სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერთანამშრომელი, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი, SOS წერე და იკითხე..., „ახალგაზრდა კომუნისტი“, №96, 15.08.1989.
187. უდარდელობა ვაქციოთ დარდად 1989: უდარდელობა ვაქციოთ დარდად, ესაუბრა ციციხო მჭედლიშვილი, „სოფლის ცხოვრება“, „შუქურა“, №144, 2.12.1989.
188. უპირველესი ამოცანა 1989: სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გარდაქმნა - უპირველესი ამოცანა, „შუქურა“, №125, 19.10.1989.

189. უსოვა 1989: უსოვა ლენა, ამოქმედდა ქართული სექტორი, „წითელი დროშა“, №68, 8.06.1989.
190. უღრელიძე 1989: უღრელიძე ნოდარ, საქ. პოლიტექნიკური ინ-ტის მეცნიერთანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, გვჭირდება ქართული ტერმინები, „თბილისი“, №194, 22.08.1989.
191. ფაცაცია 1988: ფაცაცია გერმანე, გარდაქმნილი ზნეობა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №135, 12.11.1988.
192. ფაცაცია 1989: ფაცაცია გ., ჩვენ გვიხმობს ზარი!..., „ახალგაზრდა კომუნისტი“, №149, 12.12.1989.
193. ფეხბედნიერი ყოფილიყოს! 1989: ფეხბედნიერი ყოფილიყოს! „შუქურა“, №90, 27.07.1989.
194. ფოცხიშვილი 1988: ფოცხიშვილი ალექსანდრე, ქართული თუ სახელმწიფო ენაა... „სახალხო განათლება“, №95, 25.11.1988.
195. ფრუიძე 1989: ფრუიძე ლევან, ეროვნული განვითარების კონცეფციისათვის, „სახალხო განათლება“, №39, 30.08.1989.
196. ფუტკარაძე 1988: ფუტკარაძე ტარიელ, „საწუხ არს ესე“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №130, 29.10.1988.
197. ფუხაევი 1989: ფუხაევი ა., ძმობას გაფრთხილება უნდა, „სოფლის ცხოვრება“, №192, 19.08.1989.
198. ქართველ მწერალთა ხმა 1978: ქართველ მწერალთა ხმა, „ლიტერატურული საქართველო“, №14, 31.03.1978.
199. „ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი“ 1988: „ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი“, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა 1988: ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა (პროექტი), „სახალხო განათლება“, №90, 5.10.1988.
200. ქართული ენის შემსწავლელი უცხოელებისათვის 1985: ქართული ენის შემსწავლელი უცხოელებისათვის, „სახალხო განათლება“, №58, 19.07.1985.
201. ქვათაძე 1989: ქვათაძე ელგუჯა, ფრთხილად - ეროვნული საკითხია!, „სოფლის ცხოვრება“, №199, 30.08.1989.

202. ქოიანი 1989: ქოიანი ა., „სოვეტაკან ვრასტანის“ საკ. კორესპონდენტი, ვისაც გლოვის დროს თანადგომის ძალა გამოუცდია (თარგმანი სომხური გაზეთიდან „სოვეტაკან ვრასტან“, 25.01.1989), „წითელი დროშა“, №28, 4.03.1989.
203. ქირია 1988: ქირია ჯემალ, ჩვენს სიმდიდრეს ჩვენვე მივხედოთ, „ლიტერატურული საქართველო“, №49, 2.12.1988.
204. ქობალია 1989: ქობალია ნ., „საბჭოთა აფხაზეთის“ სპეც. კორ., სოხუმი-თბილისი-სოხუმი, „სრული გვიან საპოვნარია...“, „საბჭოთა აფხაზეთი“, №6, 10.01.1989.
205. ღვინჯილია 1986ა: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №82, 10.07.1986.
206. ღვინჯილია 1986ბ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №85, 17.07.1986.
207. ღვინჯილია 1987ა: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №3, 8.01.1987.
208. ღვინჯილია 1987ბ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №32, 12.03.1987.
209. ღვინჯილია 1987გ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №88, 23.08.1987.
210. ღვინჯილია 1987დ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №91, 30.07.1987.
211. ღვინჯილია 1987ე: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №100, 20.08.1987.
212. ღვინჯილია 1987ვ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №115, 24.09.1987.
213. ღვინჯილია 1987ზ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №145, 3.12.1987.
214. ღვინჯილია 1987ბ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №18, 12.02.1987, 3.
215. ღვინჯილია 1987გ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №16, 15.01.1987, 3.

216. ღვინჯილია 1987დ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №139, 19.11.1987, 3.
217. ღვინჯილია 1987ზ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №123, 15.10.1987, 3.
218. ღვინჯილია 1987ლ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №118, 1.10.1987, 3.
219. ღვინჯილია 1987მ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №142, 26.11.1987, 3.
220. ღვინჯილია 1988ა: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №27, 3.03.1988.
221. ღვინჯილია 1988ბ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №94, 4.08.1988.
222. ღვინჯილია 1988გ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №126, 20.10.1988.
223. ღვინჯილია 1988დ: ღვინჯილია ლევან, ენა დედაა ერისა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №54, 5.05.1988, 3.
224. ღირსეულად შევხვდეთ სახელოვან იუბილეს! 1982: ღირსეულად შევხვდეთ სახელოვან იუბილეს! საქართველოს კომპარტიის ამოცანები „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების საქმეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე 1982 წლის 21 ივლისს, „კომუნისტი“, №170-171, 23.07.1982.
225. ყავლაშვილი, 1989: ყავლაშვილი ნ., თავისუფლება სკოლას, „სოფლის ცხოვრება“, №239, 18.10.1989.
226. ყოლოშვილი 1988: ყოლოშვილი მიხეილ, არ დავამოროთ სიტყვა და საქმე, „ლიტერატურული საქართველო“, №45, 4.10.1988.

227. ყურაშვილი 1989: ყურაშვილი ნანა, მომავლის სკოლა - ეროვნული!, სახალხო განათლება, №34, 26.07.1989.
228. შავგულიძე 1989: შავგულიძე თამაზ, ენის საკანონმდებლო სტატუსი, „ლიტერატურული საქართველო“, №4, 27.01.1989.
229. შამელაშვილი 1989: შამელაშვილი რ., ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხალხი, ერი დედაა ენისა, „საბჭოთა ოსეთი“, №78, 22.04.1989.
230. შანიძე... 1989: გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის საუბარს საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველ მდივანთან შალვა შანიძესთან, ესაუბრა გელა ნატროშვილი, „სახალხო განათლება“, №40, 6.09.1989.
231. შევარდნაძე 1978: ე. შევარდნაძე, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ე. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №44, 15.04.1978.
232. შევარდნაძე 1983: ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე 1983 წლის 8 ივლისს, „კომუნისტი“, №159, 12.07.1983.
233. შენგელაია... 1988: შენგელაია ნატა, ჩოლოყაშვილი რუსუდან, საერთო საზრუნავი, „ლიტერატურული საქართველო“, №46, 11. 11. 1988.
234. შეყლაშვილი 1989: შეყლაშვილი ნ., მარნეულის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული საშუალო სკოლის დირექტორი, ნუ გაგვიცრუებთ იმედს, №86, 20.07.1989.
235. შუბითიძე 1989: შუბითიძე გ., მარნეულის რეგიონალური სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, სახალხო ფრონტი, „ახალი მარნეული“, №143, 2.12.1989.
236. ჩანტლაძე 1989: ჩანტლაძე ვასილ, ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინის შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, №20, 19.05.1989.
237. ჩვენ ღვიძლი ძმები ვართ 1989: ჩვენ ღვიძლი ძმები ვართ, „ახალი მარნეული“, №111, 16.09.1989.

238. ჩვენი მოსაზრება 1988: ჩვენი მოსაზრება, საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია, „ლიტერატურული საქართველო“, №36, 2.09.1988.
239. ცქიტიშვილი... 1984: ცქიტიშვილი თინათინ, დარეჯან ჩხუბიანიშვილი, ფრიადი შრომით ხელდასხმული, „ლიტერატურული საქართველო“, №5, 27.01.1984.
240. წილოსანი 1989: წილოსანი თამარ, ახალქალაქის რაიონი, „მე ჯავახეთს რა მიშავდა“, „სოფლის ცხოვრება“, №83, 5.07.1989.
241. წიქარიშვილი 1989: წიქარიშვილი ი., ჩვენი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები, „სამცხე“, №22, 18.02.1989.
242. წიქარიშვილი 1989: წიქარიშვილი იზოლდა, შენ გაბარია დიდება ერის, მისი იმედი და მომავალი, „სამცხე“, №12, 07.10.1989.
243. წულეისკირი 1989ა: წულეისკირი ნოდარ, „მამული“, №5, ოქტომბერი, 1989.
244. წულეისკირი 1989ბ: წულეისკირი ნოდარ, დადგენილება №427 ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, №35, 1.09.1989.
245. ჭანტურია 1988: ჭანტურია ტარიელ, ღია წერილი „სოვეტსკაია კულტურას“ კორესპონდენტს ია მუხრანელს, „ლიტერატურული საქართველო“, №30, 22.07.1988.
246. ჭილაია... 1988: ჭილაია სერგი, ჯალალონია ნოდარ, გრიგორიანცსა და მის თანაკლანელებს მისამართი ეშლებათ, „ლიტერატურული საქართველო“, №15, 8.04.1988.
247. ჭილაძე 1989: ჭილაძე თამაზ, სვინქსის აჩრდილი, „ლიტერატურული საქართველო“, №28, 14.07.1989.
248. ჭინჭარაული 1989ა: ჭინჭარაული ტ., რესპუბლიკის ენა, „ახალი მარნეული“, №132, 4.11.1989.
249. ჭინჭარაული 1989ბ: ჭინჭარაული ტ., ფიქრები ხვალინდელ დღეზე, „ახალი მარნეული“, №55, 9.05.1989.
250. ჭინჭარაული 1989გ: ჭინჭარაული ტ., რომ არაფერი შეგვეშალოს (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ), „ახალი მარნეული“, №93, 3.08.1989.



251. ჭინჭარაული 1989დ: ჭინჭარაული ტ., აშენდება ახალი სოფელი, „ახალი მარნეული“, №111, 16.09.1989.
252. ჭიპაშვილი 1989: ჭიპაშვილი ნ., მცირე მოსაზრებანი დიდ საკითხზე ანუ ეროვნული სენის ზოგიერთი მიზეზი და შედეგი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №149, 12.12.1989.
253. ხალიმი 1988: А. Халим, Язык мой – друг мой..., «Дружба народов», №6, 1988.
254. ხიდაშელი 1989: ხიდაშელი შალვა, ფიქრები პარტიის ეროვნულ პოლიტიკასთან დაკავშირებით თანამედროვე პირობებში, „სახალხო განათლება“, №41, 13.09.1989.
255. ხმალაძე 1989: ხმალაძე ანზორ, მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა..., „ახალი მარნეული“, №131, 2.11.1989.
256. ჯანგიძე 1989: ჯანგიძე ვენერა, ქართული სალიტერატურო ლექსიკის სიწმინდისათვის, „სოფლის ცხოვრება“, №43, 19.02.1989.
257. ჯაფარიძე 1988: ჯაფარიძე რევაზ, საგნებს თავისი სახელი დავარქვათ, „თბილისი“, №148, 18.06.1988.
258. ჯორბენაძე... 1988: ჯორბენაძე ბ., კოდუა ე., მუსხელიშვილი დ., მეტი კომპეტენტურობაა საჭირო, „ლიტერატურული საქართველო“, №33, 12.08.1988.
259. ჯორბენაძე 1989ა: ჯორბენაძე ბესარიონ, არის ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა! ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტი, „სახალხო განათლება“, №38, 23.08.1989.
260. ჯორბენაძე 1989ბ: ჯორბენაძე ბესარიონ, განუკითხავი ჩარევა, „ლიტერატურული საქართველო“, №29, 21.07.1989.
261. ჯორბენაძე 1989გ: ჯორბენაძე ბესარიონ, ენა, ერი, სახელმწიფო, „სახალხო განათლება“, №40, 6.09.1989.
262. ჰაკობიანი 1989: ჰაკობიანი ვ., სწავლობენ ქართულ ენას, „შუქურა“, №21, 16.02.1989,.
263. ჰაკობიანი 1989: ჰაკობიანი ვარშამ, ქ. ახალქალაქის დემირჭიანის სახელობის სომხური საშუალო სკოლის პედაგოგი, მიყვარხარ საქართველოვ!, „შუქურა“, №25, 25.02.1989.
264. ჰინტი 1988: М. Хинт, Двухязычие и национализм, «Дружба народов», №5, 1988.

265. ჰიუიტი 1989: ჰიუიტი ჯორჯ, უცხოელის დაკვირვებანი აფხაზებისა და ქართველების დამაბულ ურთიერთდამოკიდებულებებზე, „ლიტერატურული საქართველო“, №29, 21.07.1989.
266. ჰოვნათანი 1989: ჰოვნათანი არუთინ, დავეუფლოთ ძმის ენას (წერილი დაიბეჭდა სომხურ გაზეთში „სოვეტაკან დპროც“, ქ. ერევანი, 2.02.1989) „წითელი დროშა“, №33, 16.03.1989.